N37 (588) 15/IX-21/IX-2011 ფასი 1 ლარი

გზა

ჩემი რჩეული

ოფია იოსელიანი

ექვსტომეული
ტომი I

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ
ოფია იოსელიანი
ტომი II

ექსკლუზიური
ინტერვიუ
გიორგი
დემეტრაძესთან

„ჩემს უდანაშაულობას
აუცილებლად დავამტკიცებ“

მკვლელი ექიმის
სენსაციადქცეული
საქმე

„ის პაციენტებს
ძარცვავდა და კლავდა“

ვის მიუძღვნა
ინგა გრიგოლიამ
ანონიმურად
დაწერილი სტატია

ანა რეხვიაშვილმა
ლევან ხურცილავთან
რომანი აღიარა

მოსწონს თუ არა
ნესტან კირთაძეს სასიძო



გორელი ჯადოქარი,
რომელსაც მცენარეების
ენაც ესმის

„ჩემმა ბაღმა თავი
ყოვლისშემძლედ
მაგრძნობინა“

მრავალშვილიანი
პოპულარული ოჯახის
საზაფხულო არდადეგები

„ვერ ვხვდები, ნუციკო ჩემი
შვილია თუ შვილიშვილი“

ირაკლი
ჩოლოყაშვილი
მეზობლებს
აწუხებს

„მობილურით ფოტოებს
ჩუმად მიღებდა“...

ISSN 1987 - 5029

რჩევები მათთვის, ვისაც ტირანი მეუღლე ჰყავს

პანცი ლიონი PANTSI LION

ახალი კოლექცია

მისამართი:
1. ერისთავის ქ.№2, მე-2 სართული (მეტრო დიდუბის ზემოთა ამოსასვლელთან), ტელ: 2 66 41 90
2. ერისთავის ქ. №5 (სავაჭრო ცენტრი „საბა“), მე-2 სართული ტელ: 2 69 29 20
3. ოფისი 2 245-105

BU-BA GEORGIA YATAK COLECTION

BU-BA GEORGIA

ევროპული ხარისხის ლეიბები

ნებისმიერი ზომის და სიმაღლის, ორთოპედიული და ეკონომიური საუკეთესო არჩევანი ყველაზე პრეტენზიული მყიდველისათვის

მისამართი: თბილისი, მექანიზაციის ქ.№1
ტელ: 2 66 16 51

მხოლოდ საბა ჯგუფთან ერთად

ქ. თბილისის მერიის პატრონაჟით

თიბისი ბანკი TBC BANK დაფინანსებით

ჩაბარება
2012 წლის დეკემბერი

მშენებლობის პროცესის ონლაინ კონტროლი

გურამიშვილის 78

მთავარი ოფისი:
თბილისი,
ბულაპეშტის 7

238 44 33
577 777 077
579 770 110

www.saba-group.ge

BRITISH CENTRE

აქცია!
ქუთაისში და რუსთავში
-10% ფასდაკლება
სექტემბრის თვეში

ბრიტანული ცენტრის ახალი ფილიალი ქუთაისის შემდეგ ქალაქ რუსთავში გაიხსნა, ახლა უკვე რუსთაველებსაც ეძლევათ საშუალება შეისწავლონ ინგლისური 4-ჯერ უფრო სწრაფად.
მის: ქ. რუსთავი ტაშკენტის ქ.№5 ტელ: 28-70-40 (ყოდი 8341)



დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !
ბრიტანული ცენტრის ჯარი დიპ ნებისმიერი მსმენელისთვის !

რა არის ქალანის მეთოდი
ეს სწრაფი, მხიარული და იოლი გზა ინგლისური ენის შესასწავლად, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების სმენისა და სასაუბრო უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად.

რატომ არის ეს მეთოდი მსოფლიოში ასეთი პოპულარული და ეფექტური.
ეს მეთოდი ეფექტურია ყველა ეროვნების, ასაკისა და განათლების მქონე სტუდენტისთვის.
ის დაფუძნებულია ორ უმთავრეს პრინციპზე: განმეორებასა და სწრაფ ტემპზე, რაც არის წარმატების გარანტი ინგლისური ენის შესწავლისას გამეორება, გამეორება და კიდევ ერთხელ გამეორება!.
სტუდენტებს ეხარჯებათ ნაკლები დრო და ფული, რადგან ისინი ინგლისურს შეისწავლიან 4 ჯერ უფრო სწრაფად სხვა მეთოდებთან შედარებით.

ბრიტანული ცენტრში:
ყოველდღე გაიმჯობესეთ გამოთქმას, ისწავლით ინგლისურ ენაზე მოსმენას და მეტყველებას ჩვეულებრივ სასაუბრო ტემპში; ინტონაციას და გრამატიკულ უნარ-ჩვევებს; სალუბარაკო გამოცდილებას ჯგუფური მუშაობის მეთოდით; სკოლის მუშაობის მოქნილი საშუალებას გაძლევთ, ჩაირიცხოთ როგორც დილის, ისე შუადღის და საღამოს ჯგუფებში.

სწრაფი საუბარი
მასწავლებელი პირველივე გაკვეთილიდან ელაპარაკება სტუდენტებს ინგლისურად სწრაფ ტემპში, რაც სტუდენდტებს გაცილებით მობილიზებულს ხდის.

ქალანის მეთოდის მიხედვით სტუდენტებს თითქმის არ ეძლევათ საშინაო დავალებები.მაქსიმალური დატვირთვა ხდება გაკვეთილის მიმდინარეობს პროცესში.

ექვსი საცდელი გაკვეთილი
სკოლაში ჩარიცხვამდე თქვენ შეგიძლიათ, უფასოდ დაესწროთ ექვს საცდელ გაკვეთილს.

რუსთაველის 36;
ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189;
ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
პეკინის 9; ტელ: 332 557; 514 143
ქუთაისი: ტ.ტაბიძის 1; ტელ: 43017
რუსთავი: ტაშკენტის 5; ტელ: 28 70 40

www.britishcentre.ge

სახელმძღვანელოები!

და სასკოლო საკანცელარიო საქონელი

„ბიბლუსის“ ყველა მაღაზიაში!

მათ შორის

ახალ ფილიალებშიც:

თბილისი - ვაჟა-ფშაველას 47

ქუთაისი - ჭავჭავაძის გამზირი 58

ლანჩხუთი - ჟორდანიას 103

ფიქსირებულ ფასად!

ბიბლუსი Books

წიგნის
მაღაზიათა ქსელი
მთელ საქართველოში

www.biblusi.ge ტელ: 2307 402

ელვა.ჯი

ბრესისა და წიგნების
გავრცელების სააგენტო

www.elva.ge

ბრესისა და წიგნების გავრცელების
სააგენტო ელვა.ჯი

გთავაზობთ

სასკოლო სახელმძღვანელოების

სრულ კომპლექტს, ან ცალკეულ წიგნებს
ადგილზე მიტანით,
უმოკლეს დროში, საუკეთესო ფასად
თბილისსა და საქართველოს ნებისმიერ
კუთხეში!

რაიონებში მიწოდება ხდება ელვა.ჯი-ს საბითუმო ვაჭრობის წერტილებში.
აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

დარეკეთ: 2 38 26 74; 2 38 26 76

ან მოგვწერეთ: elva@elva.ge

წიგნების სრული კატალოგი
იხილეთ ვებ-გვერდზე **www.elva.ge**

№37 (588)
15 - 21 სექტემბერი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
ფეხი

ქვეყანა

ექსკლუზიური ინტერვიუ გიორგი დემეტრაძესთან

„რუსთავის საპყრობილეში 7 აგვისტოს გადამიყვანეს. საკანში, სადაც შემიყვანეს, რადიოც კი არ იყო, რომ გადაცემებისთვის მოგვესმინა“...

10

სახე

პოპულარული მსახიობი და 4 შვილის მზრუნველი დედა

„ბევრ ისეთ ადამიანს ვიცნობ, რომელიც ფიქრობს, რომ შვილი დედამ უნდა გაზარდოს! ძიძასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება მაქვს: უცხო ადამიანს ბავშვს ვერ ვანდობ!“.

24

■ მინიატიურები 5
დაბოლების „მასტერი“

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ პირველი ზარი 8
უწყინარი „შატალოები“, ატირებული „ვარსკვლავი“ და გაკრიტიკებული პედაგოგი

■ კრიმინალი 10
ექსკლუზიური ინტერვიუ გიორგი დემეტრაძესთან

■ საზოგადოება 12

■ ფესტივალი 15
„გორდელას“ 50 წლის იუბილე ხობში და საინტერესო მოგონებები ანსამბლზე

■ რეპორტაჟი 16

■ ოჯახი 19
რით აწუხებს ირაკლი ჩოლოყაშვილი მეზობლებს

■ მეტამორფოზები 20
როგორ მალავს ნაკლს ნუკი კოშკელიშვილი

■ პირადი ცხოვრება 22
ვინ დააკარგვინა თავი ბექა ჩხაიძეს

■ ამპლუა 24
პოპულარული მსახიობი და 4 შვილის მზრუნველი დედა

■ ფსიქოპორტრეტი 26
ანა რეხვიაშვილმა ლევან ხურციასთან რომანი აღიარა

ცხოვრება

„ბოლოს მონასტერში დიდ დროს აზარებდა, მონაზვნად აღკვეცა სურდა“

„ტრაგიკული როლების გენიალურ შემსრულებელს ამავე დროს საოცარი კომედიური ტალანტი ჰქონდა, სახასიათო მსახიობი იყო და გული მწყდება, რომ რეჟისორებმა ის არ „გამოიყენეს“...

32

დაუჯერებელი ამბავი

„ჩემი უარის გამო ისე მცემა, თავზე სამი ნაკერი დამადო ექიმმა, მე ბევრი აღარ მიფიქრია და საავადმყოფოდან ჩემებთან დავბრუნდი, ბევრი ბოდიში მიხადა, მაგრამ არ ვაპატიე“.

64

გარემო 28
„ჩემი ბაღი ყველას აოცებს“

ნამდვილი ამბავი 31
მუქარით ამღერებული მგზავრები

კვალი 32
„ბოლოს მონასტერში დიდ დროს ატარებდა“

ექიმების საქმე 34
სასიკვდილო მკურნალობა (დასაწყისი)

თაობა 36
ყოფილი „ჯეოსტარელის“ წარმატება
და გულისტკივილი

თინეიჯერული პონტები 37
მიყვარს, მიყვარს, მიყვარს ანუ თინეიჯერული
ოცნებები და სასიყვარულო ბარათები

ისტორიის ლაბირინთები 40
ლავრენტი ბერია და მისი ქალები

ავტო 43

ანტიდეპრესანტი 44
საკითხავი ქალებისათვის

ერუდიტი 46
„ასეთ მამაკაცებს ვაფასებ“

ტაძარი 48
კაცობრიობის ხსნას დასაბამი
ღვთისმშობლის შობით დაედო

ჯანმრთელობა 50
სურნელოვანი მცენარეები

წვეთი პოეზია 52

რჩეული 53
„სულ ეს ყოფილა ჩემი ცხოვრება“

ქართული დეტექტივი 56
რუსუდან ბერიძე. ურჯუკი (გაგრძელება)

რომანი 60
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა
(გაგრძელება)

გზავნილები 64
დაუჯერებელი ამბავი

ყველა ერთისათვის 68

მობილი-ზაცია 70

ეს სამყაროა 76

გასართობი 78

ასტროლოგია 80

სკანვორდი 81

ფოტოფაქტი 82

სამყარო

„ასეთ მამაკაცებს ვაფასებ“

„კონსტანტინე გამსახურდიას მეფე გიორგისთან ვიმეგობრებდი. გრძნობის კაცია. დღეს გრძნობის კაცები ძალიან ცოტანი არიან. სიყვარულისთვის სისულელის ჩამდენი ბევრი არ მეგულება“.

46

ბიბლუსი

„სულ ეს ყოფილა ჩემი ცხოვრება“

„მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ადამიანი ეხვია გარს, მაინც მარტოსული იყო. თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ თავის სამყაროში უნდოდა ყოფნა და არ სურდა, ვინმესთან გახსნილიყო“...

53

ტაიმ-აუტი

ძვირად ღირებული კოქტეილები

ჩაცივებულ მარტინიში ბრილიანტის თვალი გდია. სიურპრიზიან სასმელს შეყვარებული მამაკაცები საყვარელი მანდილოსნებისთვის უკვეთენ, მაგრამ ბარმენის ვალია კლიენტი წინასწარ გააფრთხილოს, რადგან გაუფრთხილებელი კლიენტები ბრილიანტის თვალს უბრალოდ... ყლაპავენ.

76

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲒᲖᲐ“
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ
ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

დაბოლების „მასწერი"

შესავლის ნაცვლად მკითხველის წინაშე უდიდესი ბოდიშის მოხდით, შესავალი მთლიანად ილიას „მგზავრის წერილებიდან" ამონარიდს უნდა დავუთმო, რადგან უკეთესად თქმას, ცხადია, ვერც შევძლებ და ცდასაც ვერ გავბედავ.

არადა, მეც დაახლოებით ამის თქმა მინდოდა: „რამოდენადაც სურათია კარგი, ორ იმოდენად საძაგელია ნამდვილი. მაგრამ ამბობენ: И дым отечества нам сладок и приятен. კვამლის სიტკბოებაზედ კი უკაცრავად, და სიამოვნებაზედ კი ამას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, — პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავთ."

...პრეზიდენტმა საკუთარ ვენახში სტუდენტები დაპატიჟა, მწვადიც „შაუწო" და „სამშობლოს ტკბილი კვამლიც" (ტკბილი თუ არა, გემრიელი მაინც — მწვადის „ამბავში") აუშვა ცაში „ვენახი ბოლოდან"...



წავიკითხე ახლა ილიას ეს გენიალური პასაჟი კიდევ ერთხელ და ძალიან ცუდ ხასიათზე დავდექი... ჯერ იმიტომ, რომ მეც ჟურნალისტი ვარ, სხვაგან რედაქტორიც მქვია და ილიაც რედაქტორი იყო — საშინელებაა საკუთარი სიმცირის განცდა, მაგრამ „პირადი გრძნობები" იქით გადავდოთ და ზუსტად 150 წლის წინ დაწერილს რომ დღესაც ცხვირში სიმართლედ მოგარტყამს შენი ქვეყნის ყველაზე დიდი კაცი, როგორ ხასიათზე დადგები?!

„პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის..." — მიდით ბიჭებო, დააყარეთ წალამი, ამოუშვით კვამლი, მერე — როდესაც ცეცხლი ჩანაცრდება, ის ნაცარი თვალებში მოგვაყარეთ, განსაკუთრებით მაგათ — სტუდენტებს, თანაც პირველკურსელებს...

სანამ აზრზე მოვლენ, „შაუწვით" მწვადი და ძღომა ასწავლეთ ჯეელობიდან, ამოყორილებს ბინდი რომ გადაეკრათ თვალებზე და თუ საკმარისი არ იქნება, დაუნიავეთ, დაუნიავეთ წალამს, რომ „სამშობლოს კვამლმა" „მართლჭვრეტა" წაართვას! მიშა, შენ თვითონ, შენ თვითონ დაატრიალე შამფური, შენი ვენახია, შენი მწვადია, შენი ცა-ქუდი და მიწა-ქალამანია, შენი „ბოლია" და „დაბოლების მასტერიც" შენ ხარ, თანაც შენგან უფრო ესიამოვნებათ!.. ჩქარა, სანამ აზრზე მოვლენ, თორემ სტუდენტების ამბავი ხომ იცი — ჯერ ფიქრს იწყებენ ხოლმე, მერე რაღაცები არ მოსწონთ, მერე მთავრობის გადადგომას ითხოვენ და ქუჩა-ქუჩა დარბიან დროშებითა და ტრანსპარანტებით...

შენს დროსაც ასე არ იყო? ა, ჰო, დამავიწყდა — შენ რომ კიევში სტუდენტობდი, ის სხვანაირი იყო, „უკულმა, ტოფანა, უკულმა!", ანუ სხვა სტუდენტები რომ დარბოდნენ, თქვენს უნივერსიტეტში იმათ უკან „სირბილს" ასწავლიდნენ, ოღონდ იმათ რომ არ შეემჩნიათ ისე, კოხტად, ყურდაცქვეტილად, მერე რექტორ-დეკან-კომკავშირის მდივნებთან ამბების მიცუნცულებით!

ჰოდა, ეს მწვადნაჭამი ბავშვები კი უკვე გაღიმებულები გისმენენ (კარგია მწვადი, ვენაცვალე), მაგრამ აგე, ის ერთი შავგვრემანი, ჯმუხი ბიჭი ისევ ისე იბღვირება, როგორც თავიდან. არადა, უკვე ორი საათი გავიდა და ხომ იცი, ხომ გასწავლეს სტუდენტობისას, ყველა არ „იკერება", მაგათ მწვადით ვეღარ „დააბამ", მაგრამ ეგეთები ცოტაა და ეგ „იმ განყოფილებას" უნდა გადააბარო, მიხედავენ ბიჭები...

ჰმ, აჰა, „გავიჩალიჩე" — ახლა, ეს ტექსტი ერთმა ჩემმა ახლობელმა წაიკითხა მონიტორზე, გვერდით მეჯდა (ახლაც აქ ზის და რომ უყურებს — მასზე ვწერ, დაიძაბა) და მთელი ამ ჩემი „ბოღმიანი ნაბოდვარის" (ასე თქვა) მიზეზი დაადგინა:

— რა არი, შეგშურდა ბავშვებისთვის თითო ნაჭერი მწვადი? წამო და გაჭმევ, იქნებ ცოტა ბოღმა დაიოკო...

P.S. რა ვქნა, ძმაო, არ ვარ დაბოღმილი და ვერც ილია ვარ, რომ მასავით დავწერო:

„ჩემზედ ამბობენ: ის ქართვლისას სიავეს ამბობს;

ჩვენს ძვირს არ მალავს. ეს ხომ ცხადლივ სიძულვილია?!

ბრიყვნი ამბობენ! კარგი გული კი მაშინვე სცნობს, ამ „სიძულვილში" რაოდენი სიყვარულია."

მართლა არც მე მძულს არავინ, გულიც შემტკივა, მაგრამ მე ერთი ბებერი, ნერვიული „პროვოკატორი" ვარ და როდილა შემიძლია ყველას ვეფერო და მწვადები შევუწვა — მე მინდა, რომ ამ ქვეყანაში მწვადებს მემწვადე წვავდეს, სტუდენტებს პროფესორი ასწავლიდეს და მთლიანად ქვეყანას ნორმალური ხალხი, „ადამიანური ადამიანები" მართავდნენ; მათ კი ოპოზიცია ედგეს კრიჭაში და ნორმალურად, ცივილიზებულად ებრძოდეს... ეეეჰ, მოვინდომე ბელმონდო (ახლა ეს ძველი ანეკდოტი არ მომაყოლოთ, ყველას გეცოდინებათ).

„უკულმა, ტოფანა, უკულმა!" — „უკულმა, ასინეთა, უკულმა!". ასინეთას ფილმიდან „დათა თუთაშხია", წიგნში ტოფანა ჰქვია (მკითხველთა უმეტესობასთან ბოდიში, მათთვის ზედმეტი განმარტებისთვის, მაგრამ მითხრეს, რომ ჩემს პროვოკაციებს „ნაციონალებიც" კითხულობენ).

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

„მის მსოფლიოს“ ტიტული ანგოლელმა ლამაზმანმა მოიპოვა

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში გამართულ კონკურსზე — „მის სამყარო 2001“ „მის მსოფლიოს ტიტული ანგოლელმა ფერადკანიანმა ლამაზმანმა ლეილა ლოპესმა მოიპოვა. მეორე ადგილი კი „მის უკრაინამ“ — 23 წლის ოლესია სტეფანკომ დაიკავა, რომელმაც „ყველაზე სექსუალური კონკურსანტის“ ტიტულიც მოიპოვა. გამარჯვებულს საჩუქრად 120.000 დოლარად ღირებული გვირგვინი და ნიუ-იორკში მდებარე ბინა გადასცეს. კონკურსში 89 მანდილოსანი მონაწილეობდა. გამარჯვებისთვის ფინალში სულ 16 კანდიდატი იბრძოდა, რომელთაგან 15 — ჟიურიმ, ერთი კი მაყურებელმა გამოარჩია. ლეილა ლოპესი 1986 წელს ქალაქ ბენგელაში დაიბადა. მან ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ კონკურსანტებიდან „მის საქართველოსა“ და „მის იტალიას“ დაუმეგობრდა და მათთან მომავალშიც გააგრძელებს ურთიერთობას. შეგახსენებთ, რომ საქართველოდან „იმიჯ ცენტრის“ მოდელი, 1-ელი ვიცე „მის საქართველო 2010“ — 24 წლის ეკა ღურწკაია იყო წარდგენილი. ■

ბრიტანელი პრინცესები საქორწინო კაბებით ფულს შოულობენ

ბრიტანეთის პრინცესები, ტრადიციის თანახმად, ჯვრისწერის ცერემონიის შემდეგ საქორწინო კაბებს ბუკინგემის სასახლეში გამოფენენ, საზოგადოებამ რომ მათი დათვალიერება შეძლოს. კემბრიჯელი ჰერცოგინიისა და უელსის პრინცესას საქორწინო სამოსებმა სამეფო ოჯახს მილიონობით ევროს შემოსავალი მოუტანა. ქეით მიდლტონის კაბამ ბრიტანეთის სამეფო ხაზინაში უკვე 8 მლნ ევრო შეიტანა. ლედი დიანა სპენსერის საქორწინო კაბამ, რომელიც პრინცესას 1981 წელს ეცვა, ყველა რეკორდი მოხსნა. გარდა იმისა, რომ ბუკინგემის სასახლის საგამოფენო დარბაზში კაბამ მილიონობით ევროს მოგება შეძლო, ის 7 წლის განმავლობაში „მოგზაურობდა“ სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქში. პრინცესა დიანას კაბა 30 წლის შემდეგაც პოპულარულია, მას დღესაც ათასობით დამთვალიერებელი ჰყავს. წელს მარტსა და ივნისში, კანზასის მუზეუმში კაბის სანახავად 105 000 დამთვალიერებელი მივიდა. ლედი დიანას კაბამ სამეფო ოჯახს ამ ორ თვეში 1.63 მლნ ევროს შემოსავალი მოუტანა. ■

დაღესტანში ქალების პლაჟი გაიხსნა

დაღესტანში, ქალაქ მახაჩყალის ახალ პლაჟზე ჩადრიანი ქალები ირუჯებიან. „ხავერდოვანი სეზონისთვის“ გახსნილი პლაჟი მხოლოდ ქალებისთვისაა განკუთვნილი. სანაპირო „გორიანკაზე“ მომსახურე პერსონალი და მაშველთა ბრიგადაც კი მხოლოდ ქალებისგანაა დაკომპლექტებული. ქალაქის მმართველობამ გაითვალისწინა ადგილობრივი ქალების მდგომარეობა, რომლებსაც რელიგია საქვეყნოდ გაშიშვლებას და მამაკაცების გვერდით საზოგადოებრივ ადგილებში გამოჩენას უკრძალავს. „დაღესტნელი ქალების სანაპიროზე ყოფნას რელიგიის გარდა, საზოგადოებრივი აზრიც ეწინააღმდეგება. მამაკაცების გვერდით პლაჟზე მათი გამოჩენა სახიფათოცაა. ახალ პლაჟზე კი ეს პრობლემები არ შეიქმნება“, — განაცხადა ქალაქის მერის მოადგილე ხანუმ ალიევამ. ორიგინალური პლაჟით მეზობელი მუსლიმანური რესპუბლიკების მოქალაქეებიც დაინტერესდნენ. ■

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

ᲓᲐ ᲕᲘᲜᲩᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲧᲘᲜᲣᲚᲝᲕᲐᲜ ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲖᲔ

ირლანდიელმა მხატვარმა ჯონ კვიგლიმ ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში ლეონარდო და ვინჩის სურათის ასლი გამოსახა. და ვინჩის კანონიკური პროპორციების ამსახველი ცნობილი გამოსახულება მხატვარმა გრელანდიასა და შპიცბერგენს შორის მოქცეულ ყინულის გიგანტურ ფილაზე გადაიტანა. ნამუშევარი ლითონის ფირფიტებით არის შესრულებული. მხატვარმა ეს მასშტაბური აქცია გლობალური დათბობის პრობლემას მიუძღვნა — და ვინჩის მამაკაცს ცალი მხარე ნაწილობრივ გამქრალი აქვს, ის თითქოს წყალმა დაფარა. ამით მხატვარმა ყინულოვანი საფრის გაქრობის საფრთხეს გაუსვა ხაზი. „გლობალური დათბობის გამო წყალი ჩვენს ცივილიზაციას შთანთქავს“, — აცხადებს კვიგლი და არგუმენტად აშშ-ის ყინულოვანი საფრის სადამკვირვებლო ცენტრის მონაცემები მოჰყავს. მეცნიერების აზრით, პოლარული ყინულების ფართობი ბოლო ერთი თვის განმავლობაში კატასტროფულად შემცირდა. უახლოესი ათწლეულების განმავლობაში ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში ზაფხულობით ყველა აისბერგი გადნება, რაც პლანეტაზე კლიმატურ კატაკლიზმებს გამოიწვევს. ■

მფრინავი ზურგჩანთა

ახალზელანდიური კომპანია Martin Aircraft 2012 წელს ინდივიდუალური საფრენი აპარატის Martin Jetpack-ის გაყიდვას დაიწყებს. „მფრინავი ზურგჩანთა“ მყიდველს 100.000 დოლარი დაუჯდება. საფრენი აპარატი, რომელიც ახალზელანდიური კომპანიის დამფუძნებელმა გლენ მარტინმა შექმნა, პირველად 2008 წელს წარადგინეს. იმისთვის, რომ Martin Jetpack სამოქალაქო ავიაციაში არ აეკრძალათ, მისი ფრენის სიჩქარე 100 კმ/სთ-ით განისაზღვრა. აპარატის ფრენის მაქსიმალური ხანგრძლივობა 30 წუთია და ადამიანი 2,5 კმ სიმაღლეზე აჰყავს. კომპანიის წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ აპარატის შეძენით არა მხოლოდ კერძო პირები, არამედ სამაშველო სამსახურები და სამხედროებიც დაინტერესდებიან. ■

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲝᲠᲡᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ

აშშ-ში, ტექსასის შტატში ორსულების კონკურსი ჩატარდა. მომავალმა დედებმა ყველას დაუმტკიცეს, რომ ფეხმძიმობის მეცხრე თვეზეც შეიძლება იყო აქტიური. ქალბატონები ერთმანეთს ბავშვის მოვლაში, ცეკვებსა და სხვადასხვა ტრიუკის გაკეთებაში შეეჯიბრნენ. გამარჯვებულმა ქალბატონმა 800-დოლარიანი ვაუჩერი, ციფრული კამერა და სტომატოლოგთან უფასო ვიზიტის უფლება მოიპოვა. „როცა ჩემს უფროსთან შევედი და ფეხმძიმეების კონკურსის ჩატარების იდეა შევთავაზე, კაბინეტიდან გამომაძევა. არადა, ნახეთ, რა სანახაობა გამოვიდა“, — ამბობს ღონისძიების ორგანიზატორი რადიოსადგურ BUZZ HOST-ის წამყვანი როდ რაიანი. ■

რუბრიკა მოამზადა
ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔ
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

უწყინარი „შატალოები“, აბირებული „ვარსკვლავი“ და გაკრიტიკებული პედაგოგი

„ახალი სასწავლო წლისთვის წინასწარ ვემზადებოდი...“

15 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ამ დღეს პირველი ზარი ასეულობით ბავშვისთვის დაირეკა და პირველკლასელების ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო... ამ დღეს ბევრი სულმოუთქმელად ელოდა, ბევრს კი ალბათ, დილით ადრე ადგომა დაეზარა. გიორგი გოგიჩაიშვილს, ინგა გრიგოლიას, ირაკლი მაისურაძეს, ნიკა არაბიძეს, ნუკი კოშკელიშვილს და სალომე ბაკურაძეს იმის გასარკვევად დავუკავშირდი, თუ როგორ ემზადებოდნენ პირველი სექტემბრისთვის...

თამუნა კვინიკაძე

აბირებული ნიკა არაბიძე

ნიკა:

— პირველ სექტემბერს პირველ კლასში რომ მიმიყვანეს, ბევრი ვიტირე.

— **რა გატირებდა?**

— ვითხოვდი, გოგოს გვერდით დამსვით-მეთქი.

— **გოგონებს მტირალა ბიჭები რომ არ მოსწონთ, არ იცოდი?**

— მაშინ არ ვიცოდი...

— **ტირილმა გაჭრა?**

— აბა, რა! როცა წამოვიზარდე, მერე აღარ ვტიროდი ხოლმე. ვიცოდი, გოგოს გვერდით დაჯდომა დასწრებაზე რომ იყო და ვაქტიურობდი. საერთოდ, ყოველი 1-ელი სექტემბრისთვის წინასწარ ვემზადებოდი, სკოლაში მიმიხაროდა.

— **დილით ადრე ადგომა არ გეზარებოდა?**

— მეზარებოდა, მაგრამ დედა მასწავლებელი მყავდა და ძილს ვინ მაცლიდა? მეუბნებოდა, — გაკვეთილზე დაგვიანება არ შეიძლებაო!

— **როგორი მოსწავლე იყავი?**

— ჩემზე ვერ იტყოდი, კარგი მოსწავლეაო. „კარგი“ უბრალო სიტყვაა, მე გადასარევი ვიყავი.

ვიცოდი, გოგოს გვერდით დაჯდომა დასწრებაზე რომ იყო და ვაქტიურობდი

— **„შატალოზე“ არ დადიოდი?**

— „შატალოზეც“ დავდიოდი და „შპარგალკებსაც“ ვიყენებდი. ისიც მახსოვს, უკვე მოზრდილი ბიჭი მასწავლებელმა საკლასო ოთახიდან როგორ გამაგდო.

— **რა დააშავე?**

— კლასელმა ნემსი მიჩხვლიტა. გამწარებული წამოვხტი და ვიყვირე. პედაგოგმა ჯერ მკითხა, — რა გაყვირებსო? მერე კი კლასი დამატოვებინა. ეს მასწავლებელი დედაჩემი, ელეონორა ხუციშვილი გახლდათ.

— **„შატალოებზე“ დავდიოდიო, — მითხარი, ამისთვის არ გსჯიდნენ?**

— გაკვეთილებიდან X-XI კლასში ყოფნისას უფრო ხშირად ვიპარებოდით, მეორე დღეს კი ცხადია, დირექტორი გვიბარებდა ხოლმე. ჰოდა, მახსოვს, მორცხვად თავდახრილი მის კაბინეტში შევდიოდი და საყვედურს ვისმენდი, შემდეგ კი იმის დასტურად, რომ სკოლიდან აღარ გავიპარებოდი, ხელწერილს მაწერინებდნენ.

— **კლასელებთან ისევ გაქვს ურთიერთობა?**

— ნახშირღელეს საშუალო სკოლა მაქვს დამთავრებული და კლასელებს მაშინ ვნახულობ, როცა თერჯოლაში ჩავდივარ.

ინგა გრიგოლიას ბედნიერი წლები

ინგა:

— 62-ე სკოლაში ვსწავლობდი. ექსპერიმენტული სკოლა იყო და 1-ელ კლასში გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიგვიღეს. ამ გამოცდაზე ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი მქონდა. მახსოვს, პირველად სკოლაში დედამ წამიყვანა, მე კი ძალიან ამაყად მივაბიჯებდი. პირველი სექტემბერი ძალიან მიყვარს და ვერ ვეგუები, სწავლა ამ დღეს რომ აღარ იწყება... სკოლაში საინტერესო და ბედნიერი წლები გავატარე. კარგი კლასელები მყავდა. VII კლასამდე გაკვეთილებს დედას ვაბარებდი. სასაცილოა, მაგრამ ფრანგულსაც იბარებდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ენა საერთოდ არ იცის.

— **„შატალოზე“ არ დადიოდი?**

— ჩემს კლასში დომინანტი გოგონები ვიყავით. უმეტესობა ძალიან კარგად ვსწავლობდით და ასეთ რაღაცებზე არც ვფიქრობდით. მხოლოდ ერთხელ დავგეგმეთ „შატალო“ და მაშინაც მასწავლებელმა გაიგო, მერე მშობლები დაიბარეს, ჩვენ კი ბევრი ვინერვიულეთ... „შპარგალკა“ არასდროს გამომიყენებია. დაწერილი ტექსტის სიტყვასიტყვით წაკითხვა დღემდე არ შემიძლია, თავში ყოველთვის ახალი აზრი მომდის და რაღაცას ვცვლი.

— **პედაგოგებთან პრობლემა არასდროს გქონია?**

„შპარგალკა“ არასდროს გამომიყენებია. დაწერილი ტექსტის სიტყვასიტყვით წაკითხვა დღემდე არ შემიძლია

— ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ მოხდა: სკოლაში გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“ გამოდიოდა. მასში ანონიმურად დაეწერე სტატია, რომელშიც ერთ-ერთი მასწავლებელი გავაკრიტიკე. მიხვდნენ, ეს ინგა გრიგოლიას დაწერილი იქნებაო. ეს იყო და ეს...

გიორგი გოგიჩაიშვილის დილა

გოგიჩა:

— ერთ დილას ადრე გამაღვიძეს და სკოლაში წამიყვანეს. მახსოვს, ძალიან არ მომეწონა.

— **სკოლაში სიარული გეზარებოდა?**

— თავიდან მეზარებოდა, მერე კი მივეჩვიე. უბრალოდ, დილით ადრე ადგომა არ მომწონდა, თორემ კლასელებთან ერთად კარგად ვერთობოდი. 11 წლის მანძილზე, ყოველდღე, დილაუთენია რომ უნდა ადგეს, ბავშვი ცოდვა არ არის?

— **მგონი, შენ სულ დილაუთენია დგები — დილის არაერთი გადაცემის წამყვანი იყავი.**

— სამსახურში ხელფასს მაძლევენ, სკოლაში კი არაფერს მიხდიდნენ.

— **როგორი მოსწავლე იყავი?**

— კარგი.

— **არ ცელქობდი?**

— „ზრდილობიანი ცელქი“ ვიყავი, ცუდს არაფერს ვაკეთებდი. ისე, ფიზკულტურაში ფრიადს მიწერდნენ ხოლმე.

— **მხოლოდ ფიზკულტურაში?**

— არა, სხვა საგნებშიც (*ილიმის*).

— **რას უსურვებ პირველკლასელებს?**

— ძალიან, ძალიან კარგად ისწავლონ. წარმატება ცოდნაშია.

ფრიადოსანი ირაკლი მაისურაძის უწყინარი „შატალოები“

ირაკლი:

— პირველ სექტემბრამდე რამდენიმე დღით ადრე, დილის 8 საათზე გამაღვიძეს და ჩემი პირველი მასწავლებლის გასაცნობად წამიყვანეს. შინ რომ დავბრუნდით, მკითხეს, — მოგეწონაო? — ძალიან-მეთქი, — კმაყოფილი და ბედნიერი ვიყავი. პირველ სექტემბერს მასწავლებელს — თაყვა ავალიანს მეორედ შევხვდი. ის ძალიან თბილი და კეთილი ადამიანია და ალბათ ამიტომაც, სიგიჟემდე მიყვარს. ჩემს ბავშვობაში 1-ელი სექტემბრის დადგომას ყველა სულმოუთქმელად ელოდა, რადგან ამ დღეს მონატრებულ კლასელებს ვხვდებოდით. რაც შეეხება დილით ადრე ადგომას, ეს ჩემთვის პრობლემა არ იყო.

— **როგორი მოსწავლე იყავი?**

— ძალიან კარგი და მოწესრიგებული. ფრიადოსანი გახლდით, მაგრამ „შატალოებზეც“ დავდიოდი.

— **ამის ინიციატორი თავადაც თუ ყოფილხარ?**

— როგორ არა! უწყინარი „შატალოები“ გვქონდა ანუ გაკვეთილებიდან კი ვიპარებოდით, მაგრამ არაფერს ვაშავებდით, დამრიგებელს ჩვენ გამო პრობლემა არასდროს შეჰქმნია.

— **აღნიშნე, — ფრიადოსანი ვიყავიო. ორიანი არასდროს მიგიღია?**

— არა, ასეთი რამ არ მომხდარა.

— **„შპარგალკებიც“ არ გამოგიყენებია?**

— არ მეგულება მოსწავლე, რომელსაც „შპარგალკა“ ერთხელ მაინც არ გამოეყენებინოს.

— **რას უსურვებ პირველკლასელებს?**

— სკოლა ისე შეჰყვარებოდეთ, როგორც მე მიყვარდა. ჩემი შვილი წელს პირველ კლასში მივიდა და მასაც იმავეს ვეუბნები.

ფრანჭია ნუკი ჯოშუელიშვილი

ნუკი:

— ამ დღისთვის ჩემთვის ყოველთვის ახალ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ჩანთას ყიდულობდნენ, რაც ბუნებრივია, ძალიან მახარებდა.

— **პირველ დღეს სკოლაში დედამ წაგიყვანა?**

— დიახ, დიდი გოგო ვიყავი, როცა დედა სკოლაში ისე, ყოველი შემთხვევისთვის დამყვებოდა ხოლმე, მაგრამ ამას არ ვაპროტესტებდი. ყოველი დილის გათენებას სიხარულით ვეგებებოდი, გამოვიჰრანჭებოდი და სკოლაში მივდიოდი.

„გაქუჩქუჩებული“ სალომე ბაჯურაძე

სალომე:

— როგორც ყველა ბავშვი, ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის მეც ჩემებურად ვემზადებოდი. მაშინ თმაზე თეთრი ბაფთის გაკეთება აუცილებელი იყო. მართალია, ჩემს თავზე ბაფთისთვის ადგილის მოძებნა ცოტა რთული იყო, მაგრამ დედა ამას მაინც ახერხებდა. ჰოდა, პირველ სექტემბერს ასე „გაქუჩქუჩებული“ მივყავდი ხოლმე.

— **ასეთ ფორმაში გადაღებული ფოტოც გექნება.**

— მქონდა, მაგრამ ფოტოების ნაწილი დამეკარგა. საერთოდ, ძველი ფოტოების დათვალიერება ძალიან მიყვარს.

— **ის დღე გაიხსენე, როცა სკოლაში პირველად წაგიყვანეს...**

— მაშინდელი განცდები ნაკლებად მახსოვს, მაგრამ არ მავიწყდება, სკოლის ეზოში პირველკლასელები ერთად რომ დაგვაყენეს და ერთმანეთი გაგვაცნეს... ყოველთვის წინა მერხზე ვიჯექი. არაჩვეულებრივი პირველი მასწავლებელი მყავდა — მაია ომიაძე, რომელთანაც დღემდე ვურთიერთობ. ანბანი და შესაბამისად, წერა-კითხვა რომ ვისწავლეთ, პედაგოგმა თურმე თემის — „ვინ მიყვარს ყველაზე მეტად“ — დაწერა დაგვავალა

ჩემს თავზე ბაფთისთვის ადგილის მოძებნა ცოტა რთული იყო, მაგრამ დედა ამას მაინც ახერხებდა

და ჩვენი ნაწერები 11 წლის შემდეგ, „ბოლო ზარზე“ ჩამოგვირიგა.

— **რა გეწერა?**

— მეწერა, რომ ყველაზე მეტად მასწავლებელი მიყვარს და როცა გავიზრდები, ექიმი ან პედაგოგი გამოვალ-მეთქი. ცნობისათვის, სკოლაში ფრიადოსანი ვიყავი.

— **რას უსურვებ პირველკლასელებს?**

— კარგად ისწავლონ, მერე კი დაგროვილი ცოდნა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენონ. ■

ექსკლუზიური ინტერვიუ გიორგი დემეტრაძესთან

„ყველაზე დიდი მხარდაჭერა ჯახი ჯალაძისგან მაქვს"

ცნობილი ფეხბურთელი გიორგი დემეტრაძე ციხეში არსებული გაუსაძლისი პირობების გამო დეპრესიაში იყო და თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობდა. ეს ფაქტი ადვოკატმა მარიკა ფხალაძემ გაახმაურა და შესაბამის სამსახურებს პატიმრისთვის მინიჭებული უფლების აღდგენა მოსთხოვა.

3 კვირაზე მეტხანს დემეტრაძეს რუსთავის მე-6 დაწესებულებაში კუთვნილი ბარათის გამოყენების საშუალება არ მისცეს, არადა, ბარათი მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. ამით ციხის მაღაზიაში აუცილებელი პირადი ნივთები უნდა შეეძინა.

თეა ხურცილავა

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ფეხბურთელი ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით გაასამართლეს და 6 წელი მიუსაჯეს. მართალია, გიორგი დემეტრაძე ბრალს კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ მისი პოზიცია არც თბილისის საapელაციო სასამართლომ გაიზიარა და საქალაქო სასამართლოს განაჩენი ძალაში დარჩა. ამჟამად საქმე უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული. თუ საქართველოში მიზანს ვერ მიაღწევს, გიორგი ჩივილს სტრასბურგში აპირებს.

ადვოკატმა მარიკა ფხალაძემ პროცესის დასრულების შემდეგ გვითხრა, — გიორგი სიმართლის დასამტკიცებლად ბრძოლას აგრძელებს, მაგრამ ახლა ერთი სული აქვს, დროზე მოშორდეს გლდანის ციხის უმძიმეს პირობებს და რუსთავის დაწესებულებაში გადავიდესო. როგორც იცით, მიუსჯელი პატიმრები განაჩენის გამოტანამდე გლდანის მე-8 დაწესებულებაში იხდიან სასჯელს, შემდეგ კი ისინი სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში გადაჰყავთ. ალბათ მაშინ გიორგი დემეტრაძე ვერც კი წარმოიდგენდა, რომ გლდანის ციხეზე უარეს პირობებში შეიძლება აღმოჩენილიყო.

მარიკა ფხალაძე, *ადვოკატი.*

— გიორგი რუსთავის მე-6 დაწესებულებაში რომ გადაიყვანეს, მივაკითხე და გაოგნებული დავრჩი — სრულიად გაუწონასწორებელი და სასოწარკვეთილი დამხვდა. საკვებსაც ვერ იღებდა, რადგან ტუალეტის ქაღალდიც არ ჰქონდა საკანში. ანალოგიურ სიტუაციაში იყო მასთან ერთად მყოფი ორი პატიმარი. გიორგი უკვე აღარ უყურებდა იმას, რომ უკანონო პატიმარია, არ ითხოვდა შველას ამ კუთხით. სასოწარკვეთილი მხოლოდ ერთს ამბობდა, — არაფერი მინდა, მხოლოდ ბარათით სარგებლობის უფლება მომცენო. ჩემს არც ერთ პატიმარს მსგავსი პრობლემით არ მოუმართავს. მით უმეტეს, დემეტრაძესთან ერთად, იმავე დღეს რუსთავის ციხეში მეორე მსჯავრდადებული, დავით გაგნიძეც გადაიყვანეს. მას ანალოგიური პრობლემა არ შეჰქმნია. ბარათით სარგებლობის უფლება დავით გაგნიძეს მხოლოდ სამი დღის განმავლობაში შეუზღუდეს. ეს თითქმის ყველა პატიმრის შემთხვევაში ასეა. როცა პატიმარი გადაჰყავთ, სამი დღე საკარანტინო რეჟიმშია და იმ პერიოდში ბარათით ვერ სარგებლობს. ასეა გლდანის ციხეშიც — საკანში გადაყვანის შემდეგ აძლევენ ბარათის გამოყენების უფლებას. გიორგი კი სამი კვირა უმძიმეს მდგომარეობაში ამყოფეს. მითხრა, ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება თავი ჩამოვიხრჩოო. მეშინოდა, თვითმკვლელობა არ ჩაედინა. პატიმრებს სუნსა და აუტანელ სიბინძურეში უწევდათ ყოფნა, რაც წამების ტოლფასია. ფაქტობრივად, მშიერი იყო. მხოლოდ ოთხშაბათსა და პარასკევს ჭამდა ლობიოს, რადგან სხვა დღეებში საზიზღარი საჭმელი შეჰქონდათ, რომელსაც ცხოველიც ვერ შეჭამდა. გიორგის მხოლოდ ერთხელ უჭამია, მაგრამ მაშინაც ცუდად გამხდარა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ვთხოვდი პრობლემის მოგვარებას, მაგრამ უშედეგოდ. დახმარებისთვის სახალხო დამცველსაც მივმართე და ეს ამბავი საინფორმაციო საშუალებებით გავახმაურეთ. ამის შემდეგ ბარათით სარგებლობის უფლება მისცეს. წარმოიდგინეთ, სამი კვირა დაბანის საშუალებაც არ მისცეს, ჯაგრისიც კი არ ჰქონდა, კბილები რომ გამოეხეხა და საპარსი — წვერი რომ გაეპარსა.

ამჟამად სიტუაცია დარეგულირდა და გიორგის განწყობილებაც გამოუკეთდა.

როცა გიორგი დემეტრაძის პრობლემებზე შევიტყვეთ, დეტალების გარკვევა მასთან ვცადეთ და ციხეში კითხვები შევუგზავნეთ.

გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ფეხბურთელ ***გიორგი დემეტრაძესთან:***

— გიორგი, რუსთავის მე-6 დაწესებულებაში როდის გადაგიყვანეს და რა ვითარება დაგხვდათ?

— რუსთავის საპყრობილეში 7 აგვისტოს გადამიყვანეს. საკანში, სადაც შემიყვანეს, რადიოც კი არ იყო, რომ გადაცემებისთვის მოგვესმინა. არადა, გლდანის მე-8 დაწესებულებაში ამის საშუალება გვქონდა. საკანში სამი პატიმარი ვართ და არც ერთს ბარათით სარგებლობის უფლება არ მოგვცეს.

— თქვენი ადვოკატისგან შევიტყვეთ, რომ ბარათს ვერ იყენებდით. ამის მიზეზი თუ განგიმარტეს და საერთოდ, როგორ პირობებში ხართ?

— მიზეზი არავის განუმარტავს. თანამშრომლებს როცა ვეკითხებოდი, ჩემი საკნიდან ბარათი რატომ არ მიჰქონდათ, პასუხი ერთადერთი ჰქონდათ — გავარკვევთ და გეტყვითო. მთელი სამი კვირის განმავლობაში ეს სიტყვები გაუთავებლად მესმოდა. სხვა მიზეზი არავის უთქვამს — რას არკვევდნენ, მართლა არ ვიცი.

— ადვოკატ მარიკა ფხალაძისგან ვიცით, რომ ერთი სული გქონდათ გლდანის ციხე დაგეტოვებინათ და რუსთავში გადასულიყავით. ალბათ გეგონათ, რომ იქ უკეთესი პირობები დაგხვდებოდათ. გთხოვთ, ამ ორ დაწესებულებაში არსებული ვითარება ერთმანეთს შეადაროთ.

— ახლა, როცა თქვენ მიერ დასმულ კითხვებს პასუხს ვცემ, გეტყვით, რომ ორივეგან თანაბარი სიტუაციაა, მაგრამ ასეთ პასუხს ამ დღეების განმავლობაში ვერ გაგცემდით. ასეთ შედარებას გავაკეთებდი: ადამიანი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროდან საერთო საცხოვრებელში რომ გადაიყვანო, ისეთი განსხვავება დამხვდა.

— ამბობენ, რომ წვერგაუპარსავი დადიხართ. ამით პროტესტს გამოხატავთ თუ სათანადო პირობები არ გაქვთ?

— წვერი რით უნდა გამეპარსა, როცა საპარსი არ მქონდა. თორემ წვერის ტარების სურვილი ნამდვილად არ მაქვს.

— ადმინისტრაციასთან კონფლიქტი ხომ არ მოგსვლიათ და ამიტომ ხომ არ დაგსაჯეს? მით უფრო, ყველას გვახსოვს, უმნიშვნელო ინციდენტის გამო ბადრაგებმა საქალაქო სასამართლოში ყინვასა და სიცივეში ცალკე რომ გამოგკეტეს.

— რუსთავში ადმინისტრაციასთან, ციხის თანამშრომელთან, თანამესაკნესთან და საერთოდ არავისთან კონფლიქტი არ მომსვლია.

— გავრცელებული ინფორმაციით, გაუსაძლისმა პირობებმა თვითმკვლელობაც გაფიქრებინათ. ეს მართალია? ამჟამად თქვენი ფსიქოლოგიური მდგომარეობა როგორია?

— უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან ცუდად ვიყავი. ჰიგიენის საშუალებების არარსებობამ მართლა მიმიყვანა უმძიმეს მდგომარეობამდე. საშინელ დეპრესიაში ჩავვარდი, მაგრამ ახლა, როცა თქვენს კითხვებს ვპასუხობ, ნორმალურად ვარ. ბარათით სარგებლობის უფლება მომეცა და ამით ყველანაირი პრობლემა მომეხსნა. ყველა საჭირო ნივთი ვიყიდე და გამოვედი მდგომარეობიდან. ახლა ვარჯიშის საშუალებაც მაქვს. სამი კვირის მანძილზე დღეს პირველად გამასეირნეს. აქამდე ეს უფლებაც შეზღუდული მქონდა.

— გლდანში სისტემატურად ვარჯიშობდით. იქნებ აღგვიწეროთ, მანდ როგორია თქვენი ერთი დღე?

— რუსთავის დაწესებულებაში საშინელი და ერთფეროვანი სამი კვირა გავატარე. ვდგებოდი და ისევ ეწვებოდი, სხვას ვერაფერს ვაკეთებდი. ციხის საჭმელს ვერ ვჭამდი, ვარჯიშით ვერ ვვარჯიშობდი და გასეირნებით არავინ მასეირნებდა. პრესის წაკითხვის თავი არ მქონდა და რადიო აქ არ იყო. ახლა, როცა უფლებები აღვიდგინე, საკანში მყოფი სამივე ბიჭი დილით ერთად ვდგებით. დღეს ლოცვით ვიწყებთ, მერე ვვარჯიშობთ, ვსაუზმობთ, ერთი საათით სასეირნოდ გავყავართ, შემდეგ ჭამა გვიწევს. წიგნებს ვკითხულობთ, ვეცნობით პრესას, ვსაუბრობთ, საღამოს ვვარჯიშობთ და ლოცვის შემდეგ ისევ ვიძინებთ. აი, ასე გადის დრო. სამივე ერთსა და იმავე რეჟიმში ვცხოვრობთ.

— ოჯახის წევრებთან შეხვედრის საშუალება მოგეცათ. როგორი იყო ეს შეხვედრა?

— ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შევხვდი ოჯახის წევრებს. 4 სექტემბერს ჩემი და და მამაჩემი ვნახე. წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა ჩვენი შეხვედრა, როცა საყვარელ ადამიანთან მიახლოების საშუალება არ გაქვს. ისინი შუშის იქით იყვნენ და მეორე მხარეს მე ვიყავი. ამ სიტუაციაში არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა. ასეთ დროს თითოეული სიტყვა, ფრაზა უნდა აკონტროლო.

— თბილისის სააპელაციო სასამართლომ განაჩენი უცვლელი დატოვა. როგორ შეაფასებთ ამ გადაწყვეტილებას და ბრძოლის სტრასბურგში გაგარძელებას თუ აპირებთ?

სტრასბურგამდე აუცილებლად მივალ და ჩემს უდანაშაულობას დავამტკიცებ

— სტრასბურგამდე აუცილებლად მივალ და ჩემს უდანაშაულობას დავამტკიცებ. რაც შეეხება განაჩენს, სრულიად უკანონოდ მიმაჩნია, მაგრამ არც სააპელაციო სასამართლოსგან ველოდი სხვაგვარ შედეგს. ბუნებრივია, არც იმის ილუზია მაქვს, რომ უზენაეს სასამართლოში სიმართლეს დავამტკიცებ და საქმეს მოვიგებ. ეს ეტაპები უნდა გავიარო, რომ სიმართლეს სტრასბურგში მივაღწიო.

— ნათქვამია, ნამდვილი მეგობარი გასაჭირში იცნობაო, თქვენი მეგობრების რიცხვი ხომ არ შემცირდა? ყველაზე დიდი მხარდაჭერა ვისგან იგრძენთ?

— ძალიან ბევრი მეგობრისგან ვიგრძენი მხარდაჭერა. ისინი საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი სახეები არიან. რაც შეეხება ცნობილებს, ყველაზე დიდი მხარდაჭერა კახი კალაძისგან მაქვს. მიმაჩნია, რომ ჩემს ბევრ მეგობარს ბევრად უფრო აქტიურად შეეძლო ჩემთვის მხარი დაეჭირა, მაგრამ ხომ იცით საქართველოში შექმნილი სიტუაცია როგორია? აქედან გამომდინარე, შემიძლია მათ გავუგო. ვიცი, რატომაც არ გააკეთეს ეს.

— მომხდარის შესაფასებლად დიდი დრო გქონდათ — თავს უდანაშაულოდ მიიჩნევთ. როგორ ფიქრობთ, ვის და რატომ დასჭირდა თქვენი იზოლაცია?

— შეიძლება ბევრი ეჭვი და ვარაუდი მქონდეს, მაგრამ ეჭვებში დარწმუნებული თუ არ ხარ, ისე ცილს ვერავის დასწამებ. დარწმუნებული ვარ, უფალი ყველას თავისას მიუზღავს.

— ამბობენ, რომ რუსთავის დაწესებულებაში ძალიან ცუდი კვებაა და პატიმრები ნორმალურად მხოლოდ ოთხშაბათს და პარასკევს იკვებებიან, როცა იქ სამარხვო საკვები საპატრიარქოს შეაქვს. გვიამბეთ, რას მიირთმევთ?

— რაც შეეხება კვებას, ამ დღეების მანძილზე მხოლოდ ხილითა და წვენებით გამქონდა თავი, იმით, რისი შემოგზავნის უფლებასაც ჩემს ოჯახს აძლევდნენ. ბარათით სარგებლობის უფლების აღდგენის შემდეგ მაღაზიაში ნაყიდი საკვებით ვიკვებები. აქაურ საჭმელს არ ვჭამ, ერთხელ შევჭამე და ძალიან ცუდად გავხდი.

— თავისუფლებას გისურვებთ.

■

„წიგნი რუსთაველზე“ ღირსეული კაცის ღირსეული წიგნი

„რუსთაველის პროსპექტი ჩემი ქალაქის მთავარი ქუჩა იყო...

თამუნა კვინიკაძე

„მთავარი ქუჩა იყო ჩემი ცხოვრებისაც... ქუჩა-სცენა, სადაც თამაშდებოდა ცხოვრება, ჩემთვის ნაცნობი და უცნობი, ტრაგიკული და კომიკური ნიღბების მონაწილეობით. ყველაფერი იქ, იმ სცენაზე იყო თავმოყრილი — მთავრობაც და მხედრობაც, მეფისნაცვლის სასახლეც, ბაღებიც, საღოცავებიც, თეატრიც... წლებთან ერთად იცვლებოდა დეკორაცია და მოქმედი პირები, მეც დეკორაციის ერთი ნაწილიდან მეორეში ვინაცვლებდი“, — ვკითხულობთ გოგი ხარაბაძის ავტობიოგრაფიულ წიგნში „სახლი რუსთაველზე“, რომლის პრეზენტაცია 8 სექტემბერს, ვაჟა-ფშაველას №47-ში მდებარე წიგნების მაღაზია „ბიბლუსის“ ახალგახსნილ ფილიალში გაიმართა. აღსანიშნავია, რომ წიგნს თან ერთვის აუდიოდისკი, რომელზეც გოგი ხარაბაძემ შესანიშნავი პოეტების ლექსები ჩაწერა...



წიგნს დისკი იმიტომ დაურთეს, რომ პოეზია აკლდაო. მგონი, ამ წიგნში პოეზია საკმარისად არის

გოგი ხარაბაძე:

— სადღაც ამოვიკითხე, წიგნს დისკი იმიტომ დაურთეს, რომ პოეზია აკლდაო. მგონი, ამ წიგნში პოეზია საკმარისად არის. უბრალოდ, ეს პოზიცია რომ გამემყარებინა და თქვენი ინტერესიც გამომეწვია, გალაკტიონი, ილია ჭავჭავაძე, ირაკლი აბაშიძე, ოთარ ჭილაძე, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, ტიციანი მოვიშველიე. მინდა სახლში გქონდეთ წიგნი არა მხოლოდ ჩემი გამოსახულებით...

პრეზენტაციას ესწრებოდა კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი, რომელმაც დისკი მუსიკალურად გაფორმა.

ნოდარ მამისაშვილი:

— მუშაობის პროცესი ძალიან საინტერესო და სასიამოვნო იყო. გოგის წაკითხული ლექსი უკვე მუსიკაა. ლექსის რიტმში ვწერდი ნოტებს. მისი ინტონაცია ის ჰარმონია იყო, რომელშიც მუსიკა იბადებოდა. ამ ლექსში ჩადებული მუსიკა — ეს არის მტკვრის ხმა, წვიმის წვეთების ხმა...

გოგი ხარაბაძე:

— მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კომპოზიტორ ნოდარ მამისაშვილს. როცა „ბიბლია“ ჩავწერე (ეს პროცესი 3 წელს გაგრძელდა) და მისი მუსიკალურად გაფორმების საკითხი დადგა, იმწუთასვე გავიფიქრე, რომ ეს საქმე ნოდარს უნდა გაეკეთებინა, მაგრამ საკუთარი თავი მაინც გადავამოწმე და ბიძინა კვერნაძეს დავურეკე. პაუზა არ გაუკეთებია: — რას მეკითხები, ნოდარ მამისაშვილი აქ არ არისო?!. მუშაობის პროცესში მინდოდა მეთქვა, რომ მუსიკა ტექსტზე არ დაედო, მაგრამ მერიდებოდა, — დიდი ხელოვანია, დიდი მაესტროა, მეცნიერია და როგორ შევბედო-მეთქი? თავად დამასწრო და მითხრა: ტექსტზე მუსიკას ვერ დავადებო. ამოვისუნთქე... იმედია, მოისმენთ და ნახავთ, რომ მუსიკა ბგერებს შუაა ჩასკვნილი, ჩაკონილი. მერწმუნეთ, მსგავსი რამ არასდროს მომისმენია. მგონი, ეს რაღაც ახალი ჟანრია.

მინდა მადლობა გადავუხადო თამარ ცაგარეიშვილს, რომელიც ამ წიგნის რედაქტორი გახლავთ. მას რამდენიმე დღის წინ დავურეკე და ვკითხე, — პრეზენტაცია რომელ საათზეა-მეთქი? არ ვიცი, ამ საქმეში ჩართული არ ვარო, — მიპასუხა. ამ წიგნზე შენი სახელი ორჯერ წერია — ერთხელ, როგორც მთავარი რედაქტორის, მეორედ, როგორც პროდიუსერის, ჩემი კი — მხოლოდ ერთხელ და როგორ არ იცი-მეთქი?!. მადლობა მერაბ სანოძეს, დისკი მის სტუდიაში ჩავწერეთ. მგონი, თავად არც იცის, რა დიდ საქმეს აკეთებს. მერაბ სანოძე „ბიბლიის“, „ვეფხისტყაოსნის“, ილიას, ვაჟას, გალაკტიონის და ა.შ. აუდიოდისკების გამომცემელი ერთადერთი კაცია საქართველოში. მინდა მაღალმხატვრული და ლამაზი გაფორმებისთვის მადლობა გადავუხადო მხატვარ კოტე ჯაფარიძეს...

გოგი ქავთარაძე, *მსახიობი, რეჟისორი:*

— ეს წიგნი პატარა მატიანეა, ავტორის პატარა მიკროსამყაროა. რაც წავიკითხე, სიმართლეა. მე გოგის ახლო მეგობარი ვარ, ბავშვობიდან ერთად გავიზარდეთ და როცა ამ წიგნს ვკითხულობდი, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ჩემი სათქმელიც თქვა. იმდენად კარგადაა დაწერილი, თითქოს ხმაც გესმის... გოგის მშობლებს ძალიან კარგად ვიცნობდი და სხვა ბევრ ადამიანთან ერთად, ჩემ თვალწინ ისინიც გაცოცხლდნენ.

— წიგნს დისკიც ერთვის, გოგი ხარაბაძის ხმა კი ყოველთვის დიდ ემოციას აღძრავს.

— უდავოდ ასეა. ახლახან რუსეთში ვიყავი და გოგის ჩაწერილი რამდენიმე დისკი წავიღე, იქაურ ქართველებს ჩავუტანე. უსმენდნენ და ტიროდნენ. მითხრეს, — ეს ჩვენთვის დიდი საჩუქარიაო.

თამაზ წივწივაძე, *კრიტიკოსი:*

— მე გოგის მკითხველი ვარ. „სახლი რუსთაველზე“ არაჩვეულებრივი წიგნია. ეს არის ბიოგრაფიული ჩანახატები — ანუ ის, რაც თავს გადახდა, ლიტერატურად აქცია. მერე როგორ კითხულობს! თქვენც და ქართველ მკითხველსაც ვულოცავ ამ შესანიშნავი წიგნის გამოცემას. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ „სახლი რუსთაველზე“ ღირსეული კაცის ღირსეული წიგნია.

— თქვენ მრავალწლიანი მეგობრობა გაკავშირებთ. ალბათ ზოგიერთი იმ ამბის თანამონაწილე ან მომსწრე ხართ, რომლებიც წიგნშია აქვს მოთხრობილი...

— დიახ, ეს ამბები მეც ვიცოდი, მაგრამ დაწერა დამასწრო (*იცინის*). მან კლასიკოსებისა და სახარების

გამოცემით უდიდესი საქმე გააკეთა. პატრიარქმა ბრძანა: გოგი ხარაბაძემ ქართველები ხელახლა მოაქციაო. მჯერა, მკითხველს და მსმენელს მომავალში კიდევ ბევრჯერ გააოცებს და დიდ სიამოვნებას მიანიჭებს.

ზაზა აბაშიძე, *ისტორიკოსი:*

— წიგნის ბოლომდე წაკითხვა ვერ მოვასწარი, მაგრამ რაც წავიკითხე, იქაც იგრძნობა, რომ დიდი სიყვარულითაა დაწერილი. ეს განვლილი ცხოვრების მოგონებაა. ერთგან წერს: ახლა აღარ მიმიწევს გული რუსთაველისკენო. მესმის მისი. ზურა ანჯაფარიძეზე, დათიკო გამრეკელზე, მურმან ლებანიძეზე, ეროსი მანჯგალაძეზე, ბადრი კობახიძეზე და ბევრ ისეთ ადამიანზე მოგვითხრობს, რომლებიც ამ ქალაქის კოლორიტები იყვნენ. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისისადმი მიძღვნილმა ლექსებმა. ეს უნდა მოისმინო, ამის გადმოცემა და მოყოლა რთულია.

დაბოლოს, ამონარიდი წიგნიდან — „სახლი რუსთაველზე“:

„ერთ მშვენიერ 1-ელ სექტემბერს სკოლაში წამიყვანეს. ის დღეც კარგად მახსოვს და პირველი გზაც — სკოლისკენ. დედაჩემს ცალ ხელში „დედაენიანი“ ჩანთა ეჭირა, მეორეში — ჩემი ხელი და რუსთაველზე მივყავდი, ჩვეულებრივზე საქმიანი ნაბიჯით.

„ნიკოლოზ ბარათაშვილმა ამ კიბეზე მოიტეხა ფეხი და მერე მთელი სიცოცხლე კოჭლობდა“, — თითქოს მაფრთხილებდა დედაჩემი კიბეზე ასვლისას...

...სკოლის პერიოდის ერთი ძლიერი შთაბეჭდილება — დაწყებითი კლასის მოსწავლე ვარ. გაკვეთილები დაგვიმთავრდა, გარეთ დედა მელოდება, რაღაც უჩვეულო ხდება, ქუჩა სავსეა უცნაურად აფუთფუთებული ხალხით. დედაჩემიც აფორიაქებულია, ხელს მკიდებს და შინისკენ მექაჩება. ვგრძნობ, რაღაცას უნდა გამარიდოს, ვუძალიანდები, კისერი იქით მეღრიცება, მთავრობის სახლისკენ, სადაც ხალხია შეკრებილი. ხელიდან ვუსხლტები და მათკენ გავრბივარ. ეს ის დროა, როცა მთავრობის სახლის, დღევანდელი პარლამენტის შენობის მშენებლობაა გაჩაღებული. პირველი, რაც თვალში მხვდება, მორღვეული ღობეა. ხალხი ჩემკენ ზურგით დგას, წვალებით მივიკვლევ გზას მათ შორის. უცნაური სანახაობა იშლება ჩემ თვალწინ. ზუსტად იმ ადგილას, სადაც წლების შემდეგ, 9 აპრილს საბჭოთა ჯარი სისხლიან კალოს მოაწყობს — უზარმაზარი ორმოა გათხრილი. ხალხი თხრილს ჩაჰყურებს, კაციშვილი ხმას არ იღებს. პირდაფჩენილი, მიწაში ძველი ხის მოგრძო ყუთებს ვხედავ... მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ვიგებ, როგორ ანგრევდნენ გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკები ეკლესია-მონასტრებს; როგორ დაუნგრევიათ ჩემი სკოლის გვერდით მდგარი ალექსანდრე ნეველის ტაძარი ე.წ. „სობორო“, რომლის ეზოშიც 1921 წელს კოჯორთან საქართველოს დამოუკიდელობისთვის მებრძოლი იუნკრები განისვენებდნენ. იმ გათხრილ ორმოებში, სწორედ იმ მებრძოლ იუნკერთა კუბოები მინახავს იმ დღეს, როცა წარსულზე ქვაფენილის დაგებას იწყებდა მაშინდელი მთავრობა“. ■

ქუთაისში „ბიბლუსის“ კიდევ ერთი მაღაზია გაიხსნა

რეზო ჭეიშვილის ახალი წიგნის პრეზენტაცია

ქუთაისში „ბიბლუსის“ რიგით მესამე მაღაზია ჭავჭავაძის გამზირზე გაიხსნა. არ გავაზვიადებ, თუ ვიტყვი, რომ მაღაზიის წინ გაჭიმული ცისფერი ლენტის გაჭრისთანავე, „ბიბლუსში“ შესვლა ასობით ადამიანმა მოინდომა, რის გამოც ზოგს სამუშაო ადგილის მიტოვება მოუხდა, ზოგმა კი თავისი სოფლისკენ თუ ქალაქისკენ მიმავალ ავტობუსზე დაიგვიანა.

ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ახალი წიგნის პრეზენტაცია ამ მაღაზიის გახსნას დაემთხვა

ინგა ჯაყელი

ცისფერი ლენტის გაჭრის პატივი იმერეთის გუბერნატორს, ***ლაშა მაძაცარიას*** *ხვდა წილად:*

— მინდა, ქუთაისელებს ახალი მაღაზიის გახსნა მივულოცო, ხოლო „ბიბლუსსა“ და „კვირის პალიტრის“ მედიასახლს ამ ეროვნულ საქმეში ახალი მწვერვალების დაპყრობა ვუსურვო. ქუთაისში კარგად იციან წიგნის ფასი და იმედია, ჩვენი ქალაქის მკვიდრნი ამ ახალი მაღაზიის ხშირი სტუმრები იქნებიან.

ბუნებრივია, ყურადღება ძირითადად, ბატონი რეზო ჭეიშვილისა და მისი ახალი წიგნისკენ — „ახალი კურუ“ — იყო მიმართული, რომელიც „პალიტრა-L“-ის საგამომცემლო სახლმა გამოსცა. როგორც ამიხსნეს — კურუ სიცილით ავადმყოფობას ნიშნავს...

რეზო ჭეიშვილი:

— ამ წიგნზე მე რა უნდა გითხრათ იმაზე მეტი, რაც წერისას ჩავდე შიგ და ახლა რიგი თქვენზეა, თქვენ უნდა მელაპარაკოთ მასზე, როცა წაიკითხავთ!.. ქუთაისში ყოველთვის იყო წიგნის მაღაზიები და ძალიან განვიცდიდი, რამდენიმე წლის წინ ისინი ვიღაცამ ქალაქისთვის ზედმეტად რომ ჩათვალა. ბედნიერი ვარ, რადგან ახლა ამ შეცდომის გამოსწორებაზე ზრუნავენ; მარტო „ბიბლუსმა“ ქალაქში უკვე მესამე მაღაზია გახსნა. აქ საოცარი სამყაროა და ვინც ერთხელ მაინც შემოვა, ხელცარიელი წასვლა გაუძნელდება. ბედნიერი

კოსმეტოლოგიური კაბინეტი

◆ ჭარბთმიანობის მკურნალობა

პირველადი კონსულტაცია უფასოდ!

ტელ: 235-33-47, 558 77-65-70

მარიამ ნინიძე

— „ახალ კურუს“ შეიძლება, თანამედროვე „სიბრძნე-სიცრუისა“ ეწოდოს. თავად ავტორმაც თქვა, რომ ამ წიგნის დაწერა სწორედ სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისამ“ და ივანე ბატონიშვილის „კალმასობამ“ შთააგონა. წიგნში არის ბევრი იუმორი, სილაღე. ვინც „ახალ კურუს“ წაიკითხავს, ეცოდინება, რაზე უნდა გაიცინოს და რაზე — გულით ირარხაროს. იუმორისტული წიგნი შეიძლება ბევრმა მწერალმა დაწეროს, მაგრამ „ახალი კურუ“ ენციკლოპედიური ნაშრომია და ის ადამიანს არა მარტო გააცინებს, არამედ ბევრ რამეზე დააფიქრებს კიდეც...

ნონა საღირაშვილი, *„ბიბლუსის“ წარმომადგენელი, მენეჯერი:*

— ქუთაისში წიგნებზე დიდი მოთხოვნილებაა. ერთგულ მომხმარებლებს დაგროვებით ბარათს გავუხსნით და ცხადია, გარკვეული ქულის დაგროვების შემდეგ ისინი საჩუქარს მიიღებენ... აღსანიშნავია, რომ „ბიბლუსში“ გაიყიდება სასკოლო სახელმძღვანელოები გამომცემლობების ფასად, ყოველგვარი დანამატის გარეშე. აქ მოსულ თითოეულ ადამიანს ვპირდებით, რომ მათ არაჩვეულებრივად მოემსახურებიან. რაც მთავარია, მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ რეზო ჭეიშვილს, რომელმაც თავისი წიგნის პრეზენტაცია ჩვენთან მოაწყო...

აქ საოცარი სამყაროა და ვინც ერთხელ მაინც შემოვა, ხელცარიელი წასვლა გაუძნელდება

ცირა ყურაშვილი, *მწერალი, საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელი:*

— კიდევ ერთი წიგნის მაღაზიის გახსნა სასიხარულო ამბავია. საინტერესოა, „ბიბლუსის“ მაღაზიებში ადგილობრივი მწერლების წიგნებს თუ მიიღებენ? რეგიონში მომუშავე მწერლებს ამ მხრივ პრობლემები ნამდვილად გვაქვს და მოხარული ვიქნები, თუ ჩვენ შორის თანამშრომლობა შედგება.

> არცთუ შორეულ წარსულში, ქუთაისს არც ერთი ასეთი მაღაზია არ ჰქონდა; წიგნის ნაცვლად, ყველგან ათასი უსარგებლო ნივთი იყიდებოდა

მერაბ გვაზავა, *ქუთაისის მე-15 საჯარო სკოლის დირექტორი:*

— ქალაქში რაც შეიძლება მეტი წიგნის მაღაზია უნდა იყოს. სამწუხაროდ, არცთუ შორეულ წარსულში, ქუთაისს არც ერთი ასეთი მაღაზია არ ჰქონდა; წიგნის ნაცვლად, ყველგან ათასი უსარგებლო ნივთი იყიდებოდა, არადა, მერწმუნეთ, ამ ქალაქში წიგნი ყოველთვის უყვარდათ და ახლაც უყვართ... ახლანდელ პოლიგრაფიას საბჭოთა დროინდელს ვერც შევადარებ — თვალები მიჭრელდება ხალასი ფერებით. კარგია ისიც, რომ სახელმძღვანელოები თავის ფასში გაიყიდება...

> ადრე წიგნის კითხვას კომპიუტერთან თამაში მერჩივნა, მაგრამ აქ ისეთი ლამაზი ნახატებია, თვალი ვერ მოვწყვიტე

დათო ლიკლიკაძე, *„ინტერ-პრესნიუსის“ ქუთაისელი კორესპონდენტი:*

— დღეს ქუთაისში დიდი ზეიმია. ქუთაისელები ძალიან განიცდიდნენ წიგნის მაღაზიების დახურვას, რადგან ისე გამოვიდა, თითქოს აქ წიგნი არავის სჭირდებოდა; არადა, ოჯახი არ მეგულება, სადაც „კვირის პალიტრის“ რომელიმე გამოცემა არ იდოს. „ბიბლუსში“ იმდენად საინტერესო და ლამაზად გაფორმებული წიგნები იყიდება, რომ ცდუნებას ვერც მე ვუძლებ და მიუხედავად იმისა, რომ სახლში ბევრი ძველი გამოცემა ტომებად მიწყვია, ახლებს მაინც ვყიდულობ...

მაღაზიაში სადად ჩაცმულ, შუახნის მამაკაცს მოვკარი თვალი, რომელიც წიგნებს გაბრწყინებული სახით არჩევდა.

შაქრო თაგუკაშვილი:

— აუფ, რას გავახარებ ბოვშვებს! სულ მეხვეწებოდნენ იმ ლამაზი წიგნების ყიდვას, ჟურნალ-გაზეთების სარეკლამო გვერდებზე რომ ნახულობენ. „კვირის პალიტრა“ და ჟურნალი „გზა“ ჩემი ოჯახის „საპატიო წევრებია“. მართალია, დაგვიანებით აღწევს ჩვენს სოფელში, მაგრამ მაინც ყველა ნომერს ვკითხულობთ. „ბიბლუსის“ მაღაზიები რომ იყო ქუთაისში, ვიცოდი, მაგრამ ვერ ვაგნებდი, არც მეცალა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გასასვლელად, აქ კი ხშირად შემოვივლი. გეიხარეთ ჩვენი გახარებისთვის... რომ მცოდნოდა, დღეს ამ მაღაზიას ვნახავდი, სხვა რამეზე დავზოგავდი ფულს, მარა შემოდგომაა, მოსავალია ასაღები... რავარც ფულს მევიგდებ ხელში, აქეთ გამევიქცევი. სად დავხარჯავ უკეთეს ადგილზე?!

„ბიბლუსის“ ახალ მაღაზიაში უამრავი ცნობილი სახე ტრიალებდა, მაგრამ ყველა დაჩრდილა პატარა ლამაზმა ბიჭმა, რომელიც აღტაცებული ყვიროდა:

— ეს წიგნი მიყიდე, რა, დე... ესეც... ესეც, გეხვეწები!

ეს ბიჭი 9 წლის ლუკა ასათიანი აღმოჩნდა, ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლის მოსწავლე:

— ძალიან მომწონს ეს წიგნები და მინდა, ყველა ვიყიდო. ადრე წიგნის კითხვას კომპიუტერთან თამაში მერჩივნა, მაგრამ აქ ისეთი ლამაზი ნახატებია, თვალი ვერ მოვწყვიტე; წიგნების თვალიერებისას კი სურვილი გამიჩნდა, გავიგო, რა წერია ამ ლამაზ ფურცლებზე. ახლა კომპიუტერს წიგნების კითხვა ნამდვილად მირჩევნია. ■

„გორდელას“ 50 წლის იუბილე ხობში და საინტერესო მოგონებები ანსამბლზე

ხობში ფესტივალი „სიმღერა საქართველოზე“ წელს უკვე მეხუთედ ტარდება და როგორც „გზის“ წინა ნომერში გაცნობეთ, არაერთი ღონისძიებაა დაგეგმილი. წლევანდელი ღონისძიების დაგვირგვინება ანსამბლ „გორდელას“ 50 წლის იუბილე იქნება. გამოიცემა გომარ სიხარულიძის წიგნი „გორდელა“ და 2 დისკი, რომლებზეც სულ 34 სიმღერაა ჩაწერილი.

თამუნა ჯვინიკაძე

გომარ სიხარულიძე:

— ხობში კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. დიდი საქმე კეთდება. ბედნიერებაა, რომ გვყავს ისეთი ადამიანი, როგორიც გოდერძი ბუკიაა. ქართული სიმღერა კვლავ უნდა აღორძინდეს. საქართველოს ყველა რეგიონს ამ მხრივ დიდი დახმარება ესაჭიროება.

— **ახალგაზრდა თაობის ინტერესი ხალხური სიმღერებისადმი თანდათან იზრდება. არ მეთანხმებით?**

— ახალგაზრდობის ფოლკლორისკენ მიბრუნება მართლაც შეინიშნება. მაგრამ ყველა ანსამბლი დედაქალაქშია თავმოყრილი, ქართლში (საქართველოს გულში) ქორწილში სიმღერას ვერ მოისმენ. ქართულ ქორწილში ერთი „მაყრული“ და „მრავალჟამიერი“ არ უნდა შესრულდეს? ქართლი — საქართველოს ნათლიაა. აქ უკვე შეინიშნება ფოლკლორისკენ შემობრუნება, ქართლური სიმღერა რომ არ აღორძინდეს არ შეიძლება. ქართლური სიმღერა ქართული სიმღერის საფუძველია და თავისი სტრუქტურით ყველა მხარეს ეხმიანება. ყველაზე ცუდი მდგომარეობა მაინც მესხეთშია. არადა, საქართველოში რენესანსი ყოველთვის მესხეთიდან იწყებოდა. მას გვერდით ედგა ქუთაისის დიდი კულტურა, ეს ქალაქი ოდითგანვე კულტურის ბუდე იყო. თუმცა ფოლკლორი აქაც მისახედია, კახეთში თითო-ოროლა ანსამბლს თუ ნახავთ.

— **შედარებით უკეთესი მდგომარეობა რომელ რეგიონშია?**

— სვანეთში. ტრადიციულად ასე მოდის. სვანეთში ბავშვი ცეკვა-სიმღერას 3-4 წლიდან იწყებს და ითავისებს.

— **გურიაში რა ხდება?**

— არც აქ არის სახარბიელო მდგომარეობა. უკეთესი ვითარება აჭარაშია.

— **„ვარინკობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ბრძანდებით, რომელიც ყოველწლიურად ზესტაფონის რაიონში იმართება.**

— დიახ. ამ ფესტივალმა ეს რეგიონი გამოაცოცხლა. ყველა კუთხეში ასე უნდა გაკეთდეს. ფოთში გვყავს შესანიშნავი ლოტბარი — იროდი ტიკარაძე. მან თქვა: თითქმის ყველა რაიონს ჰყავს კოლექტივი, რომელსაც შეუძლია, ამ ფესტივალში მონაწილეობა მიიღოსო. როგორ? ეს ასეთმა ფესტივალებმა განაპირობა. ფიქრობენ, ჩემი მეზობელი რაიონის გუნდი ჩემზე ძლიერი რატომ უნდა იყოსო? ინტერესი იზრდება.

— **და საბოლოო ჯამში მოგებული ქართული სიმღერა რჩება.**

— რა თქმა უნდა. წელს ხობის ფესტივალში მონაწილეობას რეგიონებიდან ჩამოსული ანსამბლები მიიღებენ. იყო ლაპარაკი, რომ მეგრული სიმღერა შეესრულებინათ, მაგრამ ჯობს, ყველამ თავი კუთხე წარმოაჩინოს. ერთმანეთს ნუ დავემსგავსებით. არ მესიამოვნა, ფოლკლორულ ანსამბლებს წითელი ჩოხები რომ შეუკერეს და ჩამოურიგეს. ასე არ შეიძლება. სვანების, გურულების, იმერლებისა და კახელების — ყველას ჩაცმულობაში სხვადასხვა ფერი დომინირებს. ჩოხას ერთი უცნაური თვისება აქვს. კერვის დროს 4-5-ჯერ მაინც უნდა მოისინჯო, თითოეული დეტალი მნიშვნელოვანია. ტანზე კარგად უნდა გქონდეს მომდგარი.

— **ხობის ფესტივალის ფარგლებში აღინიშნება ანსამბლ „გორდელას“ 50 წლის იუბილე. ნახევარი საუკუნით უკან გადავინაცვლოთ. მიამბეთ, „გორდელა“ როგორ შეიქმნა?**

— ხობში ჩატარებული წინა ფესტივალი ალექსანდრე ბასილაიას მიეძღვნა, წიგნიც გამოიცა, იმის წინა ფესტივალი — ზურაბ სოტკილავას. წლევანდელი კი „გორდელას“ 50 წლის იუბილეს ეძღვნება. XX საუკუნეში ამ ანსამბლმა დიდი საქმე გააკეთა. „გორდელა“ 1961 წელს დაარსდა. მანამდე იყო ერთი უსახელო ანსამბლი, რომელმაც „გორდელას“ ასპარეზი გაუხსნა. ჩვენ კონსერვატორიის სტუდენტები ვიყავით. შეკრებები 1961 წლიდან დავიწყეთ; აი ეს, პირველი თაობის ისტორიული ფოტოა. პირველი მე გახლავართ, შემდეგ — კუკური ჭოხონელიძე, აბიკო დანელიანი, აზზორ ერქომაიშვილი, ბადრი თოიძე, თამაზ პავლოვი, თემურ ქეჟიშვილი და თამაზ ანდღულაძე. სამმა მარადისობაში გადაინაცვლა, ხუთნი შემოვრჩით. რეპერტუარში უამრავი საგალობელი იყო და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ სამგალობლო სკოლა ავაღორძინეთ, რომელიც დაკარგული იყო. ახლაც დაკარგულია. დღეს თითო-ოროლა ანსამბლია, რომელიც გალობს კიდეც. საგალობლის შესრულება სასიმღერო ხმით არ შეიძლება. ამას თავისი მკაცრი კანონი აქვს.

— **მადლობა ინტერვიუსთვის, ერთმანეთს ხობში შევხვდებით. დაბოლოს გკითხავთ, ფესტივალზე „გორდელა“ რას შეგვისრულებს?**

— ჯერ არ ვიცი. როგორც აღვნიშნე, ხუთნი ვართ დარჩენილნი. სხვა ანსამბლები სიმღერას ჩვენ გვიძღვნიან. ამ თარიღისთვის გამოდის ჩემი წიგნი. მასში ბევრ საინტერესო მოგონებას მოვუყარე თავი. წიგნთან ერთად, გამოდის 2 დისკი, თითოეულზე 17 სიმღერაა ჩაწერილი. ეს სიმღერებიც დაახლოებით „გორდელას“ ასაკისაა. რეპერტუარში 50 ხალხური სიმღერა გვქონდა. ■

შეკრებები 1961 წლიდან დავიწყეთ;
აი ეს, პირველი თაობის ისტორიული ფოტოა

რა ხდება ანაკლიასა და განმუხურში

„წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგალევინებსოოო“... — კმაყოფილი ხმით ჩაიღიღინა „დაზაგრულმა“ კაცმა, რომელიც ჩვენსავით დიდხანს ეძებდა ანაკლიის სანაპიროზე მანქანის გასაჩერებელ ადგილს. მერე საბარგულიდან უზარმაზარი საზამთრო გადმოაგორა და ხალხით გადავსებულ პლაჟზე დიდხანს ეძება ახლობლები, რომლებმაც საორიენტაციოდ სასტუმრო „ოქროს საწმისი“ მიასწავლეს და საზამთროიანი კაცი ჩვენი თვალსაწიერიდან მიიმალა...

ლალი პაპასკირი

ბულვარზე რამდენიმე ტრაქტორი გამალებით მუშაობდა. ადგილობრივებმა სიამაყით მითხრეს — ახალი სასტუმროები და გასართობი კლუბები შენდებაო... გრძელი პალმების ხეივანს თეთრი სავარძლები ამშვენებდა. თვალს ევროპულ და აზიურ სტილში აშენებული სასტუმროებიც მოხვდა, რომლებსაც აივნებზე გაფენილი პირსახოცების რაოდენობაზე ეტყობოდა, კლიენტის ნაკლებობას არ განიცდიდა...

— გოგონა, ნაგვის ურნა თქვენგან ორ ნაბიჯზეა, აქ რატომ ყრით ნაგავს? დედა, სად გაიზარდა ეს ხალხი? — გაიოცა ქალბატონმა.

ანაკლიის ბულვარი

— ბოდიში, ვერ დავინახე, — დაიმორცხვა გოგონამ.

— „ოი, კაკ ხარაშო ზდეს... მნე ოჩენ ნრავიტსია“! — ამ სიტყვების ავტორი მეტად „გულახდილად“ ჩაცმული, გრძელფეხება, ქერა გოგონა იყო, სავარაუდოდ — უკრაინული წარმოშობის. მის სიახლოვეს პლაჟზე განსაკუთრებული სივიწროვე იგრძნობოდა. ზღვაში ჩასვლას არავინ ჩქარობდა...

— ე, ბიჭო, ჩადი წყალში, თორემ ამ გოგონების ცქერაში კი აგივიდა დამწვრის სუნი, — ხელი წაჰკრა ერთმა მეორეს, თან გოგონებისთვის თვალი არ მოუცილებია...

— სიმინდიი, სიმინდიიიიი! — ჩამოიარა ჭილოფისქუდიანმა ქალმა.

— რა ამბავია, ქალო, ერთი ტარო ორი ლარი? უკვდავებისაა?

— უკვდავებისაა, აბა, რა არის, ვერ ხედავ? შეჭმულია ყანები ამერიკული პეპლისგან, — არ ჩამორჩა ქალი და სავსე ჩანთაზე მიგვითითა, — ცხელი ხაჭაპური და ცივი „კოკა-კოლა“ მიდევსო.

კაფე-ბარები და რესტორნები სავსე იყო მშიერი და დაუსრულებელი ლოდინისგან ნერვებდაწყვეტილი კლიენტებით. ჩვენ წინ, ორკაციან მაგიდასთან ქერა წყვილი ოჯდა და მოუთმენლად ცმუკავდა.

— ორი საათის წინ შევუკვეთ ელარჯი და მას შემდეგ ველოდებით. ელიჩკამ მითხრა, სახლიდან კონსერვი წამოვიღოთ და ელარჯის მოტანამდე ის ვჭამოთო, მაგრამ ვიფიქრე, კონსერვის მერე ელარჯს ვეღარ შევჭამდი და არ წამოვიღე.

— ელიჩკამ რა იცოდა, ელარჯს რომ დაგიგვიანებდნენ?

— არ ვიცი, მაგრამ ახლა ამაზეც ვერ ვფიქრობ, ისე მშია. სიმინდის ბურბუშელა მაინც მეყიდა, ცოტას დავნაყრდებოდით, — შემომჩივლა ლატვიელმა ვოვამ. კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ამ დროს ლოყაწითელმა ქალბატონმა ლანგარზე დალაგებული მეგრული ხაჭაპური და ორი თეფში ელარჯი დაუდგა წინ და ვოვას და მის „პოდრუშკას“ ნერვიული ღიმილი სილაზე დარჩენილი ფეხის ნაკვალევივით წაეშალათ სახეებიდან.

— ოოო! — აღმოხდა ვოვას და ჩანგალზე წამოცმული ყველიანი ღომით ჰაერში უცნაური მოძრაობა გააკეთა.

— რას გვიშვრებით, კაცო, ჩვენი წიწილი როდის იქნება?! ან რა ფასებია, სან-ფრანცისკოს რესტორნის ფასები მიმიქარავს. დროზე მაინც მოგვიტანეთ, რა! — მიადევნეს დარბაზიდან გამქრალ მიმტანს.

— ბუჯო, ზღვა იცოცხლე, კია წანწკლა, მარა „ტვალეტებს“ რომ ვერ ვხედავ, „პამპერსებით“ უნდა ვიაროთ? — ეს შეკითხვა უკვე პლაჟზე დაბრუნებულს მომესმა.

— რა ვიცი, რა გითხრა, არც ბათუმში იყო მაი „ფუფუნება“, მარა ისვენებდა ხალხი... დაბრუნდი იმ ოჯახ-

ბუჯო, ზღვა იცოცხლე, კია წანწკლა, მარა „ტვალეტებს“ რომ ვერ ვხედავ, „პამპერსებით“ უნდა ვიაროთ?

ში... ისე, სანამ სახლიდან გამოხვალ, ასეთი რაღაცები უნდა მოისტუმრო. და კიდევ, საზამთრო ჩანგლით ჭამე, არ დაგავიწყდეს, რომ ქალაქში ხარ! — „დაარიგა“ მეგობარი ბიჭმა და აღელვებულ ზღვაში შორტებით შევარდა.

ევროპაში ყველაზე გრძელ (როგორც პრეზიდენტმა გვაუწყა) ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელ საფეხმავლო ხიდს მივადექით. რამდენიმე დღით ადრე დიდი ამბები იყო ატეხილი — ხიდი უკვე ჩატეხილიაო და მისი ბედი მაინტერესებდა. ხიდის შესასვლელში პატრულის თანამშრომლები „საპატიო ყარაულში“ იდგნენ და ჩემსავით დაინტერესებულ დამთვალიერებლებს ეუბნებოდნენ, მშენებლობა ჯერ დასრულებული არ არის და იქ შესვლის ნებას ვერ მოგცემთო. ხიდის ჩატეხაზე შეკითხვის დასმას ისეთი აღშფოთებით შეხვდნენ, ორი ნაბიჯით უკან დავიხიე — მთელია, ბატონო, მთელი! რა გჭირთ ამ ჟურნალისტებს, სულ გლახა ამბებს რომ ავრცელებთ?.. უბრალოდ, შუაში რაღაცები ბოლომდე არ არის დასრულებული, თორემ ისეთი მყარია, ტანკი გაივლის ზედ — დაგვამშვიდა ერთ-ერთმა დამსვენებელმა.

ტურისტების დიდი ნაწილი ერთხმად აღიარებდა, რომ საკმაოდ სუფთა ზღვა და ცხელი ამინდები იყო, მაგრამ ინფრასტრუქტურა მოიკოჭლებდა და ევროპის დონის ფასები იყო. სასტუმროს ბინადარმა, 57 წლის ინგლისელმა ჯენიმ გვიამბო, რომ ერთ-ერთი საერთაშორისო კონკურსისთვის, პოსტსაბჭოთა საქართველოზე დოკუმენტურ ფილმს იღებდა და ამიტომაც ეწვია ანაკლიას.

— ერთი კვირა ანაკლიაში დავრჩები, რამდენიმე დღით განმუხურსაც ვესტუმრები. შესანიშნავი ბუნებრივი კლიმატია, უბრალოდ, ეტყობა, რომ ეს ადგილი კურორტად ახლა იქმნება... სასტუმროში ყველაფერი მოწესრიგებულია, ბოულინგ-კლუბიც კი გვაქვს, სავარჯიშო დარბაზებიც და ფიტნესიც. აი, გარეთ ცოტა პრობლემები გვაქვს. მაოცებს თქვენი ხალხის უცხოელებისადმი დამოკიდებულება — ისე თბილად გვექცევიან, თითქოს დიდი ხნის ახლობლები ვიყოთ. საქართველოში საბჭოთა წლებშიც ვიყავი, მაგრამ ახლა ვხვდები განსხვავებას. მენტალიტეტი ძალიან შეცვლილია. პლაჟზე ყველა ასაკისა და სოციალური წრის წარმომადგენლებს ვხედავ და ძალიან მომწონს.

ნანა, *32 წლის, თბილისელი დამსვენებელი:*

— ანაკლიაში ინტერესის გამო ჩამოვედით. ყველანაირად მომზადებული ვიყავით, მაგრამ წვრილმანი პრობლემები მაინც შეგვექმნა. ორი მცირეწლოვანი შვილი მყავს და ვიფიქრე, სუფთა წყალი და ჰაერი მათთვის სასარგებლო იქნებოდა... ზღვასთან ახლოს, ერთ-ერთ ოჯახში ვართ დაბინავებული. ცოტათი მოუწესრიგებელი ბინაა, მაგრამ რამდენიმე დღე შეიძლება დარჩენა. კარგი იქნება, თუ ფასებს დაარეგულირებენ. არ შეიძლება, 30-თეთრიანი, ერთჯერადი ცხვირსახოცი 1 ლარად მოგყიდონ. ეს უბრალოდ, უსინდისობაა.

იქიდან განხმურისკენ წავედით. არ შეიძლება, სახელდახელოდ გალამაზებულ ანაკლიას სანაპიროსა და დანარჩენ, ამერიკული პეპლისგან მუსრგავლებულ დაბას შორის საოცრად დიდი განსხვავება ვერ დაინახო...

გზადაგზა კეთილი სახით მოღიმარი პატრულის თანამშრომლები იდგნენ. განმუხურის გადასახვევთან გაგვაჩერეს და თავაზიანად გვითხრეს, — საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ბავშვის წინა სავარძელში ჯდომა გარკვეული თანხით ჯარიმდება და შემდეგისთვის გაითვალისწინეთო... არც კონფლიქტის ზონაში მოქცეულ განმუხურს აკლდა ამერიკული პეპელა და გართობას მოწყურებული, შოკოლადისფერი ტურისტები. მართალი გითხრათ, ფიცრისიატაკიანი სანაპირო პირველად ვნახე, მაგრამ ეგ არაფერი, — „ზატო“, ბატუტი, ფერადი შადრევნები და „სკუტერები“ გვაქვსო, — მითხრეს. ბატუტს მართლაც უამრავი კლიენტი ჰყავდა. — ურეკში ამას არავინ ეკარება, აქ კი ვაკეთებ კაი ფულსო, — ჩაიცინა ბიჭმა და რეზინის ზონრებით მორიგი კლიენტი „ჩამოკიდა“... სანაპიროზე გაშლილი პატარები ფერად კენჭებსა და ნიჟარებს აგროვებდნენ.

განმუხურის ტურისტებსაც იგივე პრობლემები ჰქონდათ, რაც ანაკლიაში ჩამოსულებს — უწყლობა, ანტისანიტარია, მომსახურების დაბალი დონე და მაღალი ფასები... და კიდევ, ყველასგან მოისმენდით, რომ აქედან ერთი ხელის გაწვდენაზე იყო მონატრებული აფხაზეთი, თეთრი თოლიებით, სუფთა ზღვითა და მტრად ქცეული, აფხაზი მოყვრებით... ■

ინგლისური და რუსული ენების შემსწავლელი ცენტრი FutureWorld გთავაზობთ:

- ენების შესწავლა ჯგუფურად და ინდივიდუალურად!
- მოსამზადებელი კურსები PET, FCE, CAE, CPE, IEILTS, TOEFL.
- საბავშვო საერთაშორისო Helen O'Grady ინგლისური ენის დასამნრე.
- საზაფხულო საერთაშორისო ბანაკები ევროპაში.
- აბიტურიენტების მომზადება ეროვნული გამოცდებისათვის.
- სტუდია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის
- კურსდამთავრებულთათვის გაისემა შესაბამისი სერთიფიკატი.

FutureWorld

ჩვენი მისამართია: თბილისი, საბურთალო, მიცკევიჩის ქ. 17, ბ. 10

238-22-96, 599-53-61-96

www.futureworld.ge

სახე

რით აწუხებს ირაკლი ჩოლოყაშვილი მეზობლებს

ნინო იოსელიანი: „მობილურით ფოტოებს მიღებდა...“

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები — ირაკლი ჩოლოყაშვილი და ნინო იოსელიანი თითქმის 2 წელია, დაოჯახდნენ. მათ ერთმანეთი „ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ კასტინგზე გაიცნეს. ახალგაზრდა წყვილი მიიჩნევს, რომ მათი სიყვარული მტკიცეა და სისულელეა, იეჭვიანო ადამიანზე, რომელსაც უყვარხარ...

თამთა დადეშელი

ნინო:

— მე ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ირაკლი წარმატების მწვერვალზე გახლდათ და თინეიჯერებში მეტად პოპულარული, საოცნებო მამაკაცი იყო. მსახიობობაზე პატარაობიდანვე ვოცნებობდი და რა გასაკვირია, რომ სპექტაკლებს ხშირად ვესწრებოდი. მეათე კლასში ვიყავი, სპექტაკლის — „მარიო და ჯადოქარი“ სანახავად რომ წავედი და ირაკლი პირველად მაშინ ვნახე.

— ერთმანეთი როგორ გაიცანით?

— სკოლის დამთავრების შემდეგ თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავაბარე, მერე კი თეატრალურ სარდაფში დავიწყე მუშაობა. ერთხელაც, მარჯანიშვილის თეატრში კასტინგი გამოცხადდა. იქ რამდენიმე ახალგაზრდა მსახიობი გოგონა ერთად მივედით. ჩვენს დანახვაზე ირაკლის ასაკის და ცოტა უფროსი მამაკაცები აღფრთოვანდნენ. საერთოდ ძალიან მშვიდი ადამიანი ვარ და მირჩევნია, სიტუაციას შორიდან დავაკვირდე. ჰოდა, მაშინაც, ჩემთვის წყნარად დავჯექი, ხალხს მოკრძალებულად ვეცნობოდი.

ნინო მაშინვე გამოვარჩიე — თავისი სიმშვიდით დაიმსახურა ჩემი ყურადღება

ირაკლი:

— ნინოს შორიდან ვიცნობდი. როცა გოგონები მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მოვიდნენ, მამაკაცი მსახიობების ყურადღება მართლაც მიიქციეს. სიმართლე გითხრათ, მაშინ ჩვენთან ახალგაზრდების ნაკლებობა იყო.

— ნინომ რით მიიქცია თქვენი ყურადღება?

— ყველანი კარგი გოგონები არიან, მაგრამ ნინო მაშინვე გამოვარჩიე — თავისი სიმშვიდით დაიმსახურა ჩემი ყურადღება.

ნინო:

— თავიდან ირაკლისთან ჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა. რაღაც პერიოდის შემდეგ შევნიშნე, რომ მობილურით ფოტოებს მიღებდა და მერე, ჩემთვის მოულოდნელი, ყველა ფოტოსურათი მაჩვენა, ანუ მიმახვედრა, რომ მოვწონდი. ამის შემდეგ გათამამდა და მესიჯებს მწერდა...

ირაკლი:

— რეპეტიციების დროს საკუთარი თავი იცი, რაში დავიჭირე? — როცა ნინო თეატრში არ იყო, რაღაც მაკლდა, დისკომფორტს განვიცდიდი; მერე რეპეტიციების განრიგს „ჩავუჯექი“ და ამით ვიგებდი, როდის უნდა მოსულიყო, რათა იმ დროს მეც თეატრში ვყოფილიყავი და მენახა. ძალიან უშუალო ურთიერთობა გვქონდა. ერთ დღესაც მისი მობილური ტელეფონის ნომერი გავიგე და ნინოობა მივულოცე. მაშინ თვითონაც მიხვდა, რომ რაღაც ხდებოდა... ნელ-ნელა, „ქაქუცასთან“ ერთად, ჩვენი ურთიერთობაც წინ მიიწევდა და სპექტაკლების დროს საკუთარ გრძნობებში გავერკვიეთ.

ნინო:

— თავიდან ჩვენს ურთიერთობას არ ვამჟღავნებდით. ირაკლის უმეტესწილად თეატრში ვხედავდი, რეპეტიციებისას, 1-2-ჯერ კაფეშიც ვიყავით, მაგრამ ის, რასაც პაემანი ჰქვია, არასდროს გვქონია. ძირითადად, თეატრის ფოიეში ვსაუბრობდით.

ირაკლი:

— „მოთელვის“ პერიოდი კარგა ხანს გაგრძელდა. ნინო ფრთხილობდა, მე — ნაკლებად, რადგან როცა ჩემს ასაკში რაღაცას იგრძნობ, ხვდები, რომ ეს გრძნობა მყარი იქნება. ახლა 38 წლის ვარ, ნინო კი ჩემზე გაცილებით უმცროსია.

— საერთო ნაცნობებს როგორი რეაქცია ჰქონდათ, როცა გაიგეს, რომ შეყვარებულები იყავით?

— თეატრი ისეთი ადგილია, ვერავის ვერაფერს გამოაპარებ და მგონი, სანამ ჩვენ ვიტყოდით რამეს, მშვენივრად ხვდებოდნენ, ნინოს მიმართ რასაც ვგრძნობდი. როცა ჩვენი ურთიერთობა დასერიოზულდა, მეგობრებს ვუთხარით, რომ ერთმანეთი გვიყვარდა და დაოჯახებას

ვაპირებდით. ამ ამბავმა ყველა ძალიან გაახარა.

— **შეყვარებულობის პერიოდი რამდენ ხანს გაგრძელდა?**

ნინო:

— დაახლოებით წელიწადი და 8 თვე, მერე კი დავქორწინდით.

— **როგორი შეყვარებული იყო ირაკლი?**

— სხვათა შორის, ახლაც ისეთივეა, როგორიც მაშინ იყო. ირაკლი სხარტი იუმორით გამოირჩევა, რაც ძალიან მხიბლავს და მსიამოვნებს. საოცრად თბილი, ყურადღებიანია და იმედია, ყოველთვის ასეთი იქნება. რომანტიკულიცაა, მაგრამ ურთიერთობაში რომანტიზმი არასოდეს გვქონია (მაგალითად, ჩემთვის ლექსები არასდროს მოუძღვნია)... მოკლედ, ეს ის ადამიანია, რომელიც ძალიან მიყვარს.

— **საჩუქრებით განებივრებს?**

— თუკი მატერიალური მდგომარეობა ხელს უწყობს, საჩუქრებითაც მანებივრებს და მეტიც, შეიძლება ფეიერვერკიც კი მომიწყოს. მახსოვს, ჯერ კიდევ შეყვარებულობისას, იმ დროისთვის ბოლო მოდელის მობილური ტელეფონი მაჩუქა...

— **საოჯახო საქმეებს როგორ ინაწილებთ?**

— ახლა დამტუქსავს, ამდენს რომ ვაქებ, მაგრამ ზოგჯერ, როცა გვეჩქარება, ბავშვის (ჩვენი შვილი 7 წლისაა) მოვლაშიც კი მეხმარება. მაგალითად, მე თუ მას ვაცმევ, ირაკლის შეუძლია, საუზმე მოუმზადოს. როგორც რუსები იტყვიან, „ბელარუჩკა“ არ არის, ყველაფრის გაკეთება ეხერხება და მეც ვცდილობ, კარგი დიასახლისი ვიყო.

ირაკლი:

— ნინო მართლაც არაჩვეულებრივი დიასახლისია. პრეტენზიულები არ ვართ და ერთმანეთს ვავსებთ.

— **თეატრში ცოლ-ქმრის ერთად მუშაობას რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს?**

ნინო:

— სამწუხაროდ, ახლა მე და ირაკლი ძალიან დაკავებულები არ ვართ, მაგრამ მერწმუნეთ, ერთად მუშაობა გვსიამოვნებს. ბოლო დროს ორ სპექტაკლზე ვიმუშავეთ ერთად და მინდა გითხრათ, რომ სცენაზეც არაჩვეულებრივი პარტნიორია, ბევრ რამეში მეხმარება.

— **ირაკლი ეჭვიანია?**

— არა და არც ვაძლევ საბაბს, რომ ვინმეზე იეჭვიანოს. აი, მე კი ვარ ეჭვიანი და როცა გონებაში რაღაც ისეთს გავიფიქრებ, ვცდილობ, იუმორნარევი სიტყვებით მივანიშნო. ისე კი, სისულელეა იეჭვიანო მეუღლეზე, რომელიც გვერდით გყავს და რომელსაც უყვარხარ.

— **ირაკლი, თქვენს მრავალრიცხოვან გატაცებას რაიმე ახალი ხომ არ შეემატა?**

— ჩემი მთავარი ჰობი კლასიკური მუსიკალური ინსტრუმენტებია და შიგადაშიგ ვცდილობ, რაიმე ახალი შევიძინო. ვინც ჩემი გატაცების შესახებ იცის, რაღაცებს მჩუქნის კიდეც და მერე ყველას ვაწუხებ ჩემი მცდელობით — რაიმე დავუკრა. კლასიკური ინსტრუმენტები შეზღუდული რაოდენობით მაქვს, სხვა „ხმაურიანი“ ინსტრუმენტი კი — ბევრი. მუსიკალური ათწლედი ჰობოის განხრითაც დავამთავრე, მერე ვისწავლე საყვირზე, საქსოფონზე, კლარნეტზე, ვალტორნაზე დაკვრა. ტრომბონიც მაქვს და თუ დამჭირდება, აუცილებლად დავუკრავ. ბავშვობაში დასარტყამი ინსტრუმენტიც მქონდა და მთელი სამეზობლო შეწუხებული მყავდა.

— **თქვენს სადირიჟორო კარიერაზე რას მეტყვით?**

— ეს ჩემი მეორე პროფესიაა. უკვე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ვიყავი, როცა დირიჟორობაც მოვინდომე. ჩემი პედაგოგი ავთანდილ რევიშვილი იყო და როცა რაღაც პროფესიული კითხვა მიჩნდება, ისევ მას ვაწუხებ. სხვათა შორის, საჯარო დებიუტი, ანუ პირველი დიდი კონცერტი შარშან, დეკემბერში მქონდა — საათნახევრიან გალა-კონცერტზე ოპერის თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან, გუნდთან და სოლისტებთან ერთად 31 ნომერი შევასრულე. გაზაფხულზე კი, მოგეხსენებათ, ზაქარია ფალიაშვილის 140 წლის იუბილე მოეწყო და მერიის მიერ ჩატარებულ კონცერტზე ვიდირიჟორე, რაც ჩემთვის დიდი პატივი გახლდათ.

■

როგორ მალავს ნაკლს ნუკი კოშკელიშვილი

„თმა წაგებული ნაძლევის გამო შევიჭერი...“

მოდელსა და ტელეწამყვან ნუკი კოშკელიშვილს სურათების გადაღება ბავშვობაში უფრო უყვარდა და ამიტომაც, იმ პერიოდის ამსახველი ბევრი ფოტოსურათი აქვს. „გარდატეხის ასაკში მეგონა, რომ არაფოტოგენური ვიყავი და ფოტოკამერას გავურბოდი. ამჟამად სიამოვნებით ვპოზირებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ფოტოს პროფესიონალი ფოტოგრაფი იღებს“, — მითხრა ნუკიმ, რომელიც ცდილობს, ყოველთვის ფორმაში იყოს.

მარეხ ჭონიშვილი

— **როგორი ბავშვი იყავი?**

— ცელქი და მოუსვენარი. მახსოვს, მაგიდაზე ასვლა და ლექსების კითხვა მიყვარდა. საერთო ენის გამონახვა არავისთან მიჭირდა, თითქმის ყველა ასაკის მეგობარი მყავდა.

— **პრანჭიაობდი?**

— ძალიან პრანჭია ვიყავი, მთელ სახეზე, „რუმიანას“ ნაცვლად პომადას ვისვამდი, დედაჩემის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით დავდიოდი. როცა თმა შემჭრეს, თავზე კოლჰოტს ვიფარებდი — ვითომ ნაწნავი მქონდა.

— **ამ ფოტოზე მოკლე თმა გაქვს...**

— ამ სურათში 13 წლის ვარ და თმა საკუთარი სურვილით შევიჭერი. მეგობრებმა ნაძლევი დავდეთ — თუ წავაგებდი, თმა უნდა შემეჭრა. ჰოდა, წავაგე და შევიჭერი კიდეც...

— **ბუნებრივად რა ფერის თმა გაქვს?**

— თავიდან ოქროსფერი მქონდა, მერე გამიმუქდა. ბავშვობაში თმა მცვიოდა და დედა ინით მიღებავდა. რომ წამოვიზარდე, თმის შეღებვა უფრო ხშირ-ხშირად დავიწყე და ხან წითელი, ხანაც — შავი თმა მქონდა. სკოლა რომ დავამთავრე, ქერა გავხდი.

— **სალონში ხშირად დადიხარ?**

— დიახ. მიმაჩნია, რომ ქალი ყოველთვის ფორმაში უნდა იყოს, სალონი კი ის ადგილია, სადაც თავს მიხედავ. იქ არა მარტო თმას, მანიკიურსაც და პედიკიურსაც ვიკეთებ.

— **სკოლის დამთავრების შემდეგ გოგონები იმივეს რადიკალურად იცვლიან. გარდა იმისა, რომ ქერა გახდი, გარეგნობაში კიდევ რა შეცვალე?**

— ყოველთვის ისეთი იმიჯი მქონდა, როგორიც ახლა მაქვს, უბრალოდ, თმის ფერს ვიცვლიდი. ისე, ერთი პერიოდი რაღაც სერიალი გადიოდა ნატალია ორეიროს მონაწილეობით, სადაც მას კეპი უკან ჰქონდა მოქცეული და ბიჭურად ეცვა. ჰოდა, ვინაიდან მისი ფანი ვიყავი, გადავწყვიტე, ბიჭური სტილი მქონოდა და საყვარელ მსახიობს ვბაძავდი. აი, ეს სურათიც იმ პერიოდშია გადაღებული. ჩემმა გატაცებამ ერთ კვირას გასტანა, შემდეგ კი ჩაცმის ძველებურ სტილს დავუბრუნდი... გარდატეხის ასაკში გამომწვევად და ცოტა ვულგარულად ვიცვამდი, მეგონა, რომ ასეთი ჩაცმულობა ხიბლს მმატებდა.

— **ვის რჩევას ითვალისწინებ?**

— ბავშვობაშიც და ახლაც დედას ვეკითხები, როდის რა ჩავიცვა. მას არაჩვეულებრივი გემოვნება აქვს და ვიცი, რასაც მომიწონებს, მომიხდება.

— **თქვი, რომ პრანჭია ბავშვი იყავი. ბიჭებს რა ასაკში გაეპრანჭე?**

— ბიჭის გამო არასდროს გავპრანჭულვარ, ბავშვობიდან ვცდილობდი, ყოველთვის ფორმაში ვყოფილიყავი. მერწმუნე, როცა ქალი ფორმაშია, ის ბიჭსაც მოეწონება და გოგონაც სიამოვნებით გააყოლებს თვალს... აი, ამ სურათზე ჩემი „შეყვარებულების“ შუაში ვდგავარ: ერთი მე მომწონდა, ერთი კი დედაჩემს, ცხადია — სასი-

სურათი სწორედ იმ დროს გადამიღეს, როცა ჩემს ოთახში „პიშკას“ ჩუმად ვჭამდი და დედამ შემომისწრო

ამ სურათზე ჩემი „შეყვარებულების“ შუაში ვდგავარ: ერთი მე მომწონდა, ერთი კი დედაჩემს, ცხადია — სასიძოდ

ძოდ (*ილიმის*). ეს ფოტო სკოლის ზეიმზეა გადაღებული, სადაც ფიფქია ვიყავი. სურათის გადაღებისას ბიჭებს კოსტიუმები უკვე გახდილი ჰქონდათ, თორემ ერთს ზოროს ფორმა ეცვა, მეორეს — პრინცის. მახსოვს, ზეიმზე ჩემ გამო ჩხუბიც კი მოუვიდათ; ვერ ხვდებოდნენ, რომელი უფრო მომწონდა, რადგანაც ორივეს ერთნაირ ყურადღებას ვაქცევდი: ერთ გაკვეთილზე ერთთან ვჯდებოდი, მეორეზე მეორესთან გადავჯდებოდი. აი, ასეთი ეშმაკუნა გახლდით.

— **ყურები ბავშვობაში გაიხვრიტე?**

— 5 წლის ვიყავი, დედამ სპეციალისტთან რომ მიმიყვანა. მართალია, ყურის გახვრეტის პროცესში ტკივილი არ მიგრძნია, მაგრამ მაინც ბევრი ვიტირე.

— **აქსესუარები გიყვარს?**

— სამკაულები ძალიან მიყვარს და ბევრიც მაქვს, მაგრამ ნივთების ამოჩემება ვიცი. ახლა მიკეთია ბეჭედი, რომელსაც თითიდან თითქმის არასდროს ვიხსნი... ეს სურათი სკოლის დამთავრების დროს გადავიღე, ბიძაშვილთან ერთად ვარ აღბეჭდილი. როგორც ხედავთ, აქ შავი თმა მაქვს, ბანკეტისთვის კი ქერა გავხდი. როგორც ყველა გოგო, ბანკეტისთვის მეც გულმოდგინედ ვემზადებოდი და ცხადია, კაბაც წინასწარ შევიძინე, მაგრამ იმ დღეს შარვლის ჩაცმა მომიხდა, რადგან წინადღეს სახლის სახურავზე ავედი გასარუჯად და საშინლად დავიწვი, განსაკუთრებით ფეხები „დავიზიანე“. ამიტომ ატლასის შარვალზე კაბა გადავიცვი. სასაცილო ის იყო, რომ კაბა მხოლოდ მუხლამდე მწვდებოდა და შარვალიც მიჩანდა. სახის დამწვარი და გაწითლებული ადგილების დაფარვა მაკიაჟით ვცადე, მაგრამ ისე მიხურდა,


ეს სურათი სკოლის დამთავრების დროს გადავიღე, ბიძაშვილთან ერთად ვარ აღბეჭდილი

გრიმიც დნებოდა, არ მიჩერდებოდა. აი, ასეთი „საშინელება“ ვიყავი ბანკეტზე. სხვათა შორის, დამწვრობა ორ დღეში მომირჩა და კარგი ნამზეური დამრჩა.

— **სოლარიუმში თუ დადიხარ?**

— ვიცი, რომ ზედმეტი გარუჯვა მავნებელია, მაგრამ „დაზაგრული“ კანი ისე მომწონს, სასურველი ფერის მისაღებად მზესაც ვეფიცხები და სოლარიუმშიც დავდივარ. ცოტა ხნის წინ გადავწყვიტე, ჯანმრთელობას სერიოზულად მივხედო და გარუჯვაზე უარი ვთქვა. ვნახოთ, ეს რამდენად გამომივა.

— **წარბების კორექცია რამდენი წლისამ გაიკეთე?**

— 15 წლისამ და მას შემდეგ ხელი აღარც მიხლია.

— **რატომ, არ მოგიხდა?**

— ცუდად გამიკეთეს და მგონია, რომ წარბებს ახლაც გამიფუჭებენ. თან, „გაპუტვის“ მომენტიც არ მომწონს...

— **მაკიაჟს ყოველდღე იკეთებ?**

— ახლა მოდაში ბუნებრიობაა და ვცდილობ, ამ ტენდენციას ავუწყო ფეხი. მაკიაჟს ყოველდღიურად არ ვიკეთებ, მაგრამ თუკი გარუჯვისას კანი ამიჭრელდა ან სახეზე ფერიმჭამელას აღმოვაჩენ, ვცდილობ, ნაკლი მაკიაჟით დავმალო.

— **ხშირად ხარ დიეტაზე?**

— დიეტაზე არასოდეს ვყოფილვარ. ვცდილობ, ღამღამობით არ ვჭამო. ბავშვობაში ცოტა გავსუქდი და დედა საღამოობით ჭამას მიშლიდა. ეს სურათი სწორედ იმ დროს გადამიღეს, როცა ჩემს ოთახში „პიშკას“ ჩუმად ვჭამდი და დედამ შემომისწრო.

— **სახის მოსავლელად კოსმეტოლოგთან დადიხარ?**

— იმ ასაკში არა ვარ, რომ კოსმეტოლოგთან ვიზიტი დამჭირდეს. ამ საქმეს ჯერჯერობით დამოუკიდებლად ვართმევ თავს. დღისა და ღამის მკვებავ კრემებს ვხმარობ, რომ კანი არ გამომიშრეს. სახის კანი მჭადის ფქვილითაც არაერთხელ გამიწმენდია და უნდა გითხრათ, რომ შესანიშნავი შედეგი მიმიღია.

— **პლასტიკურ ოპერაციაზე რა აზრის ხარ?**

— პლასტიკური ოპერაციის წინააღმდეგი ვარ. დიდი ცხვირი მაქვს და ვიცი, ჩემზე ბევრი ამბობს, — ცხვირის ოპერაცია რომ გაიკეთოს, უკეთესი იქნებაო, მაგრამ მე ამაზე არასდროს მიფიქრია. მიმაჩნია, რომ ადამიანი გარეგნულად კი არა, პირველ რიგში, შინაგანად უნდა იყოს ლამაზი, კარგი ხასიათი ჰქონდეს და გარეგნული ნაკლის დაფარვასაც იოლად შეძლებს... ბოტოქსის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. თმის დაგრძელება, წამწამების გახშირება და მსგავსი რაღაცები შეიძლება გაიკეთოს ადამიანმა, მაგრამ გარეგნობის შესაცვლელად ოპერაციას არასდროს გავიკეთებ.

■


სამკაულები ძალიან მიყვარს და ბევრიც მაქვს, მაგრამ ნივთების ამოჩემება ვიცი

ამ სურათში 13 წლის ვარ და თმა საკუთარი სურვილით შევიჭერი


ერთი პერიოდი გადავწყვიტე, ბიჭური სტილი მქონოდა. ეს სურათიც იმ პერიოდშია გადაღებული

ვინ დააკარგვინა თავი ბექა ჩხაიძეს

„ჩემს ლამაზ გოგონას მთელ საქართველოს გავაცნობ"

კვარტეტ „ალილოს" წევრმა, 27 წლის ბექა ჩხაიძემ ხალხის სიყვარული სიმღერებით დაიმსახურა და სასურველი სასიძოების სიაშიც აღმოჩნდა. სიმპათიური, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, მხიარული ბექა არ მალავს, რომ შეყვარებულია. მისი რჩეული პროექტ „უკანასკნელი გმირის" ყოფილი წევრი და მოდელი ეკა ფანგანი გახლავთ.

თეა ხურცილავა

— ოზურგეთში დავიბადე და გავიზარდე. მშობლები იქ ცხოვრობენ. დედა სკოლის დირექტორია. ჩემი ოჯახი ცნობილი იყო არა მარტო გურიაში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში. ბაბუა, ბეგლარ ჩხაიძე ჟურნალისტი გახლდათ და რეგიონში გაზეთ „კომუნისტის" სპეციალურ კორესპონდენტად მუშაობდა. ჩვენს სახლში ცნობილი ადამიანები ხშირად იკრიბებოდნენ, საინტერესო შეხვედრები იმართებოდა... ოჯახში ყველა მღერის და ეტყობა, მუსიკალური ნიჭი გენეტიკურად დამყვა. თან, მეშვიდე კლასიდან სიმღერას „კრიმანჭულის" უბადლო შემსრულებელი მიშა შავიშვილი მასწავლიდა. სიმართლე გითხრათ, ბავშვობაში მომღერლობაზე არ მიფიქრია, მაგრამ სკოლა რომ დავამთავრე, სწავლის გასაგრძელებლად თბილისში ჩამოვედი და „ქართული ხმების" გენიოსი მომღერლის, გურამ თამაზაშვილის წყალობით კვარტეტში აღმოვჩნდი. შეიძლება ითქვას, რომ ლაშა ღლონტი, გია დავითიანი, მე და ანსამბლის სხვა წევრები გურამმა გაგვზარდა, მან ჩამოგვიყალიბა

თუ ნიჭი არ გაქვს, მხოლოდ ახლობლობით არაფერი გამოვა, სცენაზე ვერ დადგები და ვერ იმღერებ

მუსიკალური გემოვნება. მისი გარდაცვალების შემდეგ ანსამბლს სათავეში ლაშა ღლონტი ჩაუდგა.

— პირველი ნაბიჯები გაიხსენეთ.

— ბაბუაჩემი გურამის შვილის ნათლიაა, მაგრამ კარგად იცით, — თუ ნიჭი არ გაქვს, მხოლოდ ახლობლობით არაფერი გამოვა, სცენაზე ვერ დადგები და ვერ იმღერებ. არ დამავიწყდება დღე, როცა ფილარმონიის სცენაზე პირველად გავედი. მეტიც, მახსოვს, კონცერტის წინაღამეს ისე ვნერვიულობდი, ვერაფრით დავიძინე... მადლობა უფალს, ხალხმა შეგვიყვარა და მათ დიდ სიყვარულს ვგრძნობთ. ახლა დამწუხრებულები ვართ, რადგან გია დავითიანს მეუღლე გარდაეცვალა. ამ ტრაგედიიდან 10 დღეში კონცერტი ქუთაისში უნდა გაგვემართა. როგორც უნდა გაგიკვირდეთ, გიამ შეძლო ძალების მოკრება, რათა სცენაზე დამდგარიყო. ვენაცვალე, კონცერტი მაინც ჩავატარეთ... სხვათა შორის, შემოდგომისთვის ფილარმონიაში სოლო კონცერტს ვგეგმავთ. და კიდევ, ახლახან ჩვენი ბანი, სოსო აბაშიძე დაგვიოჯახდა. მინდა, თქვენი ჟურნალის საშუალებით, მას გაბედნიერება კიდევ ერთხელ მივულოცო.

მადლობა უფალს, ხალხმა შეგვიყვარა და მათ დიდ სიყვარულს ვგრძნობთ

— როგორ და სად გაატარეთ წლევანდელი ცხელი ზაფხული?

— ეს ზაფხული გადასარევად გავატარე, ჯერ აჭარაში ვიყავი (ბათუმსა და ქობულეთში კონცერტები გვქონდა), შემდეგ რაჭაშიც ავედი და რა თქმა უნდა, მშობლიური გურიაც მოვინახულე. სულ სხვა სამყაროა გურია, გურულებს კი მოგეხსენებათ, იუმორის საოცარი გრძნობა აქვთ. ერთმა კარგმა გურულმა ღიმილით მითხრა, — ძამა, ამ ზაფხულს იმფერი სიცხეები იყო, მიცვალებული შორტებით გავასვენეთო.

— რამდენიმე ხნის წინ ნანუკა ჟორჟოლიანთან დუეტში იმღერე. როგორ გაჩნდა ამ სიმღერის შექმნის იდეა?

— მე და ნანუკა ბავშვობიდან ვმეგობრობთ, მაშინ მგონი, არც ვმღეროდი. საერთოდ, ძალიან მიზანდასახული ადამიანია: თუ იდეა მოუვა, აუცილებლად განახორციელებს. ამას წინათ ღამის ორ საათზე დამირეკა და მითხრა, — ერთ კვირას გაძლევ, ვინმეს აფხაზეთზე სიმღერა დააწერინე, მე და შენ უნდა ვიმღეროთ, ბოლო გადაცემისთვის მჭირდებაო. ლილიკო ნემსაძესთან დავრეკე, მითხრა, — ახლა სწორედ ახალ სიმღერაზე ვფიქრობდიო. ჰოდა, როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ნახევარ საათში გადმომირეკა, — სიმღერა დავწერეო. მოკლედ, ის ლამაზი სიმღერა ღამის 3 საათზე, ზუსტად ნახევარ საათში დაიწერა.

— ნანუკამ როგორი პარტნიორობა გაგიწია?

— გადასარევი პარტნიორია. კლასიკური სიმღერის სათანადო შესრულებას ვერავინ მოსთხოვს, რადგან მომღერალი არ არის, მაგრამ ვფიქრობ, მაგარი დუეტი გამოვიდა.

— ბექა, როგორც ვიცი, რომანი გაქვთ მოდელ ეკა ფანგანთან.

— კი, ასეა! ეკას „ფეშენ ვიკზე" დავადგი თვალი და ურთიერთობაც აგვეწყო, ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. ეკა ბათუმში ერთ-ერთი სერიოზული კლუბის მენეჯერია და ჩვენი კვარტეტის პროდიუსერიც გახლავთ.

— ალბათ, სიურპრიზებით ანებივრებთ. ცნობილია, რომ საყვარელი ქალის სარკმელთან ბიჭებთან ერთად რომანტიკული სიმღერების შესრულება გიყვართ.

— ფიალებით ხელში, საყვარელი ადამიანის სახლთან სიმღერა მართლაც ძალიან მაგარია! ეს სიყვარუ-

საოცარი ბავშვია. ძალიან მაგრად მღერის და თუ ასე გაგრძელდა, „ნიჭიერში“ გავიყვან

ლის გამოხატვის ერთ-ერთი მეთოდი გახლავთ. ვინ იცის, ამ გზით ჩვენს სამეგობროში რამდენი ლამაზი ოჯახი შექმნილა, ბევრჯერ გაბუტული წყვილი, გაშორებული ცოლ-ქმარიც შეგვირიგებია. ღამის პირველ საათზე გოგოს რომ სთხოვ, — ერთი წამით აივანზე გამოდიო და 7 კაცი „მრავალჟამიერს“ ან „შენ დაგეძებ დილაა თუ ბინდიას“ უმღერებს, ის ქალი ხომ იმწუთას უბედნიერესი იქნება?!. მოკლედ, საყვარელ ადამიანს სიხარულს ვანიჭებთ და ჩვენც მხიარულად ვატარებთ ცხოვრებას.

— ამაზე მეზობლები არ ბრაზობენ?

— რამდენჯერმე ასაკოვანი ხალხიც კი ქვევით ჩამოვიდა, ზოგს დოქით ღვინო მოჰქონდა, ზოგს — პურმარილი და საოცარი სუფრა გაშლილა. მეზობლები გვეხვეწებიან, — არ წახვიდეთ, კიდევ იმღერეთო.

— ქორწინების დღე დაგეგმეთ?

— ჯერ მართლა ვერ გეტყვით, როდის დავქორწინდებით. ერთხელ დაოჯახების გადაწყვეტილება ნაადრევად რომ მივიღე, კარგი ჩიტიც დავიჭირე (*იცინის*)...

— თქვენი ძველი სკანდალური სიყვარულიც გავიხსენოთ. ცნობილია, რომ რომანი გქონდათ ვანო ჩხარტიშვილის ქალიშვილ ნათიასთან. ოჯახის შექმნის მიზნით, შეყვარებული „მოიტაცეთ“, რის გამოც ადამიანის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში დაგადანაშაულეს და დაგაპატიმრეს. არადა, მახსოვს, სამართალდამცავებს საინტერესო ჩვენება მისცა იმ ტაქსის მძღოლმა, რომელმაც ცაგერში ჩაგიყვანათ. ამბობდა, — გოგოს წინააღმდეგობა არ გაუწევია, ბიჭი ვოკალური მონაცემებით გამოირჩეოდა და რაიონამდე სულ სიმღერ-სიმღერით ჩავედითო. მაშინ ამან ყველა თქვენი მეგობარი გააოგნა, რადგან ყველამ იცოდა, რომ გიყვარდათ ერთმანეთი და ხვდებოდით. როგორ ფიქრობთ, საყვარელმა ქალმა იმიტომ გაგწირათ, რომ მამის ეშინოდა?

— არა მგონია, ამ ამბის გახსენება ღირდეს... ეტყობა, დავაშავე და საკადრისიც მივიღე.

— ამ თემაზე კიდევ ერთ კითხვას დაგისვამთ: ამის შემდეგ ნათია ჩხარტიშვილი საზღვარგარეთ წაიყვანეს. მან წლების შემდეგ მაინც თუ გთხოვათ პატიება იმის გამო, რომ ცხენში უდანაშაულოდ გამოგკეტათ?

— აბა, რას იზამდა?! თუ არ ვცდები, ის ახლაც საზღვარგარეთაა... ეს ამბავი წარსულს ჩაჰბარდა და არც მინდა, დეტალებზე ვილაპარაკო. რაც იყო, იყო, ღმერთი ყველაფერს ხედავს. რაც მაშინ მოხდა, იმას ნათიასგან არ ველოდი, თორემ კანონი — კანონია!

— ცხენიდან გათავისუფლების შემდეგ ამბობდით, რომ პირველ რიგში მონასტერში, დედა მარიამთან წახვიდოდით...

— დედა მარიამი ჩემი მეორე დედაა, ძალიან მომენატრა და მასთან ამიტომაც ჩავედი. სხვათა შორის, დედა მარიამს ახლაც ვაკითხავ, ხშირად დავითგარეჯში, მამა იოანესთანაც დავდივარ.

— პირველი ქორწინებიდან შვილი გყავთ. პატარის განებივრებას თუ ახერხებთ?

— 7 წლის გოგონა მყავს, ბარბარე ჩხაიძე, რომელიც ჩემი სიცოცხლეა. ის დედასთან ერთად მოსკოვში ცხოვრობს. საოცარი ბავშვია. ძალიან მაგრად მღერის და თუ ასე გაგრძელდა, „ნიჭიერში“ გავიყვან, ჩემს ლამაზ გოგონას მთელ საქართველოს გავაცნობ. მომავალში ალბათ მამა-შვილი ერთად ვიმღერებთ. მინდა, მას თქვენი ჟურნალის საშუალებით მივეფერო და ვუთხრა, რომ ძალიან, ძალიან მიყვარს და მენატრება. გული მტკივა, ერთმანეთს ხშირად რომ ვერ ვნახულობთ — 3-4 თვეში ერთხელ ჩამოჰყავს დედამისს ან ბებიას. სხვათა შორის, მე და ჩემი ოქრო გოგო ამ ზაფხულს ერთად ვმღეროდით ბათუმის ბულვარში და ძალიან ბედნიერები ვიყავით...

■

ეკას „ფეშენ ვიკზე“ დავადგი თვალი და ურთიერთობაც აგვწყო, ერთმანეთი ძალიან გვიყვარს

ცხრათვიანი კურსი აბიტურიენტებისათვის
ორწლიანი კურსი მეთერთმეტეკლასელებისათვის

- ეროვნულ და საატესტატო გამოცდებზე მაქსიმალური შედეგი;
- სასწავლო დროის ოპტიმალურად განაწილება;
- პროფესიონალ პედაგოგთა გუნდი;
- მოტივირების ეფექტური სისტემა;
- კეთილგანწყობილი გარემო;

ჩვენი მიზანია აბიტურიენტი ჩაირიცხოს მისთვის სასურველ ფაკულტეტზე და მოიპოვოს სახელმწიფო დაფინანსება.

ეიმეც
აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი

აბიტურიენტებისათვის თითოეულ საგანში მეცადინეობები ტარდება კვირაში სამჯერ და მისი საფასური შეადგენს თვეში 110 ლარს. ორი. სამი და მეტი საგნის არჩევის შემთხვევაში მოქმედებს ფასდაკლების სისტემა.

მეთერთმეტეკლასელებისათვის თითოეულ საგანში მეცადინეობები ტარდება კვირაში ორჯერ და მისი საფასური შეადგენს თვეში 90 ლარს. ორი. სამი და მეტი საგნის არჩევის შემთხვევაში მოქმედებს ფასდაკლების სისტემა.

სწავლა იწყება 29 სექტემბერს.

მისამართი: მარჯანიშვილის ფილიალი: ზ. ჭავჭავაძის 9 (ყოფილი შეროზიას ქ); ტელ:251 43 80
საბურთალოს ფილიალი: ს. ჩიქოვანის 2 (ყოფილი ხილიანის ქ); ტელ: 8790 725 000
მობ: 599 725 000
www.center.ge

პოპულარული მსახიობი და 4 შვილის მზრუნველი დედა

„გოროზი მერის“ საზაფხულო არდადეგები

მსახიობ ნანუკა ლიმანიშვილთან ინტერვიუს ჩაწერა ჯერ კიდევ გასულ ზამთარს მინდოდა. დავურეკე და ვთხოვე, — თუ შეიძლება, მეუღლესთან (თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მმართველ ზურა გეწაძესთან) ერთად, ოჯახურ ინტერიერში ჩაგწერთ-მეთქი. მიპასუხა: — სიამოვნებით, მაგრამ ზურა ავადაა და იქნებ ინტერვიუ სხვა დროისთვის გადავდოთო. დათქმულ დროს რესპონდენტებს ველარ შევეხმიანე, რადგანაც თავად გავხდი ავად... ნანუკას მეორედ ივლისში დავურეკე, — ახლა მაინც ჩავწეროთ ჩვენი გადადებული ინტერვიუ-მეთქი. შეწუხდა, — სიამოვნებით, მაგრამ ქალაქში არ ვარ, თბილისში სექტემბრამდე ვერ ჩამოვალო და დასძინა, — შვილებთან ერთად დაბა ფასანაურში ვისვენებო. ამ ამბავმა გამახარა, რადგანაც ზუსტად 2 კვირაში, კუთვნილი შვებულების გატარებას მეც სწორედ ფასანაურ-ში ვაპირებდი და როცა ეს ნანუკას ვუთხარი, ისე გაიცინა, მივხვდი, „გოროზი მერი“ (როგორც მას სერიალში ოთარ ტატიშვილის გმირი ეძახდა) სულაც არ იყო უხასიათო... მოკლედ, ნანუკას 19 აგვისტოს, ფერისცვალებას შევხვდი და მასთან სტუმრად მისული იმაშიც დავრ-წმუნდი, რომ მერი-ნანუკა უგემრიელეს ყავას ხარშავს, შესანიშნავი დიასახლისია და ძალიან უყვარს სტუმრები...

ლალი ფაცია

არდადეგები მთაში

— როგორ ისვენებთ?

— კარგად. არაჩვეულებრივ ბუნე-ბაში ვარ შვილებთან ერთად და შესანიშნავ ჰაერს ვსუნთქავ, აქაუ-რობა ენერგიით მავსებს. უფროსი ვაჟი 3 წელია, დასასვენებლად მარ-ტო მიდის და ჩვენთან ერთი-ორი დღით თუ ჩამოვა, ისიც მაშინ, როდე-საც პატარა დაიკო მოენატრება. მოკლედ, აქ 3 ბავშვით ვარ ჩამოსუ-ლი, მეუღლე კი თბილისშია, მუშაობს და ჩვენს მონახულებას მხოლოდ შაბათ-კვირას ახერხებს. ადრე, როცა ერთი და იგივე პროფესია გვქონდა, მთელ ზაფხულს ერთად ვატარებ-დით, მაგრამ მას მერე, რაც რე-ჟისორი და შემდეგ უკვე თეატრის მმართველი გახდა, მე და ბავშვებს მის გარეშე გვიწევს არდადეგების გატარება. არადა, ზურასაც ჩემსავ-ით უყვარს ბუნებაში ყოფნა...

— ბევრი დასასვენებლად ზღვი-სპირეთში მიდის, თქვენ კი უპი-რატესობა მთას მიანიჭეთ და აგა-რაკად ფასანაური აირჩიეთ.

— დავიწყებ იმით, რომ ზღვისპი-რა ქალაქში დიდხანს ყოფნა სიამ-ოვნებას არ მანიჭებს, ამიტომ იქ მხო-ლოდ რამდენიმე დღით თუ წავალ. ცურვაც არ ვიცი და გარუჯვა ხომ საერთოდ არ შემიძლია, მზეზე წოლი-სას ვიტანჯები... და როდესაც სექტემ-ბერში, ზღვიდან ყველა გარუჯული ბრუნდება, მე „თეთრი ყვავივით“ ვარ (*იცინის*). მოკლედ, ზღვა არ მიყვარს და იქ ფულის ხარჯვას მთაში ყოფნა მირჩევნია.

4 შვილის დედა

— შვილებიდან ყველაზე უმ-ცროსს — 2-წლინახევრის ნუცას გვერდიდან არ იცილებთ. ამასთან, 16 წლის სალომე და 14 წლის ზუკაც მუდმივად თქვენი ყურა-დღების ცენტრში არიან. არ იღლებით?

— (*იღიმება*) ნუცა ჯერ ძალიან პატარაა და მთლიანად ჩემზეა დამოკ-იდებული. სერიალის გამო, ივლის-ში ერთ-ორჯერ, ფასანაურიდან წას-ვლა მომიხდა და ბავშვებთან ჩემი მშობლები დარჩნენ. როცა დავბრუნ-დი, ნუციკომ მისაყვედურა, — შენ რატომ დამტოვეო?.. დაღლაზე ვე-რაფერს ვიტყვი, რადგანაც ეს ჩემი მოვალეობაა, მე ხომ დედა ვარ!

— ახალგაზრდა შემოქმედ ოჯახ-ებში მრავალშვილიანობა იშვიათი რამაა. თქვენ და ზურას კი ეს ნამდვილად არ გიშლით ხელს და აქტიური შემოქმედებითი ცხოვრე-ბით ცხოვრობთ... პირადად თქვენ, როგორც გატყობთ, საკმაოდ აქტი-ური ხართ.

— კი, ასეა. ერთ ადგილზე უქმად გაჩერებაც არ შემიძლია, სულ ვმოძრაობ და თუ გავჩერდი, ე.ი. ცუდად ვარ (*იცინის*)...

— აქტიური და ენერგიული რომ ხართ, ისიც მეტყველებს, რომ შვილები ძიძის გარეშე გაზარდეთ, რაც ჩვენი რეალობისთვის უჩვეუ-ლო რამაა...

— რატომ არის უჩვეულო? პირი-ქით, ბევრ ისეთ ადამიანს ვიცნობ, რომელიც ფიქრობს, რომ შვილი დედამ უნდა გაზარდოს! ძიძასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრე-ბა მაქვს: უცხო ადამიანს ბავშვს ვერ ვანდობ! ის კი არა, ნუციკოს დე-დაჩემს რომ ვუტოვებ, მაშინაც ვერ ვისვენებ, მუდმივად ვურეკავ და ბავშ-ვის ამბავს ვკითხულობ. ისე, ჩემი პატარა ცოტა სიბერეში კი გამიჩნ-და, ხომ იცი (*იცინის*)...

— რა დროს სიბერეა?

— ასე იმიტომ ვამბობ, რომ უფროსი შვილი — ერეკლე უკვე 20 წლისაა. ვხუმრობ ხოლმე: ვერ ვხვდე-ბი, ნუციკო ჩემი შვილია თუ შვილ-იშვილი-მეთქი. მეჩვენება, რომ მასზე „დაფეთებული“ ვარ, მისი დაბადება რაღაც სხვანაირად ვიგრძენი და განვიცადე... თუმცა, თავის დროზე უფროსებზეც ასეთი „დაფეთებული“ ვიყავი და ახლაც, როცა სადმე მიდ-იან, ხშირ-ხშირად ვურეკავ. ისე, ერეკლე ამის უფლებას აღარ მაძ-ლევს და მეც გავაცნობიერე, რომ უკვე იმ ასაკშია, როცა აღარ შეიძ-ლება, გამუდმებით კუდში ვდიო. ბოლოს და ბოლოს, დედამ შვილს თავი არ უნდა მოაბეზროს.

— მეხუთე შვილიც რომ გაგიჩნდეთ...

— (*მაწყვეტინებს*) ახლა მგონი, ბებიობისთვის უნდა მოვემზადო, მაგრამ თუკი მეხუთე შვილსაც მოგვცემს ღმერთი, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს... სხვათა შორის, ასეთი რამ მემართებოდა — გამანაწილებდნენ როლზე და მალევე გაირკვეოდა, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ჰოდა, დავტოვებდი ყველაფერს და დეკრეტში გავდიოდი. ერეკლეზე ფეხმძიმობისას საკურსოსთვის პირანდელოს „ავტორის მაძიებელ 6 პერსონაჟზე“ ვმუშაობდი, ერთ-ერთი მთავარი როლი მქონდა, რომელსაც თან გადავყევი, მაგრამ ვერ ვითამაშე...

— როგორც ვიცი, ერეკლე მსახიობია. მის პროფესიულ არჩევანზე გავლენა თქვენ მოახდინეთ?

— ერეკლე თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლობს, მესამე კურსზე გადავიდა. არ გვეგონა, მსახიობობას თუ გადაწყვეტდა. კარგად ხატავს და ვფიქრობდით, სწავლას ან სამხატვრო აკადემიაში გააგრძელებდა, ან მუსიკალურ სასწავლებელში, მაგრამ სკოლის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე გამოგვიცხადა, — მსახიობობა მინდაო. კინოსარეჟისოროსა და სამსახიობოზე ერთდროულად აბარებდა და ორივეგან 100-100 ქულა დააგროვა. ეხვეწებოდნენ, — კინოსარეჟისოროზე დარჩიო (მისი თემა მოეწონათ), მაგრამ უარი თქვა. ახლა სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლობს, გოგი მარგველაშვილის ჯგუფშია.

— სალომესა და ზუკაზეც გვიამბეთ.

— სალომეს ბებიაჩემის (*მსახიობი სალომე ყანჩელი. — ავტ.*) სახელი ჰქვია. მას „ტექნიკური“ ტვინი აქვს, მათემატიკის მოყვარულია. კარგი სმენაც აქვს და მუსიკალური ცხრაწლედი დაამთავრა. ახლა გალობს... ზუკას, იმავე — ზურაბ-იოანეს არტისტისთვის საჭირო მონაცემები კი აქვს, მაგრამ ჯერ არ ვიცით, რას იზამს...

წარმატებული როლი ტელესერიალში და პოპულარობა

— სერიალმა — „შუა ქალაქში“, კერძოდ კი თქვენმა პერსონაჟმა (მდივანი მერი), პოპულარული გაგხადათ...

— ერთხელ „ღამის შოუს სტუდიიდან“ დამირეკეს და მითხრეს, — მსახიობი გვჭირდება, რომელიც ირაკლი ჩხეიძის მდივნის როლს შეასრულებს. არ ვიცით, ამ პერსონაჟის ბედი როგორ განვითარდება, მაგრამ იქნებ მაინც მოხვიდეთო. ეს პროექტი უკვე ისეთი წარმატებული იყო, სიმართლე გითხრათ, ამ წინადადებამ დამაფრთხო და მეუღლეს დავურეკე, — რა ვქნა-მეთქი? მიპასუხა, — რას მეკითხები? თუ მსახიობი ხარ, მიწვევა უნდა მიიღოო. მოკლედ, „ღამის შოუს სტუდიაში“ საკმაოდ შეშინებული მივედი, მაგრამ იქ ისეთი სიტუაცია დამხვდა, შიში გამიქრა, ეს კი პირველ რიგში, ჩვენი რეჟისორის — გოჩა კორხელაურის, იმავე კოხის დამსახურებაა. როცა მასთან და ოთარ ტატიშვილთან პირველივე შეხვედრამ, რეპეტიციამ წარმატებით ჩაიარა, დავმშვიდდი...

— რას ნიშნავს თქვენთვის პოპულარობა?

— ამ როლმა ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა. ტელესერიალს უზარმაზარი აუდიტორია ადევნებს თვალს. მანამდე მხოლოდ თეატრის მაყურებელი თუ მიცნობდა, ახლა ყველამ იცის, რომ მსახიობი ვარ. ადამიანები თბილად მხვდებიან, რაც ძალიან სასიამოვნოა. აქაც, ფასანაურში, უცხო ბავშვები მეკითხებიან, — თქვენ ნამდვილად ის მერი ბრძანდებით, „შუა ქალაქში“ რომ თამაშობსო? ყველაზე მეტად ის უკვირთ, რომ ვიცინი და ვიღიმი. აქ ახალი ჩამოსულები ვიყავით, როცა ვილაცამ მანქანა გააჩერა — როგორც ჩანს, ავტომობილში მსხდომმა ბავშვებმა მიცნეს. პატარების მამას უთქვამს, მოდი, მერისთან სურათი გადავიღოთო, მეუღლეს კი შეუჩერებია, — მოიცა, მაგის თავი გაქვს, რამე უკმეხად არ გვითხრასო... ასე რომ, „ღამის შოუს სტუდიის“ მიმართ მადლობის მეტი, არაფერი მეთქმის...


თუკი მეხუთე შვილსაც მოგვცემს ღმერთი, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს...

— ხასიათით მერის ხომ არ ჰგავხართ, ცხოვრებაშიც ისეთივე მკაცრი ხართ?

— უხასიათო არ ვარ და იუმორიც კარგად მესმის. ისე, ჩემს შვილებს რომ ჰკითხოთ, მკაცრი ვარ...

ქორწინებიდან 21 წლის შემდეგ...

— ამას წინათ ოთარ ტატიშვილის შოუშიც გამოჩნდით და აუდიტორიას ასეთი ტექსტით მიმართეთ: „მე ვარ კინომსახიობთა თეატრის მსახიობი და ძალიან მიყვარს თეატრის კოლექტივი, მაგრამ განსაკუთრებულად მიყვარს ამ თეატრის მმართველი, ეს მმართველი კი ჩემი ქმარია“. როდის დაიწყო თქვენი და ზურა გეწაძის სიყვარული?

— ჩვენ თეატრალურ ინსტიტუტში ჯგუფელები ვიყავით, მიშა თუმანიშვილის ჯგუფში გახლდით. მეორე კურსზე ვიყავით, როცა დაქორწინება გადავწყვიტეთ. სხვათა შორის, 1-ელ სექტემბერს ქორწინებიდან 21 წელი შეგვისრულდება...

— როგორც გავიგე, თურმე ზურა, როგორც მსახიობს, გჩაგრავთ. ასეა?

— როცა ზურა თეატრის მმართველად დანიშნეს, მე მეოთხე შვილი შემეძინა. მერე ლაშა ბუღაძის „შვიდი პატარა პიესა“ დადგა და იმ წარმოდგენაში არ ამიყვანა, რადგანაც იქ საჩემო როლი არ იყო. ჰოდა, ეს ამბავი ხელზე დავიხვიე და ხუმრობით ვამბობდი, — სპექტაკლში როლი არ მომცა, მჩაგრავს-მეთქი... ახლა ჩვენს თეატრში ზურას ინიციატივით, დიდი პროექტი იწყება — „თუმანიშვილის მოწაფეები მის თეატრში“. რობერტ სტურუამ, თემურ ჩხეიძემ, დათო საყვარელიძემ, დათო დოიაშვილმა და ლევან წულაძემ ჩვენი თეატრის სცენაზე თითო სპექტაკლი უნდა დადგან და ეს ღონისძიება მიშა თუმანიშვილის 90 წლის იუბილეს მიეძღვნება. იმედი მაქვს, რომელიმე სპექტაკლში მაინც მოვხვდები...

ანა რეხვიაშვილმა ლევან ხურციასთან რომანი აღიარა

„დღეს ჯარგად ვართ, მომავალზე არ ვფიქრობთ"

თბილისში დიდი ხანია ქორაობენ, ანა რეხვიაშვილსა და მსახიობ ლევან ხურციას რომანი აქვთო, მაგრამ ამის შესახებ ისინ საჯაროდ არაფერს ამბობენ. მეტიც, კარგა ხანს თურმე თავს იტყუებდნენ, მხოლოდ მეგობრები ვართო. ნესტან კირთაძის ქალიშვილი რედაქციაში თავისივე ფსიქოპორტრეტზე სასაუბროდ მოვიწვიე და ამ რომანის შესახებ რაღაც-რაღაცები დავტყუე.

ნინო მჭედლიშვილი

— ძალიან ლამაზი, ფერადი და ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ოჯახში ხმამაღალი სიტყვა არავისგან გამიგონია და ამან ჩემი ხასიათის ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია — საოცრად მშვიდი ვარ. პატარაობისას ჩემგან მხოლოდ კარგ სწავლას მოითხოვდნენ. მახსოვს, მშობლები არავითარ შემთხვევაში არ დამტოვებდნენ ღამით დაქალთან, 9 საათზე აუცილებლად შინ უნდა ვყოფილიყავი...

— **ასეთი შეზღუდვები შვილსაც ხომ არ დაუწესე?**

— ჩემი შვილი ბიჭია (თემო 10 წლისაა) და ისე ვერ ვზღუდავ, როგორც მე მზღუდავდნენ მშობლები, თუმცა, მისგან მეც კარგად სწავლას ვითხოვ.

— **პირველ რიგში, შენს რომელ თვისებას გამოყოფ?**

— პასუხისმგებლობის გრძნობა ზედმეტად მაქვს განვითარებული და ვითრგუნები, როცა ვერ ვაკეთებ იმას, რაც მევალება...

— **ვიცი, რომ მამასთან მეგობრობ.**

— ბავშვობიდან ასეა. მახსოვს, მამა სადაც უნდა წასულიყო, მეც მივყავდი. დედისერთას ისე მზრდიდა, როგორც ბიჭს. მასწავლა უფროსებთან, მამაკაცებთან ურთიერთობა.

— **დედა ხომ არ ეჭვიანობს?**

— (*იღიმის*) ცოტას, მაგრამ მას ჩვენთვის არასდროს სცალია, სულ დაკავებულია.

— **მოსკოვში ცხოვრობ, მაგრამ საქართველოს ხშირად სტუმრობ. ასეთი ცხოვრება, მუდმივად გზაში ყოფნა, არ გიჭირს?**

— არა, ამგვარ ცხოვრებას მივეჩვიე და სხვანაირად ვერც წარმომიდგენია. თბილისში ბედნიერი ვარ, რადგან აქაურობა ძალიან მიყვარს, მაგრამ მოსკოვი მაინც მენატრება.

— **მოსკოვში რას აკეთებ?**

— დიპლომატიურ აკადემიაში ვსწავლობ. პარალელურად ვმუშაობ ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში და ვცდილობ, ქართულ-რუსული ურთიერთობების აღდგენაში (კულტურის თვალსაზრისით) ჩემი წვლილი შევიტანო. ვნახოთ, რა გამოვა.

— **რუსეთში მარტო ცხოვრობ?**

— კი და ცხადია, იქ ყოფნისას ყველაზე მეტად შვილი მენატრება. თემო ბებიასთან, ნესტანთან არის და არდადეგებზე მსტუმრობს.

— **რომანტიკული ხარ?**

— საკმაოდ. ყველაფერს ვარდისფერი სათვალით ვუყურებ, მაგრამ ზოგჯერ ჩემში რეალობის აღქმის მამაკაცური უნარიც იღვიძებს და ჩემს რომანტიზმს

მე და დედა ვმეგობრობთ და მას არაფერს ვუმალავ

სახელოვანი წინაპარი

— **ცნობილი მსახიობის — სალომე ყანჩელის შვილიშვილი ხართ. ბებია კარგად გახსოვთ?**

— 16 წლის ვიყავი, როცა ბებია (62 წლის ასაკში) გარდაიცვალა, სიმსივნე ჰქონდა... მისი დაჟინებული მოთხოვნა იყო, მსახიობი გამოვსულიყავი. არ უყვარდა, როდესაც მასთან საგრიმიოროში ვინმე შედიოდა, მხოლოდ მე მაძლევდა ამის უფლებას და მეუბნებოდა, — ჩემ შემდეგაც ამ მაგიდასთან შენ უნდა დაჯდეო. განიცდიდა: შენს მსახიობობას ვერ მოვესწრები, იქამდე ვერ მივაღწევო. ძალიან ძლიერი ქალი იყო — მძიმე სენს ბოლომდე ებრძოდა, არც ერთ გასტროლს არ აკლდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის მოგზაურობა ადვილი არ იყო. დაავადების აღმოჩენის შემდეგ რომ ეგონათ, 2-3 წელიწადს იცოცხლებდა, 8 წლის შემდეგ გარდაიცვალა. გული სწყდებოდა, რომ ახლობლებიდან მისი სახელი შვილს არავინ დაარქვა. ამიტომაც შევპირდი, — შენს სახელს ჩემს გოგონას დავარქმევ-მეთქი. შენ რომ შვილი გეყოლება, მე ამქვეყნად აღარ ვიქნები და ალბათ, აღარც გეხსომებიო, — მითხრა. როცა გავიგე, მეორე შვილი — გოგონა უნდა შემძენოდა, ძალიან გამიხარდა, რადგანაც შანსი მომეცა, ბებიასთვის მიცემული პირობა შემესრულებინა.

— **ბაბუა — ოთარ ლიითანიშვილიც ცნობილი ადამიანი იყო. ის წლების განმავლობაში ქალაქის მთავარი მხატვარი, ერთი პერიოდი კი ქალაქის მერიც გახლდათ. მასთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

— თბილი. კარგის მეტს მასზეც ვერაფერს ვიტყვი. ის 2003 წელს გარდაიცვალა...

— **რას ნიშნავს თქვენთვის, რომ ასეთი ადამიანების მემკვიდრე და შვილიშვილი ხართ?**

— პირველ რიგში, დიდი პასუხისმგებლობაა. წლების შემდეგ შესაძლოა, ადამიანებს ძველი თაობის მსახიობები დაავიწყდეთ, მაგრამ ბებია-ბაბუა ჩემს მეხსიერებაში ყოველთვის იარსებებს... მახსოვს, ბებიასთან ერთად სიარული მიხაროდა და მეამაყებოდა. ვინ იცის, რამდენჯერ ყოფილა, რომ ტაქსის მძღოლებს ჩვენთვის ფული არ გამოურთმევიათ... მეამაყებოდა და მეამაყება, რომ ვარ სალომე ყანჩელის შვილიშვილი. ■

ფრთებს აჭრის. მე ვარ ადამიანი, რომელიც რეალობის განცდას არასოდეს კარგავს.

— მაშინაც, როცა შეყვარებული ხარ?

— მაშინაც.

— ბოლო დროს შენ და მსახიობ ლევან ხურცილას რომანზე ალაპარაკდნენ. რა ხდება თქვენ შორის?

— ყველაფერი ერთი ფილმიდან დაიწყო. ქართველთა კავშირმა რუსეთში გადაწყვიტა გადაეღო ფილმი — „მოსკოვი-თბილისი“, სადაც მთავარ როლს ლევან ხურცია თამაშობს. ჩვენი ორგანიზაცია — „ივერიონი — თაობა საქართველოს მომავლისთვის“ მათ ამ იდეის განხორციელებაში დაეხმარა. სწორედ მაშინ გავიცანი ლევან ხურცია. მას მერე რამდენჯერმე ერთად გვნახეს და ჭორიც აგორდა.

— თქვენ შეხვედრები მხოლოდ საქმიანი იყო?

— თავიდან კი (*ილიმის*). მერე მოვიდა ის რაღაც ვარდისფერი, რასაც რომანტიკა, ჰაერი, მზე ჰქვია და თვალებზე ბინდი გადამეკრა. მივხვდი, ეს არის ადამიანი, ვისთანაც კარგად ვგრძნობ თავს და ვინც ძალიან მომწონს. ლევანთან საუბარიც მსიამოვნებდა, ბევრ რამეში ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს დაემთხვა და მივხვდი, რომ ეს ადამიანი ყოველთვის მომენატრებოდა. აღმოჩნდა, რომ ისიც იმავეს გრძნობდა.

— ეს როგორღა აღმოაჩინე?

— ასეთ რამეს ქალი ყოველთვის გრძნობს და აქ სიტყვა ზედმეტია. მიუხედავად ამისა, დიდხანს ვმალავდით გრძნობებს, თავსაც კი ვიტყუებდით, თითქოს მხოლოდ მეგობრები ვიყავით. დღეს შემიძლია თამამად ვთქვა, რომ შეყვარებული ვარ. აქამდე იშვიათად ვამბობდი სიტყვას — „მიყვარხარ“, ახლა კი მინდა ვიყვირო, რომ მიყვარს. საერთოდ არა მაქვს იმის განცდა, რომ ქალი ვარ და მოკრძალებული უნდა ვიყო. ეს ალბათ დიდი ბედნიერების ბრალია.

— ლევს თუ უთქამს შენთვის, რომ ამ თემაზე საჯაროდ არ ილაპარაკო?

— ვიცი, პრესასთან პირად საკითხებზე არ ლაპარაკობს და ეს არც უნდა მეწყინოს, მაგრამ ამ გრძნობას ვეღარ დავმალავ. ჩვენ ხშირად ვჩნდებით ერთად და რამდენ ხანს უნდა ვატყუოთ ხალხს, რომ ფილმზე ვლაპარაკობთ (*იცინის*)? სხვათა შორის, ფილმის გადაღება სავარაუდოდ, 1-ელ ოქტომბერს დასრულდება და მას მაყურებელიც იხილავს.

— ქალბატონმა ნესტანმა თუ იცის შენ სიყვარულის ამბავი?

— მე და დედა ვმეგობრობთ და მას არაფერს ვუმალავ. მითხრა, ჭკვიანი გოგო ხარ და იცი, რა როგორ უნდა გააკეთო; ეს შენი ცხოვრებაა და ისე მოიქეცი, როგორც საჭიროდ ჩათვლი, მთავარია, ბედნიერს გხედავდეო.

— შენი სასიყვარულო ამბის მოსმენით ისე გავერთე, რომ ჩვენი რუბრიკის შინაარსი სულ დამავიწყდა. საინტერესოა, როგორი დიასახლისი ხარ?

— ნამდვილი ოჯახის გოგო ვარ, მიყვარს სამზარეულოში ტრიალი. რომ არა ჩემი საქმე, კარგი დიასახლისი ვიქნებოდი. მართალია, მარტო ვცხოვრობ, მაგრამ ჩემს სახლში ყოველდღე უამრავი მეგობარი იყრის თავს.

— რა უარყოფითი თვისებები გაქვს?

— ჰოროსკოპით სასწორი ვარ და უმნიშვნელო რაღაცები მიცვლის ხასიათს, თან — რადიკალურად. ხასიათი შეიძლება გამიფუჭოს წვიმამ, არასწორად გაგებულმა წინადადებამ, ყვავილის ფერმა...

— ეჭვიანი ხარ?

— მერწმუნეთ, არ ვეჭვიანობ არც საყვარელ ადამიანზე, არც — მეგობარზე. უბრალოდ, მათგან ყურადღებას ვითხოვ.

— თუ საყვარელი ადამიანი ყოველდღე არ გირეკავს, არ განებივრებს საჩუქრებით, მის ასეთ საქციელს რას მიაწერ?

— თუ უყვარხარ, შენთვის დროს ყოველთვის გამონახავს!

— საყვარელ მამაკაცს შენ თვალწინ სხვა ქალისკენ რომ გაექცეს თვალი, არც მაშინ იეჭვიანებ?

— ჩავთვლი, რომ ეს მისი სისუსტეა. მამაკაცმა ყოველთვის უნდა მიაქციოს სხვა ქალს ყურადღება, რათა საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნდეს. ალბათ, იმ ქალზე რაღაცას ვკითხავ, მაგრამ ეს სკანდალის მიზეზი არ გახდება, ასე თავს არ დავიმცირებ. ამას აკეთებენ ქალები, რომლებსაც არასრულფასოვნების კომპლექსი აქვთ... ისე, მე ღალატის პატიებაც შემიძლია და აკი, ვაპატიე კიდეც.

— ყოფილ მეუღლესთან ურთიერთობას გულისხმობ?

— რა თქმა უნდა!

— მაგრამ მან ხომ თავად გაგიმხილა, რომ სხვა შეუყვარდა?

— ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, წერილი მისწერა იმ ადამიანს, მასთან ერთად კაფეში ყავა დალია თუ ლოგინში ჩაიწვინა. როცა გონებაში უშვებ სხვასთან ურთიერთობას, ეს უკვე ღალატია.

— მსგავსი რამ თავად რომ დაგმართოდა, რას იზამდი?

— ერთი ნახვით შეყვარების არ მჯერა. როცა გყავს ქმარი, შვილები, ოჯახი, სხვასთან ურთიერთობის გაბმაზე არ უნდა იფიქრო. თუ მსგავსი რამ ჩემს ცხოვრებაშიც მოხდება, რასაკვირველია, იმავეს გავაკეთებ, რაც ჩემმა ექსმეუღლემ, — ტყუილში ცხოვრებას ოჯახის დანგრევა სჯობია.

— შენს შვილს მამასთან როგორი ურთიერთობა აქვს?

— არდადეგებს მასთან ატარებს, ტელეფონით ყოველდღე ელაპარაკება...

— რას აკეთებ იმისთვის, რომ შვილს უმამობა არ აგრძნობინო?

— ამ დანაკარგს ვერაფრით შევუვსებ, თუმცა ვცდილობ, ზოგჯერ „მამის ტყავი“ მოვირგო და მიმყავს ისეთ ადგილებში, სადაც მამა წაიყვანდა — კარტინგებზე, ფეხბურთზე; ვანებივრებ საჩუქრებით...

— ლევანს იცნობს?

— კი... თემო სულ მეუბნებოდა: შენ ხომ უკვე ქმარი გყავს (მამამისს გულისხმობდა) და აღარ გათხოვდებიო! როცა ჩემსა და ლევანს შორის რაღაც იწყებოდა, ძალიან ვნერვიულობდი. არ ვიცოდი, შვილისთვის ეს როგორ გამემხილა. ერთხელ სერიალს — „გოგონა გარეუბნიდან“ ვუყურებდით. გამოჩნდა ლევანი და ვთქვი, — უმე, ეს ბიჭი როგორ მომწონს-მეთქი. თვალი ჩემკენ გამოაპარა და მკითხრა: როგორც მსახიობი, ისე მოგწონსო? — არა, როგორც ბიჭი-მეთქი, — დავუკონკრეტე. — ეს ბიჭი მართლა კარგია, მეც მომწონსო, — თქვა და გულზე მომეშვა. ერთხელ ლევანმა შინ მომაკითხა. თემო ეზოში თამაშობდა და როგორც კი დაინახა, თვალი ჩამიკრა, მერე ისინი ერთმანეთს გავაცანი...

იმედი მაქვს, რომ ლევანი მოახერხებს და მოსკოვში ჩამოვა ხოლმე

— ახლა რას აპირებთ?

— მომავალზე არ ვლაპარაკობთ. დღეს კარგად ვართ და ამით ვართ ბედნიერები.

— მოსკოვში როდის მიემგზავრები?

— რამდენიმე დღეში მივდივარ. ახლა ერთი ადამიანით მეტი მეგულება თბილისში, ვინც მომენატრება და ურომლისოდაც ყოფნა გამიჭირდება. ახლა იმის იმედი მაქვს, რომ ლევანი მოახერხებს და მოსკოვში ჩამოვა ხოლმე. ■

„ჩემი ბაღი ყველას აოცებს“



ალექსანდრე ელიზბარაშვილი, იგივე შურა პაპა, გორის კოლორიტია. მასზე ბევრ საოცარ ამბავს ჰყვებიან, იმასაც კი ამბობენ, — ჯადოქარია, მცენარეების ენა ესმისო. 85 წლისაა, მაგრამ ისეთი მხნე და ენერგიულია, ბევრი ახალგაზრდა ვერ დაიკვეხნის. ხეზე თავისუფლად ადის. კენწეროში, რომელსაც სხვები ვერ სწვდებიან, მზეზე დაბრანწულ ხილის ნაყოფს მოწყვეტს და სტუმარს საკუთარი ხელით მიართმევს. ამბობს, ამ ადგილებში ყველა ხეხილი გემრიელ, თაფლივით ტკბილ ნაყოფს ისხამსო.

ელენე ხირსელი

მებაღე – ჯადოქარი

— 1953 წელს გორში ძველი, ეზოიანი სახლი ვიყიდე, დავანგრიე და მის ადგილას დიდი ორსართულიანი სახლი წამოვჭიმე. მაგრამ სახლი რა სახლია, თუ ბაღი არ ამშვენებს?! გადავწყვიტე, ისეთი ბაღი გამეშენებინა, დიდი თუ პატარა გამეოცებინა! მგონი, საწადელს მივაღწიე. ნერგები ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამომქონდა. სამწუხაროდ, თვითონ ვერ მოვახერხე საზღვარგარეთ გამგზავრება, მაგრამ როგორც კი შევიტყობდი, ვინმე უცხოეთში მიდიოდა, ნაცნობსა თუ უცნობს, ყველას იშვიათი მცენარეების თესლების ჩამოტანას ვთხოვდი. სხვათა შორის, აფრიკაში ერთი კაშკაშა ხე („ეშმაკის ხეს“ ეძახიან) ყოფილა, რომელიც ღამით ანათებს და ისეთი შარავანდედი ადგას, თურმე ღამით მის ძირში წიგნის კითხვაც კი შეიძლება. აი, ასეთი ხე რომ მქონოდა, როგორ დაამშვენებდა ჩემს ბაღს?!

— რამდენი სახეობის მცენარეა თქვენს ბაღში?

— ასამდე. ყველას რა მოთვლის — ტროპიკული ლიანები, მანდრაგორა, იშვიათი ჯიშის პალმები, მარადმწვანე ქაცვი, 5-6 სახის ბზა, ტუია, ჩინური ვარდი, ცხენისწაბლა... ჩემი ბაღი მთელი წლის განმავლობაში, ზამთარ-ზაფხულ, ერთნაირად ლამაზია. სხვადასხვა ჯიში სხვადასხვა სეზონზე ყვავილობს, გაზაფხულზე ძირითადად ვარდები. ივნისში — ფხვიერა ეხვევა, თანდათან ტროპიკული მცენარეებიც იღვიძებენ, მერე 3 თვე — ვაზი, სურო და ჟასმინი ახარებს თვალს, ზამთარში კი მარადმწვანე მცენარეების წყალობით, ბაღი ისეთივე მშვენიერი და თვალისმომჭრელია, როგორიც წლის ნებისმიერ დროს. თოვლის მოსვლისას საოცარი სანახაობაა: ხასხასა მწვანე მცენარეებს თეთრი ფიფქები ადნება. მწვანე ფერი — ახალგაზრდობისა და სიმორცხვის სიმბოლო, სიწმინდისა და სისპეტაკის სიმბოლოს — თეთრს ერწყმის. ზოგიერთ მცენარეს, მაგალითად ტუიას, ფრინველები (შაშვი, გარეული მტრედი) ეტანებიან. თუ ჩიტების ჭიკჭიკით დატკბობა გინდა, ამ ხის ძირას უნდა ჩამოჯდე — უდიდესი სიამოვნებაა!.. ერთი მოზრდილი და რამდენიმე მომცრო ზომის კუნძი მაგიდისა და სკამების ფუნქციას ასრულებს — დამეთანხმებით, აქ ქეიფსა და ტკბილ მუსაიფს არაფერი ჯობს! ეგზოტიკურ ბაღს სიმყუდროვეს მატებს ქართული ეროვნული ატრიბუტები: გემოვნებით მოწყობილი მარანი, ქვევრითა და ჭურით, თონე, არყის სახდელი...

— თქვენს ბაღში ბევრი ისეთი ჯიშის მცენარე ვნახე, რომელიც საქართველოში არ ხარობს...

— თავიდან ჩვენს პირობებს შეჩვეულ მცენარეებს ვრგავდი. მერე გადავწყვიტე, ჩინური ვარდი, აფრიკული პალმის ერთი იშვიათი ძირი გამეხარებინა. ისე „გაინავარდეს“, როგორც მშობლიურ ნიადაგზე. ამან იმხელა სტიმული მომცა, ყოვლისშემძლედ ვიგრძენი თავი. ფრთები შემესხა. საერთოდ, რომელ მცენარესაც მოვკიდებ ხელს, როგორი მოწყენილიც უნდა იყოს, მაშინვე გახალისდება. როგორც პატარა ბავშვს, ისე ველოლიავები და ვეფერები თითოეულ ღეროსა და ფოთოლს. ყველამ იცის, რომ მცენარე

რომელ მცენარესაც მოვკიდებ ხელს, როგორი მოწყენილიც უნდა იყოს, მაშინვე გახალისდება

ცოცხალი არსებაა — სუნთქავს, მრავლდება, — მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ მათ „ადამიანური გრძნობებიც“ აქვთ და ჩვენი ენაც ესმით. ამიტომაც ვცდილობ, მცენარეებს ხშირად ვესაუბრო. როცა რაღაც მაწუხებს, ისინიც მოიწყენენ; თუ გახარებული ვარ, მათაც უხარიათ — გაიშლებიან და ისეთ არომატს აფრქვევენ, დაგათრობენ... ამასთან, მცენარეებს ძალიან უყვართ მუსიკა, ოღონდ, სხვადასხვა სტილზე სხვადასხვაგვარად რეაგირებენ: წყნარი, ლირიკული მელოდიები ამშვიდებთ, მხიარული და რიტმული — ახალისებთ, როკი და მეტალი — აღაგზნებთ... თუ მცენარეების სწრაფად გაზრდა გინდათ, ხშირად მოასმენინეთ კლასიკური მუსიკა...

შურა პაპას ოჯახი

— **როგორც ვიცი, თქვენს ბაღს უამრავი ადამიანი სტუმრობს...**

— დღე არ გავა, სტუმრები არ მივიღო. ჩამოდიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, საზღვარგარეთიდან. აგრონომები და სელექციონერები პროფესიონალური საკითხებით ინტერესდებიან, ბევრიც დასათვალიერებლად მოდის. ამას წინათ ამერიკელი ბიოლოგი მეწვია. გაოცებული იყო, ვერაფრით წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა, რადიკალურად განსხვავებულ პირობებს შეჩვეული მცენარეების თანაარსებობა. მთელი საათი მეხვეწებოდა, — გამიმხილე, რა საიდუმლოს ფლობ და ვალში არ დაგრჩებიო. ჩემი საიდუმლო ის არის, რომ ბუნება საკუთარ თავზე მეტად მიყვარს-მეთქი. ასეთმა პასუხმა არ დააკმაყოფილა და გამინაწყენდა...

— **ბაღში მხოლოდ დეკორატიული მცენარეებია?**

— რა თქმა უნდა, არა. ის ბაღი რა ბაღია, სადაც კაცს პირის ჩატკბარუნება არ შეეძლება?! ჩემთან შეგიძლიათ მიირთვათ: ვაშლი, მსხალი, კარალიოკი, თხილი, ალუბალი, ციტრუსები, ყურძენი... შეგიძლიათ, ჩემი დაწურული ღვინოც იგემოთ, ხის ძირში მუდამ დგას ღვინით სავსე დოქი.

სახელოვანი წინაპრები

— **გამიგონია, ტიტულოვანი, სახელგანთქმული წინაპრები გყოლიათ...**

— დავიბადე 1926 წელს, გორთან ახლოს, სოფელ ქვეშში. ეს ისტორიული ადგილია — იქ არის ქსნის ერისთავთა საძვალე (იქ მარხია ჩემი დიდი პაპა — შიო ელიზბარაშვილიც), XII საუკუნის სამონასტრო კომპლექსი — იკორთა და ციხე, რომელიც შიდა ქართლის საეკლესიო, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი იყო. 1992 წელს, კონფლიქტის შემდეგ, იკორთა ოსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდა, ჩემი მამაპაპის სახლი კი ტაძრიდან კილომეტრის მოშორებით, საზღვრის აქეთა მხარეს არის... ჩემი წინაპრები „პატარა“ ფეოდალები იყვნენ, სახლი და ქონება ბრძოლებში მოიპოვეს. ჩემი დიდი პაპა სოფელ საცხენეთის (ახლანდელი ცხინვალის) რაიონის მკვიდრი, ქსნის ერისთავების მსახური, მეომარი, იკორთის დამცველი გახლდათ. შიო ელიზბარაშვილი ერთ-ერთი დამცველი რაზმის მეთაური იყო. XIX საუკუნის 40-იან წლებში დაღესტნელთა შემოსევებისას გამართულ ბრძოლებში ისახელა თავი. ერთ-ერთ ისტორიულ წყაროში აღწერილია შიოს ბრძოლა: „...არცეულას ხევში შიოს ხმლით დაჩეხილი ათობით მტრის თავი მიგორავდა...“ შიო რუსეთ-თურქეთის ომშიც მონაწილეობდა, მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო. ერისთავმა კარგი სამსახურისთვის 40 ჰექტარი მიწა თავის ტყიანად უბოძა, აუშენა სახლი და მეზობლად დაასახლა. მეგობრობა თაობიდან თაობას გადაეცემოდა: ნიკოლოზ ერისთავის შვილიშვილი ლადო (მამაჩემის თანატოლი და სეხნია) ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი გახლდათ. შიო პაპა ბრძოლებში მიღებული იარების შედეგად გარდაიცვალა. მამა ყმაწვილკაცობაში ვაჭარ იაკობ ეგნატაშვილს ჰყავდა შეგირდად. სხვათა შორის, ამ ოჯახის მოსამსახურე ყოფილა სტალინის დედა — ეკატერინე ჯუღაშვილი და პატარა სოსოს ხშირად უწევდა აქ ყოფნა. ეგნატაშვილის გაკვეთილებს, როგორც ჩანს, უქმად არ ჩაუვლია და მამაჩემი, თანამედროვე ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ნამდვილი ბიზნესმენი დადგა. ძალიან ჭკვიანი, პრაქტიკული, გამჭრიახი გონების, შრომისმოყვარე და საოცრად წესიერი კაცი იყო. სულ გვასწავლიდა, პატიოსნად გვეცხოვრა — გახსოვდეთ, ნაარმევი ქონება არავის შერჩებაო, — გვეუბნებოდა. ბაღებს ყიდულობდა, ხილი მოჰყავდა და მერე საკუთარ მაღაზიებში (მაშინ საბაყლო ერქვა) ყიდდა. 1930 წელს ბოლშევიკებმა თბილისის ბინა, მაღაზიები — ყველაფერი ჩამოგვართვეს. პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, რა უბედურების გადატანა მოგვიხდა: მრავალშვილიანი ოჯახი (8 დედმამიშვილი — 1 და და 7 ძმა) იანვარში ღია ცის ქვეშ დავრჩით. მამა დააპატიმრეს, ჩვენ მარხილში ჩავსხედით და სადღაც გავემგზავრეთ. გზაში ყინული ჩაგვიტყდა და წყალში ჩავცვივდით. ხალხს ეშინოდა „მავნებლის“ ოჯახისთვის დახმარება გაეწია, თუმცა მამას იმდენი სიკეთე ჰქონდა დათესილი, არ დაუვიწყეს — შეგვიფარეს, გაგვათბეს, დაგვაპურეს... მამა ციხიდან მალე გამოუშვეს. ჭკვიანი კაცი იყო, ისეთი რამ მოიფიქრა, ოჯახი დაღუპვისგან იხსნა. ფილიპე მახარაძესთან შეხვედრა მოახერხა.

ამ ოჯახის მოსამსახურე ყოფილა სტალინის დედა – ეკატერინე ჯუღაშვილი და პატარა სოსოს ხშირად უწევდა აქ ყოფნა

მთელი ოჯახი მის კაბინეტში შეგვიყვანა და განუცხადა: თავზე ჭერი არა გვაქვს, მიწა წაგვართვეს, ცოლშვილი შიმშილით მეხოცება, ვეღარ ვინახავ... თქვენ, როგორც ხალხზე მზრუნველ მთავრობას, ბავშვების ქომაგს, ჩემს შვილებს გაბარებთ, მიხედეთო. დედამ და მამამ ოთახი დატოვეს... ბავშვებმა ტირილი მოვრთეთ... ერთი სიტყვით, ფილიპე მახარაძის ბრძანებით, ჯერ სარდაფში შეგვიშვეს, მერე ერთი ოთახი მოგვცეს. მამამ საბაჟოში დაიწყო მუშად მუშაობა. ცოტა ხანში თბილისის განაპირა რაიონში ოროთახიანი სახლი

კეკეს ჭირისუფალი მეც ვიყავი...

ააშენა, ეზო შემოღობა, ბაღში პროდუქტიც მოგვყავდა. მერე ის სახლი გაყიდა და უკეთესი იყიდა. ისეთი კაცი იყო, უდაბნოშიც არ დაიკარგებოდა, ქვიდან წყალს გამოადენდა. ის ხომ იაკობ ეგნატაშვილის მოსწავლე იყო!

— **ალბათ, მამათქვენი ხშირად იხსენებდა ეგნატაშვილების ოჯახში გატარებულ წლებს...**

— მამას ნათესავი — ვანო ილურიძე, იაკობ ეგნატაშვილის მოურავი იყო. ლადო 13 წლის რომ გახდა, ბებიამ სთხოვა, — წაიყვანე გორში იაკობთან, ცხოვრებას ისწავლისო. 1900-1905 წლებში მამა ეგნატაშვილების ოჯახში ცხოვრობდა, როგორც შეგირდი. იაკობ ეგნატაშვილი ძალზე შეძლებული, საქართველოში განთქმული საქმოსანი იყო. მას ლადოს თანატოლი 2 ვაჟიშვილი ჰყავდა: მიშა და ვასილი. მამა მათთან ერთად იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა. ლადოს ძალიან უყვარდა იაკობი, რომელიც 13-ან 18 წლამდე შვილივით ზრდიდა. მამა ამბობდა, — მისგან მხოლოდ საქმე და შრომა კი არა, კაცობა და ადამიანობა ვისწავლეო. როცა ლადომ სწავლა დაამთავრა, იაკობმა ამქარი მოიწვია, საუკეთესო მოსწავლედ აღიარეს და გზა დაულოცეს. იაკობმა ოქროს ფული აჩუქა, საკმაოდ სოლიდური თანხა. ლადოს ამ ფულით „ჩერქესკა“ (ჩერქეზული ჩოხა) უყიდია, რომელიც მხოლოდ თავად-აზნაურებს ეცვათ, და ასე ჩასულა სოფელში.

— **იმ პერიოდში იაკობთან სტალინის დედა — კეკეც მსახურობდა?**

— ეკატერინე (კეკე) ჯუღაშვილი ეგნატაშვილების ოჯახში იაკობის გარდაცვალებამდე (1928 წლამდე) ცხოვრობდა. მამა მას დიდი სითბოთი და სიყვარულით იგონებდა, ამბობდა, — მის ამაგს ვერ დავივიწყებო. კეკე მასზე ისევე ზრუნავდა, როგორც იაკობის შვილებზე. მშრომელი ქალი ყოფილა, თბილი, მოსიყვარულე, თან — საკმაოდ კოხტა და მოხდენილი. იაკობი დიდ პატივს სცემდა. გადმოცემით ვიცი, რომ სახლი გორში, რომელშიც დღეს სტალინის მუზეუმია, კეკეს იაკობმა აჩუქა. მათ ურთიერთობაზე ბებია საუბარს გაურბოდა. ამბობდა, — როგორც ყველაფერი არ იქმება, ისე ყველაფერი არ ითქმებაო... სტალინს დედასთან არასდროს ჰქონია კარგი ურთიერთობა. სოსო ბავშვობაში უცნაური, ცივი და უკარება იყო, არავისთან მეგობრობდა. კეკე რომ გარდაიცვალა, 1936 წელს, სტალინი დაკრძალვაზე არ ჩამოსულა... კეკეს ნათესავები არ ჰყავდა, ამიტომ მისი ჭირისუფლები იყვნენ მისი უახლოესი მეგობრები: ბებიაჩემის და — სონა და კიდევ, 4 ჩიხტიკოპიანი ქალი, ასევე — მამა და მე (10 წლის ვიყავი). ჩვენ პირველ რიგში ვიდექით.

— **რა აზრის იყო მამათქვენი სტალინზე?**

— კომუნისტებს ვერ იტანდა. მიუხედავად იმისა, რომ კეკე ძალიან უყვარდა, სტალინი სძულდა და მას ჯალათსა და სისხლისმსმელს ეძახდა. ეგ არავის დაინდობსო — ამბობდა. თუმცა იაკობის მიმართ სტალინს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა: მოკრძალებასა და პატივისცემას ავლენდა, თითქოს უყვარდა კიდეც... ჩვეულებრივ, ასეთ გრძნობებს არავის, არც დედის მიმართ არ იჩენდა. სწორედ სტალინის წყალობით გადაურჩა იაკობი დახვრეტას, მეტიც — მოგვიანებით მისი შვილები კრემლში წაიყვანა და მაღალ თანამდებობებზე დანიშნა... ჩვენს სახლში სტალინის სახელის ხსენებაც კი აკრძალული იყო. გაკვეთილებს რომ ვსწავლობდით, სადაც სტალინი და ლენინი იყო ნახსენები, დედა გვაფრთხილებდა, — ხმამაღლა ნუ წაიკითხავთ, მამას არ გააგონოთო. სიკვდილის წინ (1942 წელს) მამამ მითხრა: კომუნისტური წყობა რომ დაემხობა, მოდი და საფლავის ქვაზე ფეხი დამადგი, გავიგებო.

— **ახლა თქვენზეც მოგვიყევით რამე.**

— საშუალო სკოლა 1942 წელს დავამთავრე. გამიწვიეს სამხედრო სამსახურში. ცოტა ხანს ფრონტზე ბრძოლამაც მომიწია. მერე დაუსწრებლად ვსწავლობდი მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტში. სად არ მიმუშავია. 1951 წელს დავოჯახდი. მეუღლე, ექიმი-სტომატოლოგი იყო — კეთილშობილი, სანდომიანი ქალბატონი. ცხოვრება სიამტკბილობაში გავლიეთ. სამწუხაროდ, 14 წლის წინ გარდაიცვალა. მყავს 2 ქალიშვილი, ერთი დანიაშია გათხოვილი და 23 წლის გოგონა ჰყავს, მეორეს 2 გოგონა ჰყავს... მეუღლე სულ მხარში მედგა. ძალიან უყვარდა ჩვენი ბაღი, განსაკუთრებით ყვავილებზე ზრუნავდა. უკანასკნელი განსასვენებელი ადგილი ისე მოვუწყვე, თავად რომ მოეწონებოდა — მისი საყვარელი ყვავილებითა და იშვიათი, მათ შორის, მარადმწვანე მცენარეებით დავამშვენე...

— **ვიცი, რომ ლექსებსაც წერთ...**

— მაქვს ასეთი სისუსტე. ხანდახან, როცა შემომაწვება სევდა, დავჯდები ჩემთვის და ვწერ: ცხოვრებაზე, სიკეთეზე, სიყვარულზე...

— **...და, რაღა თქმა უნდა, ბუნებაზეც, ხომ?**

— არა, ბუნებას არ ვეხები, რადგან ვფიქრობ, რომ ვაჟას შემდეგ სირცხვილია, ამ თემაზე ვწერო... მიზიდავს აღმოსავლური პოეზია: ნაზიმი, ომარ ხაიამი... ვწერ მოთხრობებსაც. მინდა, დავწერო ისტორიული რომანი „შამილის დროიდან — დღევანდლამდე“, სადაც ჩემი წინაპრების ცხოვრებაც იქნება ასახული. ■

სტალინის წყალობით გადაურჩა იაკობი დახვრეტას, მეტიც – მოგვიანებით მისი შვილები კრემლში წაიყვანა და მაღალ თანამდებობებზე დანიშნა...

მუქარით ამღერებული მგზავრები

თეა ხურცილავა

პროკურორი სამუშაო მაგიდასთან იჯდა და საინფორმაციო გამოშვებას უყურებდა. სამუშაო დღის დასრულება გადაწყვეტილი ჰქონდა — მძღოლიც გაფრთხილებული ჰყავდა, მალე გამოვალო. მოულოდნელად, მისაღებში ოთახიდან ხმაური შემოესმა. სამუშაო მაგიდიდან წამოდგა და სიტუაციის გასარკვევად გარეთ გავიდა.

— რა ხდება? რა ხმაურია?! — ჰკითხა მდივანს და ოთახში შემოსულ ადამიანების ჯგუფს ცნობისმოყვარე სახით გადახედა.

— როგორ თუ რა ხდება? პროკურორთან შეხვედრას ვითხოვთ. ეს ქალი კი ამბობს, დღეს ვერ მიგიღებთო. არადა, ისეთი საშინელება მოხდა, რომ გაგიჟებულები ვართ. ბავშვები შეშინებულები გვყავს. იმ უნამუსომ გადაგვრია და თვითონ კი იცინოდა. კინაღამ გულები გაგვიხეთქა. თქვენ კი მოსმენაც არ გინდათ!

— აბა! აბა! როგორ დაგვცინოდა. ეს არის ქვეყანა? ეს არის სამართალი? აქ ჩვენი მოსმენაც არ უნდათ! შეგვიშვით პროკურორთან და დამნაშავე სასწრაფოდ დაიკავეთ! — დაამატა მეორემ. მხარი სხვებმაც აუბეს და ყველანი ერთად ალაპარაკდნენ.

— რა საშინელი ყაყანია! კაბინეტში შემოდით და ერთმანეთს დააცალეთ ლაპარაკი; ერთ-ერთმა თქვენგანმა თქვას, რა მოხდა! — მიმართა პროკურორმა დაუპატიჟებელ სტუმრებს, კაბინეტის კარი გაუღო და მდივანს უთხრა:

— ჩემთან გამომძიებელი შემოვიდეს!

აღშფოთებული ადამიანები კაბინეტში შეცვივდნენ. ზოგი სკამზე ჩამოჯდა, ზოგი ფეხზე იდგა და ერთმანეთს ისევ არ აცლიდნენ ლაპარაკს. პროკურორი მაგიდასთან მდგარ, საკუთარ სავარძელზე მოკალათდა:

— გისმენთ!

— ყველანი ერთად დაგვაყაჩაღეს! ეს ხალხი ჩემს „მარშრუტკაში“ იჯდა. ამათ რამე რომ მოსვლოდათ, ან იმ არაადამიანს ტყვია ესროლა ჩემთვის, ვინ გვიშველიდა? ვინ მიხედავდა ჩემს ოჯახს?! — თქვა მძღოლმა და განაგრძო:

— ყველაფერი 1 საათის წინ მოხდა, ახლაც საშინელ დღეში ვართ და პირდაპირ პროკურატურაში წამოვედით, რომ დამნაშავე დაისაჯოს.

— იარაღიანმა გაგაჩერებინათ სამარშრუტო ტაქსი?

— არა, იარაღი რომ დამენახა, მათ მანქანას როგორ გავუჩერებდი?!. „მარშრუტკა“ ხალხით იყო სავსე...

— ბოლოს და ბოლოს მოჰყევით, რა მოხდა, თქვენი ემოციები არ მაინტერესებს, — მკაცრად მიმართა პროკურორმა, — მძღოლის გარდა, ყველანი გარეთ გაბრძანდით და მისაღებში დაგველოდეთ! — და კაბინეტის კარი თვითონ გაუღო დანარჩენებს.

— სად უნდა გავიდეთ? ჩვენც იქ ვიყავით და ფაქტის თვითმხილველები ვართ, რაც მოხდა, — უკმაყოფილება გამოხატეს სხვებმა.

— კარგი, „გიორგევიჩ“, ამათ მე დავკითხავ, — უთხრა პროკურორს გამომძიებელმა და მძღოლის თანმხლები პირები თავის ოთახში შეიყვანა.

— აბა, ახლა გისმენ, დალაგებულად მოჰყევი, რაც მოხდა, — მიმართა მძღოლს პროკურორმა.

— ორმა ახალგაზრდამ მანქანის გაჩერება მანიშნა და მეც გავუჩერე... ამოვიდნენ. რას ვიფიქრებდი, ყაჩაღები თუ იქნებოდნენ?!.

— შეიარაღებულები იყვნენ?

— იარაღი რომ არ ჰქონოდათ, მაგათ კაპრიზზე ამდენი ადამიანი გაივლიდა? დიახ, ერთ-ერთმა იარაღი ამოიღო და დაგვემუქრა.

— ნივთები და ფული წაგართვეს?

— არავისთვის არაფერი წაურთმევიათ... ერთმა იარაღი შუბლზე მომაბჯინა და მითხრა: — ქალაქში გამასეირნეო.

— მერე, სად წაიყვანე?

— იარაღი ხელში ეჭირა, მოკვლით გვემუქრებოდა, — არ გაინძრეთ და რასაც გეტყვით, ის გააკეთეთო. მეორე იჯდა და იცინოდა. ის არაფერში ჩარეულა.

შემდეგ მგზავრებს მიუბრუნდა და უთხრა: ახლა კი ყველამ ერთად იმღერეთო...

— რაა? — პროკურორმა გაკვირვებული სახით გადახედა მძღოლს.

— ხოო, ასე იყო. თან, სიმღერა თვითონ შეგვიკვეთა. კინოფილმ „ბაში-აჩუკიდან“ — „რა მადლიანად ანათებს,“ გვიმღერეთო. რას ვიზამდით? ყველანი ერთად ავმღერდით.

— ყველანი მღეროდით? — ღიმილი მოერია პროკურორს სახეზე.

— ერთი შეეწინააღმდეგა და ისეთი დღე აყარა, შეგვეშინდა, არ მოეკლა. ყოველი შემთხვევისთვის, მაშინ ასე მეგონა... მაგრამ მერე გავარკვიეთ, რომ თურმე იარაღი არ ჰქონდა...

— როგორ თუ არ ჰქონდა? რა დაბნეული ლაპარაკობ...

— მათი პისტოლეტი ნამდვილს ძალიან ჰგავდა. არადა, თურმე სათამაშო ყოფილა. კარგა ხანს ყველანი ერთად გავკიოდით: „რა მადლიანად ანათებს, შენი მზე, შენი მთვარეო“, — და უეცრად მანქანის გაჩერება მიბრძანა. გავაჩერე. რომ ჩადიოდნენ, იარაღიანმა სიცილით მოგვაძახა: არა გრცხვენიათ ამხელა ხალხს, ქვეყანას ასე უჭირს და თქვენ კი მღერითო? — გადაიხარხა, „მარშრუტკიდან“ ჩავიდა და პისტოლეტი მანქანაში შემოგვიგდო.

— რაა? ამდენი ადამიანი იყავით და ერთი კარგად ვერ სცემეთ? — იკითხა უკვე სიცილით პროკურორმა.

— ისეთი დაბნეულები და შეშინებულები ვიყავით, რომ... მერე კი ალმოვაჩინეთ, რომ სათამაშო პისტოლეტი არ ყოფილა?!. აგერ გვაქვს და ნახეთ. აქ იმისთვის მოვედით, რომ ის კაცი დაიჭიროთ და ჩვენი შეშინებისთვის პასუხი აგოს.

პროკურორი სავარძელში ყბაჩამოვარდნილი იჯდა და თან, გულიანად ხარხარებდა. იმ დროს კაბინეტში გამომძიებელიც შემოვიდა, მისთვისაც დანარჩენებს მოეყოლათ მომხდარის შესახებ... ბოლოს აღშფოთებული ადამიანები დაამშვიდეს და დაჰპირდნენ, დამნაშავის კვალის დადგენას შევეცდებითო. წასვლამდე მათ „დამნაშავე“ ბიჭების აღნაგობის აღწერა სთხოვეს. პროკურორმა რაიონის პოლიციის უფროსი დაიბარა და მასაც უამბო მომხდარის შესახებ. სთხოვა, იქნებ იმ ახალგაზრდების კვალს მიაგნოთო. პროკურორს გულით სურდა მათი პოვნა.

პოლიციის ოპერატიული ჯგუფი აღწერილ ახალგაზრდებს ეძებდა, მაგრამ მათ კვალს ვერ მიაგნეს. სამარშრუტო ტაქსის მძღოლს და მგზავრებს პროკურორისთვის აღარ მიუკითხავთ. როგორც ჩანს, დამშვიდდნენ და ალბათ, მერე, მომხდარის გახსენებისას, თვითონაც გულიანად იცინეს. ■

„ბოლოს მონასტერში დიდ დროს ატარებდა, მონაზვნად აღკვეცა სურდა“

ქართული თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი — ზინაიდა კვერენჩხილაძე განსაკუთრებული ხმის ტემბრით, მეტყველებითა და გამორჩეულად ტრაგიკული არტისტიზმით 1956 წლიდან ამშვენებდა რუსთაველის თეატრის სცენას. არაერთ ფილმშიც არის გადაღებული, „დათა თუთაშხიაში“ მონაზვნის როლი შეასრულა და ნიშანდობლივია, რომ ბოლო წლებში მისი ცხოვრება სწორედ ამ გზით წავიდა, მაგრამ არ დასცალდა... 79 წლის ასაკში ინსულტით გარდაცვლილი მსახიობი მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს, ბერი გაბრიელის საფლავის მახლობლად...

მხატვრული სიტყვის შეუდარებელი დიდოსტატი იყო

თამთა დადეშელი

ვასო კიკნაძე, *თეატრის კრიტიკოსი:*

— ზინა კვერენჩხილაძესთან თითქმის ნახევარი საუკუნე მქონდა ურთიერთობა — თეატრალურ ინსტიტუტში ერთდროულად ვსწავლობდით, თუმცა ის ჩემ შემდგომ კურსზე იყო. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რუსთაველის თეატრში გაანაწილეს, სადაც მე სალიტერატურო ნაწილის გამგედ დავხვდი. 1960 წლიდან, მას შემდეგ დავმეგობრდით, როცა მან, როგორც ამომავალმა ვარსკვლავმა, ბრწყინვალედ ითამაშა ლელას როლი „ბახტრიონში“. ამის შემდეგ, მისი დრამატული ნიჭი საზოგადოებამ აღიარა. ზინა კვერენჩხილაძე რუსთაველის თეატრში წლების განმავლობაში ითვლებოდა, როგორც ფართო მასშტაბის ტრაგიკული ემოციის, სიღრმის, ტემპერამენტის მქონე მსახიობი. არაერთი ნიჭიერი ქალი მსახიობი ჰყავდა რუსთაველის თეატრს, მაგრამ ტრაგიკული როლის შემსრულებლების დეფიციტი ყოველთვის იგრძნობოდა, რასაც ზინა კვერენჩხილაძე ავსებდა, თავისი ანტიგონეთი, ფედრათი, მედეათი... ზინაიდა გამორჩეული საზოგადო მოღვაწეც იყო, ყველგან გახლდათ, სადაც პატრიოტული საქმე კეთდებოდა. თეატრალური ცხოვრება რომ აყვავებულიყო, ყინვაში, თოვლში, წვიმაში, დმანისში უსასყიდლოდ ჩადიოდა და იქ ქართული კულტურის აღმავლობაზე ზრუნავდა. ქართული პოეზიის შესანიშნავი პროპაგანდისტიც გახლდათ — მხატვრული სიტყვის შეუდარებელი დიდოსტატი იყო.

— იქნებ ქალბატონი ზინაიდას პიროვნულ თვისებებზეც გვესაუბროთ.

— მაქსიმალისტი იყო, ძალიან მომთხოვნი, როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის მიმართ. ამქვეყნიურ ჯილდოებს ახლოს არ იკარებდა, არ უყვარდა მსახიობების პრემიები. 2 წლის წინ მისთვის ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია უნდა მიენიჭებინათ და სასტიკი უარი განაცხადა — აქამდე ყოველგვარი პრემიის გარეშე მოვედიო... მან ბრწყინვალე წიგნი — „ჩემი ანტიგონე“ დაწერა, რაც ქართული თეატრმცოდნეობისთვის დიდი შენაძენია. დიდი სიღრმითა და ფილოსოფიური განზოგადებითაა შექმნილი. ქართულ ხელოვნებაში მეორე ნამუშევარი არ მინახავს, რომ მსახიობს თავის შემოქმედებასა და ერთ კონკრეტულ როლზე ასე დაეწეროს.

— გავიხსენოთ ბოლო სპექტაკლი, სადაც ქალბატონმა ზინაიდამ ითამაშა და სადაც პარტნიორობას მედეა ჩახავა და თამარ სხირტლაძე უწევდნენ.

— ეს იყო „მოხუცი ჯამბაზები“, რომელიც რუსთაველის თეატრში დაიდგა. მომღერლის როლს თამაშობდა. ვისაც უნახავს ეს წარმოდგენა, ყველას ახსოვს, როგორი ელეგანტური, სამაგალითო ოსტატი იყო, აკადემიური სტილი ჰქონდა. წლების განმავლობაში მსახიობის მეტყველებას ასწავლიდა თეატრალურ უნივერსიტეტში, შესანიშნავი პედაგოგი გახლდათ. ის ჩემი კარგი მეგობარი იყო და მისი დაკარგვა დიდი დანაკლისია ჩემთვისაც და ქართული თეატრისთვისაც.

ქეთი დოლიძე, *რეჟისორი:*

— ქართულმა თეატრმა დიდი, ტრაგიკული მსახიობი დაკარგა... როდესაც მიშა თუმანიშვილთან სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩავაბარე, ის რუსთაველის თეატრში მუშაობდა. „ანტიგონე“ ახალი დადგმული გახლდათ, სადაც ბატონი სერგო ზაქარიაძე და ქალბატონი ზინა თამაშობდნენ და ეს სპექტაკლი ერთ-ერთი საეტაპო მოვლენა იყო ქართულ თეატრში. სტუდენტ-პრაქტიკანტებს სპექტაკლზე მორიგეობა გვევალებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთი საათით ადრე უნდა მივსულიყავით თეატრში, გვენახა, მსახიობებს დახმარება ხომ არ სჭირდებოდათ. მერე კი კულისებში უნდა ვმდგარიყავით. ისე მომწონდა, რომ თითქმის 1 წელიწადი „ანტიგონეს“ კულისებიდან, პატარა ჭუჭრუტანიდან ვადევნებდი თვალყურს. ჩემთვის ეს უნივერსიტეტიც იყო, სამსახიობო ოსტატობის აკადემიაც და საერთოდ, ყველაფერი. ქალბატონი ზინა პერსონაჟის ცხოვრებით ცხოვრობდა და მთლიანად გარდაიქმნებოდა. მისი ყველა როლი კარგად მახსოვს — ფედრა, მედეა... მაგრამ „ჭინჭრაქასა“ და რობიკო სტურუას სპექტაკლში „ვახშმობის წინ“ განსაკუთრებული იყო... ტრაგიკული როლების გენიალურ შემსრულებელს ამავე დროს საოცარი კომედიური ტალანტი ჰქონდა, სახასიათო მსახიობი იყო და გული მწყდება, რომ რეჟისორებმა ის არ „გამოიყენეს“. რთული და ძლიერი პიროვნება იყო, ლექსებს მხატვრულად ისე კითხულობდა, გაოცდებოდი. აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, საქართველოს ქალებს მოვუწოდე, იქ წავსულიყავით; იმ მატარებელში ერთ-ერთი პირველი სწორედ ქალბატონი ზინა ჩაჯდა... გოგი მარგველაშვილი — მისი შვილი მიყვებოდა, შინ რომ მივედი, დედა ჩანთას ალაგებ-

მან ბრწყინვალე წიგნი — „ჩემი ანტიგონე“ დაწერა

და. ვკითხე, სად მიდიხარ-მეთქი, მოკლედ ლაპარაკი იცოდა და მიპასუხა: უნდა წავიდე, აუცილებლად უნდა წავიდეო. თეთრი მანდილი ეკეთა და გალსა და ოჩამჩირეში ლექსებს კითხულობდა... ქალბატონი ზინას ძმას — გივის, ახლოს ვიცნობდი, ისიც ნიჭიერი კაცი იყო. საბჭოთა პერიოდში გემით უცხოეთში გაიპარა. და-ძმას ერთმანეთის დიდი სიყვარული ჰქონდა. სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის, რაც ქალბატონი ზინასთვის დიდი ტრაგედია იყო, მაგრამ ამაზე არასდროს ლაპარაკობდა. ყველაფერი მის შემოქმედებაზე აისახა. უნდოდა, მარიამობის დღესასწაულის შემდეგ მონასტერში საბოლოოდ დამკვიდრებულიყო, რადგანაც იქ დიდხანს ცხოვრობდა... სამთავროს მიწამ მიიბარა მისი ნეშტი და ამაზე დიდი მადლი რა შეიძლება იყოს?!.

თეკლა *(გველესიანი), სამთავროს დედათა მონასტრის მონაზონი:*

— ქალბატონ ზინაიდას, როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანსა და ღრმა სულიერი კულტურის მქონე პიროვნებას, ყოველთვის განსაკუთრებით უყვარდა სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტერი. თუმცა წინამძღვართან — იღუმენია ქეთევანთან (კოპალიანი) და მონასტრის კრებულთან უფრო ღრმა ურთიერთობებსა და აქ მის დამკვიდრებას 2005 წლიდან ჩაეყარა საფუძველი. ქალბატონი ზინაიდა ოცნებობდა, რომ სამთავროს მონასტრის ახლოს ერთი ოთახი ჰქონოდა და დედა ქეთევანმა ჩვენთან საცხოვრებლად მოიწვია, რასაც იგი, რა თქმა უნდა, სიხარულით დათანხმდა. ქალბატონი ზინაიდა, თავისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მონასტრის შინაგანაწესით ნაკლებად იყო შეზღუდული. სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული — თავისი სურვილისა და საჭიროებისამებრ გასულიყო ან დაბრუნებულიყო. სწორედ ამ ფონზე წარმოჩნდა მისთვის დამახასიათებელი უდიდესი შინაგანი კულტურა, თავმდაბლობა, უბრალოება და ტაქტის გრძნობა, რომლითაც მან საოცრად ბუნებრივად მოახერხა შერწყმოდა და შეერთებოდა მისთვის უჩვეულო, „მკაცრ“ გარემოს და მოთხოვნებს, რომელთაც მონასტერი ნებსით თუ უნებლიეთ, მის მკვიდრთ უყენებს. დიდი რწმენით და მოკრძალებით გამოირჩეოდა სიწმინდეების მიმართ. მადლობა უფალს, რომ ქალბატონ ზინაიდას ადამიანის ეს უიშვიათესი თვისებები ჰქონდა. მართალია, ყველანი მის ბრწყინვალე სპექტაკლებსა და მის მიერ წაკითხული ქართული პოეზიის შედევრებზე გავიზარდეთ, მაგრამ მხოლოდ ამ ნიჭის გამო არ ვცემდით პატივს. ვისაც ოდნავ მაინც აქვს მონასტრული ცხოვრების გამოცდილება, იცის, თუ როგორ ათანაბრებს ის ერში მკვეთრად განსხვავებული სტატუსისა და შესაძლებლობების მქონე ადამიანებს. წინა პლანზე შინაგანი თვისებები იწევს, გარეგანი რეგალიები თითქოს იხსნება. როგორც ამბობენ, მონასტერში ვერსად დაიმალები და ვერაფერს ამოეფარები — ყველა ღირსება და ნაკლი ჩანს და აქ კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა ამ ადამიანის ღირსებები. მან შეძლო, სამაგალითო ყოფილიყო თითოეული ჩვენგანისთვის... დედა ქეთევანი ხშირად გვეუბნებოდა, მისგან ბევრი რამ შეგიძლიათ ისწავლოთო. კეთილი, უანგარო და წრფელი ადამიანი იყო.

მონასტერში ცხოვრების დროს იღუმენია ქეთევანის შემოქმედებას გაეცნო — იგი სასულიერო ლექსებს წერს და ისინი სწორედ ქალბატონმა ზინაიდამ გამომზეურა საზოგადოების წინაშე. ახალ რეპერტუარში მთელი ნაკრები ჰქონდა შეტანილი, რაც ჩვენთვის სასიხარულო იყო.

კინო ფილმ „დათა თუთაშხიაში“ მონაზვნის როლი შესანიშნავად ითამაშა

— ცნობილია, რომ სამონასტრო ცხოვრება საკმაოდ რთულია, დედებს ბევრი საქმის კეთება უნდებათ. თქვენთან ყოფნისას ქალბატონი ზინაიდა სამონასტრო საქმიანობაში თუ მონაწილეობდა?

— არა, არ იყო ფიზიკურად იმდენად მხნედ, რომ რაიმეთი დაგვეტვირთა. როცა სტუმრები მოდიოდნენ, ქალბატონი ზინაიდა თავისი ლექსებით, პოეზიით იღებდა მონაწილეობას და ჩვენთვის ეს იყო სასიხარულო. სამთავროში ცხოვრების ხანას თან ახლდა მისი უხილავი შინაგანი მზადებაც, რომ გადაწყვეტილება მიეღო — საბოლოოდ მონასტერში დარჩენილიყო და მონაზვნად აღკვეცილიყო... გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, მონასტრისა და მის პირად მოძღვარს — არქიმანდრიტ ლაზარეს დაურეკა და უთხრა, რომ ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე სამთავროში აუცილებლად ჩამოვიდოდა, რადგან აღსარების თქმა და ზიარების მიღება სურდა. გარკვეული მიზეზების გამო მისი აქ ჩამოყვანა ვერ მოხერხდა... დედა ქეთევანი ამბობს, ქალბატონ ზინაიდას ჩამოსვლა და ზიარება რომ მოეხერხებინა, ალბათ, დღეს ცოცხალი იქნებოდაო. რამდენიმე დღეში გარდაიცვალა კიდეც, მაგრამ მისი სურვილი შეუსრულებელი არ დარჩენილა — საბოლოო განსასვენებელი სამთავროში მიუჩინა უფალმა.

— სამთავროს ეზოში დაკრძალვის ნებართვა, რის მიხედვით ეძლევათ საერო პირებს? როგორც ცნობილია, მორის ფოცხიშვილი და გოდერძი ჩოხელიც ტაძრის ეზოში არიან დასაფლავებულნი...

— დიახ, ეს ყველაფერი უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით ხდება. ვფიქრობ, ეს იმ ადამიანებისთვისაც საპატიოა, ვინც აქ იკრძალებიან და ჩვენთვისაც — ჩვენი პატარა პანთეონი გვაქვს სამთავროში.

რამაზ იოსელიანი, *მსახიობი, პედაგოგი:*

— გოგი მარგველაშვილი (ზინაიდა კვერენჩხილაძის შვილი) თეატრალურ ინსტიტუტში ჩემი ჯგუფელი იყო და სპექტაკლი არ გვითამაშია ისე, ქალბატონი ზინას რომ არ ეგულშემატკივრა. არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. მიშა თუმანიშვილი „განდეგილს“ რომ დგამდა, მეტყველებაში გვამეცადინებდა, გვეხმარებოდა. როგორც კოლეგა, მომთხოვნი და მკაცრი გახლდათ. ყოველთვის მიუწვდომელი და საიდუმლოებით მოცული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. გულისხმიერი, კაცთმოყვარე და რაც მთავარია, ღვთისნიერი, სულიერად ძლიერი იყო. მისი ნათამაშევი თითქმის ყველა სპექტაკლი მინახავს და ყველგან გენიალური იყო. მე ის ძალიან მიყვარდა...

— სტუდენტებთან როგორი ურთიერთობა ჰქონდა, მკაცრი პედაგოგი იყო?

— ყველა სტუდენტს უზომოდ უყვარდა; მათთან დედაშვილური ურთიერთობა ჰქონდა. ნამდვილი პედაგოგი იყო — მზრუნველი, მომთხოვნი. ვერიკო ანჯაფარიძის შემდეგ, თანამედროვე თეატრს მსგავსი დონის ტრაგიკოსი მსახიობი ქალი არ ჰყოლია. ■

სასიკვდილო მკურნალობა

XX საუკუნის 50-იან წლებში ბრიტანეთის უმდიდრეს ექიმად აღიარებულმა ჯონ ბოდკინ ადამსმა გარდაცვალების შემდეგ 403.000 ევრო დატოვა. 1956 წელს მისი რეპუტაცია ძალზე შეილახა. ბრიტანელთა უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ ადამსი პაციენტს თავის სასარგებლოდ ანდერძის დაწერას აიძულებდა და შემდეგ კლავდა. არავინ იცის, სინამდვილეში რამდენი მსგავსი ამბავი მოხდა...

ორი და

გასული საუკუნის დასაწყისში, იმის გამო, რომ მედიცინა არცთუ განვითარებული დარგი იყო — ანტიბიოტიკები და დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები ჯერ კიდევ არ არსებობდა, — ექიმი ვალდებული იყო, ავადმყოფზე ნებისმიერ სიტუაციაში ეზრუნა, გვერდიდან არ მოშორებოდა და მისთვის ტკივილი შეემსუბუქებინა. თუმცა ბევრი იყო ისეთი ექიმიც, რომელიც მოვალეობას არ ასრულებდა. იმას მაინც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ქონების დაუფლების მიზნით, ექიმს

იმისათვის, რომ მსუქანი ადამიანები ზედმეტ ქონს არ მოეჯლა, ექიმი ჰაზარდი მათ შიმშილის მეშვეობით ხოცავდა

ექიმმა ჯონ ბოდკინ ადამსმა ერთ გარდაცვლილ პაციენტს სამარეზე ღვინო მოპარა, მეორისგან კი მემკვიდრეობით სუფრის ვერცხლეულობა მიიღო

პაციენტის მოკვლა შეეძლო...

100 წლის წინ, პაციენტების მკვლელი ექიმი ქალის — ლინდა ჰაზარდის საქმემ მსოფლიო საზოგადოებრიობა სულით ხორცამდე შეძრა.

1911 წელს ინგლისელი დები — 37 წლის დორა და 33 წლის კლარა უილიამსონები კანადაში ჩავიდნენ. ბაბუამ შინაბერებს კანადასა და ავსტრალიაში მემკვიდრეობით მდიდრული სასახლეები და მამულები დაუტოვა. დები მოწყენილობითა და იპოქონდრიით იტანჯებოდნენ, გამუდმებით ჯანმრთელობას უჩიოდნენ, სამედიცინო ლიტერატურას ჩაჰკირკიტებდნენ და გასაკაჟებლად სასწაულმოქმედ საშუალებას ეძებდნენ. პანაცეის ძიებაში მსოფლიო შემოიარეს, მრავალ სპეციალისტსა და შარლატანს მიმართეს, მაგრამ ამაოდ — „დაავადებები“, რომლებიც ფაქტობრივად არც არსებობდა და მხოლოდ დების აკვიატება გახლდათ, უკან არ იხევდა. იმედის უკანასკნელი ნაპერწკალი მაშინ გაღვივდა, როცა ექიმ ლინდა ჰაზარდის წიგნი — „შიმშილი განკურნებისთვის“ ჩაუვარდათ ხელში. წიგნში ნათქვამი იყო, რომ ყველა დაავადება არასწორი კვების შედეგია და ავადმყოფის განკურნების ერთადერთი გზა დაგროვებული წიდებისგან ორგანიზმის გაწმენდაა, რისთვისაც შიმშილია საჭირო. ავტორი გამოთქვამდა აზრს, რომ შიმშილით ნებისმიერი დაავადების, მათ შორის, კიბოს განკურნებაც კი შეიძლებოდა. დები აღფრთოვანებული იყვნენ — როგორც იქნა, აღმოაჩინეს იოლად გასაგები სამედიცინო თეორია, განკურნების სწრაფ და უეჭველ გზას მიაგნეს. დორამ და კლარამ გაიგეს, რომ ექიმ ჰაზარდს კანადის საზღვართან, ვაშინგტონის შტატში სანატორიუმი ჰქონდა, რომლის რეკლამამ დებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. რეკლამაში აღწერილი იყო ავადმყოფების „წარმატებით განკურნების“ მრავალი შემთხვევა — გამოჯანმრთელებული პაციენტები „შიმშილის მეთოდს“ ხოტბას ასხამდნენ.

კლარამ და დორამ სასწაულმოქმედ ექიმთან შეხვედრა გადაწყვიტეს და ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშურეს. მალე დები ქალაქ ოლალას ახლოს მშვიდ, განმარტოებულ, შუაგულ ტყეში მდებარე სანატორიუმ „ველურ ბორცვებში“ დაბინავდნენ, რომელიც გარე სამყაროს იყო მოწყვეტილი. რამდენიმე დღეში პომიდვრისა და სატაცურისგან დამზადებული წვნიანი პირველად მიირთვეს და ფორთოხლის წვენი დააყოლეს. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ ამ სანატორიუმს — „შიმშილის ბორცვები“ შეარქვა, რადგანაც პაციენტებს შორის სიკვდილიანობა საკმაოდ მაღალი იყო. მათ არც იმ ექიმის ბიოგრაფიის შესახებ იცოდნენ რამე, რომელსაც წინდაუხედავად მიენდვნენ.

ლინდა ჰაზარდი 1867 წელს მინესოტაში დაიბადა, 18 წლისა გათხოვდა და 2 შვილი გააჩინა, მაგრამ ოჯახური ცხოვრება არ აინტერესებდა, იგი ექიმობაზე ოცნებობდა. მიზანს მიაღწია და სამედიცინო განათლება მიიღო. იმ დროს დიპლომიანი ექიმი ქალი იშვიათობა გახლდათ, ამიტომ პროგრესულად მოაზროვნე თანამედროვეებს მიაჩნდათ, რომ ჰაზარდმა დროს გაუსწრო. როდესაც კარიერასა და ოჯახს შორის არჩევანზე მიდგა საქმე, ლინდამ უყოყმანოდ მიატოვა ქმარ-შვილი.

1902 წელს „სამკურნალო შიმშილის“ მეთოდი პაციენტზე პირველად გამოცადა — მამაკაცი გარდაიცვალა, მისი ძვირფასი ბეჭდები კი უკვალოდ გაქრა. პათოლოგანატომმა

ჩვეულებრივ საავადმყოფოში პაციენტებს გამოსაჯანმრთელებლად აწვენენ, ლინდა ჰაზარდის სანატორიუმში კი ყველაფერი პირიქით ხდებოდა

სიკვდილის მიზეზად შიმშილი დაასახელა. არასწორი მკურნალობის გამო ჰაზარდი, შესაძლოა, კანონით დაესაჯათ, მაგრამ მას მკურნალობის ლიცენზია არ ჰქონდა და ამან გადაარჩინა, — ავადმყოფმა შიმშილით თავი თვითონ მოიკლაო. ამის შემდეგ ექიმი ახალ ქმართან, სემუელთან ერთად სიეტლში გადასახლდა, რომელიც აშშ-ის არმიიდან სახაზინო ფულის მოპარვის გამო დაითხოვეს. წყვილმა ახალი ცხოვრების ახალ ადგილზე დაწყება გადაწყვიტა და 1908 წელს ოჯახური საქმე წამოიწყო. ავადმყოფებს სანატორიუმ „ველურ ბორცვებში“ შიმშილით თერაპიის რევოლუციური მეთოდის წყალობით, სასწაულებრივი განკურნება ელოდათ.

1-ელი მსხვერპლი დეიზი ჰალგუნდი იყო, რომელიც სატაცურისა და პომიდვრის დიეტის დაწყებიდან 50-ე დღეს გარდაიცვალა... გარდაცვლილთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. გვამებს ლინდა ჰაზარდი კვეთდა. მისი ვერსიით, პაციენტები არა შიმშილით, არამედ ღვიძლის ციროზით, გულის უკმარისობითა და სხვა დაავადებებით იხოცებოდნენ. ერთ-ერთი პაციენტის გარდაცვალების მიზეზი შიმშილი არ ყოფილა — 1909 წელს „ველური ბორცვების“ ტერიტორიაზე ბრიტანელი ლორდის 26 წლის ვაჟიშვილის, იუჯინ უეიკლინის გვამი აღმოაჩინეს, რომელსაც თავში ტყვია ჰქონდა მორტყმული. პოლიციამ დაასკვნა, რომ ახალგაზრდამ თავი მოიკლა. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ იუჯინ უეიკლინმა სატაცურის ჭამა არ ისურვა... 1911 წელს უცნაური შემთხვევა მოხდა — ინგლისელი აივან ფლიუკსი ამერიკაში რანჩოს საყიდლად ჩავიდა, თან ჯანმრთელობის გაკაჟება გადაწყვიტა. პაციენტი სამკურნალო შიმშილობის დაწყებიდან 53-ე დღეს გარდაიცვალა, მის საბანკო ანგარიშზე მხოლოდ 70 დოლარი აღმოჩნდა, უძრავი ქონების საყიდლად გამიზნული ფული კი უკვალოდ გაქრა...

დები უილიამსონები განმარტოებით ფლიგელში განათავსეს და მომვლელად მედდა მიუჩინეს. დროდადრო მათ მისის ჰაზარდიც აკითხავდა და შთაგონებდა, — სისუსტე, გონების დაბინდვა, თავბრუსხვევა და შიმშილის გამო გულის წასვლა წარმატებული მკურნალობის და სწრაფი გამოჯანმრთელების სიმპტომებიაო. თავდაპირველად დები ექიმს ენდობოდნენ, როდესაც ეჭვი გაუჩნდათ, უკვე გვიან იყო — ბოსტნეულის ნახარშის დიეტისგან ისე დასუსტდნენ, საწოლიდან ვეღარ დგებოდნენ, „ველური ბორცვების“ დატოვებას ვეღარ შეძლებდნენ და მთლიანად სანატორიუმის მფლობელებზე იყვნენ დამოკიდებულნი. ლინდა ჰაზარდი დროს უქმად არ კარგავდა — დები დაარწმუნა, რომ უსაფრთხოების მიზნით, ფასიანი ქაღალდები, ძვირფასეულობა და საქმიანი დოკუმენტაცია, მათ შორის, უძრავი ქონების საბუთები შესანახავად მისთვის გადაეცათ; დორას კი, რომლის მდგომარეობა სწრაფად მძიმდებოდა, ანდერძის დაწერა აიძულა, რომლის თანახმად, ექიმს სიცოცხლის ბოლომდე მცირე პენსია უნდა მიეღო. დები გვიან, მაგრამ მაინც მიხვდნენ, რომ განსაცდელში ჩაცვივდნენ და სანატორიუმიდან თავს ვეღარ დააღწევდნენ. კლარამ საიდუმლოდ დეპეშის გაგზავნა მოახერხა. მომაკვდავმა მილიონერმა დახმარებისთვის მათ ერ-



თადერთ გულშემატკივარს, გამზრდელ ძიძას მიმართა. მარგარეტ კონვეი ავსტრალიაში ცხოვრობდა, მაგრამ დეპეშის მიღებისთანავე დების დასახმარებლად გაემგზავრა. წყნარი ოკეანის გადალახვას 2 თვე მოანდომა და ოლალაში ჩასულს კლარა უკვე გარდაცვლილი დახვდა, დორა კი ჩონჩხს ჰგავდა. ექიმმა განაცხადა, პაციენტს გონება ჰქონდა გათიშულიო, და ყალბი ანდერძი წარმოადგინა, რომლის თანახმადაც, ავადმყოფის გამოჯანმრთელებამდე დების ქონების განკარგვა მას ევალებოდა. მარგარეტ კონვეიმ დორას წაყვანა მოინდომა, მაგრამ ექიმმა ამაში 2.000 დოლარი მოითხოვა. ძიძას ამდენი ფული არ ჰქონდა და დახმარებისთვის უილიამსონების ნათესავებს მიმართა, რომლებიც დიდი ბრიტანეთის კონსულს დაუკავშირდნენ. იმ დღიდან საქმე საერთაშორისო დონეზე გახმაურდა და ლინდა ჰაზარდის „დაცემა“ გარდაუვალი გახდა, მაგრამ სასამართლომდე მან კიდევ 2 პაციენტის დაღუპვა მოასწრო... სასამართლოზე ბრალდების მთავარ მოწმედ დორა უილიამსონი გამოდიოდა. პრესამ პროცესი დაწვრილებით გააშუქა და ეს ამბავი ოკეანის ორივე ნაპირზე სენსაციად იქცა. სასამართლოს დარბაზი გადაჭედილი იყო. ჟურნალისტები პუბლიკას მოუწოდებდნენ, ლინდა ჰაზარდისთვის თვალებში არ შეეხედათ, რადგან იგი მისტიკურ ძალას ფლობდა და ხალხის პარალიზება შეეძლო. ბრალდებული, როგორც ყოველთვის, შეუვალი და ოპტიმისტურად განწყობილი იყო და აცხადებდა: ვერ ჩამომახრჩობენ, ძალიან ძლიერი კისერი მაქვსო და მართალიც აღმოჩნდა... ლინდა ჰაზარდი, მიუხედავად იმისა, რომ ოც პაციენტზე მეტი იმსხვერპლა, მხოლოდ კლარა უილიამსონის მკვლელობისთვის გაასამართლეს. სასამართლომ მკვლელ ექიმს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ყველას გასაოცრად, 1915 წელს ვაშინგტონის შტატის გუბერნატორმა, ქვეყნის დატოვების პირობით, ჰაზარდი შეიწყალა. ლინდა ქმართან ერთად ახალ ზელანდიაში დასახლდა, სადაც თავი დიეტოლოგად გამოაცხადა და კვლავ ავადმყოფების მკურნალობა დაიწყო. ის, რაც შემდგომ მოხდა, საშინელებათა ფილმების სცენარს უფრო წააგავს, სადაც დამარცხებული ბოროტება მოულოდნელად მკვდრეთით აღდგება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მოამზადა ნატო მანჯავიძემ

ყოფილი „ჯეოსტარელის“ წარმატება და გულისტკივილი

ეს ახალგაზრდა, გამორჩეული ხმის ტემბრის მქონე თიანელი გოგონა მაია მამსირაშვილი ბევრ თქვენგანს ახსოვს „ჯეოსტარიდან“. მე კი გაცილებით ადრე გავიცანი, როდესაც საქართველოს რადიოს პროგრამა „აბლაბუდას“, უფრო ზუსტად, იმხანად ჩემი მშობლიური საყმაწვილო რედაქციის მიერ მოწყობილ ფესტივალ „გაზაფხულის ზარებზე“ (ერთ-ერთი ორგანიზატორი მეც გახლდით) ძმასთან ერთად გამოვიყვანეთ. გულდასაწყვეტია, რომ დღეს მის ნამღერს ინტერნეტით უფრო ხშირად მოისმენ, ვიდრე ტელევიზიით ან კონცერტებზე, რადგან ვიცი, ბევრს მოსწონს. ამას წინათ „ხვარამზეობაზე“ შევხვდი სოფელ არტანში და მისმა ფშაურმა სიმღერებმა ჟრუანტელივით დამიარა: ძალიან გაზრდილა. დავინტერესდი, რას საქმიანობდა და ვთხოვე, რედაქციაში გამოეევლო.

ირმა ხარშილაძე

— წელს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი დავამთავრე ფოლკლორის განხრით. ხელმძღვანელებმა ჯგუფიდან მარტო მე შემომთავაზეს, იქნებ კონსერვატორიაში ვოკალის განხრით ჩააბარო. ძალიან გამიხარდა, რადგან კონსერვატორიაში ჩაბარებაზე ვოცნებობდი. მალე მექნება მოსამზადებელ განყოფილებაზე მისაღები გამოცდა და იმედია, კარგად ჩავაბარებ.

— **ჩვენმა მკითხველმა რომ უკეთ გაგიცნოს, მინდა, შენზე გვიამბო: როგორ მოხვედი თიანეთის ერთი ლამაზი სოფლიდან თბილისამდე?**

— თიანეთის სოფელ ჯიჯეთში ვცხოვრობთ. სკოლაც იქვე, მეზობელ სოფელ ზარიძეებში დავამთავრე. ოჯახში კი მღერიან, მაგრამ კარგად მინდოდა შემესწავლა სიმღერა და მე და ჩემი ძმა — მინდია თიანეთში ქალბატონ ქეთევან შარმიაშვილთან დავყავდი დედას. რამდენჯერ თოვლსა და ყინვაში ფეხითაც გადმოვსულვართ მე და მინდია თიანეთში. რაიონის ყველა კონცერტსა და ფესტივალზე გამოვდიოდით და დუეტში ვმღეროდით. პირველი სერიოზული გამოსვლა და წარმატება თქვენს ფესტივალზე — „გაზაფხულის ზარებზე“ გვქონდა — ლაურეატები გავხდით. მოგვიანებით სოლო გამოსვლები მქონდა და „ჯეოსტარზეც“ მოვხვდი.

— **იქ საესტრადო სიმღერებსაც ასრულებდი, თუმცა ვფიქრობ, შენს ხმის ტემბრს მთის სიმღერები უფრო მიესადაგება.**

— კონკურსზე განსაკუთრებით ინგლისური სიმღერის შესრულება გამიჭირდა. სკოლაში გერმანულს ვსწავლობდი და ალბათ ამიტომაც გავწვალდი. სამომავლოდ ვნახოთ, თუ მოვემზადები, არა მგონია, საესტრადო სიმღერა გამიჭირდეს. საოპერო არიების მოსინჯვაც მირჩიეს და ვნახოთ, საბოლოოდ რა უკეთ გამომივა. ხალხური სიმღერები და ესტრადა ძალიან მიყვარს, მაგრამ თუ კარგად დავეუფლები, მაინც ესტრადას ვარჩევდი.

— **კონცერტებზე თიანეთის გარდა სადმე გამოდიხარ?**

— შარშან „ჯეოსტარელები“ „ვაჟაობაზე“ გამოგვიყვანეს, წელს „მზიურში“ მოწყობილ „ხევსურულ საღამოზე“ გამოვედით მე და მინდია, მერე პროფკავშირების კულტურის სახლში ქალბატონმა მარიამ ხუცურაულმა „ფშაურ საღამოზე“ გვამღერა. ეგ არის და ეგ. სხვას ჯერჯერობით არავის გავხსენებივარ და ცოტათი გულიც კი მწყდება. სიმღერებიც დაგვიგროვდა მე და მინდიას და დისკის ჩაწერა გვინდა, მაგრამ ამის საშუალება ჩემს ოჯახს ნამდვილად არა აქვს.

— **ნელ-ნელა ალბათ ყველაფერი იქნება, მთავარია, ახლა კონსერვატორიაში ჩააბარო და ბევრი იმეცადინო. ასე რომ, წარმატებას გისურვებ.**

— დიდი მადლობა. ■

მიყვარს, მიყვარს, მიყვარს

ანუ თინეიჯერული ოცნებები და სასიყვარულო ბარათები

სიყვარული ის თემაა, რომელზეც თინეიჯერებს დაუსრულებლად შეუძლიათ ილაპარაკონ და ალბათ ამიტომაცაა, რომ ჩვენი ჟურნალის მეშვეობით საყვარელი ადამიანისთვის სასიყვარულო ბარათების მიწერის სურვილი უჩნდებათ ხოლმე. ერთ-ერთმა მკითხველმა ზედიზედ რამდენჯერმე გამომიგზავნა ერთი და იმავე შინაარსის მესიჯი, მაგრამ ვინაიდან არ გამოვუქვეყნე, მისაყვედურა: „ძალიან მინდა გავიგო, რას გრძნობდნენ ის ადამიანები, რომლებიც სასიყვარულო ბარათებს წერდნენ არა მესიჯებით ან ინტერნეტით, არამედ სუფთა ფურცლებზე, თქვენ კი ამის შეგრძნების საშუალებას არ მაძლევთ (მერწმუნეთ, ფოსტა კარგად რომ მუშაობდეს, თქვენ არ შეგაწუხებდით). გთხოვთ, იმედს ნუ გამიცრუებთ და წერილი დამიბეჭდეთ. მინდა ვასიამოვნო შეყვარებულს, რომელსაც უკურნებელი სენი სჭირს და შესაძლოა, ამ წერილის წაკითხვამ ცხოვრება ერთი საათით მაინც გაუხანგრძლივოს. წინასწარ გიხდით მადლობას“.

ლიკა ქაჯაია

მხოლოდ ერთი ასეთი წერილის დაბეჭდვას ვერ შევძლებდი, რადგანაც მოგეხსენებათ, რომ „თინეიჯერულ პონტებში“ ძირითადად, თემებს ვაკეთებთ ხოლმე. ამიტომაც, მსგავსი შინაარსის რამდენიმე წერილი მოვაგროვე და ახლა გაძლევთ საშუალებას, სხვისი სასიყვარულო ბარათები წაიკითხოთ და ისიამოვნოთ, წერილის ავტორები კი იმედოვნებენ, რომ ამით აღგიძრავენ სურვილს, შეყვარებულს საკუთარ გრძნობებში არა ტელეფონით ან ინტერნეტით გამოუტყდეთ, არამედ ლამაზი სიტყვები სუფთა ფურცლებზე დაუწეროთ და ისე გადასცეთ...

„მალე პაწაწინა, ვარდისფერი პრინცესა გვეყოლება“

ნია, *16 წლის:*

„მიყვარხარ უსაზღვროდ. ვგიჟდები შენზე და ასე მგონია, შენ გარდა ვერც ვერავის შეყვარებას შევძლებ. ვიცი, რომ ოდესმე დაშორება მოგვიწევს, რადგანაც შენ იმ ქვეყნისკენ მიგეჩქარება, მე კი აქ ბევრი საქმე მაქვს. სხვა თუ არაფერი, იმ პატარაზე უნდა ვიფიქრო, რომელსაც მუცლით ვატარებ... ალბათ, ბოლოს სიტყვების წაკითხვისას ენა მუცელში ჩაგივარდა, მაგრამ ვიცი, ისეთი ყოჩაღი ხარ, გონს მალე მოეგები, ძალას მოიკრებ და წერილის კითხვას განაგრძნობ. ჰო, ჩვენ მალე პაწაწინა, ვარდისფერი პრინცესა გვეყოლება, რომელსაც სახელს შენ შეურჩევ. იცოდე, მე არაფერს ვნანობ, რადგანაც მართლა უსაზღვროდ მიყვარხარ და შენთან ერთად თუ უშენოდ, მერწმუნე, ჩვენი სიყვარულის ნაყოფს არასდროს არაფერს მოვაკლებ...

იმედია, არ მიბრაზდები, სიმართლე ასე, ჟურნალის მეშვეობით რომ შეგაპარე, მაგრამ მე ხომ ვიცი, როგორ მოგწონს ეს ჟურნალი და მინდა, სასიხარულო ამბავიც სწორედ „გზის“ მეშვეობით შეიტყო; აქედან გეუბნები იმ სიმართლეს, რომელსაც არ ვიცი, როგორ შეხვდები... მიყვარხარ, ჩემო, მიყვარხარ და მინდა, მთელმა მსოფლიომ გაიგოს, რომ შენი ჯულიეტა ვარ. ერთხელ ვიღაცამ მითხრა: ბედნიერია ის, ვინც ჭეშმარიტ სიყვარულს ეღირსებაო. მაშ, მე ბედნიერი ვყოფილვარ (არ გეგონოს, რომ ამაში ეჭვი მეპარება) და ახლა არაფრის მეშინია...

ვიცი, სიკვდილი სიყვარულსა და სიცოცხლეზე ძლიერია, ჰოდა, მინდა, დარჩენილი წუთები უფრო და უფრო გავილამაზოთ... მიყვარხარ, სულზე უტკბესო. ნუ მიმატოვებ, სიცოცხლისთვის იბრძოლე! ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება ხომ ძალიან მშვენიერია და იცოდე, ჩვენი პაწია სამყაროს უფრო მშვენიერს გახდის. დაბოლოს, მორის ფოცხიშვილის სიტყვებს მოვიშველიებ: „ყველაზე დიდი საპყრობილე ჩემი გულია, ვინც ამ პაწია დილეგში მოხვდება, ის სამუდამოდ აქ უნდა დარჩეს“. გკოცნი, გკოცნი გკოცნი“.

„შენმა სიყვარულმა კანკალი დამაწყებინა“

ეკატერინე, *18 წლის:*

„გიო, აუ, რა მაგარია, როცა სიყვარულს ჟურნალიდან გიხსნიან, არა? ჰოდა, მინდა, ეს სიამოვნება შენც მოგანიჭო. ჩემო სიხარულო, როცა გაგიცანი, ამაკანკალა, მე შტერმა კი ვერ გავიგე, ასეთი რამ რატომ დამემართა და სახლში გავიქეცი, — გაციებული ხომ არ ვარ და სიცხე ხომ არ მიწევს-მეთქი, მაგრამ თერმომეტრი ჯიუტად გაჩერდა 36-ზე, ვერცხლისწყალმა მაღლა არაფრით აიწია... უკვე მივხვდი, ეს რა კანკალი იყო, რადგან ახლაც კი, როცა შენ გვერდით ვარ, მაკანკალებს, როცა შენი ხმა მესმის, მაშინაც მაკანკალებს, როცა გეხები — მაკანკალეებს... მეგობრები დამცინიან, მალე კანკალ-კანკალით ივლი და შენი შეყვარებულიც მიგატოვებს — ეს ავადმყოფი ყოფილაო. გიო, იცოდე, არ მიმატოვო! ავად ნამდვილად არა ვარ, უბრალოდ, შენმა სიყვარულმა გადამიყვანა ჭკუიდან. ახლა მივხვდი, გალაკტიონი რატომ ამბობდა, — უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდო. ახლა გავაცნობიერე, რომ ამქვეყნად ყველანი

იმისთვის მოვდივართ, რომ სიყვარული ვიგრძნოთ და ამით ბედნიერები ვიყოთ. მე უკვე ვიგრძენი ის, რაც ნამდვილ გრძნობას მოაქვს და ახლა მერწმუნე, აღარაფრის მეშინია... გკოცნი უამრავს“.

„შენ ჩემი ზღვა და ოკეანე ხარ“

ნიკა, *17 წლის:*

„იმედია, ამ წერილის გამო „გზის“ მკითხველები არ დამცინებენ, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, დიდად არ ვიდარდებ. მთავარია, წერილი ადრესატამდე მივიდეს და მისი გული მოვიგო... ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ფერიავ, მიყვარხარ უსაზღვროდ და უჩარჩოოდ :)). იცოდე, ამქვეყნად შენზე უკეთესი არავინაა. ჩემი ზღაპრული ფერია ხარ. ვერასდროს ვივიწყებ იმ დღეს, როცა პირველად დაგინახე — ზღვაში იყავი შესული და ასე მეგონა, შენს თვალებში ზღვის წყალი იყო ჩაგუბებული. იმედია, არასდროს დამკარგავ და მე „შავს“ (ოღონდ, არა გაგებით, უბრალოდ, შავგვრემანი ვარ) არ მკრავ ხელს. როცა დამცინი, ასე მგონია, ამას სპეციალურად აკეთებ, რათა უფრო გამახელო და ამ დროს სურვილი მიჩნდება, გულში ჩაგიხუტო, რათა მწარე სიტყვების სათქმელად ენა აღარ მოგიბრუნდეს. იცოდე, ოდესმე ჩემი გახდები, მანამდე კი დაბადების დღეს გილოცავ და ჩემს მეუღლეობას გისურვებ. მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ, შენ ჩემი ზღვა და ოკეანე ხარ...“

■

რაზე მეტყველებს თვალები

REALIST:

„თვალები სულის სარკეაო, — ამბობენ და მართლაც, ადამიანის თვალებში ჩახედვით მისი ხასიათის გაგება შეიძლება. მე მიყვარს, როცა გოგოს კეთილი, მეტყველი და ცოტათი ანთებული, ოდნავ ამღვრეული თვალები აქვს... კაცის თვალებში კი ცეცხლი უნდა ენთოს, ის ყველაფერს უნდა ხვრეტდეს“.

SUNNY_FLOWER:

„მე მიყვარს, როცა კაცს ცოცხალი და ეშმაკური თვალები აქვს, აი, ისეთი, პატარ-პატარა ეშმაკუნები რომ უციმციმებს თვალებში. რაც შეეხებათ გოგონებს, მათ თვალებშიც უნდა ენთოს ცეცხლი, მაგრამ ამავდროულად, ოდნავ სევდიანი მზერაც უნდა ჰქონდეთ. საერთოდაც, ადამიანი გარეგნულად როგორი მაგარიც უნდა იყოს, თუკი მისი თვალები უსიცოცხლოა, არ მომეწონება.“

საკურა:

„ერთის თვალები მენატრება... დიდი, მწვანე თვალები და ეშმაკური, თბილი, გულწრფელი გამოხედვა... მის თვალებში ყველაფერია. მასში ნებისმიერ დროს ამოიკითხავ სითბოსა და ადამიანების დახმარების სურვილს... სამწუხაროა, რომ ჩემგან ძალიან შორსაა და ვეღარ ვხედავ... რამდენიმე ქვეყანა გვაშორებს ერთმანეთს... მაგრამ მაინც, I love chris :). ისე, უმრავლესობას მწვანე თვალები რატომ გიყვართ, შავი არ სჯობია?..“

ეტოდინუსი:

„მე არ მაქვს იმის ნიჭი, რომ ადამიანი თვალების მიხედვით ამოვიცნო, მაგრამ ვფიქრობ, ბიჭს აუცილებლად, რაღაცნაირად მოციმციმე, ცოცხალი თვალები უნდა ჰქონდეს, რათა ჩემი ყურადღება მიიპყროს... არც ბიჭს და არც გოგოს არ უხდება უსიცოცხლო, არაფრისმთქმელი თვალები... ერთ ადამიანს ვიცნობ, რომელსაც მუქი მწვანე, მუდამ მოციმციმე თვალები აქვს და მათგან დადებითი ენერგია იფრქვევა“.

SUNNY_FLOWER:

„ფერს არა აქვს მნიშვნელობა, მთავარი თვალების გამომეტყველებაა. ისე, ცისფერი თვალები არ მიყვარს, რადგანაც ცისფერთვალება ადამიანებს უმეტესად, ცივი და მშრალი გამოხედვა აქვთ... მეც მენატრება ერთის თაფლისფერი, დიდი თვალები, სიცოცხლით, ეშმაკური გამოხედვით სავსე, მაგრამ ამავე დროს კეთილი და საოცრად თბილი... თვალებით შემიყვარდა და მისი თვალები დღესაც მიყვარს“.

■

ის, რაც ყველამ უნდა იცოდეს

ცნობილთა საუკეთესო გამონათქვამები

ზიგმუნდ ფროიდი

*არასდროს ვართ ისეთი დაცული ტანჯვისგან, როგორც მაშინ, როდესაც ვართ სიყვარულში.

*სიყვარული და შრომა ადამიანურობის ქვაკუთხედია.

*შეცდომიდან შეცდომამდე შესაძლებელია დიდი ჭეშმარიტების აღმოჩენა.

დანტე ალიგიერი

*ერთ მშვენიერ დღეს, თუკი ადამიანი ნამდვილ სიყვარულს ამოფრქვევის საშუალებას მისცემს, დალაგებულ-მოწესრიგებული საგნებიც ქაოსში გაეხვევა. სამყარო კი მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილი, როცა ადამიანი სიყვარულს ისწავლის. მანამდე კი მხოლოდ ერთი რწმენით შეგვიძლია ცხოვრება — რწმენით, თითქოს სიყვარულისა რამე გაგვეგებოდეს, არადა, მისი დაფასება ჯერაც ვერ გვისწავლია („ღვთაებრივი კომედია“).

მორის ფოცხიშვილი

*გული შემნახველი საკანი არავის ეგონოს,/ რომ სიყვარული ხელბარგივით მიაბაროს,/ თვითონ წავიდეს, ისეირნოს. იხეტიალოს.../ მერე მოვიდეს და ყველაფერი,/ სულ მისხალ-მისხალ დაიბრუნოს,/ სამარადჟამო“.

*გაგზავნეთ გული საითაც გინდათ, ის უმარკოდაც პოვებს ადრესატს!

ჰაინრიხ ჰაინე

სიყვარული — ეს ტკბილი ტკივილია გულში.

ანგელოზები ამას ციურ ნეტარებას უწოდებენ, ეშმაკები — ჯოჯოხეთურ წამებას, ადამიანები კი — სიყვარულს.

ჯონ მილტონი

სიყვარულში პოვე შვება და არა ვნებაში, რადგან ჭეშმარიტ სიყვარულს ვნება არ ახლავს. ფიქრებს წმენდს ხოლმე სიყვარული, გულს აფართოებს, საღ გონებაში არის იგი დაფუძნებული და თუკი ვნების წუმპეში არ ჩაეფლობი, მაშინ შეძლებ, როგორც კიბეს, აჰყვე მას მაღლა და ეზიარო უნეტარეს ციურ სიყვარულს („დაკარგული სამოთხე“).

უილიამ შექსპირი:

ჭეშმარიტ სიყვარულს არ შეუძლია ლაპარაკი, რადგანაც ჭეშმარიტი სიყვარული მჟღავნდება ქცევით და არა სიტყვებით.

■

„ჩემი შვილები ინტერნეტსამყარომ დააშტერა...“

ლია, *39 წლის:*

„ადრეც გწერდით, მაგრამ მაშინ უბრალოდ, ჩემი სატკივარი შემოგჩივლეთ, ახლა კი თქვენგან რჩევას ვითხოვ. მიშველეთ რამე, თორემ ბავშვები თავს მომაკვლევინებენ. არ დამცინოთ: ამხელა ქალი რჩევას ჩვენ რატომ გვთხოვო? უბრალოდ, თქვენ ჩემი შვილების თანატოლები ხართ და იმედი მაქვს, რომ მიმახვედრებთ, რატომ იქცევიან ისინი ასე ან მე როგორ უნდა მოვიქცე... ჩემი შვილი 13 წლისაა, მაგრამ უკვე გამიჩინა თავსატეხი — დღედაღამ კომპიუტერთან ზის, აღარც ჭამა ახსენდება, აღარც — სმა. ის უმცროს დას კომპიუტერთან მიკარების უფლებასაც არ აძლევს და ამის გამო, ლამის ერთმანეთს გამოსჭრან ყელი. როცა საქმე კომპიუტერს ეხება, ძალიან აგრესიულები ხდებიან, ჯიუტობენ და უკან დახევა არც ერთს არ უნდა, სხვა შემთხვევაში, ერთურთს ყველაფერს უთმობენ. მოკლედ, და-ძმა ერთმანეთისთვის სულსაც კი გაიმეტებს, მაგრამ კომპიუტერს — ვერა. მე და ჩემს ქმარს ეს ამბავი ძალიან გვაშფოთებს და ამიტომაც, ერთი წლის წინ დახმარებისთვის ფსიქოლოგსაც მივმართეთ, რომელიც ჯერ ბავშვებს გაესაუბრა, მერე კი ჩვენ გვითხრა: რაიმეს აკრძალვას აზრი არა აქვს. ამას სჯობია, მეორე კომპიუტერიც იყიდოთ და ამ გზით, კომპიუტერისადმი მათი ინტერესი შესაძლოა, ცოტათი განელდესო. ჩემმა ქმარმა ეს რომ გაიგონა, შეუკურთხა: მე მაგის განათლებისა რა ვთქვი, ჯერ ერთი გვიქმნის პრობლემას და ახლა, მეორეც რომ შემოვიტანო, ბავშვები სულ გამომეცლებიან ხელიდან, მათთან ლაპარაკს ვეღარ შევძლებო.

ბიჭი მთელ ინტერნეტსამყაროში დაძვრება. ამას ის დადებითი მხარე აქვს, რომ ინგლისურის სწავლის ინტერესი გაუჩნდა და კომპიუტერთან ურთიერთობა უცხო ენის უკეთ ათვისებაში ეხმარება. ცდილობს, რაღაც ინფორმაციები მოიპოვოს და მერე, ყველანი გაგვაკვირვოს; აი, გოგონა კი „სკაიპში“ დაძვრება, რაღაც ჩათებში და ფორუმებშია ჩართული; ინტერნეტთან და კომპიუტერთან დაკავშირებული იმდენი უცნაური ტერმინი იცის, რომ გაკვირვებისგან პირს ვაღებ ხოლმე. არ მინდა, ბატონო, ასეთი განათლება! ჩემს ბავშვობაში კომპიუტერი არ იყო, მაგრამ არც განათლება მაკლია და არც სხვა რამ. აბა, რომელ მშობელს უნდა, მისი შვილი განათლებული იყოს, მაგრამ რეალურ სამყაროს მოწყვეტილს, დედ-მამასთან ლაპარაკი ეზარებოდეს?! თანაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემს ვაჟიშვილს სკოლაში სიარულიც ეზარება. ამბობს, რომ ინტერნეტით ისეთი განათლების მიღებაა შესაძლებელი, რომელსაც სკოლა ვერასდროს მისცემს. ეს ძალიან მაშფოთებს...

ერთხელ ასეთი ამბავი მოხდა: ნინუცა კომპიუტერთან იჯდა. ამ დროს ჩემი მეუღლე სამსახურიდან შინ დაბრუნდა და ბავშვების ოთახში შევიდა. მოულოდნელად, საშინელი ხმაური ატყდა, რაღაცების მსხვრევის ხმაც გავიგონე. ოთახში შევვარდი და საოცრად გაცოფებულ ჩემს მეუღლეს ბავშვი ძლივს გამოვწიწკნე ხელიდან; მონიტორი ძირს ეგდო, კლავიატურა ფანჯრიდან მიფრინავდა, მაუსი კი თავის სადენიანად, ჩემს ქმარს ხელში ეჭირა და ამბობდა, — ამით უნდა გავამათრახოო. თურმე, ოთახში რომ შევიდა, ბავშვი რაღაც ფოტოებს ათვალიერებდა — ვიღაც ცხოველმა მას „სკაიპით“ სურათები გადმოუგზავნა, სადაც სრულიად შიშველი პოზირებდა. სამწუხაროდ, იმ კაცის კვალს ვერსად მივაკვლიეთ... კომპიუტერი რამდენიმე თვის მერე მაინც შევაკეთეთ — ვაჟის წუწუნს ვეღარ გავუძელით და მხოლოდ მას დავრთეთ კომპიუტერთან ჯდომის ნებართვა, მაგრამ მას მერე, რაც ნინუცა შეგვპირდა, უცნობ ადამიანებთან აღარ ვიჩათავებო, ისიც შეგვეცოდა. თუმცა, ცხადია, ხშირ-ხშირად ვაკონტროლებდით. თვეების შემდეგ, როცა გვეგონა, რომ საშიშროება აღარ გვემუქრებოდა, ნინუცამ სიურპრიზი მოგვიწყო — ინტერნეტით გაცნობილ ადამიანთან ფლირტაობა დაიწყო. მერე გვითხრა, რომ ვიღაცაზე იყო შეყვარებული და როცა იმ კაცის ფოტო გვიჩვენა, მე და ჩემი მეუღლე ლამის სკამიდან ავყირავდით: ის ტიპი, არც მეტი, არც — ნაკლები, 31 წლის გახლდათ, ჩემი გოგონა კი მხოლოდ 12 წლისაა.

თურმე, ის ცხოველი „აბოლებდა“, რომ უყვარდა და ცოლად მოიყვანდა. ალბათ, კომპიუტერთან მჯდომი ამით თავისას ისწორებდა, ასე ერთობოდა, უაზრო თუ ერთფეროვან ცხოვრებას იხალისებდა, ნინუცა კი დამიშტერა. ჰოდა, ახლა ამ ამბით შეშფოთებული ვარ; აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. არ მინდა, შვილები ინტერნეტსამყაროს სულ მოვწყვიტო, რადგანაც ვიცი, იქ რაღაც სასარგებლო ინფორმაციების მოპოვებაა შესაძლებელი და ისიც გაცნობიერებული მაქვს, რომ ამ „ყუთის“ გარეშე ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევენ, მაგრამ არც ის მინდა, რომ ვიღაც გარყვნილებმა ჩემ თვალწინ, მათ ფსიქიკა დაუნგრიონ. მიშველეთ და მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? როგორ ან რით ვუშველო ჩემს შვილებს, განსაკუთრებით კი გოგონას, რომელიც გაიძახის: ის კაცი მიყვარს და ცოლად თუ არ მომიყვანს, მოვკვდებიო. არ ვიცი, ის კაცი რას ჰპირდებოდა და რას ეუბნებოდა, მაგრამ ბავშვი ჭკუიდან კი გადაიყვანა...“ ■

„საყვარელი ადამიანის დაკარგვა არ მინდა...“

ელო, *17 წლის:*

„თქვენი დახმარება მჭირდება. მყავს შეყვარებული. მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ცუდი ისაა, რომ რამდენიმე თვეში საზღვარგარეთ აპირებს წასვლას და მეშინია, რომ უკან აღარ დამიბრუნდება. მეუბნება, — შენც წამოდიო, მაგრამ ვერ წავყვები: ჯერ სკოლაც არ მაქვს დამთავრებული და თან, სწავლის გაგრძელებასაც ვაპირებ, მომავალი ჟურნალისტი გახლავართ. დარწმუნებული ვარ, რომ გავთხოვდე, მერე სწავლაზე უარი უნდა ვთქვა. მაინტერესებს, ჩემს ადგილას როგორ მოიქცეოდით? ნუთუ, სიყვარულის გამო ყველაფერი უნდა გავწირო? არადა, არც საყვარელი ადამიანის დაკარგვა მინდა...“ ■

P.S. მაშ ასე, თუ ლიასა და ელოს წერილების წაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ■



სამყარო

ლავრენტი ბერია და მისი ქალები

საყოველთაოდ ცნობილი საბჭოთა მაღალჩინოსნის, კრემლის „რუხი კარდინალის“ — ლავრენტი ბერიას მექალთანეობაზე ხმები ჯერ კიდევ მაშინ ვრცელდებოდა, როდესაც „პენსნეიანი კაცის“ შიშით ხმამაღლა ლაპარაკსაც კი ვერავინ ბედავდა და არათუ თითზე ჩამოსათვლელ ნონკონფორმისტებს, არამედ საბჭოეთის მორჩილ ობივატელებსაც კი, შავი „ემადინების“ საბურავების ღამეულ ღრჭიალზე ძილი უკრთებოდათ. სხვათა შორის, ერთ-ერთმა ამერიკელმა ისტორიკოსმა, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინ გვსტუმრობდა თბილისში, ამაზე ფრიად გონებამახვილურად იხუმრა: „ბერიას იმთავითვე უყვარდა ლამაზი ქალები, ლამაზ ქალებს კი მხოლოდ მაშინღა შეუყვარდათ ის, როცა ძალაუფლება იგდო ხელთ“. როგორც ყოველთვის, ამ ხუმრობაშიც მწარე სიმართლე გამოსჭვივის — ლავრენტი ბერია ახალგაზრდობაში სულაც არ გამოირჩეოდა დონჟუანობით, თუმცა მეხსიერება და ჟინი მაშინაც ჰქონდა და როცა „პენსნეიან კაცად“ იქცა, გაიხსენა თითქმის ყველა ქალი, ვინც კი ოდესმე მოსწონდა.

ლავრენტი ბერია ახალგაზრდობაში

მიხეილ ლაბაძე

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, რუსეთშიც და დასავლეთშიც უამრავჯერ დაიწერა ბერიას ვნებების შესახებ, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ჭორ-მართლის გარკვევა არავის უცდია. არადა, ბერია და მისი ქალები ბანალური თემა სულაც არაა — კრემლის სხვა მაღალჩინოსნებისგან „პენსნეიან კაცს“ ყველაზე მეტად სუსტი სქესის მიმართ გადამეტებული ინტერესი გამოარჩევდა; ამიტომაც, მისი პიროვნული პორტრეტისათვის ამ შტრიხის გათვალისწინება აუცილებელია. როგორც ბერიას თანამედროვენი იხსენებენ, „პენსნეიანი კაცი“ ამა თუ იმ ქალისადმი სიმპათიას არასოდეს მალავდა და საწადლის მისაღწევად არაფერს ერიდებოდა. მართალი რომ ითქვას, ამ მხრივ ზედმეტი გარჯაც არ სჭირდებოდა — ქალები მისი მიზანსწრაფული და მტკიცე ხასიათით იხიბლებოდნენ.

ცნობილი რუსი მწერლის, ფაზილ ისკანდერის მოთხრობაში — „ო, მარატ!“, რომლის მიხედვით მერე ფილმიც გადაიღეს, ერთგვარი ირონიითაა გადმოცემული, თუ როგორ დამღუპველად იმოქმედა მთავარ გმირზე იმის თვალნათლივ დანახვამ, რომ მას და ბერიას ერთი და იგივე ქალი აინტერესებდათ: დაუღლელი მექალთანე მარატი უეცრად პესიმისტ იმპოტენტად გადაიქცა. სხვათა შორის, ეს სავსებით რეალური და საინტერესო ფაქტია, რასაც ისტორიული ფსიქოლოგია შეისწავლის. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მარატის (უფრო სწორად — მისი პროტოტიპის) უეცარი ცვლილება „პენსნეიანი კაცის“ პიროვნული შიშის შედეგი იყო; მაგრამ ისევ იმ ამერიკელ ისტორიკოსს თუ დავესესხებით, მექალთანეობა თავისთავად, მიზანსწრაფულობასა და ხასიათის სიმტკიცესთანაა დაკავშირებული და ასეთ პიროვნებებს შიში ნაკლებად აწუხებთ. ყველაფრის თავიდათავი მაინც ისაა, რომ ლავრენტი ბერიას ქმედებაში ყოველთვის აშკარად გამოსჭვიოდა ერთი რამ — ის ქალებს ზერელედ არ უყურებდა და არც წუთიერი სიამოვნებისთვის იყენებდა.

> **„შენსავით ჯერ არც ერთი ქალი არ მყვარებია... ვწუხვარ, რომ ბედმა ამდენი ხნით დაგვაშორა ერთმანეთს, მაგრამ ისევ ძველებურად მიყვარხარ...“**

აქედან გამომდინარე, ლავრენტი ბერიას საყვარლები, ამ სიტყვის

ტრადიციული მნიშვნელობით, არ ჰყოლია — მას ჰყავდა არაოფიციალური ცოლები, რომლებსაც კარჩაკეტილი ცხოვრება ევალებოდათ და ბერიას გარდა, სხვა პარტნიორებზე ოცნებაც არ შეეძლოთ. ბუნებრივია, თუკი რომელიმე მათგანი „პენსნეიანი კაცის“ ამ მოთხოვნებს დაარღვევდა, სიცოცხლეს გამოემშვიდობებოდა. „ლავრენტის თავისი ბობოქარი ცხოვრების განმავლობაში უამრავი ქალი უყვარდა; რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, თითქმის ყველას მიმართ თავისებურად ერთგული იყო“, — აღნიშნავდა საყოველთაოდ ცნობილი ჩეჩენი დისიდენტი აბდურაჰმან ავტორხანოვი. ასევე საინტერესოა ისიც, რომ თავის ქალებს ბერია აბორტის გაკეთებას სასტიკად უკრძალავდა, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი უკანონო შვილისთვის გვარი არ მიუცია და არც ზედმეტი ყურადღება გამოუჩენია. სხვათა შორის, ამით ისარგებლეს სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტებმა და გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან რუსეთში „პენსნეიანი კაცის“ ათასობით „უკანონო შთამომავალი“ გამოჩნდა, რომლებიც სხვადასხვაგვარი ამბების შეთხზვით ფულის შოვნას ცდილობდნენ.

აღსანიშნავია, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთში ბერიას შთამომავლების გამოჩენა არ გაჰკვირვებიათ. ამ საკითხით სერიოზული ისტორიკოსებიც დაინტერესდნენ; მათი მტკიცებით, საკმაოდ ბევრი ფაქტი მართლაც საყურადღებოა და საბჭოთა პერიოდის მკვლევრებისთვის ფასდაუდებელ ცნობებსაც შეიცავს. მაგალითად, 1999 წელს, რუსულ გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტი“-ში გამოქვეყნდა სენსაციური მასალა იმის თაობაზე, რომ მსოფლიო ომის დასაწყისში, როცა სამხრეთ საქართველოდან (კერძოდ — ბოლნისიდან) გერმანელების გასახლების გადაწყვეტილება მიიღეს, ლავრენტი ბერიამ გასასახლებელთა სიაში ვინმე ერნა ქინდლის სახელი ჯერ წითელი ფანქრით შემოხაზა, მერე სრულიად საიდუმლოდ, ბრძანება გასცა — ხსენებული პირი ციმბირის ნაცვლად, პოდმოსკოვიეში, ერთ-ერთ „დახურულ ქალაქში“ (მაშინ ასე იხსენიებდნენ ისეთ ქალაქებს, რომლებშიც ზესაიდუმლო სტრატეგიული ობიექტები იყო განლაგებული), საბავშვო ბაღის უბრალო მასწავლებლად გაეშვათ — ცხადია, მიწერ-მოწერისა და გადაადგილების უფლებების მკაცრი შეზღუდვით.

ერნა ქინდლი, იგივე ირინა ნემცოვა

გერმანელთა გასახლებაზე პასუხისმგებელმა პირებმა, რასაკვირველია, უყოყმანოდ აღასრულეს ბრძანება. ერნა ქინდლი 29 წლის ბოლნისელი, დედით აზერბაიჯანელი და მამით გერმანელი, ენით აუწერელი სილამაზის, ახალგათხოვილი ქალი აღმოჩნდა. ის დაკავების დღესვე გადაგზავნეს მოსკოვში, ხოლო მისი მეუღლე — ვინმე პაულ მიულერი ციმბირში გადაკარგეს. „წითელარმიელებმა ყველა ჩვენგანი ნავთლუღის სადგურზე მიგვრეკეს. იქ კი უკვე ეშელონი გველოდა. თითოეულ ვაგონთან ჯარისკაცი იდგა, ხელში სია ეკავა და გვარებს ხმამაღლა კითხულობდა... მე და ჩემს მეუღლეს მესამე ვაგონში ასვლა გვიწევდა. ჯერ პაული ავიდა და ხელი გამომიწოდა, მაგრამ ამ დროს, აქედან და იქიდან ორი მაღალჩინოსანი სამხედრო ამომიდგა. მათ სახელი მკითხეს და შემდეგ კი მიბრძანეს: „გამოგვყევით! თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ!“ და წამიყვანეს. ჩემს მეუღლეს ვაგონიდან ჩამოხტომა სურდა, მაგრამ ამის საშუალება არ მისცეს“, — იხსენებდა შემდეგ ერნა ქინდლი — იგივე ირინა ნემცოვა ჟურნალისტთან ინტერვიუში.

ახალგაზრდა ქალი მაღალჩინოსანმა სამხედროებმა სამ სამოქალაქოტანსაცმლიან პირს გადააბარეს, მათ კი დახურული სამთავრობო ვაგონით მოსკოვში ჩაიყვანეს. „არც კი ვიცოდი, სად მივდიოდი, მაგრამ კითხვასაც ვეღარ ვბედავდი... თანმხლებმა პირებმა მკაცრად

ბერია და მისი ცოლი ნინო

გამაფრთხილეს, რომ გაქცევა არც მეცადა — ტუალეტში შესვლისასაც კი კარი ჩაუკეტავი უნდა დამეტოვებინა“, — გაიხსენა ერნა ქინდლმა. იგი ლავრენტი ბერიას ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში შეახვედრეს: „მე უწინ მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ რომ შემხვდა, შემახსენა — ერთმანეთს თბილისში, ოპერის თეატრში შევხვედრივართო... ოპერაში იმ დღეს მე და პაული ვიყავით და როცა ხალხი აჩურჩულდა, ბერია მოვიდაო, მახსოვს, შევეცადე, დამენახა... იმ დღეს მისი მზერა კი დავიჭირე, მაგრამ მეტი არაფერი მომხდარა, თვალი სწრაფად ავარიდე“, — აღნიშნავდა ერნა ქინდლი. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ლავრენტი ბერიას ქალის შესახებ ყველაფერი დაედგინა და როდესაც დრო დადგებოდა, თავისთან დაებარებინა.

„არგუმენტი ი ფაქტი“-ში გამოქვეყნებულ ინტერვიუში გერმანელი ქალი დეტალურად ჰყვებოდა, თუ რაზე ესაუბრა ბერია მას შეხვედრისას: „მას ჰქონდა დახვეწილი მანერები და თამამად იქცეოდა. მითხრა, რომ დანახვისთანავე მოვეწონე და ამიტომაც სურდა, ციმბირში გადასახლებისაგან ვეხსნე... მელაპარაკებოდა იმაზე, რაც მაინტერესებდა და უეცრად ვიგრძენი, რომ პიროვნულად თითქოს აღარც კი ვარსებობდი — ლავრენტი ჩემს აზრებს კითხულობდა და მე უბრალო წინააღმდეგობის გაწევის უნარიც აღარ მქონდა“, — ამგვარი საუბ-

რების შემდეგ, ლავრენტი ბერიამ ქალთან საწადელს მალე მიაღწია და ერნა ქინდლი დაორსულდა. ამის შემდეგ ბერიამ მასთან ურთიერ-



ბერიას ერთ-ერთი საგრფო ასიე ჯიველექოღლი ძმისშვილებთან ერთად

თობა თითქმის სულ გაწყვიტა, თან სასტიკად აუკრძალა აბორტის გაკეთება და მომხდარის გახმაურება.

ერნა ქინდლს სამშობიაროში მიუტანეს ახალი პასპორტი ირინა ნემცოვას სახელზე, თუმცაღა თავისუფალი გადაადგილების უფლება არ მიუციათ. მას ვაჟიშვილი ეყოლა და სახელად პავლე დაარქვა. ბიჭი ათი წლისა იქნებოდა, როცა მისი ბიოლოგიური მამა დაიჭირეს და დახვრიტეს: „ერთ დღეს სკოლიდან მოვედი და ვხედავ — დედა ოთახში ზის და ტირის. რა მოგვიდამეთქი, ვკითხე და — მამაშენი დაიღუპაო. ადრე ნათქვამი ჰქონდა, რომ მამა ციმბირში იყო გადასახლებული და ვიფიქრე, ალბათ ცნობა თუ მიიღო-მეთქი“, — განუცხადა რუსულ გაზეთს პავლე ნემცოვმა წლების შემდეგ. მან მხოლოდ საბჭოთა კავშირის დანგრევის მერეღა შეიტყო დედისაგან სიმართლე.

მეორე ამბავი კი, რომელიც არანაკლებ საინტერესოა, ბერიას ახალგაზრდობის დროინდელ გატაცებას უკავშირდება: 1919 წელს, როდესაც ბათუმში რევოლუციონერობდა, ლავრენტიმ ერთი ლაზი გოგონა — ასიე ჯიველექოღლი გაიცნო. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მერე გოგოს მშობლები წინააღმდეგნი წავიდნენ — ქალიშვილს ქრისტიანს არ გავატანთო. ასიემაც მათ გადაწყვეტილებას ვეღარაფერი დაუპირისპირა და იძულებული გახდა, ახალგაზრდა ბერიასთან ურთიერთობა შეეწყვიტა. რაღა თქმა უნდა, ლავრენტიმ ეს არად ჩააგდო და შეეცადა, ასიეს გული კვლავაც მოეგო. სხვათა შორის, ამის გაკეთება არ გასჭირვებია, რადგან ქალიშვილს მისდამი გრძნობა არც განელებოდა. ერთი სიტყვით, ბერიამ ერთ-ერთი თავისი ლაზი ძმობილის დახმარებით, გოგო მოიტაცა და ფერიის მთაზე გადამალა. მეორე დილით ადრე, მეცხრე ცაზე მყოფ ახალგაზრდებს ინგლისური სამხედრო პოლიცია დაადგა (იმ დროს ბათუმს ბრიტანული ადმინისტრაცია მართავდა) და ორივენი დააპატიმრა. ასიე, როგორც ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომი, მალევე გაათავისუფლეს და მამას ჩააბარეს, ლავრენტი კი ციხეში ჩასვეს.

მას შემდეგ, კარგა ხნის განმავლობაში ბერიას ასიეს შესახებ აღარაფერი სმენოდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველგან დაეძებდა. 1951 წელს, როდესაც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკიდან ოსმალეთის ყოფილ ქვეშევრდომებს ასახლებდნენ და ბერიას წინააღმდეგ ინტრიგებს ხლართავდნენ, „პენსნეიან კაცს“ სოხუმის რაიონიდან გასასახლებელი „თურქების“ სია შეუტანეს, რომელშიც ასიე ჯიველექოღლიც იყო აღნიშნული. ლავრენტიმ მისი სახელი და გვარიც წითელი ფანქრით შემოხაზა და ბრძანებაც გასცა — ეშელონიდან ჩამოხსენითო. არადა, მატარებელი უკვე დაძრული იყო და სადღაც კასპიისპირა ველებზე მიქროდა. ის ჩეკისტებმა ასტრახანთან შეაჩერეს, ქალი გადმოსვეს და მოსკოვში ჩაიყვანეს. იმ დროს ასიე 50 წლისა იყო. ქმარ-შვილი არ ჰყავდა და დაობლებულ ძმისშვილს ზრდიდა. ქალი ვერც წარმოიდგენდა, თუ ძველ სიყვარულს კიდევ შეხვდებოდა. ბერიას ამბავი, ცხადია, კარგად იცოდა, მაგრამ მასზე ოცნებასაც ვერ ბედავდა.

ასიე და ლავრენტი ერთმანეთს, როგორც წესი, კონსპირაციულ ბინაში შეხვდნენ და ქალი განაცვიფრა იმან, რომ მტკიცე ხასიათით საყოველთაოდ ცნობილ მაღალჩინოსანს თვალზე ცრემლი უბრწყინავდა. მან კარგა ხნის განმავლობაში ხმის ამოღებაც კი ვეღარ მოახერხა, მერე ძალა მოიკრიბა და ასიეს უთხრა: „შენსავით ჯერ არც ერთი ქალი არ მყვარებია... ვწუხვარ, რომ ბედმა ამდენი ხნით დაგვაშორა ერთმანეთს, მაგრამ ისევ ძველებურად მიყვარხარ...“ ქალმა პასუხი არ გასცა. ის პოდმოსკოვიეში, ბერიას ერთ-ერთ აგარაკზე დარჩა. იქ მანამდე ცხოვრობდა, სანამ „პენსნეიან კაცს“ დაიჭერდნენ, მერე კი საბჭოთა ხელისუფლებისგან ნებართვა აიღო და თურქეთში გადასახლდა. ასიემ ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და 1988 წლის ოქტომბერში, როცა საბჭოთა კავშირის ძლიერებას უკვე წყალი ჰქონდა შემდგარი, ერთ-ერთი რუსული გაზეთის ჟურნალისტს, რომელიც იმ დროს თურქეთში მოგზაურობდა, ვრცელი ინტერვიუ მისცა. „ლავრენტი ბერია საოცრად ვაჟკაცური კაცი იყო. მის პოლიტიკურ შეხედულებებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ სიყვარული კი საოცარი იცოდა და ამაში, სამწუხაროდ, მე გვიან დავრწმუნდი“, — უთხრა ჟურნალისტს ქალმა. „ამ მოხუც ქალს ტრაპიზონის მახლობლად, ერთ პატარა სოფელში შევხვდი. მას ეტყობოდა, რომ ძველი სიყვარული დღესაც არ განელებოდა და ამიტომ, ბერიაზე ობიექტურად საუბარი მაინც გაუჭირდა“, — ასე მთავრდებოდა სტატია, რომელიც ასიე ჯიველექოღლის ამბავს მოგვითხრობდა. იმ დროს, ამ მასალას რუსეთში გამოხმაურება არ მოჰყოლია. ათიოდე წლის შემდეგ, ასიე ჯიველექოღლის ძმისშვილს, თურქეთში ყოფნისას, მეც შევხვდი, მაგრამ მისგან ახალი ვერაფერი შევიტყვე.

ბერიას სასიყვარულო თავგადასავლები, რა თქმა უნდა, ამ ორი შემთხვევით სულაც არ ამოიწურება, მაგრამ ვფიქრობ, „პენსნეიანი კაცის“ ბუნების ამოსაცნობად ესეც კმარა — ლავრენტი ბერია საოცრად მიზანსწრაფული და მტკიცე პიროვნება იყო, მიუხედავად იმისა, რომ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში, კომუნიზმის იდეალებს ემსახურებოდა. ■

კროსოვერი Range Rover Evoque

კომპანია „ლენდ როვერმა“ კროსოვერ Range Rover Evoque-ს პირველი სერიული ეგზემპლარის გასაღებები გადასცა მფლობელებს. ისინი დიდი ბრიტანეთის დედოფლის, ელისაბედ მეორის შვილიშვილი — ზარა ფილიპსი და ბრიტანული ბრენდის ელჩი არიან. საზეიმო ცერემონია Burghley Horse-ს სახელით ცნობილი საცხენოსნო შეჯიბრების მსვლელობისას შედგა, სადაც 60 ასეთი მანქანით მსაჯები, სამედიცინო პერსონალი და ოფიციალური პირები სარგებლობდნენ. ზარა ფილიპსი რუხი ფერის „რენჯ როვერ ევოკის“ 5-კარიანი ვერსიის მფლობელი გახდა. ეს მანქანა 2,2-ლიტრიანი დიზელის ძრავათი, სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი ავტომატური კოლოფით, პანორამული შუშის სახურავით, წრიული ვიდეოხედვის, „მკვდარ ზონებზე“ დაკვირვებისა და ნახევრად ავტომატური პარკირების სისტემებით აღიჭურვა. დიდი ბრიტანეთის დილერთა სალონებში კროსოვერი „რენჯ როვერი“ უკვე შეიყვანეს. ამ მომენტისთვის ბრიტანულ ავტომწარმოებელს ამ მოდელზე მთელი მსოფლიოდან 20 ათასი შეკვეთა მიუვიდა, რომელთაგან 6 ათასი ბრიტანეთიდანაა, ხოლო 2 ათასზე მეტი — რუსეთის ტერიტორიიდან. ჩვენს მეზობელ ქვეყანაში „ევოკის“ 3 და 5-კარიან ვარიანტებს შეიყვანენ 2,2-ლიტრიანი ტურბოდიზელით, რომელიც 150 და 190 ცხძ სიმძლავრის იქნება. ასევე კლიენტებს შეეძლებათ 240 ცხძ-ი სიმძლავრის, 2-ლიტრიანი ბენზინისძრავიანი მანქანების შეძენაც. ■

განახლებული X6 M

ფრანკფურტის მოტორშოუზე კომპანია BMW განახლებული X6-ისთვის სპორტული აქსესუარების ხაზს წარადგენს. სიახლეს კარბონის წინა და ნახშირპლასტიკური უკანა სპოილერი, ასევე 21-დუიმიანი ბორბლების დისკები ექნება. ამ ეტაპზე უცნობია, განუახლებენ თუ არა მანქანას ტექნიკურ მონაცემებს. სავარაუდოდ, აღნიშნულ X6-ს ახალი გამომშვები სისტემა და უფრო მძლავრი ძრავა ექნება. BMW X6 M პირველად 2009 წლის ზაფხულში წარმოადგინეს. არასაგზაო 4,4-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი, 555 ცხძ-იანი ტურბინირებული ძრავათია აღჭურვილი, რომელსაც სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი ავტომატური კოლოფი აქვს. მწარმოებლის მონაცემებით, 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარეს ავტომობილი 4,7 წამში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 250 კმ/სთ-ია. ■

FondTech-ის სარბოლო ელექტროავტო

იტალიურმა საინჟინრო კომპანია FondTech-მა E11-ის სახელწოდებით სარბოლო ელექტრონული ავტომობილის პროტოტიპი წარმოადგინა. ამ მანქანის შექმნაში ჟან კლოდ მიჟო — „ფერარის“ „ფორმულა-1“-ის გუნდის ყოფილი ტექნიკური დირექტორი მონაწილეობდა, რომელიც ადრე Renault-ის, Tyrrell-ისა და Minardi-ს საჯინიბოებშიც მუშაობდა. პროტოტიპი



კარგად წარმოადგენს, თუ როგორი შეიძლება იყოს Formula E-ს ელექტროავტოების სარბოლო ჩემპიონატისთვის განკუთვნილი მანქანა. ამ შეჯიბრების დაწყებას (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია) 2 წლის შემდეგ გეგმავს. წინასწარი მონაცემებით, ამ ჩემპიონატის ვარსკვლავები ქალაქის ტრასებზე ივლიან და თითოეული რბოლის ხანგრძლივობა 15 წუთს არ გადააჭარბებს. წინასწარი ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად, „ფორმულა E“-ს მანქანებს აუცილებლად ღია ბორბლები, მხოლოდ ელექტროაგრეგატი და არანაკლებ 780 კგ მასა უნდა ჰქონდეთ (პილოტის წონის ჩათვლით). ელექტროავტო FondTech E11-ის ზუსტი ტექნიკური მონაცემები ცნობილი არ არის. ამ მომენტისთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მას სრული აძვრის, დამუხრუჭების დროს, ენერგიის რეკუპერაციის სისტემები და პილოტის სავარძლის ქვეშ მოთავსებული ლითიუმ-იონური აკუმულატორების კომპლექტი ექნება. კომპანია FondTech-ის წარმომადგენელთა თქმით, მანქანას 20 წუთის განმავლობაში ფორმულა-3-ის მსგავსი დინამიკური მაჩვენებლები ექნება. ელექტროავტო E11-ის პროტოტიპების ტესტირება მომავალი წლიდან დაიწყება. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქეთევანი ოქროპირიძე

1. ცეკვა სოფელია შუახევის რაიონში.

2. შრი-ლანკას 1972 წლამდე ცეილონი ერქვა.

3. ისააკ ნიუტონს დედოფალმა ანამ მიანიჭა რაინდის წოდება.

4. მონღოლთა უმრავლესობა ტიბეტური ბუდიზმის მიმდევარია.

5. ზრდასრული ჟირაფის გული ათ კილოგრამზე მეტს იწონის.

6. გია თორთლაძე პროფესიით არქეოლოგია. ალპინიზმი მისი ჰობია.

7. ბაირონის კონცხი ავსტრალიის უკიდურესი წერტილია, აღმოსავლეთით.

8. „ქალი სიბრძნეს არ ამბობს, წამოსცდება ხოლმე“, — ამბობს ბიძინა მახარაძე.

9. ინგლისურ ენაში არსებობს სიტყვები, რომელიც უილიამ შექსპირის მოგონილია.

10. 1956 წელს გადაღებული „ჩვენი ეზო“ სოფიკო ჭიაურელის პირველი ფილმი იყო.

11. „პუტ ს ნაიმენშიმ საპრატივლენიემ ვედიოტ კ მინნომუ პოლიუ“, — ამბობენ რუსები.

12. ჩარლზ დარვინს საკუთარი კუზინა, ემე ჰყავდა ცოლად, რომელთანაც 10 შვილი შეეძინა.

13. ჯაყო ჯივაშვილს 3 ცოლისგან 9 შვილი ჰყავდა. მეათე შვილი მას თეიმურაზ ხევისთავის ყოფილმა ცოლმა, მარგარიტა ყაფლანიშვილმა გაუჩინა.

14. საქართველოს მეფე თეიმურაზ II პეტერბურგში გარდაიცვალა და ასტრახანში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარშია დაკრძალული.

15. ბაირონის თარგმნა საქართველოში XIX საუკუნიდან დაიწყეს, მის პირველ ქართველ მთარგმნელთა შორის ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იყვნენ.

16. „ო, ჰოი ნანო“ ნაყოფიერების კულტისადმი მიძღვნილი უძველესი ქართული (აჭარული) საფერხულო ცეკვაა. ენათესავებოდა „მელია-ტელეფიას“ და „იალის თამაშს“. ამჟამად ხულოს რაიონშია გავრცელებული, როგორც საქორწინო ცეკვა.

17. კუნძულები ნიუფაუნდლენდი,

რჩევები მაითვის, ვისაც ფინ ტირანი მეუღლე ჰყავს

ცოლ-ქმრის ცხოვრება თითქოს ჩვეულებრივად მიდიოდა, მაგრამ ერთ დღესაც შელაპარაკდნენ და ქალს საყვარელი ადამიანისგან შეურაცხყოფის მთელი კორიანტელი დაატყდა თავს. მეორედ მამაკაცმა ეს აღარ იკმარა და უდანაშაულო ქალზე ხელიც კი აღმართა; მესამედ, რაღაცაზე გაბრაზებულმა, ცოლს შინდან გაგდებაც დაუპირა...

როგორ უნდა მოიქცეთ ამგვარ სიტუაციაში? შესაძლებელია თუ არა აგრესიის განეიტრალება ან მისი თავიდან აცილება?

ასეთი „ბრძოლების“ უმეტესობა, როგორც წესი, შელაპარაკებით იწყება. უნდა შეეცადოთ, მაშინვე აღკვეთოთ იგი და მანამ განმუხტოთ ვითარება, სანამ უთანხმოება ფიზიკურ ძალადობაში გადაიზრდება. თუკი ეს შეუძლებელია, ჯობს, იქაურობას საერთოდ გაეცალოთ.

ერთი რამ კარგად დაიმახსოვრეთ: საკუთარ თავს ჩაუნერგეთ, რომ თუ ერთ მშვენიერ დღეს თავს შეურაცხყოფა და ცემა-ტყეპა დაგატყდათ, თქვენი ბრალი არ არის — ასეთ მოპყრობას ნამდვილად არ იმსახურებთ. მაშასადამე, საპასუხოდ რაც უნდა მოიმოქმედოთ, მაინც მართალი იქნებით. ამიტომ, თუ აგრესორის გამოსწორება გაქვთ მიზნად დასახული, წინასწარ დაგეგმეთ თავდაცვის საშუალებანი. სრული უფლება გაქვთ, ისეთსავე ხერხებით იმოქმედოთ, როგორსაც თქვენი მეტოქე პარტნიორი იყენებს.

ქალი, რომელიც ძალადობისკენ მიდრეკილების მქონე მამაკაცის გვერდით ცხოვრობს, სათანადოდ ვერც კი აცნობიერებს, თუ რა ხდება მის თავს; გაურბის რეალობას და გარკვეული დროის მანძილზე თავს იტყუებს; უნდა, დაიჯეროს, რომ ამაში არაჩვეულებრივი არაფერია — პირიქით, ამგვარ საქციელს პარტნიორის ძლიერ სიყვარულს მიაწერს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სპეციალისტებმა გარკვეული ტესტი შეიმუშავეს. რაც უფრო მეტ პუნქტს დაეთანხმებით, მით მალე უნდა გაწყვიტოთ კავშირი ამ ადამიანთან. მაშ ასე:

- მეუღლეს ყველაფერში ეთანხმებით, რადგან მისი რისხვის გეშინიათ;
- ცდილობთ, სხვებთან გაამართლოთ მისი საქციელი;
- მისი ეჭვიანობა სიგიჟის ზღვარზეა;
- მას თქვენი ცხოვრების ყოველი წუთის გაკონტროლება სურს;
- ცოფდება, როცა მეგობრებთან ერთად, მის

გარეშე ატარებთ დროს;

• მხოლოდ მან — ერთმა იცის, თუ როგორ უნდა იქცეოდეს — ქალი იქნება ეს ბავშვი თუ მამაკაცი;

• თავის წარუმატებლობაში მხოლოდ და მხოლოდ თქვენ ან გარშემო მყოფებს ადანაშაულებს. არასოდეს იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე;

• თქვენი მხრიდან სულ უმნიშვნელო წინააღმდეგობის გაწევის დროსაც კი მუქარაზე გადადის;

• არავის ენდობა;

ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციაში მისთვის დამნაშავე მხოლოდ დაზარალებულია.

პასუხების შედეგებიდან გამომდინარე, ალბათ უკვე შეგექმნათ გარკვეული წარმოდგენა, აქვს თუ არა თქვენს ურთიერთობას მომავალი. კარგია, თუ თქვენს მეუღლეს ჯერ არ გადაულახავს საშიში ზღვარი.

მაგრამ როგორ უნდა მოიქცეთ, თუ მასთან განშორება ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელია, მდგომარეობა კი დღითი დღე უარესდება?

ჯერ ერთი, იმედი ნუ გექნებათ, რომ ხვალვე რაიმე შეიცვლება — ეს ასე არ მოხდება, რადგან ძალადობისკენ მიდრეკილება ქრონიკულ ხასიათს ატარებს. მეორეც, თუ ფსიქიკურად ან ფიზიკურად დაინვალიდების პერსპექტივა არ გიზიდავთ, მისი თვალთახედვის არიდან გაუჩინარებისთვის უნდა მოემზადოთ, რადგან გამორიცხული არ არის, წინადღის ცემა-ტყეპის შემდეგ, მეუღლემ დევნა და მუქარა დაგიწყოთ, თან საწყალობლად გევედრებოდეთ მასთან დაბრუნებას. შიშის ან სიბრალულის გამო კი შეიძლება დათმობაზე წახვიდეთ და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყება. ამიტომ ჯობს, ისე წახვიდეთ, რომ მისამართი არავის დაუტოვოთ. შეიძლება მატერიალური პრობლემებიც შეგექმნათ, მაგრამ ამ ყველაფრის კომპენსაცია — თქვენი და თქვენი შვილების უსაფრთხოებაა.

გახსოვდეთ: ჯობს მარტო იყოთ, ვიდრე ისეთი ადამიანის გვერდით იცხოვროთ, ვინც თქვენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აყენებს. ■

ჰამბურგერი



მასალად საჭიროა:

70 გ კეტჩუპი;
100 მლ წყალი;
100 გ მაიონეზი;
წინასწარ ცხიმში მოხრაკული 100 გ ხახვი;
2 ცალი სალათის ფურცელი;
1 ს/კ მდოგვი;
1 პატარა თავი ხახვი;
600 გ საქონლის ხორცი;
4 ცალი მჟავე კიტრი;
200 გ ქათმის ფილე;
2 ცალი მსხვილი პომიდორი;
50 გ მცენარეული ზეთი;
4 ცალი დიდი, არატკბილი ფუნთუშა (შეგიძლიათ გამოიყენოთ ბიგ მაკი)
მარილი, პილპილი გემოვნებით.

მომზადების წესი:

ხორცი მსხვილად გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. დაუმატეთ მოხრაკული ხახვი, წყალი, პილპილი და მარილი. ფარში გააბრტყელეთ, მიეცით ჰამბურგერის ფორმა და შეწვით ზეთში. მიაქციეთ ყურადღება, რომ ზომაზე მეტად არ დაიბრაწოს — ხორცი წვნიანი უნდა იყოს! ფუნთუშა გაჭერით შუაზე და ისიც შეწვით.

სალათის ფურცლები გაჭერით შუაზე, პომიდორი დაჭერით მრგვალად, კიტრი — წვრილად, ხახვი — ალყა-ალყა.

ფუნთუშის ერთ ნახევარზე მოათავსეთ ხორცი, მეორეზე კი — დანარჩენი ინგრედიენტები. კეტჩუპი აურიეთ მაიონეზში და შუაში წაუსვით. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქეთევანი ივანიძე

ანტიკოსტი, დედოფალ შარლოტას კუნძულები, კეიპ-ბრეტონი, ვანკუვერი და პრინს-ედუარდი კანადას ეკუთვნის.

18. კერლინგის საასპარეზო მოედნისათვის ყინულის საფრის მოსამზადებლად სპეციალური კონტეინერებით მოაქვთ გამოხდილი წყალი, რომელიც არავითარ მინერალებსა და მარილებს აღარ შეიცავს და — 5,5 გრადუს ტემპერატურაზე ყინავენ. მხოლოდ ამგვარ პირობებში მიიღება ყინულის იდეალური საფარი, რომელიც კერლინგის მოედნისათვის არის აუცილებელი.

19. რომის იმპერიაში შემავალ პროვინციულ ქალაქებში ფორუმზე განიხილებოდა, თუ რომელი ქანდაკება სად უნდა დაედგათ. ეს კოლონიური პროპაგანდის ნაწილი გახლდათ.

20. ლოჰნესის ტბაზე დამთვალიერებელთა მისაზიდად შოტლანდიელებს ბევრ სხვა სუვენირთან ერთად უამრავი ღია ბარათი აქვთ დამზადებული. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახული ურჩხული ნესი თხოვნით მიმართავს ტურისტულ ფირმებს: „ძვირფასო ტუროპერატორებო, გამოგვიგზავნეთ რაც შეიძლება მეტი ტურისტი. უკანასკნელი ჯგუფი ძალზე გემრიელი იყო“.

21. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ სასწრაფო განკარგულება გაიცა, დაესვათ ჰაერში მყოფი ყველა თვითმფრინავი. ერთი საათის განმავლობაში ავიადისპეტჩერებს შეერთებული შტატებისა და კანადის ტერიტორიაზე მყოფი 4500 თვითმფრინავის დასმა მოუხდათ.

22. ფრანკლინ რუზველტის ძაღლი, მეტსახელად — ფალა შოტლანდიური ტერიერი გახლდათ. იგი იმდენად პოპულარული იყო, რომ თეთრ სახლში მის სახელზე წერილები მიდიოდა. მათ შორის იყო წერილები, რომლებიც თითქოსდა სხვა ძაღლების მიერ იყო დაწერილი. ფალა 1952 წელს, 12 წლისა მოკვდა და რუზველტის ანდერძით, პრეზიდენტის სიახლოვესაა დამარხული.

„ასეთ მამაკაცებს ვაფასებ“

პროფესიით ფილოლოგია და ბევრი საყვარელი ავტორი ჰყავს. ამბობს, რომ ყველაზე აქტიური მკითხველი სტუდენტობის დროს იყო. მსოფლიო ლიტერატურის შედევრებსაც სწორედ იმ წლებში გაეცნო. ყველაზე მეტად რომანები იტაცებდა — შეეძლო, სასიყვარულო თავგადასავლები დაუსრულებლად ეკითხა. მიაჩნია, რომ ეს ასაკის ბრალი იყო. უყვარს პოეზია, მაგრამ ლექსებს ზეპირად ვერ იმახსოვრებს. განიცდის, რომ ბოლო დროს წიგნისთვის დროის გამონახვას ვეღარ ახერხებს. „ერუდიტის“ სტუმარი „ისი-პარის“ პიარ-მენეჯერი, ხატია შამუგია გახლავთ.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— ხატია, შეხვედრაზე თითქოს თავს იკავებდი...

— მე და დედაჩემი ამ რუბრიკის ერთგული მკითხველები ვართ. რომ ვერ გიპასუხო? რაღა დაგიმალო და, განვიცდი.

— სანერვიულო არაფერია. მსმენია, რომ წიგნების კითხვა გიყვარს.

— წიგნის კითხვა ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ძალიან მომწონს, ბოლო დროს ჟურნალები წიგნებთან ერთად რომ იყიდება. მადლობა ამ იდეის ავტორს. ცოდნის შეძენის თვალსაზრისით ჩემთვის ყველაზე ნაყოფიერი აბიტურიენტობისა და სტუდენტობის წლები იყო. ქართულში არაჩვეულებრივი რეპეტიტორი მყავდა. მან ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. მე და მაია ასათიანი ერთად ვემზადებოდით.

— ინტელექტუალური თამაშები გიზიდავს?

— ძალიან მომწონს „რა? სად? როდის?“ და „ვის უნდა 20 ათასი?“ (იმედი მაქვს, ამ გადაცემას ეთერში ისევ დააბრუნებენ). ეს გადაცემები არ უნდა გამოტოვო. მიხარია, რომ ჩვენს ქვეყანაში ამდენი ინტელექტუალი ცხოვრობს.

— წიგნი თუ მოგიპარავს?

— (*იცინის*) არა, არ დამჭირვებია.

— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდი?

— კონსტანტინე გამსახურდიას მეფე გიორგისთან ვიმეგობრებდი. გრძნობის კაცია. დღეს გრძნობის კაცები ძალიან ცოტანი არიან. სიყვარულისთვის სისულელის ჩამდენი ბევრი არ მეგულება. ასეთ მამაკაცებს ვაფასებ. მის მონოლოგს გულგრილად ვერ ვკითხულობ, თვალზე ყოველთვის ცრემლი მადგება.

— კითხვარზე გადავიდეთ?

— ვაიმე დედა! ძალიან ვღელავ.

— ეს სახელგანთქმული დიზაინერი წიგნების დიდი სიყვარულით არის ცნობილი. მის ბიბლიოთეკაში 30 ათასზე მეტი წიგნია. წიგნის მოყვარულებს ის სიურპრიზს უმზადებს, — სუნამოს წიგნის სურნელით...

— (*მაწყვეტინებს*) ვიცი! ვიცი! ეს დიზაინერი კარლ ლაგერფილდი გახლავთ. ამჟამად შანელის სამოდელო სახლში მუშაობს და „კოკო შანელის“ სახელით რა ტანსაცმელიც გამოდის, ყველაფერი კარლ ლაგერფილდის შექმნილია. გარდა ამისა, თავისი სახელობის პარფიუმერიის ხაზი აქვს და დიდი ბიბლიოთეკაც, სადაც მკითხველები მიდიან და სასურველ ლიტერატურას ეცნობიან. მისი სუნამოს ფლაკონსაც წიგნის ფორმა ექნება.

— რა ჰქვია ევროს ხურდა ფულს?

— ევროცენტი.

— მოგზაურები ძველთაგანვე ცდილობდნენ, რომ სასმელი წყალი ვერცხლის ჭურჭელში შეენახათ. რატომ?

— წყალს ტემპერატურა რომ შეენარჩუნებინა.

— ცდები, წყლის გაუვნებლების მიზნით ინახავდნენ (ვერცხლი ბევრ მავნე მიკრობს კლავს). რომელი ელემენტია ყველაზე მსუბუქი — რკინა, უანგბადი თუ წყალბადი?

— (*ფიქრობს*) წყალბადი, არა?

— დარწმუნებული ხარ?

— ვაღიარებ, სწორი პასუხი არ ვიცი. ინტუიცია მკარნახობს, რომ წყალბადი იქნება.

— გამოიცანი, კარგი ინტუიცია გქონია. 1898 წელს ინგლისელმა მწერალმა მორგან რობერტსონმა გამოაქვეყნა თავისი ნაწარმოები — „ამაოება“, რომელიც მალე ყველამ მიივიწყა. წლების შემდეგ მწერალი მოხვდა „ტაიმსის“ პირველ გვერდზე. სტატიაში ის მოხსენიებული იყო, როგორც ნათელმხილველი და ბოროტი გენია. რა აღწერა „ამაოებაში“ რობერტსონმა?

— მე უილიამ თეკერეის „ამაოების ბაზარი“ მაქვს წაკითხული. რობერტსონზე ვერაფერს გეტყვი.

— მიგანიშნებ, მან ერთ-ერთი დიდი ტრაგედია ინინასწარმეტყველა, რომელიც „ამაოების“ გამოქვეყნებიდან 14 წლის შემდეგ მოხდა.

— ვერ ვხვდები, რომელ ტრაგედიაზეა ლაპარაკი?

— „ტიტანიკის“ ტრაგედიაზე. ვინ არის ფარდობითობის თეორიის ავტორი?

— აინშტაინი.

— როცა ის 72 წლის გახდა, ამ დღის აღსანიშნავად ფოტო გადაუღეს. რა გააკეთა მან კადრში მოხვედრისას?

— ენა გამოყო. ეს ცნობილი ფოტოა.

— „სულ უბრალო სოფელს მაშინ გაუვარდება სახელი, თუ იქ დიდი ვაჟკაცი დაიბადა“. რომელი ნაწარმოების ეპილოგში წერს ამ სიტყვებს მიხეილ ჯავახიშვილი?

— (*ფიქრობს*) „არსენა მარაბდელში“.

— რა ერქვა ოთარაანთ ქვრივს?

— (*პაუზის შემდეგ*) არჩილი, გიორგი, კესო, ვისაც ოთარაანთ ქვრივი უყვარდა, პეტრე ერქვა...

— **პროფესიით ფილოლოგი ხარ, ამ კითხვაზე უნდა მიპასუხო. ოთარაანთ ქვრივი რომ უყვარდა, იმ კაცს კი სოსია ერქვა.**

— ოთარაანთ ქვრივს სახელი საერთოდ არ ჰქონდა, დავიბენი.

— **ვის მიმართავს ლადო ასათიანი სიტყვებით: „თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა“?**

— ბრძოლით გაუმაძღარ არაგველებს. ეს ლექსი ზეპირად მახსოვს.

— **XV საუკუნეში შედგენილ რუკაზე იქნებოდა თუ არა აღნიშნული ამერიკა და ავსტრალია?**

— არ იქნებოდა.

— **როგორ მოკვდა ლუარსაბ თათქარიძე?**

— მუცლის გვრემისგან. ძალიან ბევრი საჭმელი მიირთვა და მიიცვალა.

— **„სრულყოფილების ნუ გეშინიათ, თქვენ ის ოდნავადაც არ გემუქრებათ“. ვინ არის ამ ცნობილი გამონათქვამის ავტორი?**

— არ ვიცი.

— **სალვადორ დალი. ეს ცნობილი ფრანგი დიზაინერი 1883 წლის 19 აგვისტოს დაიბადა. უსახსრობის გამო უდედმამო ბავშვთა სახლში იზრდებოდა. 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი შემოსავალი წელიწადში 160 მილიონ დოლარს შეადგენდა. მან მოდას დაუტოვა ჯაჭვისსახელურიანი ხელჩანთა, მოკლე ვარცხნილობა, გარუჯული კანით სპორტული, დიდი სათვალე, შავი ფერი გახადა აქტუალური...**

— და ეს დიზაინერი გახლდათ კოკო შანელი. მისი ბიოგრაფია ზეპირად ვიცი. ახლაც კომპანიაში ამ სახლის წარმომადგენელი გვყავს სტუმრად.

— **შევამოწმებ, შანელის გამონათქვამებიც თუ იცი ზეპირად: „20 წლამდე ქალს აქვს სახე, რომელიც ბუნებამ უბოძა“...**

— (*მაწყვეტინებს*) „ხოლო 50 წლამდე კი სახე, რომელსაც იმსახურებს“.

— **ამ მდინარეზე 4 ევროპული ქვეყნის დედაქალაქი მდებარეობს.**

— (*მაწყვეტინებს*) კარგი, რა, ეს გეოგრაფია რამ გაგახსენა?

— **დასმულ კითხვაზე პასუხი არ გაქვს?**

— უნდა დავფიქრდე.

— **მიგანიშნებ, ეს ქალაქებია: ვენა, ბუდაპეშტი, ბრატისლავა, ბელგრადი.**

— მივხვდი, მდინარე დუნაიზეა ლაპარაკი.

— **კლასში 35 მოსწავლეა, შეიძლება თუ არა, რომ თითოეული მათგანის გვარი განსხვავებული ქართული ასოებით დაიწყოს?**

— არა.

— **სახელმწიფო ტოგოში თუ მამაკაცი ქალს კომპლიმენტს ეტყვის, რა ვალდებულება ეკისრება მის წინაშე?**

— ცოლად უნდ მოიყვანოს?

— **გამოიცანი.**

— ვა! ლოგიკური აზროვნება სად გამომადგა?!

— **რომელ ქართულ ფილმშია გამოყენებული გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზი „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზხარ“?**

— „ქეთო და კოტეში“.

— **ვისი პიესის მიხედვით არის ეს ფილმი გადაღებული?**

— ავესენტი ცაგარელის „ხანუმას“ მიხედვით.

— **„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო — სრულუფლებოვანი, დამოუკიდებელი სახელმწიფო“. ვინ წარმოთქვა ეს სიტყვები 1918 წლის 26 მაისს?**

— ნოე ჟორდანიამ.

— **იგი 1886 წელს გადააყენეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის თანამდებობიდან, ხოლო 1887 წელს სტავროპოლში მოკლეს. მისი მკვლელობის ორგანიზატორი რუსეთის იმპერიამ ბრილიანტის ჯვრით დაავჯილდოვა. ვინ იყო ცარიზმისთვის საშიში ქართველი მოღვაწე?**

— ვერ ვიხსენებ.

— **მიგანიშნებ, ის 2007 წელს საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ხოლო აკაკი წერეთელმა „განთიადი“ უძღვნა.**

— დიმიტრი ყიფიანი.

— **ევროს გამოშვებას ლამის სკანდალი მოჰყვა. რა შეცდომა იყო დაშვებული კუპიურების თავდაპირველ ვარიანტზე გამოსახულ ევროპის რუკაზე?**

— ზუსტად ვერ გეტყვი, რომელიმე ქვეყანა არ იყო?

— **გერმანია შუაზე იყო გაყოფილი. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს ისტორიაში ვინ იყო პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი?**

— მარგარეტ ტეტჩერი.

— **როგორ იწყება „ვეფხისტყაოსანი“?**

— „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი...“

— **ხატია, დაფიქრდი.**

— ა! მაპატიე, მეორე თავიდან დავიწყე. „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,/ ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,/ მან კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,/ მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.“

— **ვის უწოდებენ „ვალსების მეფეს“?**

— მენდელსონს.

— **ის „საქორწინო მარშის“ ავტორია. „ვალსების მეფეს“ შტრაუსს უწოდებდნენ. რომელ ქალაქში ტარდება ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს — „ოსკარებით“ დაჯილდოების ცერემონია?**

— ლოს-ანჯელესში.

— **„უხერხულია — შენ...**

— (*მაწყვეტინებს*) „...შენ გერქვას ცოლი -/ შენ უნდა ცისფერ ღრუბელთან იწვე./ აჰა, დამბაჩა და სველი თოვლი!../ მე შენს მეუღლეს დუელში ვიწვევ“... ამ ლექსის ავტორი ტარიელ ჭანტურიაა.

— **ეს ინგლისელი მწერალი ქალი I მსოფლიო ომის დროს მოწყალების დად მუშაობდა. მას დეტექტიური ჟანრის 60-მდე ნაწარმოები აქვს შექმნილი. დასახელე რომელ მწერალზეა ლაპარაკი.**

— მინიშნებას ვერ მეტყვი?

— **მისი ნაწარმოებების მთავარი გმირი ერკიულ პუაროა.**

— კარგი მინიშნებაა, აგატა კრისტი ყოფილა.

— **ვინ არის ყველაზე ხანდაზმული კარიერის მქონე რეჟისორი, რომელიც დღესაც ცოცხალია. პირველი მუნჯი ფილმი 1931 წელს გადაიღო, ბოლო — 37-ე ფილმი კი 2004 წელს. პორტუგალიელია.**

— ბოლოს გადაღებულ ფილმს რა ჰქვია, ვერ მეტყვი?

— **„მეხუთე იმპერია“.**

— მანუელ დე ოლივეირა.

— **დაბოლოს, დაასრულე ჰიუგოს ცნობილი გამონათქვამი: „მამაკაცს უნდა შეეძლოს ქალს დაემორჩილოს, რომ შემდეგ მასზე...**

— „...რომ შემდეგ მასზე ბატონობის უფლება მოიპოვოს“. ■

კაცობრიობის ხსნას დასაბამი ღვთისმშობლის შობით დაედო

წმინდა ეკლესია 21 სექტემბერს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობას აღნიშნავს. შობა წმინდა ქალწულ მარიამისა იყო უდიდესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რამეთუ მისი შობით გაცხადებულად დაედო სათავე კაცობრიობის ხსნას — განკაცებულმა უფალმა ხომ სწორედ ქალწულ მარიამისგან შეისხა ხორცი, უფალმა მის წიაღში ინება განხორციელება...

შორენა მერკვილაძე

„როდესაც უფალმა ცოდვით დაცემული ადამი და ევა სამოთხიდან განდევნა, იქვე წარმოთქვა აღთქმა, რომ დედაკაცის თესლი შემუსრავდა გველის თავს; მამაკაცის თესლის შესახებ აღთქმაში არაფერია ნათქვამი. იმ ჟამის მოახლოებისას, როდესაც კაცობრიობას მხსნელი უნდა მოვლენოდა, უფრო მკაფიოდ ითქვა, თუ რა სახით უნდა მომხდარიყო ეს — „აჰა, ქალწულმან მუცლად იღოს და შვას ძე“... ამ სიტყვებით აუწყა ესაია წინასწარმეტყველის პირით უფალმა კაცობრიობას მაცხოვრის შობა. ეს ქალწული გახლდათ ყოვლადწმინდა მარიამი. მან თავის წიაღში დაუტევნელი დაიტია — მისგან შეისხა ხორცი მაცხოვარმა — განკაცებულმა ღმერთმა. წმინდა ქალწული შეიქმნა დედა ღვთისა და ამიტომაც ეწოდა ღვთისმშობელი. მთელ კაცობრიობაში მხოლოდ წმინდა მარიამი შეიქმნა ღირსი, მიეღო სიტყვა ღვთისა და ღვთის უდიდესი საიდუმლოს განხორციელებისთვის ემსახურა...

ყოვლადწმინდა ქალწული იშვა გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში, რომელიც მთის ფერდობზეა შეფენილი და იერუსალიმიდან სამი დღის სავალზე მდებარეობს. მისი მშობლები იყვნენ მართალი იოაკიმე და ანა. იოაკიმე იუდას (დავით მეფე წინასწარმეტყველის) ტომის შთამომავალი იყო, ანა — პირველი მღვდელმთავრის, აარონისა. მათ წმინდა ქალწული ხანდაზმულობის ჟამს მიჰმადლა უფალმა, მრავალწლიანი გულმხურვალე ლოცვა-ვედრების შემდეგ. გარდამოცემა გვაუწყებს: მართალმა ცოლ-ქმარმა ისე მიაღწია სიბერემდე, რომ შვილი არ ეძლეოდათ. უშვილობის გამო მათ ხშირად ჰყვედრიდნენ თანამემამულენი, რადგან ებრაელთა შორის უშვილობა ღვთის სასჯელად მიიჩნეოდა.

ერთხელაც იოაკიმე ჩვეულებისამებრ მივიდა იერუსალიმის ტაძარში, რათა ტაძრის განახლების დღესასწაულზე მსხვერპლი შეეწირა ღვთისთვის. მან პირველმა მიაწოდა შესაწირი მღვდელმთავარს, მაგრამ მღვდელმთავარმა იოაკიმეს ძღვენი არ მიიღო — უშვილობა აყვედრა: ღმერთმა რაღაც საიდუმლო ცოდვის გამო მოგაკლო კურთხევაო. იქ მყოფმა ებრაელებმაც იუკადრისეს, რომ იოაკიმეს პირველს შეეწირა მსხვერპლი — ამის უფლება არა გაქვს, რადგან შენ არ შეგიქმნია ისრაელის თესლიო.

იოაკიმესთვის მეტად მძიმე აღმოჩნდა ამგვარი შეურაცხყოფის ატანა. დამწუხრებულმა გადაწყვიტა, მოევლო ისრაელის ყველა ტომი და გაეგო, მის გარდა თუ იყო კიდევ რომელიმე მართალი უშვილოდ დარჩენილი. აღმოჩნდა, რომ ყველა მართალს შვილი ჰყავდა. დადარდიანებულმა უდაბნოს მიაშურა, სადაც ორმოცი დღე-ღამე მხურვალე ლოცვაში, უჭმელ-უსმელმა გაატარა.

ანამ ქმრის შესახებ არაფერი უწყოდა და უშვილობასთან ერთად ქმრის გაუჩინარებასაც გლოვობდა, თუმცა უფლის მიმართ იმედი წამითაც არ დაუკარგავს. ერთხელ ანა დამწუხრებული ლოცულობდა ბაღში, თან მწარედ მოთქვამდა: „ვერ ვემსგავსები მიწასაც კი, რადგან მიწაც გამოიღებს ნაყოფს ჟამსა თვისსა და ისიც შენ გაკურთხებს, უფალო“. ამ დროს ანას წინაშე ანგელოზი წარდგა და ახარა, რომ ღმერთმა მისი ლოცვა შეისმინა და მიეცემოდა ასული, რომელსაც მარიამს უწოდებდა. მისგან ნაშობი კი ქვეყანასა ზედა განდიდდებოდა. სიხარულით აღვსილმა ანამ აღთქმა დადო, რომ შვილს უფალს შესწირავდა, რათა მისთვის ემსახურა და ღვთის წმინდა სახელი განედიდებინა.

ანგელოზისგან უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც ეუწყა, რომ მალე შვილი მიეცემოდა. ღვთის ნებისამებრ, იოაკიმე და ანა იერუსალიმის ოქროს კარიბჭესთან შეხვდნენ ერთმანეთს, ღვთის ტაძარში ერთად შესწირეს სამადლობელი მსხვერპლი და შინ დაბრუნდნენ ღრმა რწმენით, რომ მიიღებდნენ ღვთისგან აღთქმულ ასულს.

ცხრა თვის შემდეგ მათ მართლაც შეეძინათ ასული. ამგვარად მოევლინა კაცობრიობას ქალწული, რომლის წიაღშიც უნდა განხორციელებულიყო აღთქმული მესია, მხსნელი ცოდვით დაცემული და ეშმაკის ტყვეობაში მყოფი კაცობრიობისა. წმინდა ქალწული გამოვიდა ოდესღაც სახელგანთქმული დავითის ტომიდან, რომელიც იმ დროს ყოველგვარ ბრწყინვალებასა და მიწიერ დიდებას იყო მოკლებული. ამიტომ ყოვლადწმინდა ქალწულის შობას ამქვეყნიური დიდება და პატივი არ მოჰყოლია.

იუდეველთა ჩვეულების თანახმად, ახალშობილისთვის სახელი შობიდან მეთხუთმეტე დღეს უნდა დაერქმიათ. ანგელოზის უწყებისამებრ, ყრმას მარიამი დაარქვეს, რაც ნიშნავს ქალბატონს, დედოფალს ან იმედს. მარიამი მთელი კაცობრიობის იმედად იქცა. ერთ-ერთი წმინდა მამა ბრძანებს: „წმინდა ქალწული, რომელიც ღმერთის დედა გახდა, უკვე თავისთავად იქცა ქალბატონად, დედოფლად და მფლობელად ყველა მიწიერი და ზეციური ქმნილებისა, მაგრამ ამავდროულად იგი ქმნილებაა და მხევალი თავისი ძისა და ღმერთისა. მთელი კაცობრიობისთვის შობილი მხსნელი თავისთვისაც შვა, რამეთუ თვითონაც კაცთა მოდგმას მიეკუთვნება. ძე მისი ღმერთია, შემოქმედი, უფალი, გამომხსნელი და მაცხოვარი“.

შობა ყოვლადწმინდა მარიამისა იყო უდიდესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში, რადგან იშვა მომავალი მშობელი კაცობრიობის მხსნელისა, ადამიანი, რომლისგანაც უნდა განხორციელებულიყო აღთქმული მესია. ფაქტობრივად, წმინდა ქალწულ მარიამის შობა იყო დასაწყისი კაცობრიობის ხსნისა; კაცობრიობას აღთქმული მხსნელი მოევლინა სამყაროს შექმნიდან 55 საუკუნის შემდეგ. ყოვლადწმინდა ქალწული იშვა მაცხოვრის შობამდე 15 წლით ადრე.

— როგორც ვიცით, ღვთისმშობელი იშვა ხანდაზმული მშობლებისგან. ჰქონდა თუ არა მნიშვნელობა მშობლების ასაკს?

მამა მაკარი:

— ცხადია, ჰქონდა, რადგან ხანდაზმულობის დროს მათი თანაცხოვრება იყო მხოლოდ და მხოლოდ შვილიერებისთვის და არა — ვნებითი. ღვთისმშობელი ვნების გარეშე ჩაისახა. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ჩასახვა ღვთისთვის წმინდაა, მასში ღვთის ხელი ურევია და მისთვის ხელის შეშლა ღვთის მცნებებთან დაპირისპირებაა, მაგრამ ხანდაზმული მშობლებისგან ვნების გარეშე ჩასახვით, წმინდა ქალწული ჩასახვისთანავე იქნა გამორჩეული. ამასთან, ის იშვა ორი მართალი ადამიანისგან, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე მოთმინებით იტანდნენ უშვილობას, თანაც ამის გამო ხშირად უხდებოდათ ყვედრების მოსმენა. მართალი იოაკიმე და ანა არასოდეს დამცხრალან ღვთის მიმართ ვედრებით. ამგვარი ღვთისმოსაობით განვლეს ცხოვრება და სწორედ ამის შემდეგ მიეცათ ასული, რომლისგანაც იშვა მხსნელი კაცობრიობისა.

— იმ პერიოდში, როდესაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იშვა, უწყოდა თუ არა კაცობრიობის თუნდაც მცირე ნაწილმა — მისმა მშობლებმა მაინც, რა მისიისთვის ამზადებდა წმინდა მარიამს უფალი, რაოდენ უდიდესი მისია უნდა ეტვირთა ყრმას, რომლის შობითაც ესოდენ გაიხარეს?

— ღვთისმშობლის მშობლები ღვთისგან გაბრძნობილი ადამიანები იყვნენ. ამიტომ ღვთისგან ის მაინც აუცილებლად ექნებოდათ ბოძებული და ნაუწყები, რისი დამტევნიც იყვნენ. საერთოდ, ძველი აღთქმის პერიოდში არ არსებობდა ქალწულობის მუდმივი აღთქმა, მხოლოდ დროებით აღთქმას დებდნენ. წმინდა მარიამი იყო პირველი, რომელმაც ქალწულობის მუდმივი აღთქმა დადო. იმ დროს მღვდელმთავარი იყო მართალი ზაქარია — იოანე ნათლისმცემლის მამა. როდესაც წმინდა ქალწულისგან ქალწულობის აღთქმის დადების შესახებ შეიტყო, არ მოუთხოვია დაერღვია იგი, მიუხედავად იმისა, რომ ძველი სჯულისამებრ, ქალწულობის მუდმივი აღთქმა სათნო არ იყო ღვთისთვის. ზაქარია, ისევე როგორც მართალი იოაკიმე და ანა, შემდგომში მისი მეუღლე ელისაბედიც, ხვდებოდა, რომ წმინდა მარიამი იყო ის, ვისგანაც უნდა განხორციელებულიყო მხსნელი კაცობრიობისა. ყოვლადწმინდა ქალწული ხომ მათ თვალწინ იზრდებოდა — ბავშვობიდან მისი თანამდევი იყო დაუცხრომელი ლოცვა, მისი განუხრელი მარხვა, ზეაღმატებული მორჩილება და თავმდაბლობა... ეს ყველაფერი მანამდე არნახული რამ იყო. ეს ადამიანები ღვთისგან იყვნენ გაბრძნობილნი და გრძნობდნენ და ხვდებოდნენ, ვინ იყო მარიამი — ვინ უნდა განხორციელებულიყო მისგან.

— რატომ უნდა შობილიყო მხსნელი ქალწულისგან?

— ქალწულისგან შობა მიანიშნებდა, რომ ეს შობა უნდა ყოფილიყო არაბუნებრივი. შესცოდა რა ადამმა, ამით ადამიანის გენეტიკა დაზიანდა. ადამიანმა მიიღო ხრწნილება და კვდომა თავის თავში და ყველა ადამიანი უკვე ადამში — ადამის ცოდვაში იყო ცოდვილი. მხსნელი უნდა ყოფილიყო უცოდველი. შეუძლებელი იყო, ცოდვილი სისხლის მსხვერპლშეწირვით მომხდარიყო კაცობრიობის ცოდვის მონობიდან გამოსყიდვა. ამიტომაც ღმერთი განკაცდა არაბუნებრივი გზით, რათა მასზე ადამის ცოდვა არ გადასულიყო, მაგრამ ღმერთი უნდა ყოფილიყო აუცილებლად სრულყოფილი კაციც, ამისთვის საჭირო იყო ის დედაკაცისგან, ადამიანისგან შობილიყო. ცხადია, უფალს შეეძლო, ხორცი საერთოდ ადამიანის ჩაურევლად შეესხა. როგორც მამაკაცის გარეშე შეისხა ხორცი, ასევე დედაკაცის გარეშე შეეძლო ამის ქმნა, მაგრამ თუ ის ადამიანისგან არ იქნებოდა ნაშობი, ადამიანი ვეღარ იქნებოდა. საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ ღვთის განგებულებას ადამიანის გონება სრულად ვერასოდეს ჩასწვდება, რადგან ღვთის განგებულება ყოველთვის გაცილებით ზეაღმატებულია ადამიანის გონებაზე.

თავისთავად ღვთისმშობელიც, ანუ ის ჭურჭელი, რომლისგანაც კაცობრიობის მხსნელი უნდა შობილიყო, ხორციელად უნდა ყოფილიყო წმინდა, განწმენდილი. წმინდა ქალწული მარიამი იყო ყველაზე რჩეული ჭურჭელი, ყველაზე ზეაღმატებული ადამიანთა შორის — ადამიდან დაწყებული, ბოლო ადამიანამდე, ვინც ბოლო ჟამს დაიბადება, თავისი სათნოებებით, ღვთისმოსაობითა და ღვთის მცნებების აღსრულებით. ამიტომაც შეიქმნა ღირსი იგი, რომ სწორედ მისგან შობილიყო კაცობრიობის მხსნელი.

— ღვთისმშობლის შობის შესახებ ძველ აღთქმაში მოთხრობილი არ არის. ამის შესახებ მხოლოდ საეკლესიო გარდამოცემა გვაუწყებს...

— როდესაც მათეს სახარება იწერებოდა, ღვთისმშობელი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. უმაღლესი თავმდაბლობის გამო ის ყოველთვის ცდილობდა, მის შესახებ ხაზგასმით არ ყოფილიყო მოთხრობილი. წმინდა ქალწული ძველ აღთქმაში მოხსენიებულია მხოლოდ იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც მას ხარებასთან, მაცხოვრის შობასთან, მის ჯვარცმასთან აკავშირებს. მისი შობის, ცხოვრებისა და თვისებების შესახებ ეკლესიამ წმინდა გარდამოცემით იცის, რომლებიც ჯერ ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, საუკუნიდან კი ჩაწერა დაიწყეს. წმინდა გარდამოცემები წმინდა წერილში არ შედის, მაგრამ მისი ტოლფასია. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

სურნელოვანი მცენარეები

ვის არ შეუგრძნია პიტნის, თავშავას, ბეგქონდარას, ლავანდის, ბარამბოსა და მრავალი სხვა მცენარის სასიამოვნო არომატი? მათი სიახლოვეც კი დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე: მცენარის შემადგენლობაში შემავალი, „მფრინავი“ ფიტონციდები გამოიყოფა გარემოში, ანადგურებს ავადმყოფობების გამომწვევ მიკროორგანიზმებს, ხსნის სტრესს, ნევროზსა და ამაღლებს ორგანიზმის იმუნურ ძალებს. სამწუხაროდ, ყველა სამკურნალო მცენარეს ვერ დავახასიათებთ, მხოლოდ იმ მცენარეებზე გიამბობთ, რომელთა ყიდვაც შესაძლებელია აფთიაქებში, თუმცა უკეთესი იქნებოდა, საკუთარ ბაღ-ბოსტნებში ან აივანზე მიმაგრებულ დიდ ქოთნებში მოგეყვანათ.

უსუპი

უსუპი ნახევრად ბუჩქოვანი, სინათლის მოყვარული მცენარეა; კარგად უძლებს ყინვასა და გვალვას. ყვავის ივლისსა და აგვისტოში, მისი ყვავილები ლურჯი, იასამნისფერი, იშვიათად ვარდისფერი ან თეთრია. სამედიცინო თვალსაზრისით უნდა შეგროვდეს აყვავებული მცენარის კენწერო, ფოთლებიანად.

უსუპის პრეპარატებს აქვთ ბაქტერიოციდული, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობის შემხორცებელი, ამოსახველებელი, მადის აღმძვრელი და იმუნიტეტის გამაძლიერებელი მოქმედება. ამიტომ გამოიყენება: გინეკოლოგიური დაავადებების, ასთმის, ბრონქიტის, ფილტვების ტუბერკულოზის, გონების დაკარგვისა და ეპილეფსიის დროს.

გამოიყენება ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქული ასთმის, გასტრიტის, კოლიტის, შეკრულობის და დისპეფსიის სამკურნალოდ: 2 ჩ/კ დაქუცმაცებულ ნედლ მცენარეს დაასხით 0,5 ლ მდუღარე წყალი, მიიყვანეთ ადუღებამდე, გადმოდგით ცეცხლიდან, გააჩერეთ 1/2 საათი და გაფილტრეთ. მიიღეთ 1/2-1/2 ჭიქა ნაყენი დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე. მკურნალობის კურსი 20 დღეა.

თუ არ გაქვთ ყოველდღიურად ახალ-ახალი ნაყენის მომზადების საშუალება, მაშინ: 2 ს/კ დაქუცმაცებული ნედლი უსუპი ჩაყარეთ ჭურჭელში, რომელსაც თავი მჭიდროდ ეხურება, დაასხით 1 ჭიქა არაყი, გააჩერეთ ერთი კვირა სიბნელეში, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ: მცირე რაოდენობით წყალში გაზავებული თითო-თითო ჩაის კოვზი ნაყენი, 2-3-ჯერ დღეში. მკურნალობა გააგრძელეთ მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.

ჰიპოტონია (დაბალი წნევა), ნევროზი, დეპრესია, საერთო სისუსტე: 2 ჩ/კ დაქუცმაცებულ ნედლ ან გამხმარ მცენარეს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ ნახევარი საათი, გაფილტრეთ. მიიღეთ 1/4 ჭიქა ნაყენი დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. მკურნალობის კურსი 7-10 დღეა.

კლიმაქსთან დაკავშირებული ჭარბოფლიანობა: 1 ჩ/კ დაქუცმაცებულ ნედლ ან გამხმარ უსუპს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, მიიყვანეთ ადუღებამდე, გადმოდგით ცეცხლიდან, გააჩერეთ 1 საათი და გაფილტრეთ. მიიღეთ 1/3-1/3 ჩ/ჭ ნაყენი დღეში 2-3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე. მკურნალობის კურსია 3-4 კვირა.

ანგინა, პირში არასასიამოვნო სუნი, ხმის ჩახლეჩა: 2 ჩ/კ დაქუცმაცებულ ნედლ ან გამხმარ მცენარეს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1 საათი და გაფილტრეთ. ნაყენი გამოივლეთ ყელში დღეში 3-4-ჯერ. მკურნალობის კურსი 5-10 დღეა.

კონიუნქტივიტი: 1 ს/კ დაქუცმაცებულ ნედლ ან გამხმარ მცენარეს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დადგით 1 საათი, შემდეგ გაფილტრეთ. ამ ნაყენით დღეში 4-6-ჯერ გამოირეცხეთ თვალები. მკურნალობა განაგრძეთ გამოჯანმრთელებამდე.

უსუპი მცირედ ტოქსიკური მცენარეა, ამიტომ აუცილებლად დაიცავით დოზები. მისი მოხმარება არ შეიძლება ორსულთათვის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



„კამელინი“ ჯანმრთელობის სამსახურში

თაფლის უნიკალური სამკურნალო თვისებები ანტიკური ხანიდან არის ცნობილი, აპითერაპიის სახით. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ანტიბიოტიკები, ჭრილობების დამუშავება ხდებოდა თაფლით, რომელიც ავლენდა ანთების საწინააღმდეგო და რეგენერაციულ თვისებებს. ცნობილ ქირურგს, ბენედიქტე (ძაგული) მაღლაკელიძეს (იცოდა რა თაფლის თვისებები) გაუჩნდა დიდი ინტერესი თაფლის სამკურნალოწამლო საშუალებად გამოყენებაზე. ჩატარდა მრავალი ექსპერიმენტი, კვლევა. ამ პერიოდის განმავლობაში პრეპარატი მოიხმარა ათასობით ონკოდაავადებულმა, მათ შორის უმძიმეს სტადიაში მყოფმა ავადმყოფებმაც. უმეტეს შემთხვევაში პრეპარატი ავლენდა ინჰიბიტორულ მოქმედებას სიმსივნეთა ზოგიერთი ფორმის ზრდაზე, მათ სრულ რეგრესიამდე, პირველ რიგში კი ანტისიმსივნურ თვისებებს. „კამელინის“ მიმართ ინტერესი დიდი იყო და არც ახლა ჩამცხრალა. უნიკალური პრეპარატის ავტორი ვერ მოესწრო „„კამელინის“ დღევანდელ პოპულარიზაციას, რომელიც დიდი ძალისხმევის ფასად მოახერხეს მისმა მეუღლემ, აწ გარდაცვლილმა, ასევე ქირურგმა გუგული აბაშიძემ, ქალიშვილმა — ქეთევანმა და სიძემ — ავთანდილ მახარობლიძემ. გვესაუბრება კომპანია „„კამელინის“ დამფუძნებელი, ძეთევან მაღლაკელიძე.

— ვისაუბროთ პრეპარატ „კამელინზე“, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს, როგორც მეცნიერთა, ასევე ექიმების მხრიდან...

— წლების წინ „კამელინით“ მკურნალობის მსურველები ძირითადად ონკოპაციენტები იყვნენ, მოგვმართავდნენ პაციენტები, რომელთა მდგომარეობა უმძიმესი და მკურნალობა დაგვიანებული იყო, მათ „კამელინის“ იმედიღა ჰქონდათ. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც გაიარეს მკურნალობის ყველა ეტაპი — ოპერაციული, ქიმიო-თერაპიული, ასევე მოგვმართავდნენ ისეთებიც, რომლებსაც ონკოლოგების დანიშნულებებთან ერთად სურდათ „კამელინის“ გამოყენება. უმეტეს შემთხვევებში ავადმყოფები თავს უკეთ გრძნობდნენ, უმცირდებოდათ ტკივილები და ამცირებდნენ ტკივილგამაყუჩებლების დოზას, საერთო მდგომარეობა უუმჯობესდებოდათ, ხშირად ადგილი ჰქონდა სიმსივნური წარმონაქმნების ზომაში შემცირებას. იყო ისეთი ერთეული შემთხვევებიც, როდესაც სიმსივნური წარმონაქმნი სრულიად გამქრალა კიდეც. მრავალწლიანი დაკვირვებების შედეგად ნათლად დასტურდებოდა „კამელინის“ ანტიბლასტომური მოქმედება. დღესაც „კამელინის“ თითქმის ყველა მომხმარებელი „კამელინოთერაპიის“ დროს თავს უკეთ გრძნობს და კურსის დასრულების შემდეგ პერიოდულად აგრძელებს „კამელინის“ მიღებას, პროფილაქტიკის მიზნით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ „კამელინის“ პროფილაქტიკურად გამოყენება ყველა ჩვენგანისთვის სასურველია.

კომპანია „კამელინი“ 2004 წლიდან კვლავ განაგრძობს ნაყოფიერ ექსპერიმენტულ-კლინიკურ კვლევებს, როგორც საზღვარგარეთის — კვებეკის, მონრეალის, ილინოისის, ორეგონის, ბერნის, გერმანიის, ინგლისის, რიო-დე-ჟანეიროს, დელის, ასევე საქართველოს სამეცნიერო და სამედიცინო ცენტრებში. „კამელინი“ მოხვდა უცხოელ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში სწორედ ავტორის პერიოდის კვლევებისა და შრომების გაცნობის საფუძველზე. ჩვენ არ ვჩერდებით და სისტემატურად ვაწარმოებთ „კამელინის“ ბიოლოგიურ აქტივობებზე მონაცემების შეგროვებას. მრავალი კვლევების საფუძველზე „კამელინმა“ გამოავლინა სხვადასხვა გამოყენების ჩვენებები და შეიძინა ახალი მიმართულებები მედიცინაში (რევმატოლოგიასა და უროლოგიაში, გინეკოლოგიაში, სტომატოლოგიაში, დამწვრობით გამოწვეულ პათოლოგიებში, განსაკუთრებით იმუნური თვალსაზრისით და სხვა დაავადებების დროს). 11 ივნისს კომპანია „კამელინმა“ „შერატონ ბათუმი პალასში“ გამართა კონფერენცია თემაზე — „კამელინი და ჯანმრთელობა“, სადაც სხვადასხვა პროფილის ექიმებმა წარმოადგინეს მოხსენებები პრეპარატ „კამელინზე“ განხორციელებული კვლევების შედეგებზე. კონფერენციის სტუმრები იყვნენ ასევე ბათუმის სხვადასხვა პროფილის წამყვანი სპეციალისტები, რომლებმაც მედიის წარმომადგენლებთან დისკუსიის დროს გამოთქვეს მოსაზრება პრეპარატ „კამელინი“ ოთხივე ფორმის უფრო ფართოდ გამოყენების შესახებ სხვადასხვა დაავადებასთან მიმართებაში. განსაკუთრებით — პროფილაქტიკური გამოყენების მიზნით. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფუძნდა ჩვენი შვილობილი კომპანია „Camelyn U.S. Incorporation“, რომელმაც ამ ქვეყნის ბაზარზე უკვე დაარეგისტრირა „კამელინის“ კაფსულების ფორმა და პირველი პარტია დამზადებულ იქნა ამერიკულ ფარმაცევტულ საწარმოში „Kolkhety Honey“ სახელწოდებით. ასევე საბერძნეთში დარეგისტრირდა საერთაშორისო კომპანია „Camelyn International“.

ბათუმის ონკოლოგიური კლინიკის ონკოლოგი, **მეფედ ჯინჭარაძე:**

— კამელინი M1“-ის და „კამელინი M2“-ის გამოყენებამ უმძიმეს პაციენტებში (სხვადასხვა სიმსივნეების IV სტადია) მოგვცა ზოგადი მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება, ნარკოტიკული საშუალებების შემცირება, რიგ შემთხვევაში — დროებით მოხსნა, სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება და გახანგრძლივება, მადისა და ენერგიის მომატება, დეპრესიული ფონის მოხსნა, მეტასტაზური სიმსივნის რეგრესი 20-30 პროცენტში, რომელიც შენარჩუნებულ იქნა 6-8 თვის განმავლობაში. კლინიკიდან ვასკვნით, რომ „კამელინი“ IV სტადიის სიმსივნის მქონე უმძიმეს პაციენტებში საკმარისი ეფექტით გამოირჩევა.

მარინა გორგოლაძე, *ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ოფთალმოლოგი:*

— 8 წლის წინ დამიდგინდა ფიბრომატოზულ-კისტოზური მასტოპათია. საჭირო იყო ოპერაციული ჩარევა, მაგრამ ქალბატონმა გუგულიმ (პრეპარატ „კამელინის“ ავტორის მეუღლემ) მომაწოდა პრეპარატი „კამელინი M1“-ინიექცია. ერთი თვის შემდეგ დიაგნოსტიკის საფუძველზე კვანძები აღარ დფიქსირდა. ჩვენს ქალაქში სხვადასხვა დაავადების დროს კმაყოფილ პაციენტთა რაოდენობა დიდია. შესანიშნავი შედეგები აღინიშნება ოტოლარინგოლოგიაში, გინეკოლოგიაში, კერატიტების დროს — ოფთალმოლოგიაში, რევმატიული, სწორი ნაწლავის (სანთლების სახით) და ონკოდაავადებების დროს, ასევე პროფილაქტიკური თვალსაზრისით, როგორც შესანიშნავი იმუნომოდულატორი. მე, როგოც ექიმი, თამამად ვურჩევ პაციენტს აღნიშნული პრეპარატით მკურნალობას. განსაკუთრებით — კომლექსურ თერაპიასთან ერთად.

კომპანია „კამელინი“ ამჟერად აწარმოებს ოთხი სახეობის „კამელინს“: ინექცია — „კამელინ M1“, კაფსულა — „კამელინ M2“, მალამო — „კამელინ M3“, სანთლები — „კამელინ M4“. სექტემბრის ბოლოს გამოვა „კამელინფლუ“-სპრეი, ყელისა და პირის ღრუს ინფექციებისათვის. „კამელინის“ არც ერთ ფორმას არ გამოუვლენა უკუჩვენება და მისი შეთავსება შესაძლებელია ყველა სამკურნალო საშუალებასთან. ჩვენი მიზანია, „კამელინმა“ დაიკავოს ღირსეული ადგილი სხვა ქვეყნების ფარმაცევტულ ბაზარზეც და ეს უნიკალური პრეპარატი ხელმისაწვდომი გახდეს ყველასთვის.

მოამზადა **მარია ცოფალიამ**

კამელინთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა. დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-45-33-68; 2-22-26-68; 2-75-04-08; 599 33 10 89; 599 58 09 07; 577 73 56 51; 599 23 03 33;
www.camelyn.ge
R

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

წუთისოფლის სტუმრები ვართ

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება.
რასაც ერთურთს გავახარებთ,
იმის მეტი რა შეგვრჩება,
სამი ადლი ტილოს მეტი,
სამარეში რა ჩაგვყვება?

ხალხური

სახსოვარი

ზვიად გამსახურდია

◆ მდინარებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან.

◆ ღვთისმოსაობა ადამიანისა ხშირად საკრალური სახელის არხსენებაში უფრო მჟღავნდება, ვიდრე მის წარამარა ამაოდ ხსენებაში.

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

მ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-36, 2011

მაქმანი — სახეებიანი თხელი ბადურა ქსოვილი; ხმარობდნენ ტანსაცმლისა და თეთრეულის მოსართავად.

მაქო — 1. საქსოვი დაზგის ნაწილი — მასრის ჩასადები მოგრძო, ოვალური კოლოფი; 2. საკერავი მანქანის ასეთივე ან მრგვალი ნაწილი.

მალარჩი არაბ. (საუბ.) — რაიმე სასიამოვნო საქმის აღსანიშნავად გამართული მასპინძლობა, პურმარილი.

მაღლარი — მაღალ ხეზე ასული ვაზი.

მაღნარი — ხშირი და შამბიანი ტყე მთაში (შამბი — მაღალი და მსხვილი ბალახი).

მაყალი — ნახშირის გასაჩაღებელი თავღია (გადასატანი) ღუმელი.

მაყარი — მეფე-დედოფლის მხლებელი ქორწილში.

მაყრიონი — მაყრების ერთობლიობა.

მაყრული — საქორწილო სიმღერა, რომელსაც მაყრები მღერიან.

მაშა — ორად მოკეცილი იარაღი რისამე ჩასავლებად, მოსაჭერად ან ასაღებად.

მაშარაბი — ბროწეულის წვენი, საწებლად მოდუღებული.

მაშვალი — იგივეა, რაც მაჭანკალი.

მაშვრალი (ძვ.) — 1. მშრომელი; 2. დიდად ნაშრომი, ნაჯაფი, დაღლილი დაქანცული.

მაშია — 1. ქალის საზაფხულო ფეხსაცმელი, უცხვირო და უსაქუსრო; 2. ფეხსაცმელი ერთგვარი, ქოშის მსგავსი; იცოდნენ ძველად.

მაშხალა — იგივეა, რაც ჩირაღდანი.

მაჩვიბი, მაჩუბი — სვანური ორსართულიანი სახლის ქვედა სართული, ოჯახის (და პირუტყვის) ზამთრის საცხოვრებელი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„სულ ეს ყოფილა ჩემი ცხოვრება“

„ჩემი რჩეულის“ სერიით მიხეილ ჯავახიშვილის 7-ტომეულის მიღებამ, ვიცით, ძალიან გაგახარათ. ამ ხუთშაბათიდან კი ახლახან გარდაცვლილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ოტია იოსელიანის 6-ტომეულის შეძენა შეგეძლებათ. ჟურნალ „გზის“ დღევანდელ ნომერს ოტია იოსელიანის მრავალტომეულის პირველი ტომი ახლავს. ვინც იცნობს მწერლის შემოქმედებას, მისი ხელახლა წაკითხვით ისიამოვნებს, ვინც პირველად აიღებს მის წიგნს ხელში, ეს სიამოვნება წინ ელის. ჩვენ კი, ჟურნალ „გზის“ მეშვეობით, გზადაგზა უკეთ გაგაცნობთ მწერალს, რომლის მკვახე სიტყვა და შეძახილი ბევრს გულზე ხვდებოდა, ეკალივით ერჭობოდა, ზოგს კი გულს ფხანდა და მალამოდ ედებოდა. მისივე ახლობლების, მეგობრების, კოლეგების დახმარებით გიამბობთ ოტია იოსელიანზე — ადამიანზე, მეგობარზე, შემოქმედზე...

„მაჯერდზე უკვე მეწვის, შენ რომ გამატან, იმ ცრემლის ნაჯვალევი“

ირმა ხარშილაძე

წლების განმავლობაში უერთგულა და გვერდიდან არ მოშორებია, ლამის შვილივით უყვარდა ოტია იოსელიანს და ემეგობრებოდა, ამიტომაც ჭარბობს ***თამარ გელოვანის*** *— მისი ერთ-ერთი დიდი ჭირისუფლის მონათხრობში სევდა, მაგრამ მერწმუნეთ, ამ ნაამბობით სულ სხვანაირ ბატონ ოტიას დაინახავთ.*

— თამუნა, სად შეხვდი, როგორ გაიცანი ბატონი ოტია?

— ძალიან უცნაურად (*იღიმის*). უფროსი ვაჟი მყავს, ლევანი, ლიტერატურის დარგში სამგზის პრეზიდენტის სტიპენდიანტი. წელს სტუდენტი გახდა, მაშინ კი მეექვსე კლასში სწავლობდა. ბატონ ოტიას მისი ნაწერები საბავშვო ჟურნალში წაუკითხავს, მოსწონებია და მოძებნა.

— იმერეთში ცხოვრობდით?

— არა, თბილისში. იმერეთის გვირაბი ბატონ ოტიასთან დამეგობრების მერე გადავლახე პირველად (*იღიმის*). ვერ წარმოიდგენ, რა დამემართა, შინ ტელეფონმა რომ დარეკა და უცნობმა მამაკაცმა მითხრა: გამარჯობა, ოტია ვარ, იოსელიანი და ლევან გელოვანის გასაცნობად მოვდივარო! და მოვიდა კიდეც ლევანის სკოლაში. ის დღე ცხოვრებაში არ დამავიწყდება. სწორედ მაშინ გაგვიმჟღავნა, თავის ტომეულზე მუშაობას რომ აპირებდა. შემდეგ გამომცემლობაში შევხვდით რამდენჯერმე და დაიჩივლა, მარტოს მიძნელდება ამ საქმის დაწყებაო, და რადგან ფილოლოგი ვიყავი, თან დახმარებაც შევთავაზე, სათანამშრომლოდ მიმიწვია. ეს იყო 2004 წელს. მერე და მერე, ჩანს, მოეწონა ჩემი მუშაობა, მენდო და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გვერდიდან აღარ მოვუშორებივარ. ამაზე ვერასდროს ვიოცნებებდი. ფაქტობრივად, ოჯახის წევრები გავხდით.

— უკანასკნელ ამოსუნთქვამდეო, ამბობ. სიკვდილის წინაც მის გვერდით იყავი?

— კი და ძალიან განვიცდი, რომ გრძნობდა, სულს როგორ ელეოდა. რომ შევატყვე, რაღაც უცნაურად გადმომხედა, — რას აპირებ, ბატონო ოტია-მეთქი, — შეშფოთებულმა ვკითხე, თავი გაიქნია, — აღარ ღირს არაფერიო, ორივე ხელი ნიკაპთან მიიჭირა და მხოლოდ ამოისუნთქა. არც დაუკვნესია. ასე იოლად შეელია თავის დიდებულ სულს (ცრემლი მოერია). მერე კი დავიყვირე და

იმწამს შემოვიდნენ იქვე, კართან მდგომი შვილები — დაჩი და მანანა, კიდევ ოჯახის ახლობელი ქალბატონები, თბილისიდან მის სანახავად ჩამოსული მეგობრები...

— ამდენი წლის განმავლობაში ჭირსა და ლხინში, საქმეში სულ თან ახლდი. რა მოგცა მასთან გატარებულმა დღეებმა, ან როგორი ოტია იოსელიანი დაგანახვა?

— ოტია იოსელიანის სახელს რომ წარმოთქვამ, იმწუთას მისი კვიმატი გამონათქვამი გაგახსენდება და აუცილებლად ღიმილი გადაგირბენს სახეზე. მაგრამ ურთიერთობისას საკმაოდ რთული იყო, მძიმე ხასიათიც ჰქონდა, მაგრამ თუკი გააცნობიერებდი, რომ ეს არის კლასიკოსი მწერალი ოტია იოსელიანი, მასთან ურთიერთობაც გაიოლდებოდა. სამყარო ჰქონდა, რომელშიც არც ზედმეტად უნდა შესულიყავი და არც უნდა მიგეტოვებინა. თავისებური კაცი იყო. იტყოდა ხოლმე: როცა ვწერ, ოთახში ბევრი კვამლი უნდა იყოს, რადგან ამ კვამლში სილუეტები ამოდის და ეს მაწერინებსო. ამიტომაც სასწრაფოდ დამახურინებდა ფანჯრებს, წერის ჟინი რომ მოუვლიდა. ბოლო ხა-

„მითხრა: ჩიტივით ვარ და ერთი აქშევა მინდა, „იქ“ რომ შევიდე და, აი, ამაში მეხმარები შენო“

ნებში ძალიან უჭირდა იმ სამყაროში შესვლა, რაღაც რომ დაეწერა. ერთხელ მითხრა: ხეზე მჯდარი

ლევანი სტიქაროსანია და რელიგიაზეც ხშირად საუბრობდნენ.

ოტია იოსელიანის დაკრძალვაზე

ჩიტივით ვარ და ერთი აქშევა მინდა, „იქ“ რომ შევიდე და, აი, ამაში მეხმარები შენო. რადგან ეს შევძელი, მიმაჩნია, რომ ამისთვის ღირდა მასთან ერთად გატარებული წლები. ჩემთვისაც ხომ რთული იყო ოჯახისგან მოშორებით ყოფნა! საბედნიეროდ, ჩემი შვილებიც აცნობიერებდნენ, რომ ოტია იოსელიანის დახმარება საერო საქმე, ხალხის პატივისცემა იყო. არც საკუთარი თავისთვის გადამიდვია თავი და არც ოტია იოსელიანისთვის. თავი იმისთვის გადავდე, რაც ოტიას სიკვდილის შემდეგ უნდა დარჩენოდა ხალხს. თუკი ეს გამომივიდა...

— მაინც როგორი იყო ოტია იოსელიანის სამყარო?

— ის სამყარო მისთვის სამოთხე იყო. შენ შეიძლება შეგეღწია, მაგრამ დაინახავდი? თვითონ არასდროს მიგანიშნებდა, რა რა იყო. შეგიშვებდა და თუ მოერგებოდი, შენი ფასი აღარავინ ჰყავდა, მაგრამ არც მცდარ ნაბიჯს გაპატიებდა.

— როდესაც ბატონი ოტიას უმცროს ვაჟს, დაჩის ინტერვიუს დროს ვკითხე, თუ ითვალისწინებდა ოჯახის წევრების აზრს ნაწარმოებებზე-მეთქი? — არ შეიმჩნევდა, მაგრამ ითვალისწინებდაო და შემთხვევაც გაიხსენა, როგორ გაიზიარა მისი მოსაზრება „შავი და ცისფერი მდინარის“ დაწერის შემდეგ.

— ასეთი რამ ხშირად არ ხდებოდა. შვილები ძალიან უყვარდა, მაგრამ დაჩისადმი, როგორც ნაბოლარა შვილისადმი გამორჩეული დამოკიდებულება ჰქონდა და მის აზრს ყოველთვის ითვალისწინებდა. ვითომ არ იმჩნევდა, მაგრამ ყოველთვის იგრძნობოდა, დაჩის რამხელა სიყვარულს დაატარებდა. თუმცა, რასაკვირველია, მას არ დაანახვებდა. ოტიას ავადმყოფობისასაც დაჩის და მე ბევრი მწარე დღე გადაგვიტანია ერთად...

— კიდევ რას განიცდიდა, რასაც არ იმჩნევდა?

— ბატონ ოტიასთან არ უნდა ამოწურულიყავი, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ქალი იყავი თუ კაცი. თუ ბოლომდე ამოგიკითხავდა, კაპიკი ხდებოდა შენი ფასი. მაგალითად, ქალის გაღმერთება იცოდა. მის ნაწარმოებებშიც იგრძნობ, როგორ აიდეალებს ქალს. ერთხელ ვუთხარი კიდეც, წინა ცხოვრებაში, ალბათ, ქალი იყავი, თორემ ასე ვერაფრით დაწერდი-მეთქი. მაგრამ რაღაც ყოველთვის უნდა მოგეტოვებინა, ბოლომდე არ უნდა გახსნილიყავი. ეს კი ძალიან რთული იყო. ერთხელ ისიც კი ვუთხარი: ბატონო ოტია, ამ ოჯახში სიამოვნებით ვიქნები ან ცხვარი, ან კატა, ან ხბო, მაგრამ არა — ადამიანი, ქალი-მეთქი.

„ფეხებთან სიკვდილი მომდგომია,
კარს მინგრევს უნდო აღსასრული,
სულ ეს ყოფილა ჩემი ცხოვრება,
რა უცებ გამოჩნდა დასასრული.
მაინც უძღებია კაცის გული,
ყველაფერს ელევა, სიცოცხლის გარდა,
ბრძოლა ამაოა, უღვთოდ დაეშვება
გარდაცვალების შავ-თეთრი ფარდა.
არაფერს მივტირი, შენს გარდა, არაფერს,
წამი არ მინდა სამადლოდ ნაკვალევი,
მხოლოდ ის მამშვიდებს, მკერდზე უკვე მეწვის,
შენ რომ გამატან, იმ ცრემლის ნაკვალევი.“

ოტია იოსელიანის უკანასკნელი ლექსი

— აბა, როგორ გაძელი ამდენ ხანს?

— არასდროს ვეჯიბრებოდი და არ ვცდილობდი საკუთარი თავის წარმოჩენას. თუმცა ძალიანაც გამბრაზებია და ავტირებულვარ კიდეც, მაგრამ არა მის დასანახავად. გამოქცევაც კი მიცდია, მაგრამ... ვერ გამიმეტებია. რომ დაწყნარდებოდა, აუცილებლად შევიდოდი მის ოთახში გაბღუსული, ვეტყოდი, ასე რომ მოიქეცი, ხომ არ იყავი მართალი-მეთქი და გამოვიდოდი. საღამომდე უბრად ვიყავით ხოლმე, მერე, საღამოს, ტრადიციულად მაწონს რომ შევუტანდი, მეტყოდა: გონია ქე იყავი ამ დილით მართალიო. როგორ შეიძლებოდა, რომ ის წყენა კიდევ გამყოლოდა (იცინის).

— რა ჩვევები ჰქონდა, რაც მოგწონდა ან არ მოგწონდა?

— დღის რეჟიმი ჰქონდა და არასდროს არღვევდა. ხომ ბევრს ეწეოდა, უზმოზე არაფრით მოსწევდა. „უზმო“ დილის 11 საათზე მთავრდებოდა. დილით აუცილებლად გავიდოდა ვენახში, ან დაბარავდა, ან გათოხნიდა, — თუ არ დეიმსახურე და ოფლი არ იდინე, ისე რა იქნებაო. შემოვიდოდა შინ, ცოტას დაისვენებდა, მოწესრიგდებოდა, ისაუზმებდა და მხოლოდ ამის შემდეგ მოსწევდა პირველ ღერს. თუ ბევრს დაწერდა, კმაყოფილი იტყოდა ხოლმე, — დღეს ცოტა დოვუკელი, 3 კოლოფი მოვწიეო. ბოლო სიგარეტს ღამის 11-12-ის ნახევარზე ეწეოდა და არასდროს იღვიძებდა მოსაწევად. ყავას აუცილებლად დღის 3 საათზე სვამდა და სადაც უნდა ყოფილიყო ან რა ვითარებაშიც, ყველგან მოითხოვდა. 6 საათზე კი საღილობდა... რა არ მომწონდა? პირდაპირ დაჯახება რომ იცოდა სიტყვის. ცოტა რომ დავუახლოვდი და გავუთამამდი, შევბედე: ბატონო ოტია, თქვენს სიტყვას ყოველთვის აქვს ფასი; ასე ნუ დააჯახებთ ადამიანს, პატარა შეარბილეთ-მეთქი. — სათქმელი რაც არი, პირდაპირ უნდა უთხრა, სა ვარბილო ახლა მაგიო! ხშირად მიუხერხულია, ზედმეტად რომ შეუტევია ვინმესთვის და შევსწრებივარ. იდეალური, რა თქმა უნდა, არ იყო. ახლობლებთანაც ცოტა რთული ურთიერთობა ჰქონდა, რადგან გრძნობების გამომჟღავნება არ უყვარდა. შენ უნდა დაგენახა, გეგრძნო, „წაგეკით-

ლევან გელოვანის გასაცნობად მოვდივარო! და მოვიდა კიდეც ლევანის სკოლაში

ხა“ მისი გრძნობები. მაინც ბევრი მეგობარი აკითხავდა. არანაირი პრემია არ ჰქონია, მაგრამ ხალხის დიდი სიყვარული ჰქონდა და ამას ნობელის პრემიაც ვერ შეედრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ადამიანი ეხვია გარს, მაინც მარტოსული იყო. თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ თავის სამყაროში უნდოდა ყოფნა და არ სურდა, ვინმესთან გახსნილიყო. ბოლო პერიოდში ცდილობდა, რაღაცები მოეყოლა, ბავშვობიდან მოყოლებული, თავისი ცხოვრების ამბები მოეთხრო. შიგადაშიგ რამდენჯერმე ჰყვებოდა ხოლმე ერთ კონკრეტულ ამბავს, მაგრამ თხრობას სხვა ამბით იწყებდა და მერე გადავიდოდა მთავარზე. ხანდახან ისეთს მიამბობდა, არსად რომ არ დაბეჭდილა, თან დააყოლებდა, ამას მარტო შენ გეუბნები, სხვებმა არ იციანო. თუ მართლა მასე იყო და მაგის იღბალი დამყვა, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იქნება.

— **ვიცი, რომ შენი ვაჟი, ლევანიც, ვინც უნებლიეთ დაგაკავშირა მწერალთან, მეგობრობდა ბატონ ოტიასთან.**

— ლევანი წელს გახდა ფილოსოფია-თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. ბატონი ოტია იტყოდა ხოლმე მასზე, — ასაკს გასწრებულიაო. როგორც დიდს, ისე ელაპარაკებოდა, ემეგობრებოდა. ლევანი სტიქაროსანია და რელიგიაზეც ხშირად საუბრობდნენ. ხანდახან ლევანი რომ გრძნობდა, ამ თემაზე ოტიას რაღაცის შეკითხვა ეჩოთირებოდა, თვითონვე იწყებდა ლაპარაკს. ოტია პირველად რომ წავიყვანე ავსტრიაში სამკურნალოდ, გამგზავრების წინ ეზიარა და ეს მისი პირველი ზიარება იყო. მერე ყოველი წასვლის წინ ეზიარებოდა. მხოლოდ ბოლოს გაემგზავრა უზიარებლად და თქვა კიდეც, — ეს ამბავი ცუდად მენიშნაო. სამწუხაროდ, მართლა ცუდად დამთავრდა — აპრილში ჩამოვედით და ივლისში ყველაფერი დასრულდა. თვითონაც გრძნობდა, რომ დიდხანს ვეღარ გაატანდა. დაბადების დღეზე, 16 ივნისს წამოდგომა აღარ ისურვა. 17-ში, დილის 9 საათზე მითხრა, — ზურგით რომ მოგიწიოს, ეზოში უნდა ჩამიყვანოო. არ ვაძლევდი საკუთარ უძლურებაში დარწმუნების საშუალებას და შევუძახე: რა ზურგით მომიწიოს ჩაყვანამ, შეგიძლია და წამოდექი-მეთქი. წამოდგა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გაუჭირდა. მძიმედ, მაგრამ მაინც ჩავიდა ეზოში, ვითომ სხვათა შორის, მოათვალიერა არემარე და ხელით მიმითითა, — აქანა დამმარხე; არ გამიგონია, მხარზე გაიდო მკვდარი და სხვაგან ათრიო. აგერ ვიქნები, ჩემს ეზოში. ახლა მომეხმარე და შინ შემიყვანეო... თავისი ანდერძის თანახმად, სადაც ისურვა, იქ დავკრძალეთ. ■

ურჯუკი — ურწმუნო, ულმერთო, დაუნდობელი, შეუბრალებელი

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

დასაწყისი იხ. „გზა“ №31-36

რუსუდან ბერიძე

„სინდისი მხოლოდ სუსტებს ამარცხებს, ძლიერები კი იქით ამარცხებენ მას და თავიანთ მიზნებს უმორჩილებენ“.

„ხალხი მონაა, ბატონობა კი ერთეულების მოწოდებაა“.

„ფულის ნებისმიერი გზით შოვნაში ვერც მშობლები, ვერც შვილები და ვერც სინდისი შემიშლიან ხელს, რადგან იმ ერთეულებიდან ვარ, ვისაც სინდისის დამორჩილება და სხვებზე ბატონობა შეუძლია“.

რაც მეტად აცნობიერებდა ამირეჯიბი რატის დღიურში მოხმობილ აზრებს, მით უფრო უკვირდა, საიდან ჰქონდა ამ ახალგაზრდა კაცს საკუთარ შესაძლებლობებზე ასეთი გაზვიადებული წარმოდგენა, რა იყო ეს — ფსიქიკაშერყეული ადამიანის ნაბოდვარი თუ სასტიკი და დაუნდობელი ცინიკოსის ცივი გონებით განსჯის ნაყოფი?

ამასობაში კი რატის დღიურში „სიბრძნეთა“ ფრქვევა გრძელდებოდა:

„წმინდანებისა და კეთილშობილი რაინდების დრო კარგა ხანია, წარსულს ჩაჰბარდა. ამიტომ ყველა და ყველაფერი, რაც მიზნის მისაღწევ გზაზე გადაგეღობება, დაუნდობლად უნდა გადათელო“.

„სიყვარულით ოჯახის შექმნა იდეალისტების მონაჩმახია. ცოლი კარიერის გასაკეთებლად უნდა შეირთო, იმიტომ, რომ კარიერა დამოუკიდებლობასა და ძალაუფლებას შეგძენს. დამოუკიდებლობა და ძალაუფლება კი ფულს მოგიტანს“.

დღიურის ყოველი გვერდი ლათინური გამოთქმით „um kumo“ („ნებისმიერი საშუალებით“) მთავრდებოდა. გამომძიებელს გაახსენდა, რომ ეს გამოთქმა რვეულის ყდაზეც მსხვილი ასოებით იყო გამოყვანილი.

„მაინც როგორ დაწერა ეს ყველაფერი ახალგაზრდა კაცმა, რომელიც ცხოვრებას ახლა იწყებს? — გაიფიქრა ამირეჯიბმა. — მასში ხომ ვერც ერთ ნათელ აზრს, ამაღლებულ მიზანსა და რომანტიკულ სურვილს ვერ ნახავ“.

დღიურის წაკითხვის შემდეგ გამომძიებელს ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს რაღაც ყინულივით ცივსა და საშიშს შეეხო. „ამის დამწერი ყველაფერზე მოაწერს ხელს“, — დაასკვნა მან ბოლოს და რატის დაპატიმრების გადაწყვეტილებაც მაშინვე მიიღო...

რატი ილურიძე ნადირობიდან შინ დაბრუნებისთანავე დააპატიმრეს. თავიდან ის ძალიან აღშფოთდა და იმუქრებოდა კიდეც, მაგრამ მერე ნელ-ნელა დაწყნარდა და თითქოს ბედს დანებდაო, ისე მოიწყინა. ამირეჯიბთან დაკითხვაზე მიყვანისას კი უკვე სრულიად მშვიდი და გაწონასწორებულიც ჩანდა.

გამომძიებელმა რატის ბრალად დისა და დედ-მამის მკვლელობა წაუყენა.

— ეს შეცდომაა!.. არავინ მომიკლავს!.. — აღშფოთდა ახალგაზრდა.

— ესე იგი, თავს დამნაშავედ არ ცნობ, ხომ? — ჰკითხა მას ამირეჯიბმა.

— არა, — მოკლედ მოუჭრა რატიმ.

— შენი აზრით, მაკა ვის უნდა მოეკლა?

— როგორ?!. — დამაჯერებლად შეიცხადა ახალგაზრდამ. — ჩემი და მოკლეს?

— სამწუხაროდ კი, — უპასუხა ამირეჯიბმა და წინადღეს ილურიძეების სარდაფში გადაღებული ფოტოები დაუწყო წინ.

ფოტოების დანახვაზე რატი ჯერ საშინლად გაფითრდა და ქვედა ტუჩი გამეტებით მოიკვნიტა, მაგრამ შემდეგ თავი ხელში აიყვანა და ხმადაბლა, მაგრამ მშვიდად წარმოთქვა:

— ასეც ვიცოდი... ეს მამაჩემმა გააკეთა...

„თავის ფლობაც ამას ჰქვია, — გაუელვა თავში გამომძიებელს, — კერკეტი კაკალი ყოფილა და ასე ადვილად ვერავინ აალაპარაკებს.“

რატი კი ისევ მშვიდად განაგრძობდა:

— ადრეც ხომ ვამბობდი, რომ მამაჩემი ამაზე რაღაცნაირად მიმანიშნებდა-მეთქი...

— რაზე? — ჩაეკითხა გამომძიებელი.

— ჯერ ის მითხარით, მაკა მართლაც იმ ადგილზე იყო ჩამარხული, რომლის თავზეც მამაჩემის საწოლი დგას?

— დაახლოებით.

— ასეც ვიცოდი... — ამოიოხრა რატიმ.

— რა იცოდი?..

— ის, რომ ეს ყველაფერი მამაჩემის რიტუალურობის ბრალი და შიზოფრენიის ტიპური ნიშნებია. აი, თუნდაც...

— ვახტანგ ილურიძე სრულიად ჯანმრთელი იყო, — გააწყვეტინა ახალგაზრდას ამირეჯიბმა.

— რა ბრძანეთ? — შეცბა რატი.

— მამაშენი სრულიად ჯანმრთელი იყო-მეთქი, — მშვიდად გაუმეორა მას გამომძიებელმა, — თუ ჩემი არ გჯერა, აი, ავტორიტეტული სპეციალისტების დასკვნა, — სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა გაუწოდა ილურიძეს.

რატიმ ფურცელზე დაწერილი ტექსტი წაიკითხა და გაკვირვებულმა მხრები აიჩეჩა:

— არ ვიცი, თქვენმა ავტორიტეტულმა სპეციალისტებმა ასეთი დასკვნა რის საფუძველზე გამოიტანეს, მაგრამ ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ საკუთარი თვალით მაქვს ნანახი მამაჩემის ავადმყოფობის ისტორიიდან ამონაწერი. ის ერთხანს ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც კი იწვა, სადაც შიზოფრენიის დიაგნოზი დაუსვეს და სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს. ასე რომ, იქნებ უფრო გასაგებად ამიხსნათ, მაინცდამა-

ინც თქვენს დასკვნას რატომ უნდა დავუჯერო?

— ახლა დეტალებში ჩაღრმავების დრო არ არის, — ისევ მშვიდად მიუგო ახალგაზრდას გამომძიებელმა, — მთავარია, რომ მამაშენს შიზოფრენია არ ჰქონდა.

— მე ვფიქრობ, რომ ჰქონდა. ექიმებიც ხომ უბრალო ადამიანები არიან და... „erare humanum est“... მაპატიეთ, უცბად ლათინურზე გადავედი... იმის თქმა მინდოდა, რომ...

— რომ ადამიანმა შეიძლება შეცდომა დაუშვას, ხომ? — გააწყვეტინა როლში შესულ ახალგაზრდას გამომძიებელმა.

— დიახ, დიახ, — მაშინვე დაეთანხმა მას რატი, — სწორედ ამაზე მოგახსენებთ. ფსიქიატრია ხომ მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე რთული და ჩახლართული სფეროა. ამიტომაც, სწორი დიაგნოზის დასმა ხშირად თვით ყველაზე გამოცდილ ექიმებსაც კი უჭირთ, მით უფრო თუ ავადმყოფი ცოცხალი აღარ არის...

„ახლა ამაზე კამათის დრო ნამდვილად არ არის“, — გაიფიქრა ამირეჯიბმა და შემდეგ რატის ჰკითხა:

— ესე იგი, ეჭვობდი, რომ შეიძლებოდა, მაკა მამაშენს მოეკლა?

— დიახ, — მშვიდად უპასუხა ახალგაზრდამ.

— ეს ამბავი ვინმეს გაანდვე?

— ცოლს.

— გამოძიებას რატომ არაფერი უთხარით?

— ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ, რომ ეჭვი მტკიცებულება არ არის. მე კი არანაირი მტკიცებულება არ მქონდა.

— მაგრამ ეჭვი ხომ რაღაცას ემყარებოდა?

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში იმას, თუ როგორ იქცეოდა მამაჩემი მაკას გაუჩინარების შემდეგ. ერთხელ, ისიც კი წამოსცდა, ყველაფერში მე ვარ დამნაშავეო...

— როცა შვილს რამე ცუდი ემართება, მშობელი ყოველთვის დამნაშავედ გრძნობს თავს.

— გეთანხმებით, მაგრამ თვითმკვლელობაზე მაინც იშვიათად ფიქრობს. მამაჩემს კი ეს უკვე აკვიატებად ექცა. ისეთ საშინელ მდგომარეობაში იყო, რომ ბოლოს ველარ გაუძლო და...

— მაგრამ მამაშენის ნათესავები და ნაცნობები რომ საპირისპიროს გაიძახიან?

— მაინც ვინ? — უკმეხად იკითხა რატიმ. — ვის მოუვიდა თავში მსგავსი სისულელე?

— ბევრს.

— მაგალითად?

— თუნდაც მამიდაშენს და მამაშენის ახლო მეგობრებს.

მეტი დამაჯერებლობისთვის, ამირეჯიბმა უმცროს ილურიძეს იმ ოქმის გაცნობის საშუალება მისცა, რომელშიც მითითებული იყო, რომ ვახტანგ ილურიძე აგარაკის შემდგომ კეთილმოწყობაზე ფიქრობდა და მომავლის გეგმებსაც გულმოდგინედ სახავდა.

— სამწუხაროდ, ამ ადამიანებმა საქმის ვითარების შესახებ არაფერი იცოდნენ, — წაკითხვის შემდეგ ოქმი გვერდზე მშვიდად გადადო რატიმ, — დასთან და მეგობრებთან მამაჩემი თამაშობდა და თავს ღირსეულად წარმოაჩენდა, მე და დედაჩემს კი აბა, რას გამოგვაპარებდა?..

„საკმაოდ ლოგიკურად მსჯელობს,“ — შენიშნა ამირეჯიბმა.

— შემთხვევით იმასაც ხომ არ ხვდებოდი, სად შეეძლო მამაშენს შენი დის გვამი გადაემალა? — დაინტერესდა ის შემდეგ.

— ვხვდებოდი, უფრო სწორად მაგას იმის შემდეგ მივხვდი, რაც სარდაფში, ჩემი მშობლების საძინებლის ქვეშ, ახალამოთხრილი და შემდეგ საგულდაგულოდ გადასწორებული მიწა ვნახე.

— ამის შესახებ თუ უთხარი ვინმეს?

— ჩემს ცოლს, მაიას გავანდვე.

— იმ ადგილის შემოწმება არ გიცდია?

— არც მიფიქრია! ეჭვი კი მქონდა, მაგრამ მაინც ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ მამაჩემი ამას ჩაიდენდა. მართლა, როგორაა მაკა მოკლული?

— სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, გოგონა ხელით მოახრჩვეს.

— საბრალო მაკუნა, — წაიჩურჩულა რატიმ და, თან, საფეთქლებზე ხელები გამეტებით მიიჭირა, — ნეტავ, იმ საშინელ წუთებში რაზე ფიქრობდა?

„ესეც საკმაოდ დამაჯერებლად გამოუვიდა, — გაიფიქრა ამირეჯიბმა, — ყველაფერთან ერთად, კარგი მსახიობიც უნდა იყოს“.

ამასობაში კი რატიმ ისე ამოიოხრა, თითქოს გულიც თან ამოაყოლაო და დადუმდა.

— კარგი, — განაგრძო მცირეოდენი პაუზის შემდეგ ამირეჯიბმა, — მოდი, ახლა იმ საღამოზე მომიყევი, როცა შენი და დაიკარგა.

უცროსმა ილურიძემ არც ამჯერად დაიზარა და გამომძიებელს კიდევ ერთხელ დაწვრილებით უამბო ყველაფერი, რაც ადრეც არაერთხელ ჰქონდა მოყოლილი და ოქმებშიც იყო დაფიქსირებული. ოღონდ, ამჯერად განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ როცა მაკა გაუჩინარდა, მარტო წიგნს კი არ ვკითხულობდი, მცირე ხნით ჩავთვლიმე კიდეც.

„აქაც რა კარგად „მოუხვია“, — ისევ შენიშნა ამირეჯიბმა, — გამოდის, რომ მამამისს შეუმჩნევლად შეეძლო გოგონას სარდაფში ჩაყვანა და მოკვლა“.

— დამიჯერეთ, ჩემი დის სიკვდილთან არაფერი მაკავშირებს, — როგორც იქნა, თხრობა დაასრულა როლში შესულმა რატიმ, — არ მესმის, რისთვის უნდა მომეკლა? რა მიზნით?

— იმავე მიზნით, რა მიზნითაც მშობლები დახოცე, — მშვიდად უპასუხა გამომძიებელმა.

— გესმით, რას მეუბნებით?!. — შეიცხადა ახალგაზრდამ. — მხეცი ხომ არ ვარ, ასეთი რამ ჩამედინა?!

— მხეცი არა, ურჯუკი ხარ... — თავისთვის ჩაილაპარაკა ამირეჯიბმა.

— რა ბრძანეთ? — ჩაეკითხა მას რატი.

— არაფერი, — ნათქვამის გამეორება აღარ ისურვა გამომძიებელმა, — გახსოვს, შექსპირი რას ამბობს? სისხლი ღვარე და კანონი გათელეო... — ამჯერად უკვე რატის დღიურიდან ერთ-ერთი ჩანაწერი მოიხმო გამომძიებელმა და მიზანშიც მაშინვე მოარტყა, რადგან ახალგაზრდამ ჯერ შიშით შეხედა და შემდეგ ძლივს ამოღერღა:

— არ მესმის, შექსპირი რა შუაშია?

— შუაში კი არა, თავშია, — მშვიდად უპასუხა ამირეჯიბმა, — მაგრამ ამჯერად შეიძლება, მაინც ეს უფრო მოგეწონოს: „მკვლელობა ობიექტური აქტია და სიკვდილი მტყუან-მართალს არ არჩევს,“ — უმცროსი ილურიძის დღიურიდან კიდევ ერთი ადგილი მოიხმო.

— ვერ ვხვდები, რაზე ლაპარაკობთ, — მხრები აიჩეჩა გაღიზიანებულმა რატიმ.

თუმცა გამომძიებელმა შენიშნა, რომ რატი არა მარტო ყველაფერს მიხვდა, არამედ იმაზეც გაფაციცებით დაიწყო ფიქრი გამოძიების ხელში აღმოჩენილი, მისი პირადი ჩანაწერებიდან მის წინააღმდეგ კიდევ რისი გამოყენება შეიძლებოდა...

— კარგი, — თვალები ეშმაკურად მოწკურა ამირეჯიბმა, — მაშინ სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, — ლიზი მამარდაშვილს თუ იცნობ?

— ვიცნობ. მერე?

— როდის და სად გაიცანი?

— არა მგონია, ეს თქვენთვის საინტერესო იყოს. თანაც, უკვე ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა.

— მართლა?

— რა თქმა უნდა. მე ხომ კანონიერი ცოლი მყავს.

— ლიზი გიყვარდა?

— ძალიან. მისი ცოლად მოყვანა მინდოდა.

— უანგაროდ გიყვარდა?

— როგორ ფიქრობთ?

— შენი აზრი მაინტერესებს.

— მაპატიეთ, მაგრამ ეს შეკითხვა უტაქტოა, — ხმაში წყენა დაეტყო რატის.

— რას იზამ, — მხრები აიჩეჩა ამირეჯიბმა, — ასეთი სამუშაო მაქვს. ეს რაა, ზოგჯერ ისეთი კითხვების დასმა მიწევს, რომ...

— მესმის თქვენი, — მოლბა უმცროსი ილურიძე, — მაგრამ მგონი, ეს კითხვა მაინც უადგილო და არაფრის მომცემია.

„ვითომ?.. მაშ, ასე რატომ გაცხარდი, ვაჟბატონო?“ — გაიფიქრა ამირეჯიბმა, მაგრამ ახალგაზრდას მაინც დაუთმო:

— კარგი, შევეშვათ ლიზის და შენი მშობლების დაღუპვის ღამე გავიხსენოთ.

— კი, ბატონო, მკითხეთ, რაც გნებავთ.

— დაწვრილებით მომიყევი, რა ხდებოდა იმ ღამეს, იმ წუთამდე, სანამ მშობლების ოთახიდან სროლის ხმა არ შემოგესმა; თავად სად იყავი და რას აკეთებდი?

რატიმ იგივე გაიმეორა, რაც ადრე უკვე არაერთხელ ჰქონდა მოყოლილი.

— რაღაც დეტალების დაზუსტება მოგვიწევს, — შენიშნა ამირეჯიბმა.

— კი, ბატონო.

— სროლის მომენტში ნამდვილად შენს ოთახში, საცოლესთან ერთად იყავი?

— რა თქმა უნდა, — წარბიც კი არ შეუხრია, ისე უპასუხა გამომძიებელს ახალგაზრდამ, — ეს ხომ მაიამაც არაერთხელ დაადასტურა.

— კარგი, — მშვიდად დაეთანხმა მას ამირეჯიბი, — განვაგრძოთ. პირველ და მეორე გასროლას შორის რა დრო გავიდა?

— ხომ გითხარით, ნახევარი წუთი-მეთქი...

— და როგორც კი მეორე გასროლა გაისმა, მაშინვე მშობლების ოთახში შევარდი, ხომ?

— დიახ.

— მარტო თუ მაიასთან ერთად?

— მარტო.

— მშობლების საძინებლის კარი მოხურული იყო თუ ღია?

— მოხურული.

— კარგად გახსოვს?

— რა თქმა უნდა.

— კარგი, ოქმშიც ასე ჩავწერ, — მშვიდად ჩაილაპარაკა გამომძიებელმა, — ადრე განაცხადე და ახლაც გაიმეორე, რომ იარაღი მამაშენის საწოლზე იდო, ხომ ასეა?

— დიახ, გადასაფარებელზე იდო...

— ნამდვილად?

— ნამდვილად, — თავი დაუქნია გამომძიებელს რატიმ, — და როგორც კი გადასაფარებელი ოდნავ გადავწიე, იარაღი მაშინვე იატაკზე დავარდა.

ამირეჯიბმა ეს ჩვენებაც დააფიქსირა და შემდეგ ოქმი რატის გაუწოდა:

— ახლა ეს ყველაფერი წაიკითხე და ხელი მოაწერე.

უმცროსმა ილურიძემ ოქმი ყურადღებით წაიკითხა და ხელი მოაწერა.

„ნერვიულობს ბიჭი, — გაიფიქრა ამირეჯიბმა, — ხელი უკანკალებს...“ ხელმოწერილი ოქმი ამირეჯიბმა საქაღალდეში შეინახა და ამის შემდეგ ოთახში მცირე ხნით სიჩუმე ჩამოწვა. რატი წელში გამართული იჯდა და გამომძიებელს მომლოდინე მზერას არ აცილებდა. ამირეჯიბს არც ის გამოჰპარვია, რომ ახალგაზრდას სიჩუმე ამძიმებდა და ამიტომაც, თვითონ კითხვის დასმას არ ჩქარობდა.

— კიდევ ხომ არაფერი გაინტერესებთ? — დუმილი ვეღარ აიტანა რატიმ.

— რა თქმა უნდა, მაინტერესებს, — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა მას გამომძიებელმა, — თავს ჭკვიან ადამიანად მიიჩნევ, ხომ ასეა?

— ყოველ შემთხვევაში, ბრიყვი ნამდვილად არ ვარ, — შორიდან მოუარა რატიმ.

— უნივერსიტეტშიც ნიჭიერ სტუდენტად გიცნობენ და იმაშიც დარწმუნებულნი არიან, რომ შენგან მარტო კარგი ექიმი კი არა, დიდი მეცნიერიც დადგება.

— სასიამოვნოა ამის მოსმენა, — გაეღიმა რატის, — მაგრამ საინტერესოა, ასე მაინც ვინ დამახასიათა?

— ბევრმა, მათ შორის შენი სასწავლებლის პრორექტორმაც.

— მართლა?

— დიახ და იმედი მაქვს, ამ მძიმე სიტუაციაშიც სწორედ შენს მთავარ სიმდიდრეს — ჭკუას, გონებას, ლოგიკას, ანალიტიკური აზროვნების უნარს მოუხმობ.

— ყველანაირად ვეცდები, — თავი ოდნავ დაუკრა გამომძიებელს ახალგაზრდამ.

— მალე პროფესიონალი ექიმი გახდები, — განაგრძო ამირეჯიბმა, — ექიმები კი — პირველ რიგში, ობიექტურ მონაცემებს უნდა ეყრდნობოდნენ...

— ვერ ვხვდები, საით მიგყავთ საუბარი?

— ვითომ?.. — თვალები ეშმაკურად მოწკურა გამომძიებელმა. —

მაშინ პირდაპირ ფაქტებზე გადავალ და შენი ცოლის ბოლო ჩვენებას გაგაცნობ...

ამირეჯიბმა რატის მაია მოსიძის დაკითხვის ოქმი მიაწოდა; უფრო სწორად, იმ ადგილის წაკითხვის საშუალება მისცა, სადაც მაია აცხადებდა, რომ სროლის დროს მე და რატი ერთ ოთახში არ ვყოფილვართო.

გამომძიებელი ყურადღებით აკვირდებოდა რატის სახის გამომეტყველებას, მაგრამ ახალგაზრდას წარბიც არ შეუხრია.

— ასეც ვფიქრობდი, — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია შემდეგ, — ოჰ, ეს უტვინო ქალები და მათი წვრილმანი შურისძიება!.. ვაღიარებ, რომ მთლად უმწიკვლო ქმარი არ ვარ, მაგრამ ამის გამო ასე უსინდისოდ მაინც არ უნდა გაესწორებინა ჩემთვის ანგარიში.

— ანუ იმის თქმა გინდა, რომ მაია მოსიძემ იცრუა?

— დიახ! — ხმას აუწია აღშფოთებულმა რატიმ. — ეს ყველაფერი წმინდა წყლის სიცრუეა! — ყველა ქალი ბუნებით მესაკუთრეა და მიაჩნია, რომ მამაკაცი, როგორც ნივთი, მას უნდა ეკუთვნოდეს. დამერწმუნეთ, მაია ბევრჯერ დამემუქრა, შენზე შურს ვიძიებო...

„მაინც რისი იმედი აქვს? — ყურადღებით აკვირდებოდა ამირეჯიბი უმცროს ილურიძეს. — ფიქრობს, რომ დავუჯერებ თუ თავდაცვისთვის ემზადება და, უბრალოდ, დროის მოგებას ცდილობს?“

რატიმ კი ერთი ღრმად ჩაისუნთა და განაგრძო:

— ბოლოს ეჭვიანობამ ისე დაუბნელა გონება, რომ მოწამვლაც კი დამიპირა...

— კმარა! — უცბად მაგიდას მუშტი ისე გამეტებით დასცხო გამომძიებელმა, რომ დამფრთხალი უმცროსი ილურიძე ბავშვივით შეხტა. — მაია მოსიძე კი არ ცდილობდა შენს მოწამვლას, შენ აკეთებდი ამას და ერთხელ საძილე წამლის სასიკვდილო დოზაც კი დაალევინე! მაგრამ მერე შეგეშინდა, „სასწრაფოს“ გამოუძახე და მის მოსვლამდე კუჭიც თვითონვე ამოურეცხე, საწყალი გოგო კი აიძულე, ექიმისთვის ეთქვა, რომ გულის შეტევა ჰქონდა და მდგომარეობიდან შენი, როგორც მომავალი ექიმის, დახმარებით გამოვიდა.

— ეს-ეს... — ენა დაება ილურიძეს. — საიდან მოიგონეთ?

— კი არ მოვიგონე, ამის შესახებ მაია მოსიძის ჩვენებაში დაწვრილებითაა მოთხრობილი, — კიდევ ერთი საქაღალდე მოიმარჯვა ამირეჯიბმა, — აქვეა „სასწრაფო დახმარების“ ექიმის ჩვენებაც. წაგიკითხო?

— არა... — ხმა გაებზარა რატის. — არ არის საჭირო...

— მაშინ განვაგრძოთ. შენი მშობლების საძინებელში გასროლები 3-4 წამის და არა ნახევარი წუთის ინტერვალით მოხდა, როგორც ამას თავად ამტკიცებ. ამას შენი აგარაკის სამი მეზობლის ჩვენება ადასტურებს.

გამომძიებელმა ილურიძეს სამივე ჩვენება წაუკითხა.

— მერე რა?.. — ძლივს ამოღერღა დაღვრემილმა ახალგაზრდამ. — ეს რას ამტკიცებს?

— იმას, რომ შენი მშობლები დახოცეს.

ამირეჯიბმა რატის სასამართლო-სამედიცინო და ბალისტიკური ექსპერტიზების დასკვნების გაცნობის საშუალებაც მისცა. უმცროსი ილურიძე დოკუმენტებს დიდხანს კითხულობდა, ცალკეული ადგილები რამდენჯერმეც გადაიკითხა. გამომძიებელი მას მოთმინებით ელოდა. ბოლოს, როგორც იქნა, რატიმ კითხვა დაასრულა და საქაღალდე დახურა.

— ჰა, რას იტყვი? — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა მას ამირეჯიბმა.

— არაფერს, — კბილებში ავად გამოცრა ახალგაზრდამ, — ხაფანგში მიპირებთ შეტყუებას, მაგრამ იცოდეთ, არაფერი გამოგივათ!

— ხაფანგში თვითონ და ჯერ კიდევ მაშინ გაები, როცა დანაშაულის ჩადენისას უამრავი შეცდომა დაუშვი, შემდეგ კი ეს შეცდომები საკუთარი ჩვენებებით კიდევ უფრო გააღრმავე.

— რას მეუბნებით? — სკამის საზურგეზე ვითომ არხეინად გადაწვა ახალგაზრდა. — იქნებ მიბრძანოთ, მაინც რა როგორ გავაღრმავე?

— ჯერ ერთი, ჯიუტად ირწმუნები, რომ იარაღი მამაშენის საწოლზე იდო, მაგრამ ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ის იქ ვერაფრით იქნებოდა. მეორეც, მამაშენს როცა ესროდი, სასხლეტებიც ერთმანეთში აგერია...

— როგორ თუ ამერია? — წამოიძახა გაკვირვებულმა რატიმ, მაგრამ მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა და მაშინვე დაუმატა: — არ მესმის, სასხლეტები რა შუაშია?

— მკვლელობის მზადებისას, უფრო ზუსტად კი მამაშენის თვითმკვლელობის სცენის დადგმისას, თოკი იარაღის მარცხენა სასხლეტს გამოაბი, გასროლით კი მარჯვენით გაისროლე. თუ არ გჯერა, შემიძლია, ექსპერტიზის დასკვნა გაჩვენო.

— არ მაინტერესებს...

— მაშინ შემდეგ შეცდომაზე გადავიდეთ. თუმცა მანამდე ალბათ, დამიდასტურებ, რომ შენი მშობლების საძინებლის კარი შიგნით იღება.

— დიახ, ასეა. მერე რა?

— ახლავე აგიხსნი. ამტკიცებ, რომ სროლის დროს მშობლების საძინებლის კარი მოხურული იყოო, სინამდვილეში კი ღია იყო, რადგან მის გარეთა მხარეზე მამაშენის სისხლის შხეფების კვალი აღმოვაჩინეთ. კარი რომ მოხურული ყოფილიყო, სისხლის კვალი მის შიდა მხარეზე დარჩებოდა.

— ამასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს?

— და მერე როგორი!

— მაშინ ჩავთვალოთ, რომ შევცდი, შემეშალა, — უცბად სრულიად მშვიდად წარმოთქვა რატიმ, — მომხდარის გამო ისეთ შოკში ვიყავი, რომ რა გასაკვირია, თუ რაღაც ზუსტად ვერ დავიმახსოვრე?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-36

მარიამი მიხვდა, რომ ვერ მოიქცა მთლად „ელიტურად“ და ნათქვამის გამოსწორებას შეეცადა.

— უკაცრავად, არც მიფიქრია ვინმეს განაწყენება. ნუთუ ასე ცუდად გამომივიდა? ქალბატონო. მაპატიეთ, თუკი რამე არ მოგწონათ, — შეწუხებული სახით მომიბრუნდა.

„ქალბატონო“! რისი ხაზგასმა სურს ამით? რომ ჩემზე უმცროსია? მე რას მეჯიბრება? ან მისთვის რა მნიშვნელობა აქვს, მასზე უფროსი ვარ თუ უმცროსი? მე ხომ მის მეტოქედ არ მოვიაზრები? ღმერთო! რა ჯურის ადამიანები არ არსებობენ ქვეყანაზე! ზოგიერთს თავში როგორ აუვარდება, რაღაცას რომ მიაღწევს... ამ დროს თავი შეუდარებელი ჰგონიათ! არადა...

— არა, რას ამბობთ, ყველაფერი რიგზეა, — ჩავიდუდღუნე და აჩქარებით ავუარე გვერდი სტუმრებს.

ბოლმა მახრჩობდა... ცრემლებიც. თავს ძლივს ვიკავებდი. რა უსამართლოა ხანდახან ცხოვრება! რითია ჩემზე უკეთესი, ასე რომ გაუმართლა? იმით, რომ გარეგნულად უფრო ლამაზია? და რა დიდი ბედენაა მხოლოდ გარეგნობა ქალისთვის? ნუთუ მთავარი შინაგანი ბუნება არ არის?..

— არ მომწონს ეგ მარიამია თუ ვიღაცა, — უეცრად გაბრაზებული ტონით ჩაილაპარაკა ვასიკომ, როგორც კი სათამაშო ოთახში შევედით და კარი მოვიხურე.

— რატომ? — ძალაუნებურად გამეღიმა, — ძალიან ლამაზია...

— მერე რა? ლამაზია და მეტი არაფერი. ვერ ნახე, როგორი უმეტყველო თვალები აქვს? ბარბივით... და შიგნითაც სულ გამოცარიელებულია, — დიდი კაცივით დააყოლა.

გაოგნებულმა გავხედე. ეს ლაწირაკი ჯერ მიწას არ ასცილებია და ასეთი აზრები საიდან მოსდის? რა იცის, რას ნიშნავს უმეტყველო თვალები? არადა, მეც ზუსტად იგივე ვიგრძენი. მიუხედავად ამისა, ბიჭუნას მაინც მივეცი შენიშვნა.

— შენი ბიძის სტუმრებზე ასე არ უნდა ილაპარაკო, არ შეგშვენის. ეს უზრდელობაა.

— ყველა ადამიანის საკციელი მისი აღზრდით და კიდევ მისი ხასიათით განისაზღვრება. მაგას კი არც აღზრდა აქვს, არც ჭკუა. ტყუილად ჰგონია თავი შენზე უკეთესი. შენ ყველაზე ლამაზი ხარ და ყველაზე შინაარსიანი, — ფილოსოფიური აზრების კორიანტელი დაყენა ვასიკომ.

ყურებს არ ვუჯერებდი. ნუთუ ამას 7 წლის მოზარდი ლაპარაკობს? ვისგან მოისმინა ასეთი შეფასებები? ჩვენდა სამწუხაროდ, შეიძლება ბევრმა ზრდასრულმა ადამიანმა ვერ შეძლოს ასე მსჯელობა. უყურე შენ! ნუთუ სკოლის მასწავლებლის გავლენაა? იქნებ როზასი? მე ნამდვილად არ მილაპარაკია მასთან ჯერ ასეთ თემებზე.

იმდენად ჩამივარდა ენა მის შენიშვნებზე, რომ სწრაფად ვერც მოვისაზრე, რა მეპასუხა. ასე ჯერ არ გავუოცებივარ. გადავწყვიტე, არ განმევრცო ეს საუბარი და „დისკუსია“ ამით დამემთავრებინა, მით უფრო, რომ ბავშვმა, მაჭამეო, მთხოვა. იმდენ ხანს ვისეირნეთ სუფთა ჰაერზე, რომ მოშივდა.

როცა ჭამას მორჩა, სახატავი რვეული გამოვიტანე და ხატვას შევუდექით. არაჩვეულებრივად გამოსდიოდა. ხატვის საოცარ ნიჭს ავლენდა, რაც ძალიან მახარებდა. კედლებზე უკვე გავაკარით რამდენიმე ნახატი და თვითონაც კმაყოფილი შეავლებდა ხოლმე თვალს თავის „შედევრებს“. მერე რამდენიმე თავსატეხი ამოვხსენით და ბოლოს კომპიუტერზეც ჩავუტარე ორმოცწუთიანი გაკვეთილი. მინდოდა, ყველაფერზე ჰქონოდა წარმოდგენა, ყველაფერში გარკვეულიყო და ბიძამისის წინაშეც პირნათლად მომეხადა ჩემი ვალი. მგონი, ვახერხებდი ამას, თუმცა მისი სწავლებისთვის ჯერ ჩემთვის მადლობა არავის უთქვამს.

ძილის წინ ცოტა წავიკითხეთ კიდეც. ამჯერად „ტომ სოიერის თავგადასავალს“ ვუკითხავდი. შიგადაშიგ ახითხითდებოდა ხოლმე, მოსწონდა ტომის ოინები. ბოლოს ვაბანავე და დავაწვინე. როგორც კი თავი ბალიშზე მიდო, მაშინვე ჩაეძინა...

მე კი ჯერ უნდა დავლოდებოდი სტუმრების წასვლას, რომ ჭურჭელი ამელაგებინა, დამერეცხა, ყავა დამელია და მერე დავწოლილიყავი. დილის მერე ველარ მოვასწარი მეორე ფინჯანი ყავის დალევა. არადა, იმდენად გადამივიდა ჩვეულებაში დღეში ორჯერ ფინჯანი ყავის დალევა, ამის გარეშე დაძინება აღარ შემეძლო.

ჩემი მეორე თუ მესამე სრული სამუშაო დღეც ამით დამთავრდებოდა.

გადავწყვიტე, დროის გაყვანის მიზნით, ჯერ ყავა დამელია. სამზარეულოში გავედი და წყალი ავადუღე. სასტუმრო ოთახიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტად გამოდიოდა ლაპარაკის ხმები, რომელსაც მარიამის კეკლუცი სიცილი ერთვოდა. ერთი წუთით წარმოვიდგინე, როგორ პოზაში იქნებოდა მოკალათებული ლამაზი ქალბატონი — ალბათ ფეხი ფეხზე სექსუალურად აქვს გადადებული და ბოკალიც ნატიფი მანერით მიაქვს ტუჩებთან. ასევე, ადვილად წარმოვიდგინე მისი თავი ამ სახლის დიასახლისის როლში, რომელიც თვითონ ხელს არ გაანძრევდა, მოსამსახურეებს დაიქირავებდა და თითის ერთი დაქნევით არბენინებდა აქეთ-იქით. როგორი ცოლი იქნება ნეტავ? ამის გაფიქრებაზე გული შემეკუმშა. საშინელი ჩხვლეტა ვიგრძენი შიგნით. მარიამს ჰქონდა ყველაფერი ის, რასაც მე მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ მივაღწევდი. მივხვდი, რა შორს ვიდექი ამ ადამიანებისგან. ლადოსგანაც, მათ შორის!..

სევდიანი აზრების მოძალება რაღაც ფაჩუნმა შემაწყვეტინა. კარი გამოვაღე და გარეთ გავიხედე. კიბესთან მოძრავი ლანდი შევნიშნე. საფეხურები ჩავირბი-

ნე და მივუახლოვდი. პაატა აღმოჩნდა. იგი ადგილზე ბანცალებდა და სასაცილოდ ცდილობდა, კედელს მიჰყრდნობოდა. როგორ დამთვრალა! იქნებ მთვრალი არც არის და ცუდად გახდა ადამიანი?! როგორც ჩანს, ჩემი ფეხის ხმა გაიგონა, თავი ასწია და უაზრო თვალებით შემომაშტერდა. ახლა კი დავრწმუნდი, რომ უგონოდ იყო მთვრალი. ჩემს დანახვაზე ღიმილი გადაეფინა სახეზე, თუმცა ოდნავ დაღრეცილი...

— რამე ხომ არ გჭირდებათ, ბატონო პაატა? — ფრთხილად ვკითხე.

— ანა... ანნა... — ძლივს ამოილუღლუღა და მაშინვე მეცა ალკოჰოლის მძაფრი სუნი. — ტუალეტს ვეძებდი, — მამაკაცი შეირხა და შებარბაცდა.

ლადოს სტუმრისგან ასეთ საქციელს სწორედ რომ არ ველოდი. როგორი ინტელექტუალური ჩანდა ფხიზელი, რას ვიფიქრებდი, თუ ასეთ გალეშილს წავაწყდებოდი. ესეც შენი „ელიტა“!

— უკაცრავად, ლამაზო ქალბატონო, რა დროს ტუალეტია... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოთქვა, — მე შენთან მინდოდა გასაუბრება... რა თქმა უნდა... სხვა... სხვადასხვა თემაზე... — დაამთავრა და ამოასლოკინა.

ლამის გული ამერია. როგორ მომეწონა, პირველად რომ ვნახე, ახლა კი... როგორ ცვლის სასმელი ადამიანს!

— იქნებ სხვა დროისთვის გადავდოთ საუბარი? წამოდით, სასტუმრო ოთახამდე მიგაცილებთ, — მორიდებით ვუთხარი.

— არამც და არამც! — სასაცილოდ გაიქნია საჩვენებელი თითი, — სულ არ მინდა ახლა ჩემი ტყლარჭია დის დანახვა, დიდი ამბით რომ ცდილობს ჩემი მეგობრის შებმას. გულს მხოლოდ ის მიმშვიდებს, რომ ლადუშას ფეხებზე ჰკიდია მისი სილამაზე და ასე ადვილად არ შეებმება მაგ ჭკუამოკლე გოგოს! მარი ვერასდროს მიიღებს იმას, რაც მას უნდა, ეგ გამორიცხულია!

გამიკვირდა, ღვიძლ დაზე ასე რომ ლაპარაკობდა. ცოტა არ იყოს, ეჭვიც შემეპარა, იყო კი ნამდვილად მისი ღვიძლი და?

მან კი გააგრძელა.

— დედაჩემის ბრალია ყველაფერი. ისე ანებივრებს, თითქოს მონიკა ბელუჩი მყავდეს ეგეც! არც დედა და არც შვილი ფეხს არ აკარებენ მიწაზე, ვითომ თავადების შთამომავლები იყვნენ! რომ არა მამაჩემი და მე, ვიცი, როგორებიც იქნებოდნენ და სადაც! მათ გამო ცოლი ვერ შემირთავს! — ღვარძლიანად დაამთავრა და ისე გაახრჭიალა კბილები, შევძრწუნდი.

გადავწყვიტე, მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმექცია. მით უმეტეს, რომ იგი თავის თავს უფრო ელაპარაკებოდა, ვიდრე მე.

— ბატონო პაატა, ჯობია, სახლში შებრუნდეთ, თორემ ბატონი ლადო ძებნას დაგიწყებთ... და თქვენი დაც...

— არ მინდა იქ... აღარ მასმევენ... დამიმალეს სასმელი...

— მგონი, თქვენ ეგ პრობლემა უკვე გადაჭერით, — თავი ვერ შევიკავე და უნებლიეთ გამეღიმა, — ამიტომ წავიდეთ, დაგეხმარებით...

— კარგი, ლამაზო, როგორც მიბრძანებთ... გემორჩილებით... — ხელები გაშალა და ორიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, პირველსავე კარს შეეჯახა.

მსწრაფლ შევაშველე ხელი.

— ბატონო პაატა, მე დამეყრდენით.

— პაატა დამიძახე, ყოველგვარი ბატონოს გარეშე, OK? — ჩამიინგლისურა და კვლავ ამოასლოკინა, — მე ისეთი მადლობელი ვარ შენი... ერთადერთი კეთილი არსება ხარ ამ ოჯახში, მაგრამ ამათ იციან ეს? არ იციან და ვერც ვერასდროს გაიგებენ... ვიცი მე! — ამასობაში მისი მკლავი მხარზე გადავიდე და ნაბიჯ-ნაბიჯ წავიწიეთ წინ.

სასტუმრო ოთახს რომ მივუახლოვდით, თავი ველარ შეიკავა, ხალიჩას გამოედო და ისე ძლიერად წაბორძიკდა, წინ გადაქანდა. მეც ვერ შევიკავე თავი და კედელს მივენარცხე. ისიც თან გადმომყვა და ზედ ამეკრა. ვინმეს რომ შეეხედა ამწუთას ჩვენთვის, იფიქრებდა, ერთმანეთს არიან ჩაკრულებიო... იმდენად მოულოდნელად მოხდა ეს, რომ დავიყვირე.

ჩემს ყვირილზე კარი გაიღო და ლადო გამოვარდა დაფეთებული. ამ ყოფაში რომ დაგვინახა, ალბათ ადვილი წარმოსადგენია, რაც დაემართებოდა.



— რა ხდება აქ? — მისი მქუხარე ხმა მეხის გავარდნასავით გაისმა. არადა, როგორ ვწვალობდი, რომ როგორმე დამეხსნა თავი პაატას მკლავებიდან.

როგორც იქნა, მოვიშორე მთვრალი მამაკაცი და თავის მართლებას ქშენით შევუდექი.

— ბატონო ლადო... სტუმარს გზა აერია, ველარ აგნებდა და... და მოვაცილე...

— რას ნიშნავს ეს ყველაფერი, ანა? — ისე ხმადაბლა წარმოთქვა და თან ისე განრისხებით, რომ ჭიანჭველების დასევა ვიგრძენი სხეულზე...

— ხომ გითხარით...

— შენ რა, მე იდიოტი გგონივარ?! რას ეტორღიალები ამ ბნელ კორიდორში ადამიანს?! შენი ადგილი არ იცი? არ გასწავლეს, სად როგორ მოიქცე?!

— რა-ა?! — გაოგნებისგან თვალები გამიფართოვდა.

— მიპასუხე! — ისეთი დამიღრიალა, გული გამისკდა.

მისმა უსაფუძვლო ბრალდებამ ბოლო მომიღო. ცრემლები ყელში ბურთივით მომაწვა, მაგრამ დროზე შევიკავე თავი. მერე კი, როცა ბოლომდე გავაანალიზე, რაც იფიქრა, საშინლად გავბრაზდი და გაგულისებულმა ამაყად განვუცხადე.

— თქვენი მეგობარი არცთუ ისე ფხიზელია... მე მხოლოდ მოვაცილე იგი აქამდე. ხალიჩას წამოჰკრა ფეხი და კინაღამ დაეცა. სულ ეს იყო. გინდა დაიჯერეთ, გინდა არა... ჩემთვის სულერთია... და სულაც არ არის ჩემი ბრალი, ასე რომ დათვრა!

სწორედ ასეთ დაძაბულ მომენტში გამოყო თავი ოთახიდან მარიამმა. ალბათ ესმოდა, როგორ ღრიალებდა ლადო და სანახაობის გამოტოვება დაენანა. ჯერ ძმას გახედა, მერე ჩემს გაუბედურებულ კაბას (რომელიც მუხლს ზემოთ აცურებულიყო) და აწეწილ თმას.

— ვინ მოგცა ჩემს ძმაზე ასეთი რამეების თქმის უფლება? — აგდებით მომმართა და ტუჩაბზუებულმა ზიზღით შემომხედა.

ახლა უკვე ორი გაავებული წყვილი თვალი მომჩერებოდა. როგორ უნდა ამეცილებინა თავიდან ეს უსიამოვნება? საბედნიეროდ, ისევ პაატა დამეხმარა. ერთ ადგილზე მდგარი რომ იტყვიან, „ლერწამივით“ ირწეოდა, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი, ჩემს დასაცავად რაიმე ეთქვა.

— რას ერჩით ამ გოგოს. ცამდე მართალია... ცოტათი შევთვერი. მან კი ყურადღება გამოიჩინა და აქამდე მომაცილა. ეგ რომ

არ ყოფილიყო, სადღაც ჯანდაბაში ამოვ-ყოფდი ალბათ თავს...

ხმა არ ამომიღია, თვალები რის-ხვით დავაკვესე, ბოროტი მზერა შევავ-ლე ლადოსაც და მის ახალგამომცხვარ „ჯეინასაც“ და დემონსტრაციულად გა-ვემართე ჩემი ოთახისკენ. ახსნა-განმარ-ტებას აზრი არ ჰქონდა. საკმარისი იყო, რაც ვთქვი. ის კი არა, ზედმეტადაც გამომივიდა თავის მართლება. როგორ ვბობოქრობდი იმწუთას! ისე ვიყავი ალე-წილი, უფლება რომ მქონოდა, ფეხქვეშ გავიგდებდი მაგ მარიამსაც და ჩემს ბოსსაც. სამწუხაროდ, უუფლებო ვიყა-ვი. ხმის ამოუღებლად რომ არ გავ-ცლოდი იქაურობას, უარესად დავრჩე-ბოდი შეურაცხყოფილი და ვინ იცის, რა უშვერი სიტყვებით შემამკობდა „სა-ლი კლდე“.

უკან არავინ გამომკიდებია. სააბა-ზანოში შევიმალე. კარგა ხანს ვიყურე-ბოდი სარკეში, საკუთარ თავს ვამშვი-დებდი, რომ როგორმე დამეოკებინა ყელში მობჯენილი ბრაზი, მერე ვიბა-ნავე და ოთახში შემოვბრუნდი. სავარ-ძელში მოწყვეტით ჩავესვენე და გა-დავწყვიტე, რამე წამეკითხა, იქნებ ამით მაინც დამეწყნარებინა აწეწილი ნერ-ვები, მაგრამ სტრიქონები ისე გამირ-ბოდნენ, სიტყვები ერთმანეთს ვერ გა-დავაბი. მივხვდი, ახლა თავში არაფე-რი შემივიდოდა. წიგნი დავკეცე, მუხ-ლზე დავიდე და თითები მასზე ისე ავათამაშე, თითქოს ფორტეპიანოზე ვუკ-რავდი. არაფერმა მიშველა. წეღანდე-ლი საშინელი სცენა გონებიდან არ მშორდებოდა. თავი უკან გადავაგდე, თვალები დავხუჭე და გავირინდე. გა-რედან ხმები არ შემოდიოდა. ვერ გა-ვიგე, სტუმრები წავიდნენ თუ კვლავ გააგრძელეს ქეიფი.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე. არც დაწოლა მიცდია და არც წამოწო-ლა. ვიჯექი ფეხმორთხმით სავარძელში და ჩემთვის ვიტანჯებოდი.

რაღაც დრო რომ გავიდა, კარზე კაკუნი გაისმა... ჩუმი, ფრთხილი... სი-მართლე გითხრათ, არ გამკვირვებია... თითქოს ველოდი კიდეც... ცალი თვა-ლით კედლის საათს ავხედე... პირველის ნახევარი გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ იყო „სადიალოგოდ“ სასურველი დრო, მაინც გავემართე გა-საღებად. არადა, არ იყო ღირსი, დავ-ლაპარაკებოდი. ალბათ დაინახა, ჩემ-თან შუქი რომ ენთო და მიხვდა, არ მეძინა... ან კი რა დამაძინებდა?

სანამ სახელურს ჩამოვწევდი, უსია-მოვნო სახე მივიღე. წარბები კუშტად შეეკარი და ზღურბლთან მდგარს ამრე-ზით შევაჩერდი.

— კიდევ რაში უნდა დამადანაშაუ-ლოთ? რაღა დარჩა? — უკმეხად ვკით-ხე და ხელები მკერდზე გადავიჯვარე-დინე.

— იმისთვის მოვედი, რომ ჩემი სიტ-ყვებისთვის ბოდიში მოგიხადო, — მშვი-დად მომიგო.

ჩემდა უნებურად გავხსენი შუბლი და წარბები ავზიდე. აი, ამას კი არ ველოდი. და იმდენად არ ველოდი, რომ ენა დამება. მე ჩხუბს ვაპირებდი, ის კი შესარიგებლად მეახლა.

ერთხანს დავფიქრდი, რა მეპასუხა, მერე კი თავი ამაყად ავწიე და მხრები ავიჩეჩე.

— რაკი ასეა, თქვენი ბოდიში მიღე-ბულია, — ნიშნის მოგებით წარმოვ-თქვი. — ღამე მშვიდობისა! — და კარის მიხურვა გადავწყვიტე, მაგრამ ლადომ ხელი დამიხვედრა და ამის სა-შუალება არ მომცა.

— კიდევ გნებავდათ რამე? — ვაგ-რძელებდი ირონიას. — სუფრა რომ უნდა ავალაგო, უკვე ვიცი, შეხსენება არ არის საჭირო!

— კარგად ხარ? — მკითხა და გა-მომცდელი მზერა მესროლა.

— რა თქმა უნდა, კარგად ვარ. უბ-რალოდ, ძალიან მეძინება.

— შეიძლება ერთი წუთით შემოვი-დე? რაღაცის გარკვევა მინდა, — ისე მითხრა, თითქოს ჩემი სიტყვები არც გაუგონიაო, — თუ დერეფანში გირჩევ-ნია, ვილაპარაკოთ?

— არა მგონია, ეს კარგი იდეა იყოს.

— რა? ოთახში შემოსვლა თუ დე-რეფანში დგომა?

— ოთახში შემოსვლა.

— მხოლოდ რამდენიმე წამით, არ შეგაყოვნებ!

უხალისოდ გავდექი განზე და შემო-ვუშვი. ჯიბეებში ჩაიწყო ხელები და ფანჯარასთან მივიდა. მისი ეს პოზა ჩემთვის უკვე ნაცნობი იყო. ერთხანს იდგა ასე გარინდული. არც მე დავ-ძრულვარ ადგილიდან. არც ერთი ხმას არ ვიღებდით. უცებ შემობრუნდა, ოთა-ხის მეორე ბოლოში გავიდა, იქვე მდგარი ბუფეტის შუშის კარი გამოაღო და იქი-დან ღვინის ბოთლი და ჭიქები გადმო-იღო. არც ვიცოდი, იქ თუ რამე ინახე-ბოდა. ერთხელაც არ დავინტერესებულ-ვარ და არც არასდროს გამომიღია.

— აქ ყოველთვის მაქვს ხოლმე გა-დანახული სასმლის მარაგი, განსაკუთ-რებული შემთხვევისთვის, — ამიხსნა და მაგიდას მიუჯდა, ჩემკენ ზურგშექ-ცევით.

— როგორც ჩანს, ალკოჰოლის მა-რაგი ამ სახლში ამოუწურავია, — ცი-ნიკურად შევნიშნე და დავამატე: — თუმცა, არა მგონია, ჩემს ოთახში და-ლევა განსაკუთრებულ შემთხვევად ჩა-ითვალოს! აქ ღვინის დასალევად შემო-იარეთ? — საზღვარი არ ჰქონდა ჩემს ირონიას, მაგრამ მომხდარის შემდეგ სულაც არ მაღელვებდა ჩემი ასეთი სითამამე. რამე უკმეხად რომ ეთქვა, მზად ვიყავი, ეგრევე დამეტოვებინა იქა-ურობა და შინ დაბრუნებულიყავი.

— ღვინის დასალევად და სალაპა-რაკოდ, — გამიშიფრა.

თავი უკმაყოფილოდ გადავაქნიე, წი-ნიდან მოვუარე და როცა შემომხედა, მრავლისმეტყველი მზერა კედლის სა-ათზე გადავიტანე, რითაც მივანიშნე, ძალიან გვიან არის-მეთქი.

თქვენც არ მომიკვდეთ, აინუნშიც არ ჩააგდო ჩემი მინიშნება, მზერა ამარი-და და ღვინო უდარდელად ჩამოასხა ჭიქებში.

— ბატონო ლადო, ცოტა გვიან ხომ არ არის? — ჩემი მინიშნება ახლა შეკითხვის სახით ჩამოვაყალიბე.

— მე შენ გაწყენინე და სიმართლე თუ გინდა, მრცხვენია იმის აღიარების, რომ ნაადრევი დასკვნები გამოვიტანე, — ძალიან ხმადაბლა, თან მოგუდული ხმით დაიწყო, — მაგრამ კარი რომ გავაღე და მასთან ჩახუტებული დაგი-ნახე, ჩემი დამემართა. სცენა ისეთი იყო, სხვა რა უნდა მეფიქრა? მეგონა... თქვენ...

— რა ჩვენ?.. რა გეგონათ?

— რა მნიშვნელობა აქვს... — ხელი ჩაიქნია, — კიდევ ერთხელ გიხდი ბო-დიშს... მაპატიე.

— უკვე გაპატიეთ.

— კიდევ ერთხელ-მეთქი, — გაიმე-ორა და სავსე ჭიქა გამომიწოდა.

— არა, გმადლობ, არ მინდა.

— ეს ძალიან კარგი ღვინოა... — ამ სიტყვებით წინ გადმოიხარა და სას-მლით გაპიპინებული სასმისი ხელში მომაჩეჩა.

რაღა უნდა მექნა, გამოვართვი. გა-ღიზიანებული ვუჭერდი ჭიქას თითებს, ადგილიდან არ ვიძვროდი და მის გა-მომცდელ მზერასაც ვუძლებდი.

— რაზე გინდოდათ ჩემთან საუბა-რი? — დავარღვიე „წუთიერი დუმი-ლი“.

— ბევრ რამეზე. მაგალითად, ჩემს ძმისშვილზე.

— ვასიკოზე? — მისმა სიტყვებმა თავზარი დამცა.

— რატომაც არა. რა არის აქ გასაკ-ვირი?

— იმედია, მის ბავშვთა სახლში დაბრუნებას არ აპირებთ, — შეშფოთე-ბულს ხმაც კი შემეცვალა.

— სულაც არა.

შვებით ამოვისუნთქე და ისე გამი-ხარდა მისი პასუხი, რომ სიამოვნებით მოვსვი ორიოდე ყლუპი ღვინო.

— სადღეგრძელოს გარეშე გიყვარს დალევა? — ეშმაკურად ამომხედა.

— არ დამილევია, უბრალოდ, მოვ-სვი.

— გემო გაუსინჯე?

— არა, გამშრალი პირი გავისველე, — ჯიქურ გავუსწორე თვალი.

— ო! ეგ მშვენიერი გამოსავალია! — ირიბად ჩაიცინა.

— თუ ვასიკოს უკან დაბრუნებას არ აპირებთ, მაშინ რაღაა სალაპარაკო? ჩემში ხომ არ არის პრობლემა? რამეს ისე ვერ ვაკეთებ? არ მოგწონთ ჩემი აღზრდის მეთოდები? — მივაყარე და მივაყარე.

ხელის აწევით გამაჩერა.

— არა, ანა, მაგ მხრივ ყველაფერი რიგზეა. მე ძალიან კმაყოფილი ვარ შენით. მშვენივრად ართმევ თავს შენს მოვალეობას. მით უმეტეს ახლა, როცა როზას საქმეებიც შენ დაგაწვა კისერზე. ამას წინათ სკოლაში ვიყავი, მასწავლებელი ვნახე და იცი, რა მითხრა? უნიჭიერესი ბავშვიაო, თანაკლასელებთანაც კარგი ურთიერთობა აქვს, მეგობრული ბიჭიაო. კიდევ ის მითხრა, არაჩვეულებრივად ხატავსო. ეს კი, ზუსტად ვიცი, რომ შენი კიდევ ერთი დამსახურებაა. და კიდევ ის ვიცი, რომ ცხოველები უყვარს, განსაკუთრებით ცხენები და ბევრი რამ იცის მათზე.

— საიდან იცით? — გავოცდი.

— ჯერ ერთი, ფოტოები აქვს კედელზე გაკრული. მერე კიდევ, რაღაც დასაწებებელი სურათები დამათვალიერებინა, სულ ცხენების... გარდა ამისა, მივხვდი, რომ ძაღლზე ოცნებობს, მაგრამ თხოვნას ვერ მიბედავს... ასეა?

რაც მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო მატულობდა ჩემი გაოცება. ბოლო დროს დიდ დროს ატარებდა ვასიკოსთან, მაგრამ ასეთ რამეებზე თუ საუბრობდნენ, ამდენ რამეს თუ ხვდებოდა და ამჩნევდა, ვერც წარმოვიდგენდი. თურმე სკოლაშიც კი ყოფილა და მისი წარმატებებითაც დაინტერესებულა. ჩემი და ვასიკოს პატარა საიდუმლოების ამბავიც კი გაუგია... ბავშვი მართლაც ოცნებობდა ძაღლზე. გაოგნებულმა კიდევ მოვსვი ღვინო და... ჰოი, საოცრებავ! ამასობაში ბოლომდე დამიცლია სავსე ჭიქა. როგორც ჩანს, ლადომ ჩემზე ადრე შეამჩნია ეს, რადგან დაცარიელებული ჭიქის მაგიდაზე დადგმა ვერ მოვასწარი, რომ უეცრად ისევ გამოიხარა და ღვინით კვლავ შემივსო.

— მიკვირს ის, რაზეც ახლა მელაპარაკებით, — როგორც იქნა, ამოვთქვი, — არ მეგონა, ასე შორს თუ წავიდოდა თქვენი ინტერესები — უფრო სწორად, მას შემდეგ, როცა ბავშვზე მელაპარაკეთ... ადრე, რა თქმა უნდა... თუმცა, ბოლო დროს ცოტათი კი შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება...

— ჩემდა საბედნიეროდ, მქონდა იმის დრო, დავფიქრებულიყავი და მივხვდი, რომ არასწორად ვიქცეოდი, — აღსარებასავით გამოუვიდა, — და ვაღიარებ, რომ ვცდებოდი.

— ნუთუ? — ღვინომ სითამამე შემატა. — ხომ არ გსურთ, ბოლომდე გამოასწოროთ თქვენი შეცდომები? — მწარედ ჩავურტყი და ამჯერად სულმოუთქმელად გადავკარი მეორე ჭიქა.

ვიგრძენი, როგორ დამიარა სასმელმა სხეულში... გავბრუვდი...

საერთოდ, ძალიან იშვიათად ვსვამდი, ალბათ ამიტომაც მომეკიდა ასე მალე.

— მართალი ხარ... მსურს და ამიტომაც ვცდილობ, — ჩემდა გასაკვირად, მშვიდად დამეთანხმა.

— იცით? პირველივე დღიდან მაინტერესებდა, რატომ ჩაგრავდით ბავშვს ასე ძალიან. ახლა კი ის უფრო მაინტერესებს, რამ შეგაცვლევინათ აზრი მასზე და რა მიზეზით დათბით, — ვისარგებლე მისი სიმშვიდით და გავაგრძელე, თან სკამზე ჩამოვჯექი, დამეღალა ფეხები.

ღაწვები შემიხურდა. ცარიელი ჭიქა ლოყაზე მივიდე და თვალებმოხუჭულმა ირიბად გავხედე, — იქნებ არც არაფერია მიზეზი და ამ ყველაფერს მხოლოდ დრო სჭირდებოდა?

მამაკაცს ამჯერად პასუხი არ გაუცია, გულგრილი გამომეტყველებით ათვალიერებდა ოთახს და ერთი წერტილიდან მეორე წერტილზე გადაჰქონდა მზერა. ჯერ კედლის საათს ახედა, მერე მე გადმომხედა და ბოლოს ჩემს საწოლს მიაჩერდა ხანგრძლივად... როგორც კი ეს შევამჩნიე, ღამის ხურვებამ ამიტანა. რა გაიფიქრა? იქნებ სულ სხვა რამისთვის შემოვიდა აქ და ჩემი დათრობა გადაწყვიტა თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად? მგონი, დროა, დავემშვიდობო და მარტო დავრჩე. რაღაც არასასურველ „ფორმას“ იღებს ეს განმარტოება.

— დიდი მადლობა, მართლაც დიდებული ღვინო იყო, — ვთქვი და ავდექი, — ახლა კი დროა, დავიშალოთ.

— მაგდებ? — ისე შინაურულად მკითხა, თითქოს მიჩვეული ყოფილიყო ყოველი ღამის ჩემ გვერდით გატარებას.

მისი რეპლიკა აინუნშიც არ ჩავაგდე, ვითომ არც გამიგონია. მით უფრო, რომ მან უკვე მორჩილად გასწია კარისკენ. უკან მივყევი, რათა ვასიკოს ოთახში ერთხელაც შევსულიყავი და დაწოლის წინ ბავშვისთვის დამეხედა.

მოულოდნელად წავბორძიკდი, თავი ველარ შევიმაგრე და მამაკაცს ზურგიდან დავეტაკე. რომ არა მისი მყისიერი რეაქცია, სამარცხვინოდ გავიშოტებოდი იატაკზე. ხელი მკლავში ჩამავლო და წაქცევისგან მიხსნა.

— ფრთხილად უნდა იყო, მით უფრო, ასეთ მდგომარეობაში, — დამმოძღვრა.

— და რა მდგომარეობაში ვარ, როგორ გგონიათ? — ვიუკადრისე, მაგრამ ვაი, ასეთ „უკადრისობას“! ძლივს წარმოვთქვი სიტყვები, ენა მებმოდა.

ნუთუ ასეთი მთვრალი ვარ? ორმა ჭიქამ ასე როგორ გამაბრუა? იქნებ რამე იყო ჩაყრილი იმ ღვინოში სპეციალურად ჩემთვის? იქნებ წინასწარ ჰქონდა განზრახული, რომ დავმთვრალიყავი? უაზრო ფიქრებმა დამამძიმა.

შუბლი შეკრა და ზემოდან დამხედა. მისმა მზერამ შუბლი გამიბურღა...

— მაპატიეთ... — შეშინებულმა ჩავილაპარაკე და უხერხული მოძრაობით ფრთხილად ვცადე მისი ხელის მოშორება.

იმის მაგივრად, რომ ჩემთვის ხელი შეეშვა, უფრო ძლიერად წამიჭირა.

— რას აკეთებთ? — ველარ გავუძელი ტკივილს. — თუმცა კი ჩურჩულით გამომივიდა ნათქვამი.

— ჩვენ ეს ერთხელ უკვე გავიარეთ, ანა! — ხმადაბლა მომიგო.

ვერც მოვასწარი გამეაზრებინა, რას გულისხმობდა, რომ უეცრად თავისკენ მიმიზიდა და ტუჩებში მეძგერა.

ამჯერად წინააღმდეგობა აღარ გამიწევია... არც მიცდია... თითქოს ველოდი კიდეც... თან ისეთმა სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა, თავბრუდახვეული ერთიანად მოვეშვი და მკერდზე მივესვენე...

მერე კიდევ მაკოცა... კიდევ... და ხანმოკლე კოცნები რამდენიმე წამში ვნებიან, თავდავიწყებულ ალერსში გადაიზარდა...

სუფრის ალაგება აღარ გამხსენებია...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დაუჯერებელი ამბავი

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა. როგორ ხართ? ალბათ ყველანი დაუბრუნდით საკუთარ „ბუდეებს“ და ახლა ზაფხულის სასიამოვნო დღეებს იხსენებთ. ზოგი თქვენგანი სტუდენტი გახდა (ყველას ვულოცავ და წარმატებებს ვუსურვებ), ზოგმა ოჯახი შექმნა (ამათაც წარმატებებს ვუსურვებ), ზოგიერთს შვილი შეეძინა (მგზავრს და ტირიფი73-ს დიდ ბედნიერებას და გარავლებას ვუსურვებ), ზოგი აზრზე მოვიდა, ზოგი „გზავნილებიდან“ წავიდა და ასე... ახლა „ახალი სეზონი“ დაიწყო და იმედია, ყველაფერი გაცილებით უკეთ იქნება, ვიდრე აქამდე. ახლა კი ამ კვირის „დოუჯერებელი“ ამბები ვნახოთ.

მორყეულ საწოლზე გატარებული საქორწილო ღამე

„სალამი, მარიკუზა, როგორ ხარ? მე ახალი ვარ და იმედია, არ დამბლოკავ, OK? ჰოდა, რა მინდოდა მომეყოლა? გამახსენდა! ჩემი მოკრძალებული ამბავი. მაშ ასე, ჩემი სახელი არავის აინტერესებს და გამოვტოვებ. გავიზარდე მოკრძალებულ, თბილისურ ოჯახში. მართალია, მდიდრები არ ვიყავით, მაგრამ არც არაფერი მაკლდა. სკოლის დამთავრების შემდეგ პირადობის მოწმობაზე შექმნილი პრობლემის გამო გამოცდაზე ვერ გავედი და დავრჩი სახლში. ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა, მაგრამ 2 იანვრიდან ყველაფერი შეიცვალა... გავიცანი ბიჭი, პირობითად — როინი. თავიდან სიტუაცია უკეთესობისკენ მიდიოდა, მაგრამ მერე... როგორც ხდება ხოლმე, შეგვიყვარდა ერთმანეთი. მე მისმა განსხვავებულობამ მომხიბლა — განსხვავებულად აზროვნებდა... ოღონდ მარტო აზროვნებდა, საქმეში კი ტიპური დედიკოს ბიჭი აღმოჩნდა (ამას ძალიან გვიან მივხვდი, ჩემდა სამწუხაროდ). მოდიოდა ჩემთან სახლში, ჩემს ნათესავებთან, სამუდამო სიყვარულს მეფიცებოდა. მახსოვს, ერთხელ დედაჩემი სახლში არ უშვებდა — ანას არ გაჩვენებო და უთხრა, თუ არ მაჩვენებ, აქედან გადავხტებიო (მეოთხე სართულიდან). დედამაც შემოუშვა. ამ შემთხვევის მერე დედაჩემი დანებდა. ტრადიციისამებრ, ჯერ ნიშნობა გვქონდა, ხოლო 1 თვეში ქორწილი იყო დაგეგმილი. ქორწილიდან დაიწყო, თუ დაიწყო! ქორწილში მაგიდაზე საშინელი ჭურჭელი ელაგა. ზედ ძველი საჭმელები ჰქონდა შემხმარი... ქონიანი და გაზინტლული იყო ყველაფერი... აღარ გავაგრძელებ, თორემ რომელიმე მკითხველს გული შეუწუხდება. ეს ყველაფერი არაა. პირველი ღამე ისეთ ოთახში გავატარე, რომ კინაღამ ცუდად გავხდი აბლაბუდებითა და ქვიშით სავსე ოთახი იყო, სადაც ერთადერთი, მორყეული საწოლი იდგა! პირველი ღამე ცრემლის ღვრაში გავატარე. ჩემმა მზრუნველმა მეუღლემ კი ეს იმით ახსნა, რომ დრო არ ჰქონდათ (ალბათ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში). ამასაც შევეგუე, ამის მერე კი დაიწყო დამცირებისა და შეურაცხყოფის 3 ჯოჯოხეთური წელი. ჩემს ძვირფას მეუღლეს საცხოვრებლად ცალკე გადასვლის ხსენებაზე კრუნჩხვები ემართებოდა. თურმე დედიკოს გარეშე ვერ გაძლებდა! უკანასკნელი წვეთი კი მისი სიტყვები აღმოჩნდა: „შენ უკანასკნელ ადგილზე დგახარ, მონა ხარ და ყველაფერში უსიტყვოდ უნდა დამემორჩილო!“ მოვკიდე ხელი ჩემს ანგელოზს და წამოვედი. სხვათა შორის, ჩემი იქ ყოფნის დროს ბავშვი 3-ჯერ მომეწამლა, ერთხელ კი ჩემი ანგელოზი საოპერაციო გამიხდა — უვარგისი ძეხვი აჭამეს. ბავშვის გადარჩენის საკითხი სათუო იყო. მოკლედ, დროზე გამოვეცალე იქაურობას. თქვენი VAMPIRU NOUTAKA.

P.S. მარ, თუ არ დაბეჭდავ, არ მეწყინება, მე ხომ მოვიოხე გული“...

გზადაკარგულის უეცარი დაბრუნება

„აშკარა იყო, სახლში მარტო დარჩენილ ვანოს, რომელიც ძმაკაცების შინ მიყვანასა და გვიანობამდე ქეიფს აპირებდა, გეგმები შეეცვალა, როცა დედამ ბებიას გარდაცვალების შესახებ აცნობა. იმ საღამოს სოფელში წასვლა შეუძლებელი იყო, ამიტომ გათენებას დაელოდა. მთელი ღამის უძინარ ვანოს თავი უსკდებოდა. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ბებია სიკვდილის წინ რომ ვერ ნახა. „მარშრუტკაში“ ავიდა და სადაც ცარიელი ადგილი დაინახა, იქ მოკალათდა.

ცალმიხე, ცალდანაც თავის დაღწევა შეეძლებოდა, ჯიჯიხეთად გადაიქცევა ხოლმე.

უკან ერთი ქალი იჯდა, რომელსაც ენა არ გაუჩერებია. სულ დაწვრილებით მოჰყვა, ვინ ვისთან დადიოდა, ვის როგორი ურთიერთობა ჰქონდა ქმართან, როგორი მისვლა-მოსვლა — მეზობლებთან და როგორ იყო გადაყოლილი სანათესავოზე. ვანოს ერთადერთი სურვილი იმ წუთში, იმ ქალის „მარშრუტკიდან“ გადაგდება იყო, მაგრამ როგორღაც თავს იკავებდა. ცოტა ხანში იმ მოლაქლაქე ქალმა მისი ლაპარაკით შეღონებულ საზოგადოებას ჰკითხა: ჩემი ნათესავი დაიღუპა, აქეთ კარგა ხანია არ ვყოფილვარ და სახლს ხომ ვერ მიმასწავლითო? უეცრად, ვანომ მძღოლს დაუძახა, გააჩერეო. იმ ქალს მოჰკიდა ხელი, ჩაიყვანა „მარშრუტკიდან“ და უთხრა: — იმ აღმართს აუყევი, ქალბატონო, გზად იკითხე და ყველა მიგასწავლის მისამართსო. რაც იმან ვანო აქო, მთელი საგვარეულო დაულოცა და აღმართს აუყვა. „მარშრუტკამ“ 2 კილომეტრი რომ გაიარა, ვანოს ერთი ქალი მიუბრუნდა და უთხრა: — შვილო, ახლა გავიხსენე, ის ქალი რომ ეძებდა, ის ოჯახი ჩემკენ ცხოვრობს და იქ სად გაუშვიო? — რა ვი, დეიდა, თავი მტკიოდა და ჩავუშვი, მე რა ვიცი, სად წავიდოდაო? მძღოლმა მოძრაობა შეწყვიტა, საჭეზე დადო თავი და სიცილით გადაბჟირდა. — შენ გენაცვალე, ბიძია, სად იყავი აქამდე, თბილისიდან მომყავს, ენა არ გაუჩერებია, თავი ამხადაო... ვანოს ბებია ყველამ გამოიტირა, სამწუხარო ამბავი მთელ სოფელს მოედო, ვინც ვერ გაიგო, იმათაც გააგებინეს ჭირისუფლებმა... მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე ასეთ დროს, ყველაფერი ისე არ მომხდარა. ვანო ცრემლმორეული თვალებით, აქოშინებული შევარდა ეზოში და როცა ინსტინქტურად ბებიას საყვარელი ადგილისკენ გაიხედა, ბებია ძველებური, გულწრფელი ღიმილით უღიმოდა და სიხარულის ცრემლებს ხელისგულებით იწმენდდა. ვანო გაშტერებული უყურებდა ბებიას და როცა მისი მოჩვენება არ გაქრა, იმხელა იყვირა და ისე დაქაჩა თვალები, მის შემხედვარე ბებიას ლამის გული გაუსკდა და მართლა მიებარა მიწას... ჩასასვენებელში უნდა ჩაესვენებინათ, რომ თვალები გაუხელია... საწყალს, კლინიკური სიკვდილი დამართვია და ლამის ცოცხლად დამარხეს... გონს მოსული ვანო ბებიას მოეხვია. ყველა გახარებული იყო, მათ შორის ვანოც, მაგრამ როცა კარისკენ გაიხედა და ნაცნობი სახე დალანდა, მიხვდა, რომ ცუდად იყო მისი საქმე... ის ქალი, რომელიც ვანომ მოატყუა და გზა შეცდომით მიასწავლა, ვანოს ნათესავი ყოფილა... ქალბატონი მერი ცოცხალი იყო, მაგრამ საკითხავი ის გახლდათ, იმ შეჩვენებული ქალისგან როგორ უნდა დაეძვრინა თავი? ლუნა“.

რას მირჩევთ?

„გამარჯობა. ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ არასდროს მომიწერია. ახლა გთხოვთ, რამე მირჩიოთ: ქმარს გაშორებული ვარ, მყავს შვილი. ოჯახის დანგრევის მერე ჩემი ძველი მეგობარი შემიყვარდა. რას ვიფიქრებდი, ის თუ შემიყვარდებოდა? 6 წელია ვიცნობ და როცა მართლა ვმეგობრობდით, არაფერს მაკლებდა, ხელისგულზე მატარებდა, „სხვა თვალით“ არც შემოუხედავს... მეგონა, ბოლომდე ასე ვიქნებოდით, მაგრამ ქმარს რომ გავშორდი, სიყვარულში გამომიტყდა. 4 წელია, ერთად ვართ. ყველაფერს გვიკეთებს მეც და პატარასაც, მაგრამ მის ოჯახზე ბევრი არაფერი ვიცი, არც არასდროს ლაპარაკობს და როცა ვეკითხები რამეს, სულ მპასუხობს, რომ სხვა დროს ვილაპარაკებთ. არასდროს უთქვამს, მიყვარხარო. ხანდახან ისე გავა ორი დღე, არც შემეხმიანება, მაგრამ როცა დამინახავს, თვალები უბრწყინდება. ბევრი კითხვა მაქვს, მაგრამ ყველა — უპასუხოდ. როცა სადმე მიდის, არ მეუბნება. თუ ვკითხე, მხოლოდ ამის მერე მეტყვის და თან მოაყოლებს — რას მეძებ, ქალო, გამომძიებელი ხომ არ ხარო... რა თქმა უნდა, მწყინს და ვეჩხუბები მაგის გამო. — მე ასეთი ვარ და თუ გიყვარვარ, უნდა შეეგუოო. არადა, ძალიან მიყვარს, მის გარეშე ვერ ვძლებ. მართლა ნამდვილი სიყვარულით მიყვარს. ჩვენს მომავალზე როცა ვეკითხები, მპასუხობს: ცოტაც დავიცადოთ, ნუ ვიჩქარებთო. ვერ ვხვდები, ამას რატომ მეუბნება. ვეუბნები, თუ არ გჭირდები და აღარ გიყვარვარ, ჯობია, ახლავე დავშორდეთ-მეთქი, მაგრამ არ მშორდება. დღემდე ერთად ვართ. არასდროს უღალატია. მექალთანე ნამდვილად არ არის და არც „ტინგიცა“ ბიჭია. როცა რამეზე მინდა დაველაპარაკო, მაინც უპასუხოდ მტოვებს. როგორ მოვიქცე, რომ კითხვებზე პასუხი მივიღო? რას მირჩევთ?“

ამსეზომს 2 სახის ო�ოmეზა
1. ამოცა ამ გიმამოლოეს და 2.
ამოცა სხვას ოimامოლოეს.

ხატი, რომელიც აფხაზებმა წაიღეს

„ახლა, როცა ამ მესიჯს ვწერ, საზაფხულო არდადეგების დასრულებამდე სულ რაღაც ერთი კვირა რჩება. მართალია, უკვე დიდი ხანია, თბილისში ვარ, მაგრამ მოწერა ვერ მოვახერხე. ახლა კი აღმოვაჩინე, რომ საოცრად მომნატრებია „გზავნილებში“ ჩემი ამბების ხილვა. გულთბილად მოვიკითხავ მარი ჯაფარიძეს და ყველა მგზავნელს. ახლა კი უშუალოდ ამბის თხრობაზე გადავალ, მისი უჩვეულობის შეფასება კი თქვენთვის მომინდვია. დედაჩემის ბებია მამის მხრიდან აფხაზეთში ცხოვრობდა. ის ძალიან ღვთისმოშიში და მორწმუნე ადამიანი ყოფილა. 1948 წელს (მაშინ საკმაოდ ახალგაზრდა გახლდათ), აფხაზეთში, კერძოდ — სოხუმთან ახლოს, ბერძნების მიერ დაარსებული ეკლესია დაურბევიათ კომუნისტებს, იქაური ბერძნები კი გადაუსახლებიათ. იმავე საღამოს ჩემი დიდი ბებო ჩუმად ამდგარა, სახლიდან გაპარულა და იმ ეკლესიის ნანგრევებთან მისულა. უზარმაზარი და ულამაზესი ღვთისმშობლის ხატი უპოვია, რომელიც თავისი ზურგით ჩამოუსვენებია სახლში. ხატი XVII საუკუნის აღმოჩნდა. ღვთისმშობლის ხატი დედაჩემის ბებიასა და ბაბუის ოჯახში ინახებოდა, სანამ აფხაზეთის ომი დაიწყებოდა. ამ ხატის შეძენა უამრავ ადამიანს სურდა და საკმაოდ დიდ თანხასაც სთავაზობდნენ ოჯახს მის სანაცვლოდ, მაგრამ არავის თავში აზრადაც არ მოსვლია ხატის გაყიდვა. ის ბერძნები კი, რომლებიც მაშინ შუა აზიაში გადაასახლეს, ხშირად ჩამოდიოდნენ სოხუმში და ჩემს დიდ ბებოს ამ ხატის ჩვენებას სთხოვდნენ. აფხაზეთის ომის დროს ვერ მოასწრეს ამ ხატის სამშვიდობოს გამოყვანა. ერთი აფხაზი მისულა ჩვენს

სახლში და უთქვამს: არაფერი არ მინდა, მე ვიცი, რომ თქვენს ოჯახში ინახება ღვთისმშობლის ხატი და ის უნდა წავიღოო. დედაჩემი იხსენებდა: ბებიაჩემი ხშირად ამბობდა, ამ ხატმა დაიფარა ჩვენი ოჯახი ომის დროს და ის დაგვიფარავს და დაგვიცავს მუდამო. ღვთისმშობლის ხატის ადგილსამყოფელი ჩვენთვის უცნობია და ეს ჩემი ოჯახის დიდი ტკივილია. პარასკევა“.

მწარედ გადახდილი სამაგიერო

„სოფელში ყოველ ზაფხულს ჩავდივარ. ერთ წელსაც, არდადეგებზე ჩავედი და მანქანიდან გადავედი თუ არა, ჩემი მეზობელი ნანა დავინახე და მონატრებული მეგობარი მოვიკითხე. მან ახალი ამბავი მახარა: თურმე შეყვარებული ჰყოლია და 2 დღეში ნიშნობა ჰქონდათ. ნანა გახარებული იყო: მამამისს უთქვამს, ჩემს ერთადერთ ქალიშვილს ისეთ ნიშნობას გადავუხდი, მთელ კახეთს არ დაავიწყდებაო. ნიშნობაში მეც დამპატიჟეს. 7 საათზე შევაღე ნანას სახლის კარი. უამრავი სტუმარი ირეოდა. მეც თბილად მიმიღეს. გავიდა 2 საათი, მაგრამ ნანას შეყვარებული და მისი ნათესავები არ ჩანდნენ. გოგო განერვიულდა. უეცრად, ტელეფონმა დარეკა. მთელი 15 წუთი დამუნჯებული იდგა და ტელეფონი ყურთან ჰქონდა მიტანილი. ბოლოს, კედელს შეანარცხა და ოთახში ყველაფერი დალეწა, შემდეგ კი გული წაუვიდა. გონზე რომ მოვიდა, ყველაფერს მოგვიყვა: ზურას უთქვამს, ნიშნობა არ შედგება, მე მხოლოდ შენი გამწარება მინდოდა, გახსოვს, VIII კლასში მათემატიკაში ტესტირება რომ გვქონდა, შემპირდი, რომ გადამაწერინებდი, მაგრამ მერე ყურადღებაც არ მომაქციე? სწორედ მაგ ტესტირების გამო სკოლიდან გამრიცხეს, ავდექი და სამაგიერო გადაგიხადე, ჩემი ნათესავები აზრზეც არ არიან, შენთან თუ არიან დაპატიჟებული, ყველაფერი მე მოვიგონე, შენ რომ დამესაჯეო. აი, ასეთი უჩვეულო ამბავი მოხდა. პატივისცემით, ნინჩო“.

პატარძლის შეცდომა

„შეიძლება ჩემი ამბავი ბევრისთვის დაუჯერებელი, ბევრისთვისაც კი ტუტუცი ბავშვის მონათხრობი, არარეალური ამბავი იყოს, მაგრამ ეს მართლა დამემართა და დღემდე მწარედ ვიმკი ყოველივეს შედეგს. 16 წლის ვიყავი, ზაფხულს სოფელში ვატარებდი, ძალიან მიყვარდა ჩემი მშობლიური მხარე, თუმცა იმ ამბის შემდეგ იქით გახედვაც არ მინდა. თითქოს მეშინია, მაგრამ საკუთარ თავში ჩაკეტვისა და ყველაფრის გაანალიზების შემდეგ, ერთ დასკვნამდე მივდივარ — ეს უნდა მომხდარიყო, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება მოუშუშებელ ტკივილად დამრჩება. ადამიანი შეცდომებზე სწავლობს და მეც ბევრი რამე ვისწავლე. იმ ზაფხულს უამრავი დამსვენებელი ჰყავდა ჩემს სოფელს და სწორედ მაშინ გავიცანი თედო. 20 წლის იყო. ერთმანეთი დანახვისთანავე მოგვეწონა და გაცნობიდან სულ რაღაც სამ დღეში სიყვარულიც ამიხსნა. მეც ბევრი არ მიფიქრია, ისე დავთანხმდი, რომ მისი შეყვარებული გავმხდარიყავი. ძალიან სასიამოვნოდ გავატარეთ ზაფხული და სექტემბრის დასაწყისში თბილისში დავბრუნდით. ჩვენი ურთიერთობა წინ მიიწევდა, სულ ერთად ვიყავით, სწავლაზეც ხელი ავიღე და ყველაფერ სერიოზულზეც, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდებოდა. მოკლედ, გაცნობიდან ერთი წლის შემდეგ გავიპარეთ. ჯერ თედოს ნათესავთან ვიყავით ერთი კვირა, შემდეგ დავბრუნდით. მისმა ოჯახმა ძალიან კარგად მიმიღო. ჩემი მშობლებიც მალევე შემირიგდნენ. ერთ საღამოს ჩემი მეუღლე სახლში ძალიან მთვრალი მოვიდა, მაიძულებდა, კავშირი გვქონოდა. ჩემი უარის გამო ისე მცემა, თავზე სამი ნაკერი დამადო ექიმმა, მე ბევრი აღარ მიფიქრია და საავადმყოფოდან ჩემებთან დავბრუნდი, ბევრი ბოდიში მიხადა, მაგრამ არ ვაპატიე. მოკლედ დიდი სიყვარულით შექმნილი ოჯახი ერთ თვეში დამენგრა. ძალიან ვნერვიულობდი და დიდი დეპრესიაც მქონდა. ორი წლის შემდეგ გავიცანი ავთო. მე 19-ის, ხოლო ის 27 წლის იყო. დავმეგობრდით და მას მალევე შევუყვარდი (ჩემი პირველი ქორწინების შესახებ არ იცოდა). მეც სიმპათია მქონდა მის მიმართ. თედო იმ ამბის მერე შემზიზღდა და რადგანაც ის ჩემს ცხოვრებაში აღარ არსებობდა, ავთოს ცოლობაზე დავთანხმდი. დედამ მირჩია, მისთვის სიმართლე მეთქვა, მაგრამ ვერ გავბედე. ქორწილამდე ერთი თვით ადრე ექიმს მივაკითხე და ქალწულობა დავიბრუნე. მოკლედ, ქორწილის დღეც მოვიდა. ავთო ქუთაისში ცხოვრობს და ქორწილიც იქ იყო. როდესაც ჯვარი დავიწერეთ და რესტორნის დარბაზში შევედით, თაფლით სავსე ფინჯნით (სიძე-პატარძალს თაფლს აჭმევენ ხოლმე, ტკბილი ოჯახი რომ ჰქონდეთ), ჩემთვის კარგად ნაცნობმა ქალმა ჩვენკენ გამოიწია, ჯერ ავთოს, შემდეგ მე, თაფლი შეგვაჭამა და გონება დაკარგა. სასწრაფოდ გაიყვანეს დარბაზიდან. ცოტა ხანში ყველაფერი მიწყნარდა და ქორწილიც დაიწყო. მე ამ ცერემონიის დროს გაშეშებული ვიჯექი და რამდენჯერმე ვიტირე კიდეც. ყველას უკვირდა, რატომ არ იღიმოდა პატარძალი. როგორ უნდა გამეღიმა, როცა ქმრის მამიდა ის გინეკოლოგი აღმოჩნდა, რომელმაც ჩემს ტყუილში მთავარი როლი ითამაშა?! ყველაფერი დამთავრდა, როგორც იქნა. დღეს ბედნიერი ოჯახი მაქვს, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ ჩემი ქმრის მამიდა ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარია. ის პირადად დამელაპარაკა და მითხრა: მე იმდენ გოგოს მივეცი ბიჭის მოტყუების საშუალება, რომ ახლა არაფრის თქმა არ ღირს, ამით უფალმა სამაგიერო გადამიხადაო. გულში ჩამიკრა და ჩემთან ერთად დიდხანს იტირა. მას შემდეგ აღარაფერს მაგრძნობინებს, თუმცა მე მაინც ცუდად ვარ სულიერად და ტყუილში ცხოვრება აღარ მინდა. ახლა ერთი ბიჭი გვყავს, ორი წლისაა, მე 23 წლის ვარ, ცხოვრება წინ მაქვს, მაგრამ უკვე ძალიან დავიღალე“. ■

ყურადღება! **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ჯრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „გასული ზაფხულის ამბები“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე:
5.77.45.68.61
ან მომწეროთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

ფოტო, რომელმაც წახწია დაკარგა

• „სიმთვრალეში ყველაფერი ლამაზად ეჩვენება კაცს, არა, სამ ჭიქაზე მეტს ნაღდად აღარ დავლევ, აწი“. პატრიკი.

• „ჩემი ოცნების დედაკაცი“. კლეოპატრა.

• „ძვირფასო, ძლივს არ დამანახვე შენი ნამდვილი სახე?“ კლეოპატრა.

• „სიყვარულიდან სიძულვილამდე მართლაც რომ ერთი ნაბიჯია“. ლიზი123.

• „მე და ჩემი სიდედრი“.

• „ვაა, ბაბუ, რა მაგარ ფორმაში ხარ?!“ TOLQER.

• „მთელი ცხოვრება რომ გიყურო, არ მომწყინდება, ჩემო პაწაწინავ“... ლუნა.

• „ჩემი ოცნების ქალი“. ლუნა.

• „ასეთია ჟიგოლოების ბედი“.

• „ეს სურათი ჩემს ცოლისდეს უნდა ვაჩვენო, იქნებ დაფიქრდნენ“.

• „კაცი: ჩემს ხელში კიდევ კარგად არის“... THE LOVELY.

• „ჭამას თუ არ მოვუკელი, ჩემი ბოლოც ეს არის“. THE LOVELY.

• „ეჰეე, რავა გასუქებულა ეს ოხერი ჩემი ცოლი? ადამიანის ფორმაც კი დაუკარგავს და ვის დამსგავსებია?“ შორენა.

• „რომ ამბობენ, სიყვარული ბრმააო, მართალი ყოფილა. იმედია, ყოველთვის ბრმა დარჩება, თორემ მისი გული ამას ვერ გაუძლებს“. BLACK QUEEN.

• „სიყვარულმა ასაკი, გარეგნობა და წონა არ იცის“. BLACK QUEEN.

• „მე და ჩემი ბეჰემოთა ცოლი“. ბუცა.

• „რით გამაბრუა? არ ვიცი, რა მოხდა... რომ გამეღვიძა, აქ ვიყავი. ვინმე მეტყვის, რა მოხდა ან ეს ვინ არის?“ BLACK QUEEN.

• „ადამიანი 24 საათში ასე იცვლებოდეს, მე არ მინახავს“. BLACK QUEEN.

• „შედეგებზე წინასწარ უნდა გეფიქრა“.

• „არადა, რა გოგო იყო!“

• „სად გქონდა თვალები, მოგიკვდა დედა, შვილო! ამას ვის გადაეყარე“. BLACK QUEEN.

• „ინტერნეტით შექმნილი ოჯახიც ეგ არიიიი!“ BLACK QUEEN.

• „უკვე ჩანს, ვინაა ოჯახში უფროსი!“

• „სიმთვრალეში რას არ მოვათრევ ხოლმე სახლში“.

• „გარეგნულად ჩანან ასე, თორემ ერთმანეთისთვის არიან შექმნილი!“ BLACK QUEEN.

• „გირჩევ, არ გააბრაზო, თორეეეე“... BLACK QUEEN.

• „მიყვარს, წყვილები ერთმანეთს რომ უგებენ!“.

• „აშკარად რთული ორსულობა ექნება!“

• „ახალგაზრდობაში კვიცივით იყო“.

• „სად ჰქონდა ამ გაჩხიკულ კაცს ამდენი ძალა?“

• „დასვენება ყველას უნდა, ახალ ბათუმში“. TATOVAX.

• „მორჩა! თავი უნდა ჩამოვიხრჩო. მშვიდობით, მარადჟამუდამოდ“.

• „იქნება და ერთი კოცნა შველოდეს?“

• „ამხელა კუ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. ვისია?“

• „აუ, რამდენი დავლიე ნეტავ, წუხელ შველი რომ მეგონა?“

„როგორ გამიმართლა?! ყველას კი არ ჰყავს ასეთი სიდედრი“.

„კაზინოებში სიარულმა ბოლო მოგვიღო“

„გზის“ №35-ში დაიბეჭდა 18 წლის ლაშას მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ტოტალიზატორში თამაშით ოჯახს დიდი ზიანი მიაყენა და ახლა ამას ძალიან განიცდის. „15 წლის ვიყავი, როცა „საქმეში“ პირველად ჩამითრიეს და ტოტალიზატორის მოტკბო (სინამდვილეში კი უმწარესი) გემო გამასინჯეს: იმ დღეს სულ რაღაც 2 ლარი მქონდა და რამდენიმე თამაშზე დავდე. გამიმართლა და მოვიგე. სწორედ მას მერე დაიწყო ჩემი ტანჯვა-წამება. ფულს ყოველდღე ვდებდი, ხან ვიგებდი, ხან ვაგებდი და ამ თამაშ-თამაშში ნერვებიც დავიწყვიტე, მაგრამ მას მერე, რაც „ხელზე გამაზვის“ წესები გავიგე და „მაზავშჩიკების“ მახეშიც გავები, ჩემი ცხოვრება თავდაყირა დადგა“.

„ტოტალიზატორის ყველა მონა მეცოდება...“

როგორც ლაშამ აღიარა, მან მშობლებს ჯერ 2.000 დოლარი მოჰპარა, მერე სახლიდან ოქროულობა გაიტანა; მესამედ კი, როცა მოსაპარიც ვერაფერი იპოვა, მშობლებს პირდაპირ მოსთხოვა ფული და შეჰპირდა, — ამის შემდეგ აღარ ვითამაშებო. „დამიჯერეს და 4 ათასი დოლარი დიდი წვალებით მიშოვეს. ჰოდა, ამით გულ და იმედმოცემულმა იცით, რამდენი „გავმაზე“? — 10 ათასი დოლარი. დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ დღეს „ბარსელონა“ ბევრ გოლს გაიტანდა და... წავაგე. ვალის გასასტუმრებლად რამდენიმე კვირა მომცეს. მშობლებს ვუთხარი, — ისევ წავაგე-მეთქი. მამამ ჯერ საშინელი სიტყვებით მლანძღა, მერე კი შინიდანაც გამომაგდო. რამდენიმე დღე ძმაკაცის სახლში ვცხოვრობდი... როცა „თავანის“ ვადა ამოიწურა, „მაზავშჩიკები“ მართლა მოსაკლავად დამდევდნენ და ცხადია, ეს მეგობრის მშობლებმაც გაიგეს, მერე კი სასწრაფოდ, ჩემს უკითხავად მიადგნენ ჩემი ოჯახის წევრებს და ყველაფერი უთხრეს. მამა მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო! მშობლებმა ბანკში სესხის აღება სცადეს, მაგრამ არც ერთმა ბანკმა არ დაუმტკიცა. ჰოდა, ამიტომაც, ადგნენ და ბინა იაფად გაყიდეს, ჩემი ვალი გაისტუმრეს, მერე კი პირობა წამომიყენეს: ან თამაშს შეეშვები, ან ჩვენკენ აღარ გამოიხედავ; თუ მოგკლავენ, ჩვენც თავს მოვიკლავთ და ეგ იქნება, მაგრამ შენს და-ძმას საიმისო არაფერი დაუშავებია, რომ ქუჩაში გაიზარდონ, შენ გამო ისინი არ უნდა დაიჩაგრონო, — და... მართლებიც იყვნენ. როცა სიკვდილს თვალებში ჩავხედე — „მაზავშჩიკებმა“ ყელშიც კი წამიჭირეს ხელი (ალბათ დასაშინებლად, თორემ არა მგონია, ასე გავეწირე) და როცა ჩემ გამო ჩემი და-ძმა და დედ-მამა რამდენიმე თვის განმავლობაში, ლამის ღია ცის ქვეშ ცხოვრობდნენ, მივხვდი, რომ უდიდესი სისულელე გავაკეთე, მაგრამ... მიშველეთ, გამუდმებით ტოტალიზატორი და ბილეთები მესიზმრება. არ ვიცი, ამ კოშმარიდან თავი როგორ უნდა დავიხსნა“.

შორენა:

„კაზინოსა და ტოტალიზატორში სიარულით გამდიდრებული არავინ

მინახავს (თორემ თქვენ დამასწრებდით იქ შესვლას?), ამით გაღატაკებულ-გაუბედურებული ოჯახი კი ბლომადაა. ტოტალიზატორი გახლავთ ია-ვარდებით შენიღბული გზა, რომელსაც პირდაპირ ჯოჯოხეთისკენ მივყავართ; ამ გზას მხოლოდ უტვინო კაცები ადგებიან. P.S. ამდენი მარცხის მერე ჭკუას რომ ვერ ისწავლი, უტვინო ხარ, აბა, სხვა რა გიწოდო? არადა, ქალებზე ჭკვიანებად კი მოგაქვთ თავი...“

აურა:

„სწორ გზაზე დადგომაში უფალი დაგეხმარება. ეკლესიაში მიდი, ყველაფერი მოძღვარს უამბე და სწორ გზას მალე დაადგები, ტოტალიზატორისა და ბილეთების დასიზმრებისგანაც გათავისუფლდები. ეკლესიაში სიარული წარსულში ჩადენილი შეცდომის გამოსწორებაში დაგეხმარება“.

ატარექსია:

„შენ იმ ასაკში ხარ, როცა ადამიანი თავისი ცხოვრების განმსაზღვრელ ნაბიჯებს დგამს, ამიტომ ძალღონე არ დაიშურო და ეცადე, არასწორი ნაბიჯი აღარ გადადგა. ვფიქრობ, საუკეთესო გამოსავალია, მიზანი დაისახო და მის მისაღწევად იშრომო, იბრძოლო. სწავლაზე იფიქრე, სპორტის რომელიმე სახეობას მისდიე, დრო დააფასე და ნაყოფიერად გამოიყენე. კიდევ რომ მიქარო, დამიჯერე, ყველა შეგიძულებს. გამოიყენე გამოსწორების ეს შანსი. ერთმა გენიოსმა თქვა: ყველაზე დიდი გამარჯვება საკუთარ თავზე გამარჯვებაა და სწორედ ასეთ გამარჯვებას გისურვებ! დაამარცხე ეგ უპრინციპო, უნებისყოფო ლაშა!“

მკითხველი:

„რასაც შენ აკეთებ, საშინელებაა. მე მყავს მეუღლე, რომელიც მსგავს სიტუაციაში იყო და როგორც იქნა, აზრზე მოვიდა. გირჩევ, ასე მოიქცე: ეკლესიაში იარე და უფალს შეევედრე, ცუდი აზრების მოშორებაში დაგეხმაროს. ოჯახზე იფიქრე, შენს ახლობლებს შენთვის მხოლოდ კარგი უნდათ“.

ნაკო:

„ნეტავ, იცოდე, როგორ მესმის შენი. სამწუხაროდ, მსგავს ამბებს ჩემს უახლოეს გარემოცვაშიც წავაწყდი და გეტყვი, ყველაფერი რით დასრულდა: ბავშვმა ჯერ უმდიდრესი ოჯახი გააღატაკა, მერე მამა შეიწირა, ბოლოს კი ამ ყველაფერს ვეღარ გაუძლო და თავი მოიკლა. ალბათ, აქ ბევრი გეტყვის, — კარგი, რა, ამხელა კაცი ხარ და ნებისყოფა როგორ არ გყოფნის საიმისოდ, რომ თამაშს შეეშვა, მაგრამ მე ვიცი, ამისგან თავის დაღწევა როგორი ძნელიცაა. მხოლოდ საკუთარი თავის იმედად უნდა იყო და ბოლომდე იბრძოლო. მეგობარო, გახსოვდეს, ეშმას დასამარცხებელი გზა უფალსა და რწმენაზე გადის. ეს ჯვარი ან ცხოვრების ბოლომდე უნდა ატარო ან მისგან სასწრაფოდ გათავისუფლდე. წარმატებებს გისურვებ!“

TALKER:

„შენს მესიჯს ვკითხულობ და მეცინება. ალბათ, ახლა იტყვი: მე ვიტანჯები და ნეტავ, შენ რა გაცინებსო? რა და, შენი ძალიან კარგად მესმის! ცუდად არ გამიგო, მე თავად ვარ ფეხბურთის ფანი და ჩემთვის „ლივერპული“ საფეხბურთო

კლუბზე მეტია. აზარტულიც ვარ, თუმცა არა იმ დონეზე, რომ ვინმეს ზიანი მივაყენო. კარგია, რომ თავად ხვდები, რა შეცდომებიც დაუშვი. მერწმუნე, ეს უკვე პროგრესი, წინ გადადგმული ნაბიჯია. ჩემი აზრით, საკუთარ თავს ომი უნდა გამოუცხადო და დაანახვო, რომ ნებისყოფა გაქვს. P.S. და თუ მაინც ასე ძალიან გსურს ბილეთების შევსება, აიღე სუფთა ფურცელი და მასზე კონკრეტული მატჩების სავარაუდო ანგარიშები ჩამოწერე. ვერ მოგთხოვ, ფეხბურთს საერთოდ არ უყურო-მეთქი, რადგან ვიცი, ეს რთული იქნება. აბა, შენ იცი...“

SAILORBEE:

„აუ, „იზვინი“, მაგრამ ასე მგონია, აფერისტობ. ოჯახი რომ გეცოდებოდეს, ტოტალიზატორში თამაშის „ლომკა“ არ გექნებოდა. თუ საკუთარ თავში დარწმუნებული არ ხარ, ოჯახს ზიანს ნუ მიაყენებ და თავი „დაიბრიდე“, რა... ისე, შენი ასეთი საქციელი მშობლების ბრალია — თავის დროზე შენთვის თავში რომ წამოერტყათ, ამდენს ვერ გაბედავდი; უდარდელად გაგზარდეს და მათ ნაწვალევს ასე ადვილად იმიტომაც ყრი წყალში. მაგრად მეცოდება ტოტალიზატორის ყველა მონა“.

რუსპირი (GREEN):

„ვფიქრობ, განებივრებული და „მამიკოს ფულებით“ მობლატავე ბავშვი ხარ. 2.000 დოლარი, ოქროულობა — ამ ყველაფერს ისე არხეინად ამბობ, თითქოს „სნიკერსის“ ყიდვა-გაყიდვას ეხებოდეს საქმე. როცა ტოტალიზატორში წასვლის სურვილი გაგიჩნდება, ის მომენტი გაიხსენე, როცა კედელზე აკრული, სიკვდილს უყურებდი თვალებში და უფალს მოწყალე თვალით გადმოხედვას რომ სთხოვდი; გაიხსენე, როგორ პირობებში ცხოვრობდი წლების წინ და ის ყოფა დღევანდელს შეადარე. დარწმუნებული ვარ, ამ ყველაფრის შემდეგ მეგობრების თვალში ერთი საფეხურით ჩამოქვეითდებოდი და თუ არ გინდა, თავი უფსკრულში ამოყო, ტვინი გაანძრიე. ისე კი, ვიცი, შეჩვეულის გადაჩვევა ძნელია, მაგრამ როცა საქმე სიცოცხლეს, ახლობელი ადამიანებისა და ოჯახის წევრების ბედნიერებას ეხება, მეტი პასუხისმგებლობა გმართებს. „ალბათ დასაშინებლად მემუქრებოდნენ, თორემ არა მგონია, ასე გავეწირე“, — შენმა ამ სიტყვებმა სიმწრის ღიმილი მომგვარა. ლაშა, მეგობარო, „გზაში“ არაერთხელ დაბეჭდილა იმ ადამიანების შესახებ, რომელთა გულებმა ე.წ. მაზავშჩიკების ხელშეწყობით შეწყვიტეს ფეთქვა. ასე რომ, ჭკუით!“

მარიამი:

„მე გოგო ვარ, მაგრამ ვიცი, რაც არის აზარტი. სამწუხაროდ, კაზინოებში სიარულმა ბოლო მომიღო. მართალია, ჩემებს არ გაუგიათ, მაგრამ აზარტულობის გამო დიდი ვალი დავიდე — 22 წლის გოგოს 10 ათასი დოლარი მაქვს ბანკისა და მეგობრების ვალი. გავნადგურდი... იცი, რამ მიშველა? — რწმენამ და უფლის შიშმა. ეკლესიაში იარე, მოძღვარს აღსარება ჩააბარე და დაიფიცე, რომ აღარ ითამაშებ. პირადად მე, ასე მოვიქეცი და ახლა კაზინოსკენ გახედვის სურვილიც აღარ მაქვს, უფრო მეტიც — იქაურობა მეზიზღება. ოჯახს გაუფრთხილდი და უფლის იმედი გქონდეს. იცოდე, ყველაფერი მოგვარდება. წარმატებები!“

მეგი:

„თავადაც ხვდები, რამდენად სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდი. მშობლებს ნუღარ ანერვიულებ, ნუ გაამწარებ; მათსა და საკუთარ და-ძმაზე იფიქრე. მერწმუნე, პრობლემის დაძლევას შეძლებ, მით უმეტეს, თუ ამის სურვილი გაქვს. გირჩევ, რამდენიმე თვით მონასტერში წახვიდე. იქ ყველანაირი ცდუნების დაძლევაში დაგეხმარებიან, უფალი კი შეგინდობს და დაგიფარავს. ძალიან მალე ოჯახს რწმენაგაძლიერებული დაუბრუნდები და მერე ვერც ერთი „მაზავშჩიკი“ ველარ გაცდუნებს. წარმატებებს გისურვებ!“

■

„სიყვარულში გამოუტყდი...“

„გზის“ №35-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ მოსწონს ბიჭი, რომელიც მისი უბნელი, სკოლელი და მეგობარია. „უკვე ერთი წელია, ვიცნობ. მასზე გაცნობის დღიდან ვგიჟდები, მაგრამ ვერაფერს ვაგრძნობინებ, რადგანაც სხვა უყვარს. მიუხედავად ამისა, ხშირად ვართ ერთად, ვსეირნობთ, თავისი ძმაკაცები გამაცნო, ბევრჯერ სახლშიც ამიყვანა... მეგობრები მეუბნებიან, — მოსწონხარო, მე კი ვერ გამიგია: სხვა უყვარს და ამავდროულად, ჩემზეც ფიქრობს? გრძნობებში რომ გამოვუტყდე, „ტეხავს?“

„სიმართლის გაგების შანსს ნუ დაკარგავ“

მარიშა:

„თავს ძალით ვერავის შეაყვარებ. ახლა სიყვარულში რომ გამოუტყდე და მან გრძნობაზე არ გიპასუხოს, ეგ ხომ უფრო გატკენს გულს? გირჩევ, პირველ ნაბიჯს მისგან დაელოდო. თუ უყვარხარ, ადრე თუ გვიან, ამაში აუცილებლად გამოგიტყდება“.

თათა:

„ჩემი აზრით, მას სიყვარულში უნდა გამოუტყდე. მერწმუნე, ეს სულაც არ „ტეხავს“. თუ მოსწონხარ, ხომ კარგი, თუ არა და, ის მაინც გეცოდინება, რომ მასზე აღარ უნდა იფიქრო. სიმართლის გაგების შანსს ნუ დაკარგავ. აბა, შენ იცი“.

TALKER:

„პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ბიჭსა და გოგოს შორის მეგობრობა არსებობს. რადგანაც ერთად ხშირად სეირნობთ, ლაყბობთ და მეგობრებს გაცნობს, ე.ი. ნამდვილ მეგობრად მიაჩნიხარ. შენ კი თურმე, მის მიმართ სხვა გრძნობა გაქვს. მგონი აჯობებს, დაელაპარაკო...“

ლუნა:

„მე თუ მკითხავ, ასეთ სიტუაციაში თავშეკავება ჯობია, მით უმეტეს, რომ იცი, მას შეყვარებული ჰყავს. თუ მოსწონხარ (როგორც ამას მეგობრები გეუბნებიან), ამას თავად გაგრძნობინებს. თავი დაიფასე, მიუწვდომელი იყავი და მისთვის უფრო საინტერესო გახდები. გკოცნი“.

შორენა:

„როცა ქართველი მანდილოსანი კაცს სიყვარულს უხსნის, ეს მართლაც „ტეხავს“, გოიმობა და თავის დამცირებაა. დინებას მიჰყევი და თუ უყვარხარ, ამას თავად გეტყვის“.

პინო 555:

„გირჩევ, არაფერი უთხრა. თუ მოსწონხარ, თავადაც გეტყვის. სიყვარულში რომ გამოუტყდე, შესაძლოა, შენთან მეგობრობაც აღარ მოინდომოს“.

■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.
მესიჯის ფასი 50 თეთრი

ქალები

1. 36-ე ნომრის მე-16 სმს-ის ავტორმა მამაკაცმა დამიმესიჯოს ან მომეცით მისი ტელეფონის ნომერი.

მამაკაცები

2. 20-დან 40 წლამდე ასაკის, მატერიალურად უზრუნველყოფილი მანდილოსანი. გარეგნობას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ველი გამოხმაურებას.

3. გთხოვთ, მომცეთ 32-ე ნომრის მე-4 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

4. გთხოვთ, „გზა“ №35-ში გამოქვეყნებული, მე-19 მესიჯის ავტორს მისცეთ ნომერი; ან ძალიან გთხოვთ, ჩემი მისწერეთ. წინასწარ გმადლობთ.

5. ვარ 30 წლის, უმუშევარი და ჟიღბლო კაცი. გამომეხმაურონ 20-დან 40 წლამდე ასაკის, მატერიალურად უზრუნველყოფილი მანდილოსნები. ახმეტა.

6. ვარ 50 წლის, სამეგობროდ გავიცნობ 45-55 წლის ქალბატონს. დანარჩენი — პირადად.

7. გთხოვთ, ჩემი ნომერი მისცეთ „გზა“ №31, მე-3 სმს-ის ავტორს.

8. გთხოვთ, მომაწოდოთ 36-ე ნომრის მე-20 მესიჯის ავტორის კოორდინატები, ან ტელეფონის ნომერი; ან მიეცით ჩემი ნომერი.

9. ვარ 28 წლის, გავიცნობ ლამაზ, მოსიყვარულე გოგოს. ვარ მაღალი, შავგვრემანი, სიმპათიური, თბილი და მოსიყვარულე მამაკაცი.

10. ვარ 20 წლის, თბილისელი. მინდა გავიცნო სიმპათიური გოგო, ვინც თავს მარტოსულად გრძნობს, ვისაც მოფერება სჭირდება და უნდა ჰყავდეს თბილი და ერთგული ბიჭი. ზურა.

11. გავიცნობ გორში მცხოვრებ, ლამაზ მანდილოსანს, 30-43 წლამდე, სამეგობროდ. ვარ 35 წლის მამაკაცი.

12. გავიცნობ 19-დან 35 წლამდე, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს. ვარ დასაქმებული და უზრუნველყოფილი. გიო.

13. მინდა გავიცნო 18 წლამდე ასაკის გოგონა სამეგობროდ. ვცხოვრობ თბილისში. გვანცა. შემომეხმიანონ მხოლოდ გოგონები.

14. გავიცნობ 19-დან 35 წლამდე ასაკის სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს. ვარ დასაქმებული და უზრუნველყოფილი. გიო.

15. გამომეხმაუროს მსუქანი, შეძლებული, თბილისში მცხოვრები, 40 წლამდე ქალი. ვარ 185/70/40.

16. ვარ 31 წლის. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 23-30 წლამდე მანდილოსანს, ვისაც სურს მყუდრო და ნორმალური ოჯახის შექმნა.

17. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის ქალბატონს. ვარ 42 წლის, თბილისელი, დასაქმებული და ბინით.

18. „გზა“ 36-ის მე-8 მესიჯის ავტორი მანდილოსნის ტელეფონის ნომერი მომეცით.

19. მინდა გავიცნო 23-26 წლამდე ასაკის, ნორმალური, პატიოსანი გოგო, ოჯახის შექმნის მიზნით; ქალიშვილი, თუნდაც — სოფლელი. ვარ 29 წლის, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი. ზვიადი.

20. მარ, გთხოვ, მეორე ნომრის პირველი მესიჯის ავტორის ნომერი მომწეროთ.

21. ცოლს გაცილებული ვარ 1973 წლიდან, მყავს 1 ვაჟი და 2 ქალიშვილი. როცა ხელმეორედ ოჯახის შექმნა დავაპირე, ბიჭმა ტირილი დაიწყო. ამის გამო ცოლის მოყვანაზე უარი ვთქვი. როცა მოვხუცდები, შვილები მომივლიან-მეთქი, გავიფიქრე და პირად ცხოვრებაზე ხელი ჩავიქნიე. ასე მოვედი დღემდე. ახლა 74 წლის ვარ. ბიჭმა ახლა მითხრა, მე რას მიყურებდი, პატრონი რომ გჭირდებოდა, არ იცოდიო? ვეძებ განქორწინებულ ქალბატონს, ვისაც პატრონი სჭირდება,

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

რომ ერთმანეთს ვუპატრონოთ. ავადმყოფი არ ვარ, არც ლოთი... ჩემი ბიჭი და შვილიშვილი ჩემს აშენებულ სახლში ცხოვრობენ. მაქვს აგარაკიც. ყოფილმა ცოლმა ისეთი რამე გააკეთა, რომ მას ვერ შევურიგდები.

22. ვეხმაურები გზის №33-დან №1 და №3 მესიჯების ავტორებს. მსურს თქვენი გაცნობა ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 33/190/90. ამჟამად ვიმყოფები პატიმრობაში. თუ სურვილი გექნებათ, მარის გამოართვით მისამართი და მომწერეთ. სასურველია სურათიც. ნუგზარი.

ვეძებ

23. ვეძებ იზო (დალი) ქარუმის ასულ გაზაევს. დამიკავშირდეს ან თუ ვინმემ იცით მისი ადგილსამყოფელი, ან რაიმე ინფორმაცია გაქვთ, გთხოვთ, შემატყობინოთ. ლევანი.ც.29.

24. ვეძებ ზაირა ჭუმბურიძეს, რომელიც 84-87 წლებში სწავლობდა ქუთაისის კოოპერაციულ ტექნიკუმში.

სხვადასხვა

• პატარავ, როგორ ხარ, დედუცი? გვენატრები ძალიან. ჩემი პაწია მოწყენილი ხომ არაა? ყველაფერი კარგად იქნება, დედას სიხარულო... ჯერ გეტყვი, რომ ნინომ წერილი გამომატანა და სად წავიღე, არ ვიცი. გწერდა, რომ ძალიან უყვარხარ... იქით კვირაში ორივე წერილს ერთად მოგწერ. ნიკას ველაპარაკე. ძალიან კარგი ბავშვია, როგორც ვატყობ. მომიყვა რაღაცები. ისიც მოგწერს ხოლმე. ნეტავ შენც მალე მოხვიდე ჩვენთან... საბა ბაღში წავიდა. გამოიპრანჭა ახალ პერანგსა და ბოტასებში და წაცუნცულდა. ძველი მასწავლებელი რომ ნახა, კი იტირა თურმე და მეორე დღეს გაიძახოდა, — აღარ მინდა ახალ ბაღშიო. თმა შევჭერი და ისე გგავს, რომ შენი პატარაობა მიდგას თვალწინ, მაგას რომ ვუყურებ. შენსავით ცუღლუტია და მაიმუნი. ერთი მხრივ კარგია, ხასიათითაც რომ გგავს, ვნახავ ერთი, როგორ აიტან მაგის ცუღლუტობებს. მაგრამ შენნაირი რომაა, ვერ მოგატყუებს, მაშინვე მიუხვდები. ერთი თქვენი თავი დამანახვა, მამა-შვილი სიმაღლითაც ტოლები რომ იქნებით და იძმაკაცებთ. ბესო და თავისი ბასასუნაც... ბედნიერი დედა ვიქნები, დე... თქვენ მყავდეთ კარგად, ესაა ჩემი ნატვრა და ოცნება... მიყვარხარ, ღმერთი გფარავდეს. გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• პეპ, როგორ ხარ? ნეტავ, მშვიდობაა შენთან? ასე რატომ დამივიწყე? რა ხდება? ერთხელ დამირეკე, გელოდები ყოველდღე. უნდა დამივიწყო? დედაშენმა რაღაცა ილაპარაკა. დამირეკე, რომ გითხრა, რა ხდება შენებთან დაკავშირებით. აირია ყველაფერი. გელოდები, დამირეკე. ნუ გამწირავ ასე მწარედ.

• პატუ, როგორ ხარ? მოგვენატრე, ნიკო და მარი ხშირად გახსენებენ. მარი ისეთი ატიკტიკებულია, გაგიჟდები. შენი სურათი ნახა და მთელი დღე კოცნიდა. ყველას გვენატრები.

• პატუ, ჩვენი დარდი არ გქონდეს, კარგად ვართ, ნიკო ალბათ ბაღშიც წავა, ძალიან უხარია. მაგრამ მე შენი დარდი მაქვს, მთავარია, შენ იყო კარგად. მიყვარხარ, ქეთი.

• იკა.ხ. მე შენზე ვფიქრობ და თითქოს გხედავ... მე შენზე ვფიქრობ და რას ვნატრობ, იცი? მაქედან გამოსულს ისე გიყვარდე, როგორც მე მიყვარხარ მანდ ჩაკეტილი. ბედნიერების ფასს მაშინ ვიგებთ, როცა ვკარგავთ და მადლობა ღმერთს, მე მხოლოდ დროებით დაგკარგე, ჩემო სიყვარულო. მალე დამიბრუნდები და უფრო ძლიერად გეყვარები, ვიდრე გიყვარდი, ხომ? მე ამის იმედით ვუძლებ უშენობის ჯოჯოხეთს, მაგრამ ხან მაინც მაგიჟებს ეჭვი, იქნებ დავავიწყდი-მეთქი. მითხარი, რომ განშორებამ შენი გრძნობა ვერ გაცრიცა! მითხარი, გთხოვ! მეც ვეჭვიანობ და მაინც გავბრაზდი შენს დანაბარებზე: არ მომატყუოს, არაფერი დაიმალებაო. გარეთ რომ მყოლოდი, გაგებუტებოდი და აღარ გაკოცებდი, სანამ ძალით არ ჩამიხუტებდი და არ მეტყოდი, როგორც იცი ხოლმე: „შენ ჩემი ხარ, გესმის? მარტო ჩემი, მთლიანად ჩემი!“ და იქამდე მომეფერებოდი, სანამ მეც არ აგყვებოდი. ახლა კი გეტყვი მაგაზე, რომ ყველაფერს ისე ვაკეთებ, შენ რომ მომიწონებ, იკა. გჯეროდეს ჩემი, უსაყვარლესო! ვიცი, როგორ უნდა გავუფრთხილდე შენს სახელს და ღირსებას. გამოხვალ მაქედან და შენც დარწმუნდები, რომ მართლა ვიცი! მანამდე კი გაუძელი, კარგი? მინდა, ღირსეულად გადაიტანო ეს განსაცდელიც. ებრძოლე ყველაფერ ცუდს შენში, იფიქრე, რას ელოდება შენგან უფალი და ისეც მოიქეცი, იკა. სულ გახსოვდეს, რომ საკუთარ თავთან გამარჯვებული კაცი სხვასთან აღარასდროს დამარცხდება. გაგიჟებით მიყვარხარ. ტომირანდა.

• იკა.ხ. საყვარელო, ამდენი ხნის მერე ისევ გნახე... აუჰ, თურმე საშინლად მყვარებიხარ, არა, მართლა საშინლად! წარმოუდგენლად ძლიერად, იკა! ვეღარ ვიტევ ჩემში ამდენ სიყვარულს, მინდა ზედ ალერსად და სითბოდ გადმოგაღვარო! შენი თვალები, თითები, ტუჩები, ღიმილი როგორ მომნატრებია თურმე! არა, იკა, მე უშენოდ ერთი წამითაც არ მინდა სიცოცხლე! დამპირდი, რომ არასოდეს მიმატოვებ, დამპირდი! ძალიან მჭირდები, იკა, ძალიან! მეამაყება, რომ შენი ვარ, უძვირფასესო. მეამაყება, რომ შენ მე გიყვარვარ! მე ამაყი ვარ შენ გამო. უბედნიერეს კაცად გაქცევ, როცა დამიბრუნდები, გპირდები! მადლობას გიხდი ყოველი წუთისთვის, რომელსაც ჩემზე ფიქრში ატარებ. გკოცნი უსასრულოდ. ტომირანდა.

• იკა.ხ. ნეტავ თუ მიხვდი, რა ვიგრძენი დღეს შენს დანახვაზე. ძლივს შევიკავე თავი, რომ ხმამაღლა არ მეყვირა, სიგიჟემდე მიყვარხარ-მეთქი! მომინდა ჩაგხუტებოდი ისე, რომ ვეღარავის წაერთმია შენი თავი, მომინდა თავიდან ფეხებამდე დამეკოცნე, ჩემო სიცოცხლევ! როგორ მიყვარხარ, მიხვდები ოდესმე? გიყვარდე რა შენც, გემუდარები! ტომირანდა.

• მაპატიე, ძმაო, რომ ვერ დაგელაპარაკე. მეგონა, ძლიერი ვიყავი, მაგრამ თურმე ვცდებოდი. იმ დღემდე სიზმარში მეგონა თავი. შენი ხმის გაგონებისას კი მივხვდი, შეუძლებელი უნდა შეძლო და ამ განსაცდელსაც უნდა გაუძლო. ჩვენ, ყველანი, ვისაც როგორც შეგვიძლია, შენ გვერდით ვართ. ჩვენთვის დილა შენით იწყება და ვერ ვიჯერებ, რომ ყველაფერი ცხადში ხდება. როგორც შენ, ისე მეც ძალიან მიჭირს სინამდვილისთვის თვალის გასწორება, მაგრამ რას ვიზამთ? თავს ზევით ძალა არ არის. ეცადე, რწმენაში გაძლიერდე. გწამდეს, უფალი მოწყალეა. სიძემ მოგიკითხა. ბელა.

• თეე, ჩემო თეე, იცი? ძალიან ძნელი ყოფილა უშენობა. მე ყოველ დილას იმედით ვიღვიძებ, ყოველ-

დღე ველოდები სიახლეს, ძალიან მენატრები, ჩემო, ძალიან... რამდენი დრო გავიდა, უკვე რამდენი... ცოტა დარჩა შენამდე... კიდევ ცოტა... მე შენ უკვე გიახლოვდები... ამას ვგრძნობ, ყველაფერი კარგადაა, არაფერმა დაგღალოს, მე შენ ძალიან მჭირდები, გთხოვ, თავს გაუფრთხილდი, შენთან მინდა, შენთან! გიკოცნი თვალებს, სიცოცხლევ ჩემო, შენი ბუტია.

• თეე, ელენეს ახლა ველაპარაკე, კარგადაა... არ ინერვიულო, ჩვენთან ყველაფერი კარგადაა, ცოტა დაგვღალა შენმა მონატრებამ, მაგრამ ღირსეულად ვუძლებთ. აბა, შენ იცი... სასკოლოდ ვემზადებით, 15-ში იწყება სწავლა, როგორ გვენატრები თე, ხომ იცი? მალე ნახავ თემოსო, მპირდებიან, მპირდებიან, მეც მოთმინებით ველოდები ამ დღეს. უკვე ვიცი, რომ მალე გათენდება. სანდრი მაგარი ბიჭია, ძალიან გაზარდა ამ დღეებმა, ენატრები... ძალიან ენატრები. თეე, მიყვარხარ, მიყვარხარ! შენი ბუტია.

• თეე, მე ჩვენი ერთად გატარებული დღეების მოგონებებით ვცხოვრობ ახლა, ეს მოგონება ისეთი ლამაზია, შენ კარგად უნდა მყავდე, ჩემო, მხოლოდ ეს მჭირდება, მხოლოდ ეს მინდა, სხვა დანარჩენი მალე მოგვარდება და ვიქნებით ერთად, ისევ ერთად. ბედნიერი ვარ, შენი რომ მქვია. მიყვარხარ და გელოდები. აბა შენ იცი, შენი ბუტია.

• იკა.ხ. მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ! რაც გადის დრო და ხანი, მე უფრო მეტად მიყვარს შენი ლამაზი ტანი, შენი ლამაზი თმები, ნახატი შუბლის სერი, თვალები თაფლისფერი, ტუჩები ვარდისფერი. შენი თითები მიყვარს, ორი პატარა თათი. ო, იცი როგორ მიყვარს, ოდნავ შეხება მათი? ო, იცი როგორ მიყვარს, გამოუთქმელი ენით, შენი გრძნობების სიღრმე, სულის სიმაღლე შენი. მე დარდიც მიყვარს შენი, შენი ღიმილი მათბობს, მე გულიც მიყვარს შენი, შენი სიცილი მათრობს. შენს მცირეოდენ წყენას, სულ მცირეოდენ წვრილმანს სდევს ჩემი სევდა დიდი, ჩემი ფიქრების წვიმა. მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ! მწვავს შენი ტრფობის ალი! მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ! მთელი გრძნობით და ძალით! მთელი სამყარო ვრცელი შენით არსებობს ჩემთვის, რაზეც კი ვფიქრობ, ყველა ფიქრს შენზე ფიქრი ერთვის. ძილში ჩემთან ხარ სიზმრად, ფიქრით ჩემთან ხარ დღისით. გულის ძგერის ხმა მესმის, შენი ხმა არის ისიც. შენთვის მივწვდები მწვერვალს, დიდების ყველა მნათობს, დიდებას დავთმობ შენთვის, შენთვის მწვერვალებს დავთმობ. შენი ოცნებით ვხარობ, შენს დარდს ვატარებ დარდად, მე სხვა სურვილი არ მაქვს, შენი სურვილის გარდა! მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ! მიყვარხარ ცხადად, მალვით, როგორც აროდეს არვინ არ ჰყვარებია არვის. ეს სიკვდილს უდრის, რადგან ეს შეუძლოა თითქმის! შენ ერთს გეკუთვნის ყველა, რაც სიყვარულად ითქმის! მე ასე მიყვარხარ და ნეტავ შენს გულშიც ჩამახედა. ტომირანდა.

• პაწუ, როგორ ხარ? ჩვენ კარგად ვართ. ნიკუშა ემზადება ბაღში წასასვლელად. ძალიან უხარია. მარიტუნა ლაპარაკობს უკვე და შენს სურათებს კოცნის, — ჩემი მამაო. ენატრები.

• იკა.ხ. ტყისპირს, გათიბულ ღიღილოებში ვწევარ, მთვარე უცნაურ და უცხო ჩრდილებს ლანდავს. ცხელი ჩურჩული: მოხვალ, ძვირფასო ევა? და უფრო ცხელი — უკვე შენთან ვარ, ადამ! ბაგეა სველი და სურვილისგან ბრწყინავს, ეს სარეცელი მინდვრის ბალახით ვკერე, ოღონდ ნუ მეტყვი, რომ არ გიყვარდი წინათ! არც შეხვედრამდე და არც შეხვედრის მერე! მკვდარ გვირილებში გასრიალდება გველი და თივის ზვინზე ჭრელი ლენტივით ცოცავს, შენ არ მიბოძე ეს ნეტარება მწველი? შენ არ მასწავლე ასე მხურვალე კოცნა? თმები ჩაშლილი, როგორც შრიალა ლელი, მსხვილი ბაგე და მკერდი მარმარით თლილი. ღამე — იმ პირველ ცოდვისნაირად ბნელი, ღამე — იმ პირველ ცოდვისნაირად ტკბილი... რა დამავიწყებს მრისხანე ქუხილს: ევა! ზეციურ ბაღებს, იმათ ხიბლსა და ჯადოს... ახლა ქალი ვარ, ახლა „შენ“ უკვე მე ვარ და ამ მშვენიერ სიყვარულისთვის გმადლობ! 11 სექტემბერი. ტომირანდა.

• იკა, დედიკო, გილოცავ ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაულს. უფლის მადლი და მარიამ ღვთისმშობლის კალთა გფარავდეს, შვილო და ჩვენი გულისტკივილი წარსულს ჩაჰბარებოდეს. გაკოცე.

• მამ... ხომ ხარ კარგად, ხომ იცი, ყველას გვიყვარხარ! ნუ ნერვიულობ, რადგან ყველაფერი კარგად იქნება. შენი შოშია.

• ტატო, სიხ, იმედია, წაიკითხავ. ლუკა ბაღში აღარ წავიყვანე. დეკემბრიდან წავიყვან სხვა ბაღში. წერილი მოგწერე ფოსტით. ცოტა ძვირია ფოსტა. შენ სხვა ფოსტით მომწერე. ციც.

• 3.198გი, ნეტავ როგორ ხარ, გი? ძალიან ბევრს ვფიქრობ იმაზე, რა იქნება. იქნებ მალე იყოს მოსალოდნელი სასიკეთოდ, თუნდაც უმნიშვნელო ცვლილება. მენატრები უზომოდ. გკოცნი. თეე.

• თეე, ძამიკო, როგორ ჩაიარა ზაფხულმა უშენოდ... ჩვენ უკვე ჩამოვედით გურიიდან. ელენე კარგადაა. გვაკლიხარ და გვენატრები ძალიან. მთავარია, შენ იყო კარგად. თათა.

• გამარჯობა. მე ანა ვარ, 15 წლის. ძალიან მომწონს თქვენი ჟურნალი. მგზავნელებიდან განსაკუთრებით რუისპირი (GREEN) მომეწონა. საინტერესო ადამიანი მგონია. რუისპირო, თუ სურვილი გაგიჩნდა, მომწერე.

• მადლობა, პარიჟანკა, ავტორის შეხსენებისთვის. რატომ უცნობი? თქვენთვის ნაცნობი ლექსი ყოფილა, მაგრამ შუაში რა ჩაამატა მარიმ, აზრზე არა ვარ.

• შენ გენაცვალე, ახლურჩუნეე ნიჭიერად. რა გედიმაუშკებოდა, მაშინაც პატარა იყავი? აიღებდი რამე საგანს და ჩაამტვრევდი ერთ შუშას, მაგრამ სამყარო შეგეცოდა. თმა არ შეიჭრა, თორემ აღარ გნახავ, იცოდე.

• 15 სექტემბერს დაბადების დღე მაქვს და მსურველებმა მომილოცეთ. BLACK QUEEN! :-) გელიიით!

• უკვე დროა, ფერფლიდან აღვდგე, სფინქსივით. შენ ჩემი ხარ მარტო.

• ერთმანეთი ძალიან გავამწარეთ ორივემ, მაგრამ გული ვერ გივიწყებს. თითოეული შენთვის მოყენებული ტკივილი ჩემს გულსაც სტკიოდა.

• ჩემი მოღალატე ქმარი, რომელმაც თამაშს გადააყოლა მთელი ცხოვრება, დამსახურებულად დაისაჯა. კაცს რომ ბევრჯერ გვერდით დაუდგები და ის მაინც უნამუსოდ მოექცევა ანგელოზივით ცოლ-შვილს, ყველაფრის ღირსია. ახლა ისეთ კაცს ვუყვარვარ, ცივ ნიავს არ გვაკარებს მე და ჩემს შვილს. მალე ცოლადაც გავყვები და ჩემს მოღალატე ქმარს შვილის ნახვასაც არ ვაღირსებ — ჩემი თითოეული წვეთი ცრემლის გამო მივუზღავ. ნიბირუ.

• ნაომ, დიდი მადლობა, სიხარულო, შექებისთვის... მიხარია, რომ ამ ყველაფერს ამჩნევ. გკოცნი და გაიხარე... გამახარა შენმა სიტყვებმა. ლუნა.

• შენ ალბათ ადრეც იყავი ურჩი და ეს სიკერპე ჩემამდე მოგყვა... მე შენს სიყვარულს თუ გადავურჩი, შენი წარბების სიშავე მომკლავს! ამდენი ფიქრით მომძულდა თავი, შენ არ გეტყობა ფიორი განცდაც, შენ თვალები გაქვს ისეთი შავი, რომ ეს საღამოც თეთრია მასთან! ... :) მ.9.ე.7.მ.1.ე.7.

• სალამი, მგზავნელებო! როგორ ხართ, ჩემო კარგებო? ყველას გილოცავთ მარიამობას. გფარავდეთ უფალი და წმინდა მარიამის ძალა, თქვენს ოჯახებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად. პატ. ნუგო30.

• კნინი, თაკო 23, ნინკა18, ლეკო27, აურა, ლუნიტა, როკერა, ეკა, ჩემო კარგებო, მოდი, „მობილი-ზაციაში“ ისეთი ატმოსფერო შევქმნათ, რომ მეგობრული გახდეს, შურის, ბოღმისა და ერთმანეთის ლანძღვის გარეშე. ნიკოლოს ორიენტაციაში რომელ გოგოსაც ეჭვი ეპარება, პირადად ნახოს და გაარკვევს. არ მოგბეზრდათ ეს უაზრო, ბოღმიანი საქციელი? ან ვიღაცა მარის რომ ემუქრება... მარის ფრჩხილის ფასი არ ხარ და პირადად მე მიფრთხილდი. სტაჟიანო მგზავნელებო, ხმა ამოიღეთ, რატომ ხართ ჩუმად? მოგწონთ ასეთი სიტუაცია? მარიკუნა, შენ კიდევ, ასეთი ბინძური მესიჯები, რომლებსაც არარაობები წერენ, საერთოდ არ დაბეჭდო. ბ-ს თავს გაფიცებ. პატ. ნუგო30.

• მგზავნელებო, ლეკო27, ანანო, თაკო23, ნინკა18, მისს ბარბი, ლი23, მსურს თქვენთან მეგობრობა. ატარექსია ხომ „მობილი-ზაციის“ დედოფალია. ატარექსია, ჯიგარი გოგო ხარ და გაფასებ. მის რეალ, ნუ მეკარგები, „მობილი-ზაცია“ სილამაზეს კარგავს შენი და სევდიანი ქალის გარეშე. ნიკოლო, მეგობრობის ხელს გიწვდი, არჩევანი შენზეა. ნუგო30.

• მგზავნელებო, წინა წერილში მე გულახდილად აგიხსენით ყველაფერი, კითხვებიც დაგისვით, რომლებზეც იმედია, პასუხს მივიღებ. ნუთუ „მობილი-ზაციას“ არ კითხულობს გოგო, რომელიც ოცნებობს ლამაზ, სპეტაკ სიყვარულზე და უბედნიერესი ოჯახის შექმნაზე? ახლა, სანამ ვიმყოფები პატიმრობაში, მეგობრები მჭირდება გვერდში დასადგომად; არა — ფინანსურად, არამედ — სულიერად. თქვენი იმედი მქონდა და ზოგიერთმა თავი ამარიდა, ზოგიერთმა რაღაც სისულელეები დამაბრალა. ნუთუ არ დამეხმარებით და აქ ვერ ვიპოვი? ის ერთადერთი და განუმეორებელი იქნება, რომელსაც უბედნიერეს ქალად ვაქცევ. ვისაც ნამდვილად სურს ბედნიერი ოჯახი, ნამდვილად გამომეხმაურება. მგზავნელებო, თქვენი დახმარების იმედი მაქვს. პატ. ნუგო30.

• გამცილებელო, ჩუ, ეგ არავის უთხრა, რა. P.S. აბა, შენ რა უნდა აგიხსნა? საჭმლის მომნელებელი, უინტელექტო არსება ხარ! ნაომი.

• ძუძგი, 997 ძუკნამ მომწერა, მხოლოდ შენ მაკლიხარ. გელოდები. ნაომი.

• სიყვარულო რა ხარო, თვალხუჭუჭა დახვალო. გულის სწორის ძებნაში, დღე და ღამე დახვალო. აქეთ თუ ვერ იპოვი, ოკეანეს გახვალო. თუ შეგხვდება ლამაზი, მოსვენებას კარგავო და თუ სატრფოს იპოვი, აბა სადღა წახვალო, სიყვარული ისე ჩადის გულშია, როგორც ღვინო ჭურშია, სიყვარულსა ვერ იყიდი, ვერც გაყიდი ფულშია. დამიჯერეთ, სიცოცხლე მხოლოდ სიყვარულშია. შალვა ბაციკაძე.

• ვუძღვნი ბატონ შალვა ნათელაშვილს: ჭამა-ყლაპას შენ არ მისდევ, არც შოულობ ქონებასო, იქნებ რამე მოუხერხო, შენი გულის ღონებასო. გეტყობა, სულ არ ვარჯიშობ, ჩვენო ბატონო შალვაო, მიშიკოს როგორ წააქცევ, თუ არ ისწავლე სარმაო; გაფრთხილდი, ჩემო ძამია, არ მოგატყუოს თავმაო, რქებით მიწაზე არ დაგცეს, შენმა მეტოქე ხარმაო. შალვა ბაციკაძე.

• მარი, რა მაინტერესებს, იცი? ორსული რომელია ან რომელი მგზავნელი იყო? კაცუნა უსიამოვნო ნიკია, ჩემი აზრით. რუსთაველი კიდევ რომელი მგზავნელია? მაცმაცუნა.

• დაუჯერებელი ამბავი? დაუჯერებელი არაა, რომ 45 წლის ქალს 6 ტყუპი ეყოლა? — 4 გოგო და 2 ბიჭი. მე ახალი ვარ, კიკი.

• რა მაინტერესებს, იცით? ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა — „ნაომი ვირტუალურ სამყაროში და რეალში“, რომელმა თქვენგანმა მიაწერეთ, გამოტყდით, რაა. ნაომი.

• მარ, თურმე ყველა დანაკარგი და ღალატი წინ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში. უსაყვარლესი ახლობლები, მეგობრები და უძვირფასესი ადამიანი დავკარგე. სულ მარტო ვარ ამ სამყაროში...

• მარი, როგორ ხარ შენი მგზავნელებიანად? პარიჟანკა, შენღა შემორჩი უხუცესი მგზავნელებიდან, გზავნილიორკს. :)) გკითხულობთ, გკოცნით, გეფერებით შორიდან. თქვენი ფინტიკოზა.

• ძაან მაინტერესებს, ახალი მაიკო რა ტიპია? რაღაც არეულ-დარეულია და ჩემი აზრით, რაღაცით ყურადღების მიქცევა უნდა. ბუცა.

• ატარექსია, მადლობა მოკითხვისთვის, უდიდესი და უთბილესი მოკითხვა ჩემგანაც, გაიხარე და წარმატებები, გფარავდეს უფალი... ბუცა.

• ძუძგი, გამეცინა შენს SMS-ზე, ატარექსიას მიმართ. მე მგონი, ატარექსიაზე მეტად შენ გიყვარს ნიკოლო. ნუ ეცდები, უხეშად შემოჭრას „გზაში“... ბუცა.

• მინდა გითხრათ, რომ იმ ადამიანების გარდა, ვინც გლანძღავთ, არსებობენ ადამიანები, ვისაც უყვარხართ და გაფასებენ. ჩვენ მათზე ბევრნი ვართ. პატივისცემით, მარი სამხარაძე.

• ქალბატონო მარი, ძალიან მომწონს რუბრიკა „გზავნილები“ და საერთოდ, ჟურნალი „გზა“. განსაკუთრებით ლუნასა და რუისპირის მესიჯები მომწონს. ჩემდა სამწუხაროდ, თქვენს ჟურნალს ხშირად ვერ ვყიდულობ. ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკით ვსარგებლობ. ყველა ახმეტელს მოკითხვა. გოჩა.

• მივმართავ თამუნა მიქელაძეს, ნაომის, მარიას, გურულოს (ნუ ერთია ყველა, ისედაც ყველამ ვიცით). არ ვიმსახურებ შენგან ამ სიტყვებს, ჯანმრთელები თხოვდებიან და არა — ნაკლიანებიო, რომ მითხარი. და არც სხვა უამრავი სალანძღავი სიტყვა დამიმსახურებია. შენი მუცლის მოშლა და ქმართან გაყრა (თუ რა თქმა უნდა, ეს მოხდა) შენზე უფრო მე მივიტანე გულთან და გარიგებდი, ოჯახს ნუ დაანგრევ-მეთქი (თუ საერთოდ იყავი გათხოვილი). მეგობარი მაშინ გინდა, თუ ყველაფერში გეთანხმება. ყველა მგზავნელმა იცის, ვინ ხარ. ვიცი, ახლა ამ მესიჯს რომ წაიკითხავ, დაწერ: გირჩევნია, შენს მშიერ კუჭს, სიღატაკეს, არასრულფასოვან ოჯახის წევრებსა და შენს უბედურ თავს მიხედოო. მე კი შენნაირად ყოფნას ჩემი ცხოვრება მირჩევნია. ასე რომ, ტყუილების ქსელი ისე ხლართეთ შენ და შენმა მესაიდუმლემ, რომ თავად არ გაიხლართოთ. P.S. წერე და იკითხე, მე შენთვის პასუხის დაბრუნებას არ ვაპირებ. გრუზინკა.

• ნაომი ყველაზე ნიჭიერი და გულბოროტი მგზავნელია, რომელმაც შებრალება რა არის, არ იცის. ყოველთვის იმას ცდილობს, სხვას გული ატკინოს, მიუთითოს ყველაზე მტკივნეულ ადგილზე, ნაკლზე, მაგრამ ის კი არ იცის, რომ მთავარია, გულით იყოს სუფთა. მერე რა, რომ მასავით ლამაზი არ ვარ? თავად იყოს მეორე თიკა ფაცაცია. მე ჩემი სიკეთით ვიამაყებ, მას კი რა აქვს საამაყო? ტყუილები? ახალი ნიკით გამომცხვარი ბიანკა. უფალს ვთხოვ, ჭკუა მოგემატოს და გაიზარდო. ადამიანი ხომ იმით განსხვავდება ცხოველისგან, რომ აზროვნებს. გრუზინკა.

• მემეს: რადგან ჩემი მესიჯი შენამდე ვეღარ მოდის, იძულებული ვარ, „გზით“ გიპასუხო. შენთან ურთიერთობა აღარ მსურს და მესიჯისთვის ფულს ნუღარ დახარჯავ. რატომ? იმიტომ, რომ ვხვდები, როგორც იტანჯები ამ ნაყალბევი მე-

გობრობის ვალდებულებით და მინდა, გაგათავისუფლო. ვერაფერს მიხვდი? მაშინ დეტალებს გაგახსენებ: როცა კახას ამანათით გახარებულმა მოგწერე, რამდენიმე დღის განმავლობაში პასუხიც არ მაღირსე. მერე კი თავი იმართლე, ცუდ ხასიათზე ვიყავი და შენი სიხარული იმიტომ ვერ გავიზიარეო. სააღდგომოდ გამოგზავნილი საჩუქრის შესახებაც რომ შეგატყობინე, მაშინაც 2 დღე ველოდი შენს პასუხს, მერე კი ისეთი სისულელე მომწერე, საერთოდ დამეკარგა შენთან მიმოწერის სურვილი. დის გარდაცვალებით დამწუხრებულს, 1 თვე დამეკარგე, რადგან თურმე არ გქონდა სანუგეშო სიტყვები. ჰოდა, თუ ვერც ჩემს სიხარულს იზიარებ, ვერც ტკივილს და არც ჩემი საჩუქარი განიჭებს სიხარულს, ასეთ ურთიერთობას მეგობრობას ვერ ვუწოდებ. როგორც ჩანს, ჩემთან კონტაქტი მხოლოდ კახას საამებლად გჭირდებოდა, ემიგრანტებისადმი გამოხატული შენი გულშემატკივრობა კი „გზაში“ იმიჯის შესაქმნელად გათამაშებული ფარსი იყო და სხვა არაფერი. ბედნიერად იყავი. ემი.

• მუხლები ნიკაპთან მიმაქვს და მთელი არსებით ვეხუტები ჩემს თავს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ნაწილ-ნაწილ ვიშლები. როცა თვალებს ვხუჭავ, ჩემს გულს ვხედავ. ვხედავ, ვითომ ფეხები გამოუვიდა და მიდის. ვეძახი და არ მაგონებს, მარტო მიყურებს და გზას განაგრძობს. შეშინებული თვალებს ვახელ და... კბილებს ვხედავ... ისტერიკულად, ჯოჯოხეთის მოციქულებივით იცინიან. ისინიც ცალკე არიან და სამეული იკვრება: მე, კბილები და გული. სამივე ცალ-ცალკე და სამივე ერთად — ერთისთვის. ჩემთვის. შიში მიძლიერდება და ისე ვეხუტები ჩემს ფეხებს, ტკივილს ვგრძნობ. ისე ძალიან ვუჭერ ჩემს სხეულს ხელებს, ძვლების ტკაცატკუცი მესმის. ძლიერად ვახამხამებ თვალებს და ველარ ვახელ... თითქოს რბოლა მოაწყვესო, თითქოს მსოფლიოს საუკეთესო მრბოლელის ავტოები არიანო... ისე სწრაფად გარბიან, აი, ისე სწრაფად, სანამ სინანულს მოვასწრებ, უკვე აღარ არიან. მერე ხელები, თმა, ცხვირი. ისეთი დაბნეულები, სწრაფები და საცოდავები არიან... აი, ძაან რა. მიდიან და მგონი აზრზეც არ არიან, სად. მომიტინგეებს ჰგვანან. ჰოო, მომიტინგეებს, რომელთაც არ იციან რა უნდათ, თან ზუსტად იციან, რა უნდათ და რომელთაც არბევენ. იმ მომიტინგეებს ჰგვანან, ცრემლსადენი გაზის რომ ეშინიათ და ცრემლების თავიდან აცილების მიზნით, მზად არიან გაიქცნენ იქ, სადაც მათ არავინ ელის. ოო, ეს თვითგადარჩენის ინსტინქტი. თითქოს გაჩერდნენო. თითქოს რა — გაჩერდნენ. ფეხებს ტანი, თავი, თმა, კბილი, მეორე კბილი, თვალები... ქვემოდან ზემოთ. ავეწყვე. ავეწყვე და მეორე გავხდი. ორი ვარ. ორი, ორი გიო. მე მგავს ის თუ ის მგავს მე, არ ვიცი. თითქოს ის უფრო რაღაცნაირია.. უფრო... უფრო ისეთი-ლაღი... ანუ, ის მგავს მე. მეგონა აღარ ვიყავი და თურმე ბევრიც კი ვარ.

• დამცინა, — შენაო გაცივდიო... მე შენში ვიზრდებოდიო და ვერ შემიფერეო; წავალო, და წავიდა. აღარ დავაბრუნე და აღარაფერი ვუთხარი. კიდევ მოვასწარი მეორე მეში რაღაცების დანახვა, მაგრამ უნდა წავიდე ახლა, მუხლებს ხელები მოვხვიო, თორემ ისეთი შეგრძნება მაქვს... ვიშლები... რუისპირი (GREEN).

• სანამ გათენდება, მანამდე მინდა დავამშვიდო აფორიაქებული სული, რომ მზიან დღეს, ისევ ისეთი ლაღი და თვალუწვდომელი შევხვდე... არადა, ზამთრის უაზრო სუსხი, დამღლელი სიცივე და უფერული გარემო, სულის სიმშვიდეს არღვევს. ჩემი სტიქია ხომ მზეა... არაა, მზის სტიქია მე ვარ... ეს ასე თავმაღლურად, თუმცა ძალიან თავდაბალი ვარ. მაგრამ როცა საქმე მზეს შეეხება, იქ მე უბრალოდ მე არ ვარ... მის ბრწყინვალებაში ჩაფლული, ერთი მეოცნებე ბიჭი ვარ, რომელიც ბედნიერი, მუდამ გაღიმებული და იმედით სავსე დაიარება მზიან ქუჩებში... რუისპირი (GREEN).

• საქართველოს მთებს და ველებს, საქართველოს ქალაქებს მალე დაანაწევრებენ, სხვები აატალახეს. საქართველოს მთებს და ველებს, უმოწყალოდ ყიდიან, ჯიბეგასქელებულები, საზღვარგარეთ მიდიან. საქართველოს მთებს და ველებს, მტრებს უგდებენ საჯიჯგნად, მალე ჩვენი არ ერქმევა, თბილისსა და ასპინძას.

• დედაენას გვიჩაგრავენ, გვაძალებენ ინგლისურს, უცხოეთში ასაღებენ, პროდუქციას თბილისურს. ისტორია ვერ წაგვართვეს, მაგრამ ძალად ცდილობენ, მოგვიშალონ ტრადიცია, რაღაცას ცოდვილობენ. რელიგიას, ჩვენთვის ძვირფასს, ქრისტიანულ სიწმინდეს, უარყოფენ სატანურად, მაგრამ ვერ მოიცილეს. კვლავ ცდილობენ, მომავალი, უსწავლელად გავლიოთ, სხვის მონებად გადავიქცეთ, სხვა ჭიქიდან დავლიოთ. აშინებენ ქართველ მშობლებს, აშინებენ შვილებით, თუკი ხმას ამოიღებთო, განწირულნი იქნებით. მაგრამ ნუ შეგეშინდებათ, ყველა დავდგეთ გვერდიგვერდ, ქართველს მონად ვერ გაიხდით, სატანებო, შეიგნეთ. არ დავუშვებთ საქართველოს, მტრის ხელებში ჩაგდებას, ჩვენი ერის, რელიგიის, ერის მასსრად აგდებას!

• მარი, ძალიან გთხოვ, უმორჩილესად გთხოვ, დამიბეჭდე, ქართველობას გაფიცებ. დიდი მადლობა წინასწარ. პატრიოტი.

• მგზავნელებო, მინდა გაგამხიარულოთ, იქნებ როგორმე გავანელო თქვენი ქიშპობა. არ მომწონს ზოგიერთის ქცევა, ერთურთის დამცირებაში რომ იხატება. განსაკუთრებით თავს რუისპირს ესხმით, ამ მართლა ნიჭიერ, საოცარ ჭაბუკს, რომელიც შესანიშნავი, მდიდარი სულიერი სამყაროს მფლობელია. ჯერ ბავშვია — რა არის 18 წელი, არაფერი; ჯერ მაჭარია. აი, რომ დაღვინდება, მაშინ ნახავთ მის შემოქმედებას. მომწონს მისი პოზიცია, ორი ყურის შესახებ. თქვენ კი გირჩევთ, ნუ იქნებით შურიანები, შური ადამიანის ყველაზე დიდი ნაკლია, შურის გამო დავკარგეთ ბრწყინვალე მგზავნელი ბერბიჭა. ახალგაზრდებო, იყავით სულგრძელნი, სიცოცხლე ზეიმია და დატკბით ცხოვრებით. გიხაროდეთ თქვენი თანატოლების წარმატებები. შეეცადეთ, რომ სხვისი სიხარულით თქვენც იხაროთ. შემთხვევა რესტორანში: რესტორან ტყეში მიმტანად მოეწყო ერთი კალია, მარიფათობდა, დახტოდა, როგორც რომ ვერცხლისწყალია, და მომხმარებელს დღედაღამ ტყავსაც აძრობდა ძალიან. ერთხელ კლიენტმა კალიას — რა გერგებაო? — ანიშნა. მიმტანმაც გაჰკრა ჩოტკი და სამმაგად უანგარიშა. მაშინ წამოხტა ხოჭო და დაუცაცხანა კალიას. — რაში გერგება ამდენი? თეფშზე სულ ორი ძვალია, ეს ქათმის წვენი კი არა, მისი ნაფუფქი წყალია!.. — რაში მერგება?! — მიმტანი კლიენტს ცხვირწინ დაუდგა, — იმ ჩვენს დირექტორს, მელიას, მითხარი, ჭამა არ უნდა? ამის გამგონე კლიენტმა, დირექტორისკენ გასწია, რაც თავს გადახდა, უამბო... მელიამ თავი ასწია და კლიენტს უთხრა: — რას ყვირი, ეტყობა მაგრად დათვერი, მე თუ მაგას ვთხოვ, ბიძია, დათვი მყავს ტრესტის მმართველი, მანეთზე ჩხუბობ ვაუკაცი, ტფუუუ, შენ არ ყოფილხარ ქართველი! ნანი დუმბაძე.

• აქ, დედამიწაზე ადამიანისთვის შესაძლებელი სრულყოფილება მხოლოდ სრულყოფილებისაკენ განუწყვეტელ და გამუდმებულ მისწრაფებაში მდგომარეობს. დიდი სახე, დიდი იდეალი მოგვცა ღმერთმა; დიდი

ასპარეზი ანუ სარბიელი ცხოვრებისა დაგვინიშნა: იყვენით თქვენ სრული, იტყვის უფალი, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრულ არს. აჰა, რა სისრულე, რა სიწმინდე უნდა ვეძიოთ ქრისტიანეთა. იყვენით თქვენ წმინდა, რამეთუ მე წმინდა ვარ. იტყვის წინასწარმეტყველის პირით ღმერთი. ვის შეუძლია, ათასი წელიც რომ იცხოვროს ქვეყანაზე, აღსვლა ამისთანა ხარისხსა ზედა სათნოებისასა. გარნა მისწრაფება, მეცადინეობა მაინც არ უნდა დავაკლოთ; ყოველთვის უნდა ვზრუნვიდეთ სათნოებისათვის, სულიერი წარმატებისათვის. ყოველთვის უნდა გვქონდეს თვალთა წინაშე ის სახე, ის მიზანი, რომელიც გვაჩვენა საღმრთომან სჯულმან ჩვენმან და ვნატრობდეთ მას. ადამიანს ბუნებით თან დაჰყვება მისწრაფება — თავის თავში აღმოაჩინოს და სრულყოს სულიერი ძალები, გაუთანაბრდეს სხვას, მოიპოვოს კარგი სახელი, პატივი, ქება, კეთილგანწყობილება. ეს მისწრაფება სასარგებლოა მაშინ, როდესაც უბიძგებს ადამიანს გონებრივი და ზნეობრივი სრულყოფისაკენ. როდესაც ეს სურვილი მოიპოვება პატიოსანი გზით, მოიხმარება მართებულად, მაშინ კეთილი სახელიც სასარგებლოა საკუთრივ ჩვენი და ჩვენი ახლობლების სრულყოფისა და ბედნიერებისათვის. მაგრამ პირველქმნილი ცოდვით შერყვნილი ჩვენი ბუნება და თავმოყვარეობა ბოროტად იყენებს ამ მისწრაფებას და საკუთარი პიროვნების გადამეტებული სიყვარულისა და პატივისცემის გამო იბადება სიამაყე, რომელიც სხვადასხვა სახით გამოვლინდება. ლაკვასტი.

• ფერდობზე ანგელოზები თავიანთ შალის კაბებს აფრიალებენ — ფოლადოვან და ზურმუხტოვან ბალახში. იგრაგნებიან ცეცხლის მდელოები — გორაკის თავამდე. მარცხნივ შავმიწა თხემი უკლებლივ ყველა მკვლელობასა და ყველა ბრძოლას გადაუთელავს და ყოველგვარი დამღუპველი გნასი აქედან მის მრუდზე გორდება. მარჯვენა თხემს მიღმა კი აღმოსავლეთისა და პროგრესის საზღვარი გადის. და ეს მაშინ, როცა სურათის ზედა ზოლი ზღვის ნიჟარათა და ადამიანთა ღამეების მბრუნავი და მროკავი გუგუნია. ვარსკვლავთა და ზეცათა და ყოველივე დანარჩენის ნაზი ყვავილობა ფერდობიდან ზედ ჩვენ წინ ეშვება, კალათასავით, და ქვემოთ ცისფრად მოყვავილე უფსკრულად იქცევა. ლაკვასტი.

• უპირველესად მივესალმები ჩემს საყვარელ, ნიჭიერ და უაღრესად კეთილშობილ ადამიანს, მარი ჯაფარიძეს. დიდი გამძლეობა მოგცეთ უფალმა. ძალიან კარგ საქმეს აკეთებთ, ჟურნალის კითხვას „გზავნილებით“ ვიწყებ. მე წლებია, საქართველოში არ ვიმყოფები და მგონია, ჟურნალი „გზა“ რომ არ არსებობდეს, ვერ გავჩერდებოდი უცხო მიწაზე. ძნელია ქვეყნის დატოვება და გადახვწა, მინიმუმი საზრდოსათვის. ჩემს თავზე წუწუნით აღარ შეგაწყენთ თავს და ჩემი აქ მოწერის მიზეზს გეტყვით ორიოდე სიტყვით: ზემოთ აღვნიშნე, რომ ჟურნალი „გზით“ ვსაზრდოობ და ვძლებ (ამას თუ გაძლებას დავარქმევთ). ყოველ ხუთშაბათს მგონია, ჩემს თბილ ოჯახში მივდივარ, როდესაც ჩემი ლაკვასტის, ლუნას, სევდიანი ქალის, რუისპირის, პატივსაცემი ქალბატონის — ნანი დუმბაძის, ფლამინგოს, კლეოპატრას და კიდევ და კიდევ ბევრი ღირსეული მგზავნელის ნაწერებს რომ ვკითხულობ. გული მიმძიმდება, როდესაც ლაკვასტის გზავნილს ვერ ვნახულობ, ათჯერ გადავათვალიერებ ხოლმე, მგონია გამომრჩა, მე სულიერად ვივსები ამ ადამიანის წერილებით, ამ ბოლო დროს ხშირად აღარ ჩანს და მინდა მივმართო: ლაკვასტ, წერე ჩვენთვის, გაჭირვებული ხალხისთვის, წერე... ლუნას გზავნილები მახალისებს და კარგ განწყობილებაზე მაყენებს. ასე განაგრძე, ფერიავ. სევდიანი ქალის ლექსები და ჩანახატები რომანტიკულ განწყობილებას ბადებს და დიდ სიამოვნებას ვიღებ ამ ლექსებით და ჩანახატით. რუისპირიც დაიკარგა, ძალიან მომენატრა მისი საინტერესო და სავსე გზავნილები. ქალბატონი ნანის თბილი მესიჯები მეამაყება, მიხარია და ვგრძნობ ამ ადამიანის სათნო სულს და კიდევ, ყველა კეთილი და თბილი, უბოროტო მგზავნელი მეამაყება. ძალიან განვიცდი, როდესაც ერთმანეთში შუღლი და გაუტანლობა აქვთ მგზავნელებს, ძალიან ვცხარდები (გურულად), როდესაც ავიწროებენ კარგ მგზავნელებს. ახლებს უნდათ მოსვლა? მოვიდნენ, არაფრით მეგონა, თუ ლაკვასტსა და სევდიან ქალზე, ლუნასა და რუისპირზე იტყოდნენ, წავიდესო... ჩემი მოკრძალებული აზრით, ჩემო ძვირფასო მარი, არ უნდა დაუშვათ, რომ ასეთმა მაგზავნელებმა დატოვონ ჟურნალი, ბევრს უყვარს ეს ადამიანები და უფრო მეტიც, ამ ადამიანების გამო ვიძენთ ჟურნალს. თქვენ კი, ჩემო ტკბილებო, არამც და არამც არ აჰყვეთ პროვოკაციას და თქვენი საქმე აკეთეთ, ზოგის გულის გასახარად და ზოგის გულის გასახეთქად. :) „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“. გეხვევით, გკოცნით და გიხუტებთ, სამშობლოსა და ქართველების სიყვარულით სავსე გულში. თქვენი ქართველი.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასი: 50 თეთრი.

გილოცავ!

• მინდა, საყვარელ ბიცოლას მივულოცო დაბადების დღე — 10 სექტემბერი. მიყვარხარ, გკოცნი, ანანო.

• რუსთავში, ანრი ჭიპაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს — 14 სექტემბერს 27 წლის შესრულებას. ჯამრთელობას და უფლის წყალობას გისურვებთ. ჯიმა. ვოვა, მიშო და თამარ ხიჯაკაძე.

• საყვარელო მაიკო, გილოცავ დაბადების დღეს, 14 სექტემბერს. დაესწარი მრავალს. შენი ანანო და მარი.

• ჩემს ბიძაშვილ მაკას ვულოცავ შვილის — გიგი რუხაძის დაბადების დღეს, 15 სექტემბერს. ვუსურვებ კარგ სწავლას, ჯანმრთელობას და უფლის წყალობას. ვოვა ხიჯაკაძე.

• ათენიდან დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს თაფლს, ნუგზარ ხინჩაგაშვილს. ღმერთმა ჯანმრთელი და ბედნიერი გამყოფოს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. გვენატრები. ქეთი, ლია, ნანა, ეკა, სედა და რეზო. მალე ჩამოდი.

• ნატალი დევიძეს ვულოცავ დაბადების დღეს — 12 სექტემბერს. ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ, საყვარელ და მონატრებულ ოჯახთან ერთად. დიდი სიყვარულით, ნანა წიქორიძე.

ტაიმ-აუტი

ძვირად ღირებული კოქტეილები

„ტრიუფელ მარტინის“ დაგემოვნებას მხოლოდ ლონდონის სასტუმროს — Rocco Forte-ს Browns Hotel ბარში შეძლებთ. სასმელი 100 დოლარი ღირს. რეცეპტი მარტივია: მარტინი, შოკოლადის ლიქიორი და გახეხილი ტრიუფელი.

agie Noir-საც ლონდონში დააგემოვნებთ. მას მხოლოდ ლონდონის კლუბ Umbaba-ში ამზადებენ. სასმელი ადგილობრივმა ბარმენმა ჯაილ ანდრემ ერთ-ერთი მილიონერის შეკვეთით დაამზადა. სასმისში მაყვლის კრემ-ლიქიორს, „ჰენესის“ კონიაკსა და „პერინიონის“ შამპანურს ურევენ. კოქტეილს ბროლის ბოკალში ასხამენ. მას 24-კარატიანი თეთრი ოქროს საწრუპი ჩხირი მოჰყვება. სამშვენისი ბრიტანელმა იუველირმა ტომ ბინსმა დაამზადა. კოქტეილი 550 დოლარი ღირს.

4.350 დოლარად დააგემოვნებთ ბრილიანტის კოქტეილს, რომელსაც ლონდონის „პანო ბარის“ ბარმენი მოგიმზადებთ. კოქტეილი „მარტინით“ (ერთი ბოთლი 2.000 დოლარი ღირს), შამპანურით, შაქრითა და ბრილიანტით მზადდება. კოქტეილის ფასს ბრილიანტის ზომა განსაზღვრავს. რამდენიმე წლის წინ კოქტეილი ცხრა ათას დოლარად გაიყიდა. „ბრილიანტის მარტინის“ ნიუ-იორკის ბარშიც მოგიმზადებენ. ჩაცივებულ მარტინიში ბრილიანტის თვალი გდია. სიურპრიზიან სასმელს შეყვარებული მამაკაცები საყვარელი მანდილოსნებისთვის უკვეთენ, მაგრამ ბარმენის ვალია კლიენტი წინასწარ გააფრთხილოს, რადგან გაუფრთხილებელი კლიენტები ბრილიანტის თვალს უბრალოდ... ყლაპავენ. სიურპრიზიანი სასმელი 10.000 დოლარი ღირს.

High Roller Martini-ს ლას-ვეგასის ერთ-ერთ რესტორანში დააგემოვნებთ. კოქტეილს ცირკონებით დამშვენებული ბეჭედი მოჰყვება. სასმელი ათასი დოლარი ღირს და თანხის ნაწილი ქველმოქმედებას ხმარდება.

ბარ „ჰემინგუეში“ (პარიზის სასტუმრო „რიტცი“) საფირმო კოქტეილი 515 დოლარი ღირს. ლიმონის წვენისა და კუანტროს ლიქიორის გარდა სასმელში უიშვიათეს კონიაკს — 1830 Ritz Reserve ურევენ, რომელიც სულ რამდენიმე ბოთლი დარჩა.

აშშ-ში, ყოველწლიურ დერბიზე ბარმენები Kentucky Derby's Special Mint Julep-ის ამზადებენ. ერთი შეხედვით, სასმელი მარტივი ინგრედიენტებისგან მზადდება, მაგრამ განსხვავება მაინც არსებობს. სპეციალურად დერბისთვის პიტნა ირლანდიიდან ჩამოაქვთ, შაქარი — ავსტრალიიდან, ყინული — ბავარიის ალპებიდან და ამ ყველაფერს საკოლექციო ვისკის უმატებენ. კოქტეილი მოოქრულ ჭიქაში, ვერცხლის ჩხირით, ათას დოლარად იყიდება.

იამაიკური რომით მზადდება კოქტეილი Mai Taim, რომელიც 1.400 დოლარი ღირს. იგი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს Merchant Hotel ბარში მზადდება და ბარმენის თქმით, მხოლოდ 6 ბოთლია დარჩენილი.

ნიუ-იორკის ერთ-ერთ ბარში Platinum Passion-ს მოგართმევენ, რომელიც 1.500 დოლარი ღირს. კოქტეილს ფრანგული შამპანურის, საკოლექციო კონიაკის, ხილის წვენის, შაქრისა და ყინულისგან ამზადებენ. კოქტეილის ჭიქებს ორქიდეით აფორმებენ.

საფირონის მარტინი 3 ათასი დოლარი ღირს. მას კონექტიკუტის კაზინოში ამზადებენ. ჭიქის ზედაპირი ცისფერი შაქრითაა დაფარული. ზეთისხილის ნაცვლად ჭიქაში ვერცხლის ქინძისთავია მოთავსებული, რომელზეც საფირონისთვლიანი საყურეებია დამაგრებული.

დაბოლოს, რამდენად ეფექტური გამოვა კოქტეილი, ბარმენზეა დამოკიდებული. სასურველია, ბარმენმა კოქტეილის მომზადება გარკვეულ სანახაობად აქციოს, რასაც პლეირინგი (ეს პროფესია 150 წლის წინ ამერიკელმა ჯერი ტომასმა, მეტსახელად — „პროფესორი“ მოიგონა) ეწოდება. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კოქტეილი ოსტატურად, მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად მომზადდეს. პლეირინგი ფილმ „კოქტეილის“ გამოსვლის შემდეგ გახდა პოპულარული. ამ ფილმის მთავარი როლის შემსრულებელ ტომ კრუზს პლეირინგის დიდოსტატი — ჯონ ბენდი ავარჯიშებდა.

■

„გამომცემლობა პალიტრა L"-ის ახალი წიგნები

სიახლე!

ენტონი ბერჯესი
მექანიკური ფორთოხალი

ფასი: 6.99

გვ. რაოდ.: 216 გვ
ფორმატი: 12X16.5
ყდა: რბილი

ამ წიგნში მოთხრობილია ამბავი ერთი მელოდიანი სადისტისა, რომელიც ძალადობის ინსტინქტის ჩასახშობად გამიზნული, არანაკლებ სადისტური მეცნიერული ექსპერიმენტის მსხვერპლი შეიქნა.

სახლი რუსთაველზე

სიახლე!

ფასი: 13.99

გვ. რაოდ.: 49 გვ.
ფორმატი: 19.5X25.5
ყდა: მაგარი

„რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, ჩემს რუსთაველს ეხება, ჩემი მოგონებების გაელვებაა რუსთაველის გამზირზე" — ამბობს გოგი ხარაბაძე და ამ ავტობიოგრაფიულ წიგნში შთამბეჭდავად მოგვითხრობს სხვადასხვა საინტერესო ამბავს, რომელიც უკავშირდება რუსთაველის გამზირს — იმ „ქუჩა-სცენას", სადაც მის თვალწინ გათამაშდა ცხოვრება.

ზვიგენი, რომელსაც სიღრმის ეშინოდა

ჟირაფი, რომელსაც სიმაღლის ეშინოდა

სიახლე!

ფასი: 11.99

გვ. რაოდ.: 16 გვ.
ფორმატი: 24.5X25
ყდა: ბალიშა

ამ სიურპრიზებით სავსე, მოძრავი ნახატებით გაწყობილი წიგნების საშუალებით თქვენი პატარები გაიგებენ, თუ როგორ სძლია პატარა ჟირაფმა სიმაღლის, ხოლო პატარა ზვიგენმა სიღრმის შიშს და როგორ დაეხმარნენ მათ ამ შიშის დაძლევაში მეგობრები.

ენგურუ ბასტერი

სპლიყვი ლიზი

სიახლე!

ფასი: 14.99

გვ. რაოდ.: 27 გვ.
ფორმატი: 21.7X21.2
ყდა: მაგარი

ამ უხვად ილუსტრირებულ წიგნებში, თქვენი პატარები წაიკითხავენ სპლიყვი ლიზისა და ენგურუ ბასტერის სახალისო თავგადასავლებს.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge

ანეკდოტები

***

ფეხბურთელი ცოლს ეტრაბახებბა:

— დღევანდელ მატჩში 2 გოლი გავიტანე!

— მართლა? რა მაგარია... რა ანგარიშით დამთავრდა თამაში?

— 1:1.

***

იმერული სიტუაცია:

— მასპინძელო! — მოისმა ჭიშკრიდან.

— აუჰ, სტუმარია ვინცხა. სადაა, ქალო, ჩვენი ქათამი, დეიჭირე დროზე.

— რა ქათამი, ხო დოუკალით ის შემოდგომაზე სტუმრებს.

— კაი, მოიფიქრე რამე!..

გავიდა ჭიშკართან. იქ ცხენიანი კაცი დახვდა, რაღაც დაებარებინათ და გადასცა დანაბარები.

— აჰ, კაი ამბავი მომიტანეთ, ჩემო ბატონო, თქვენს პირს შაქარი, შემობრძანდით სახლში, — შეიპატიჟა მასპინძელმა.

— არა, ბატონო, დიდი მადლობა.

— რას ბრძანებთ, ჩემო ბატონო, როგორ გაგიშვათ ახლა.

— დიდი მადლობა, ბატონო, მარა ძალიან საჩქარო საქმეები მაქვს და წავალ ახლა მე.

— არა, სად წახვალთ, ჩემო ბატონო, შემობრძანდით, წევიხემსოთ პატარა.

— არა, ბატონო, დიდი მადლობა. ახლახან გეახელით, კაი სუფრიდან მოვდივარ, თან, მეჩქარება და წავალ ჯობია.

— როგორ გეკადრებათ, ჩემო ბატონო, მობრძანდით, სადილობას ვაპირებდით სწორედ და სუფრა გაშლილი მაქვს უკვე.

— დიდ მადლობას მოგახსენებ, ბატონო, მარა იმფერი ხალხი მელოდება, რომ ვერ გავჩერდები ნამდვილად.

— აჰ, თქვენც არ მომიკვდეთ, ჩემო ბატონო, უპატივცემულოდ მე არ გაგიშვათ ახლა თქვენ. ჩემი სახლიდან არავინ წასულა უპატივცემულოდ და ნუ მომჭრით ახლა თავს, შემობრძანდით, თვარა ძალიან მეწყინება.

— კარგი, ბატონო, რახან მასეა, გავჩერდები ცოტა ხანს, — თქვა სტუმარმა და ცხენიდან ჩამოვიდა, — ცხენი სად მივაბა, ბატონო?

— ცხენი?.. სად მიაბა და... აგერ მომაბი ენის წვერზე!..

***

სოფლის მჭედელი ეუბნება მოწაფეს:

— ახლა ცეცხლიდან გავარვარებულ ნალს ამოვიღებ და თავს როგორც კი დაგიქნევ, მაშინვე ურო გამოაქანე.

...ასე უეცრად გახდა ახალბედა მოწაფე სოფლის მჭედელი.

***

98 წლის ბაბუას შვილიშვილი კონიაკის ბოთლს უდებს კუბოში.

— რას შვრები, ბიჭო?!. — ხელში ეცა დედამისი.

— კარგი რა, დედა, გავატანოთ!.. საწყალს უყვარდა კონიაკი!..

— გაგიჟდი?!. მაგი რომ დალევს, მერე ბოდიალი იცის და გულები არ დაგვიხეთქოს შუაღამეზე!..

***

სვანმა მოხარშული კვერცხი გაფცქვნა, ერთხანს სვანურ მარილში აგორავა და ნეტარებით წამოიძახა:

— რაფაელო!..

გონების სავარჯიშო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების" სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. მერილინ მონრო პირად ცხოვრებაში ძალზე უბედური ადამიანი იყო. რას ასახელებენ ამის უმთავრეს მიზეზად?

2. წმინდა ეკატერინეს ორდენი რუსეთში 1714 წელს შემოიღეს. რით იყო იგი განსაკუთრებული?

3. ჯონათან სვიფტი 78 წლის ასაკში გარდაიცვალა. ვის უანდერძა ინგლისელმა მწერალმა მთელი თავისი ქონება?

4. რა არის „მახა"?

5. დაასახელეთ ინგლისის დედოფალი, რომელიც 9 შვილის დედა გახლდათ. იგი 64 წლის განმავლობაში განაგებდა ქვეყანას. ეს ყველაზე ხანგრძლივი და წარმატებული მმართველობის ეპოქა იყო ბრიტანეთის ისტორიაში.

6. ჯეკსონის კუნძულზე გაქცეული ტომ სოიერი, ჯო ჰარპერი და ჰეკლბერი ფინი დილაობით ერბოკვერცხით საუზმობდნენ. რისგან იყო მომზადებული ეს ერბოკვერცხი?

7. დაასახელეთ რუსი მსახიობი, რომელმაც „ფაშისტების ტყვეობიდან გამოქცეულმა" გაჭირვებით მიაღწია უკრაინის ერთ-ერთ სოფლამდე, სადაც იგი ერთმა მოხუცმა ქალმა შეიფარა, უმკურნალა და ფეხზე დააყენა. მომავალი მსახიობი მაშინ 37 კილოგრამს იწონიდა.

8. რა სამხედრო ჩინი ჰქონდა იური გაგარინს, როცა დაიღუპა?

9. ფსიქოლოგები კოშმარული სიზმრების სამ ძირითად კატეგორიას ასახელებენ. პირველი, როდესაც ძილში ვიღაც მოგდევს და ვერ გაურბიხარ; მეორე — ვარდნა დიდი სიმაღლიდან; დაასახელეთ მესამე.

10. საიდან გაჩნდა მეტსახელი „სტოლიპინის ჰალსტუხი"?

***

ჯორდანო ბრუნო „პიაცა ნოვას“ მოედანზე გამოვიდა და გაიძახის:

— დედამიწა მრგვალია და ბრუნავს! — კაციშვილმა ყურადღება არ მიაქცია.

— დედამიწა მრგვალია და ბრუნავს! — თავისას არ იშლის მეცნიერი.

არავინ არაფერს ეუბნება.

— დედამიწა მრგვალია და ბრუნავს! — ფარ-ხმალს არ ყრის მამაცი სწავლული.

არავითარი რეაქცია. ბრუნო სასოწარკვეთილებაში ვარდება:

— სიგარეტზე მაინც მომიკიდეთ, თქვენი დედა რო ვატირე!..

***

— მაშ, თქვენ მე ტარაკანა მიწოდეთ, არა?!.

— დიახ!

— მე თქვენ დუელში გიწვევთ! აირჩიეთ იარაღი!

— დუსტი!

***

სვანი პოლიციელის ოჯახში ტყუპი დაიბადა.

— როგორ უნდა განასხვაო? — ეკითხებიან კოლეგები.

— თითის ანაბეჭდებით!..

***

— მართალია, ჩემზე გითქვამს ვირიაო?

— მართალი კია, მაგრამ მე არ მითქვამს.

***

მიხო სახლში მივიდა. ხედავს, მაროს ვიღაც აუპატიურებს. კედლიდან ორლულიანი თოფი ჩამოხსნა და შესძახა: მარო, ერთი შენებურად ამაჰკა, ჰაერში უნდა მოვკლა ეგ შობელძაღლი!..

***

მგელი, ღომი და ღორი ღაპარაკობენ.

მგელი:

— მე რომ დავიყმუვლებ, მთელი ტყე ზანზარებს!

ღომი:

— ჩემს ერთ დაღრიალებაზე ცხოველთა მთელი სამყარო ცახცახებს!

ღორი:

— ეგ რა არის, ჩემი ერთი დაცემინება და მსოფლიო შიშით კანკალებს.

***

ჭიჭიკია შრატის გასაკეთებლად ექიმთან მივიდა და ეწუწუნება:

— ადამიანის მეგობარი ძაღლი კი არა, კორეელი უნდა იყოს! არ გამომაგლიჯა ბარძაყი, ამ სასიკვდილემ!

***

სასამართლოში მოწმე ჩვენებას აძლევს:

— ბრალდებულმა გამოიტანა ნაჯახი და თავში ჩასცხო დაზარალებულს... არადა, ამ არამზადას წინადღეს ვთხოვე, ნაჯახი მათხოვე-მეთქი და არა მაქვსო!..

***

ექიმთან მიღებაზე:

— გისმენთ, ჩემო კარგო, რა გაწუხებთ?

— ექიმო, ვაკვირდები, ამ ბოლო დროს თითქოს ყველა იგნორირებას მიკეთებს...

— შემდეგი!..

***

ელექტროსაქონლის მაღაზიაში:

— უთო გაქვთ?

— რომელი ფირმისას ინებებთ?

— ყველაზე მტკივნეული რომელია?

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. სექსსიმბოლოდ აღიარებული ქალი სექსისგან სიამოვნებას ვერ იღებდა. მსახიობს ამის შესახებ ახლობლებთან არაერთგზის დაუჩივლია.
2. ეს ერთადერთი ორდენი იყო, რომლითაც ქალებს აჯილდოებდნენ.
3. სვიფტის ანდერძით მთელი მისი ქონება ქალაქის მერიას გადაეცა ფსიქიკურად დაავადებულთათვის პანსიონატის ასაშენებლად.
4. ხორბლის უძველესი ჯიში. იგი მხოლოდ საქართველოში, კერძოდ რაჭა-ლეჩხუმშია შემორჩენილი. თავთავი მკვრივი, ფხიანი, ადვილად მტვრევადია და საუკეთესო ხარისხის ხორბალს იძლევა.
5. დედოფალი ვიქტორია. მისი მმართველობის პერიოდს „ვიქტორიანული ეპოქა“ ეწოდა.
6. კუს კვერცხებისაგან.
7. ინოკენტი სმოკტუნოვსკი.
8. იგი პოლკოვნიკი გახლდათ.
9. სიშიშვლე საზოგადოებრივ ადგილებში.
10. რეპრესიების შემდეგ როდიშჩევმა სახრჩობელას „სტოლიპინის ჰალსტუხი“ შეარქვა, რის გამოც სტოლიპინმა იგი დუელში გაიწვია. დუმის დეპუტატმა ბოდიში მოიხადა და დუელი არ შედგა. მეტსახელი კი ისტორიამ შემოინახა.

ჩვენი ფოტო მაღვრევა



ჰოროსკოპი

15-21 სექტემბერი

ვერძი

თავს განტვირთვის საშუალება მიეცით. მეგობრების წრეში დროს მხიარულად გაატარებთ.

ხუცი

საოჯახო საქმეებით დაიტვირთებით, შესაძლოა, რემონტი წამოიწყოთ ან ბინა გამოიცვალოთ. ელექტროხელსაწყოებთან სიფრთხილე გამოიჩინეთ.

ტყუპი

დროა, დასერიოზულდეთ და მეტი ყურადღებით მოეკიდოთ საქმეს. ნუ აიძულებთ სხვებს, თქვენი საქმეები შეასრულონ.

კიბიბოსანი

კვირის დასაწყისში სამსახურებრივი და საოჯახო საქმეებით იქნებით დაკავებული, კვირის მეორე ნახევარში, ჯანმრთელობას მიხედეთ. თვითმკურნალობას არ გირჩევთ.

ლომი

საყვარელ ადამიანთან კონფლიქტის გამო, საქმეს გულს ვერ დაუდებთ. ეცადეთ, განიტვირთოთ და საოჯახო საქმეებს მიხედოთ.

ქალწული

ახალი შემოქმედებითი იდეების განხორციელება თქვენგან ბევრ ენერგიას, მოთმინებასა და ფინანსებს მოითხოვს. საყვარელი ადამიანის მიმართ ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული.

სასწორი

მეგობრების დახმარებით ახალ სამსახურს მოძებნით. ყველაფერი რომ მოასწროთ, შეადგინეთ გეგმა და იმის მიხედვით იმოქმედეთ. დასვენების დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

ბოსიტანი

სამსახურში ახალი იდეების განხორციელებით იქნებით დაკავებული. ახლობლებისგან ვალს დაიბრუნებთ, მაგრამ ნუ იჩქარებთ ამ თანხის დახარჯვას.

მშვილდოსანი

კვირა დატვირთული იქნება საქმიანი შეხვედრებითა და ახალი იდეების განხორციელებით. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაგიუმჯობესდებათ.

თხილა ჯიჯა

თანამშრომელს ღალატში ამხელთ, რითაც კოლეგების თვალში რეპუტაციას აიმაღლებთ. უფრო მობილიზებული გახდით, ნუ შეგეშინდებათ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების.

მეწყლული

კარგი პერიოდია ძველი საქმეების დასასრულებლად, განაწყენებულ შეყვარებულთან შესარიგებლად. მეტი დრო დაუთმეთ სწავლას, ცოდნის გაღრმავებას.

თევზები

ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში, გააქტიურდით, დაასრულეთ საქმეები, განახორციელეთ იდეები. შეხვდით მეგობრებს. კარგი პერიოდია ვარჯიშისა და დიეტის დასაწყებად.

კელტური ჰოროსკოპი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „გზა“ №35

ორაგული

5 აგვისტო — 1-ელ სექტემბერი
მფარველი პლანეტა — მერკური
ქვა — ამეთვისტო

სირთულეებს არ უშინდება. ურჩევნია მწარე სიმართლე თქვას, ვიდრე მოიტყუოს. კარიერაზეა მომართული და ხშირად წარმატებასაც აღწევს.

გედი

2 სექტემბერი — 29 სექტემბერი
მფარველი პლანეტა — ვენერა
ქვა — ზურმუხტი

შემოქმედი ადამიანია. უყვარს ლამაზი ნივთები და საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა. სიყვარულისთვის მსხვერპლსაც კი გაიღებს.

ბატი

30 სექტემბერი — 27 ოქტომბერი
მფარველი პლანეტა — მთვარე
ქვა — ოპალი

ხელგაშლილი და კეთილშობილია. მეგობარს გაჭირვებაში არ მიატოვებს. განვითარებული აქვს ინტელექტი. ზოგჯერ სარკასტულად ხუმრობს. წარმატებას შემოქმედებით სფეროში მიაღწევს.

გუ

28 ოქტომბერი — 24 ნოემბერი
მფარველი პლანეტა — პლუტონი
ქვა — იასპი

მგრძნობიარე, ვნებიანი და ემოციურია. ხშირად უბრალო კამათის დროსაც კი კარგავს კონტროლს, რის გამოც გარშემო მყოფებთან ურთიერთობა უფუჭდება.

ყვავი

25 ნოემბერი — 23 დეკემბერი
მფარველი პლანეტა — სატურნი
ქვა — ლაზურიტი

მშვიდი, გაწონასწორებული პიროვნებაა. დაწყებულ საქმეებს ყოველთვის ასრულებს. თავმოყვარეა და საკუთარ თავს არავის დააჩაგვრინებს.

ტაიმ-აუტი

1. ქართველი მოჭიდავე
2. ბატკანი
3. ლექსის სტრიქონი
4. უდიდესი სიამოვნება
5. ჯეიმს კამერონის ფილმი
6. ავტომობილის კორპუსი
7. დწყსუ-ლების ქონ-ების აღწერ-ლობა
8. დაბალი ხარისხის
9. ღვინის ღმერთი ბერძ. მით.
10. იაპონური არაყი
11. რკინიგზის ხაზი
12. პარკოსანი კულტურა
13. იაპონური ავტომობილი
14. ცხოვრება
15. ჰაერის დაბალი ტემპერატურა
16. ლაბორატორიული ჭურჭელი
17. ქვეყანა აზიაში
18. ბელურასნაირთა რიგის ფრინველი
19. სამაგიდო თამაში
20. ჯუჯა კამეჩი
21. ნავთობის გადასაზიდი გემი
22, ბუსუსები ქსოვილზე
23. ხორბლის ჯიში
24. მუქი ნაცრისფერი
25. მომჭირნეობით ხარჯვა
26. ნდობის ღირსი
27. ბაგე
28. საქონლის წონა უჭურჭლოდ
29. დიდი ქვა
30. სუსტი ქარი
31. ღაწვი
32. ჩალისფერი თმა
33. ევროს მეასედი
34. თურქეთის ფულის ერთეული
35. რძის ნაწარმი
36. მცენარის მწვანე პიგმენტი
37. მჭევრმეტყველების თეორია
38. თურქმენეთის დედაქალაქი

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. ალიგატორი; 2. მინსკი; 3. გიტარა; 4. ქოცო; 5. რენეტი; 6. ზესტაფონი; 7. კაკაო; 8. ფატა; 9. ოტო; 10. ბელი; 11. ბაზალეთი; 12. ელდა; 13. ბოთე; 14. გრამი; 15. მაკაკა; 16. რადიო; 17. მიანმა; 18. მოტივი; 19. მარაო; 20. ჯიში; 21. შტაბი; 22. შაკი; 23. მასრა; 24. პიზა; 25. ინა; 26. შანდალი; 27. ასთანა; 28. თითა; 29. მიამიტი; 30. კიჩო; 31. შოთი; 32. კისკისი; 33. კომბაინი; 34. შასი; 35. ტანკა; 36. ტაბლა; 37. ვაკე; 38. ბოლივია; 39. ტბა; 40. ელისო; 41. არმინია.
სურათებზე: ანზორ ერქომაიშვილი; თამარ გვერდწითელი.

ნიანგების შოუ

„მკვლელ მანქანად“ წოდებული ცხოველი რთულად მოსარჯულებელი და გასაწვრთნელია. თამამი ტაილანდელები 3-მეტრიანი (ერთხელ გინესის რეკორდების წიგნში 6-მეტრიანი რეპტილია მოხვდა) ნიანგების მონაწილეობით, ხალხის გასამხიარულებლად და მატერიალური დაინტერესების მიზნით, თეატრალურ წარმოდგენებს მართავენ. ტაილანდში ნიანგის ერთ-ერთი სახეობა — სიამის ჰიბრიდი ბინადრობს, რომელსაც მლაშე წყალშიც შეუძლია არსებობა. წარმოდგენა ტაილანდის ქალაქ პატაიის შემოგარენში, ნიანგების ფერმის ტერიტორიაზე ტარდება (ფერმაში 60 ათასი ნიანგი ჰყავთ), რის შემდეგაც ნიანგის ხორცსაც (დიდი რაოდენობით შეიცავს პროტეინს) ყიდიან და ტყავსაც.

20-წუთიან წარმოდგენას ყოველ საათში მართავენ. ამ დროს მამაკაცი ნიანგს პირში უყოფს ხელს, კუდით დაათრევს, მაგრამ ნიანგი მას არ ერჩის — ეტყობა, ან მაძღარია, ან ტაილანდელებს უგემური ხორცი აქვთ (ეს ხუმრობით).

წარმოდგენის დროს მაყურებელი მონაწილეებს ფულს უყრის. ერთ-ერთი ტაილანდელი მოგროვილ თანხას ნიანგს (ნიანგებს ყოველ ნომერში ცვლიან) პირში უყრის, მეორე მათგანი კი ხახაში ხელს უყოფს და ფულს უკან იღებს, შემდეგ ენაზე ექაჩება. ესეც შოუს ნაწილია. წარმოდგენის ბოლოს ტაილანდელები (შოუს მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ერთი შემთხვევა დასრულდა ტრაგიკულად) მაყურებლებისთვის სამახსოვრო ფოტოებს იღებენ. ■

იაპონური სენსაციია sudoku

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	9	2	5	4	3	1	6	8
5	3	6	1	7	8	9	2	4
4	8	1	9	2	6	7	5	3
6	7	8	3	5	9	2	4	1
9	2	4	7	6	1	3	8	5
3	1	5	4	8	2	6	7	9
8	6	9	2	1	5	4	3	7
1	5	7	6	3	4	8	9	2
2	4	3	8	9	7	5	1	6

7	5	4	6	2	1	8	9	3
8	6	1	4	9	3	5	7	2
3	9	2	7	5	8	4	6	1
2	8	9	3	1	5	7	4	6
5	7	3	2	4	6	9	1	8
1	4	6	8	7	9	3	2	5
9	2	8	1	3	7	6	5	4
6	1	7	5	8	4	2	3	9
4	3	5	9	6	2	1	8	7

2	7	3	5	4	6	1	9	8
4	9	5	8	1	2	7	6	3
1	8	6	9	7	3	2	4	5
9	5	8	1	6	7	4	3	2
6	3	4	2	5	9	8	1	7
7	2	1	3	8	4	6	5	9
3	1	7	4	2	5	9	8	6
5	4	2	6	9	8	3	7	1
8	6	9	7	3	1	5	2	4

* მარტივი

			1			2		
	3		8			5		
	6			5		9		
		2	5		4			3
6				7				1
9			3			4		
		6		9			7	
		5			3		2	
		9			5			

* * საშუალო

		9			8			5
1				4		9		
	8		5	6		3		
		8						7
					6			
3			4			2		
		1		3	4		5	
		6		7				8
9			8			4		

* * * რთული

7			5		2		3	
1		6		7			2	4
8			3			1		
	5			8				2
	6	2	9		3	8	1	
3			2				4	
		8			7			3
6	9			2		7		1
	7		1		8			6

ფოტოკუჩიოზები

როდენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

დაიკელი თვეში 9 კილომდე

მისი დროული მიღება თავიდან აგაცილებთ წონაში მატებასაც

- ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი ჰროდექტი, დამზადებულია საფრანგეთის ჯიშის ნითელ ღვინოზე, ნატურალური თაფლზე, მწვანე ჩაიზე და სამკურნალო მცენარეებზე
- ხელს უშლის ნახშირწყლების სხიმებში გადასვლას
- ხელს უწყობს სხიმების ბოლომდე დაწვას
- აკვეთებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- წოჩამდე დაჭყავს სიმსუქნის ჰორმონი ლეპტინი
- აჩებელიჩებს ქოლესტერინს სისხლში
- ოჩგანიზმიდან გამოაკვს ზედმეტი სითხე და შლეკები
- აწესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას
- გამოიჩევა ეფექტურობით ღვიძლის სხიმოვანი დისტროფიის დროს

როდენი

მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ
„ჯი პი სი“-ს, ავერსის საფოსტიაძო ქსელს,
და ძალაძის სხვა აფთიაქებს.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
293 19 87; 230 97 52
მობ: 595308405;

e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!
50
წიგნი
რომელიც უნდა წაიკითხო,
სანამ ცოცხალი ხარ!
3-დან
10 ოქტომბრამდე
მარიო პიუზო
ნათლია
მარიო პიუზო
17-დან
24 ოქტომბრამდე
გუსტავ ფლობერი
მადამ ბოვარი
გუსტავ ფლობერი
50
შტეფან ცვაიგი
მარიამ სტიუარტი
წიგნი 20
შტეფან ცვაიგი
19-დან 26
სექტემბრამდე
WORKBOOK
ჩასოვიოთ წიგნები
უყოყოლად ოკნები!
მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი - 7 ლარი
8 000 მომხმარებელს- მოსწონს ეს
მაჩვენე 180-ვე კომენტარი
ანი ჯორბენაძე– ძალიან მომწონს, თან რა ლამაზი გამოვიდა!
მართლა კარგად შევარჩიეთ...
პალიტრა

ბრანდიოზული სასკოლო აქცია

«პირველი ზარი»

შეიძინე ბილაინის ტელეფონი ალკატელი OT 799 მხოლოდ 130 ლარად

და მიიღე 55% ფასდაკლება ბილაინის ტელეფონზე ალკატელ OT 306, მხოლოდ

~~45~~ 20 ლარად

აქციაში მონაწილეობისთვის ეწვიე ბილაინის ოფისებს 30 სექტემბრამდე

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

მობილური ტელეფონიდან: 0611

ქალაქის ქსელიდან : 2 20 06 11

facebook.com/beeline.ge

www.beeline.ge

ბილაინი®

გადმოდი ნათელ მხარეზე